

985/4

ISSN 0132-6023



ՀԱՅԿԱՍՏ

12

1985

სისესი

341

გამომცემის ოცდამეცხრე წელი

12

ლექსები

1985

თბილისი

საქ. კვ. ცკ-ის გამომცემლობა

ლიბრატულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

შ ი ნ ა ა რ ს ი

3. დიდგინიშნელოვანი დოკუმენტი

სკკპ XXVII ყრილობის შესახებდრად

6. ნაი კილასონია — ბავშვები მტრადები არიან.
ლექსი

კროზა და კოეზია

7. ბურაშ ფანჯიკიძე — სირალი. რომანი. გაგრძელება
106. დილარ ივარდავა — ლექსები
109. ბადრი ქუთათელაძე — ლექსები
110. ბალთერ არაბული — ლექსები
113. რენე კალანდია — ლექსები
115. ცილა არღაშელია — ათიდან ათი. მოთხრობა
129. შუბა ჩხეტიანი — ლექსები
131. ამირან კალაძე — ლექსები
133. ჯურაბ სამაღაშვილი — ლექსები
135. ალექსანდრე გაბური — ლექსები

ილია შავჭავჭავაძე — 150

136. ვახტანგ აბაშაძე — სოციალური და ეროვნული
ჩაბვრისგან განთავისუფლების ნათელი პროგრამა

ინტერვიუ

144. ნინო დეანოიძე — „კოეზი წიგნი... ბედნიერების
შესაბრძნოლად“

წერილები

147. შურბან ჯგუზურია — ნოვადი ბართიას ლექსები
151. გორის ბუბულიძე — 1905-1907 წლების რევოლუ-
ციის საკატოველოვნი
156. ქურნალ „ცისკრის“ 1985 წლის ნომრების შინა-
არსი

მთავარი რედაქტორი
ჯანსუღ ლვინჯილია

სარედაქციო კოლეგია:

გივი ალხაიშვილი

თედო ბაქიშვილი

(მთავარი რედაქტორის
შეადგილა)

ბურაბ გეგუშიძე

გივი გეგუშორი

გიორგი გუბია

თეიმურაზ დოიაშვილი

მერაბ ულიოვიშვილი

ველია კახიძე

ჯედალ მარგველიძე

შოთა ნიშინიძე

ბურაბ ფანჯიკიძე

მორის შოხიშვილი

ნუგზარ შატაძე

ანთანდილ

ჩხიკვიშვილი

(პასუხისმგებელი მდივანი)

სოსო ცინცაძე

გოგი წარათელი

ტარიელ ჭანტურია

ბადრი ქოხონელიძე

ვაკა ჯონაძე

დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა (ახალი რედაქცია) ის დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტია, რომელიც ჩვენი ქვეყნის მიერ გამოვლილი ძლევამოსილი გზის, წარსულისა და დღევანდელი მიერ დაგროვილი უმდიდრესი გამოცდილების მეცნიერული ანალიზის საფუძველზე, კომუნისტური საზოგადოების განვითარების სხვადასხვა ეტაპების ღრმა შესწავლის და შეჯერების საფუძველზე, ახალ, გრანდიოზულ პერსპექტივებს სახავეს სამომავლოდ. ეს არის პროგრამა, რომელიც კომუნისმისაყენ საბჭოთა საზოგადოების შემდგომი წინსვლის გზებს გვიჩვენებს. მასში ნათლად და გაააგებად არის ჩამოყალიბებული ის ძირითადი დებულებანი, ის აუცილებელი ფაქტორები, რომლებმაც უნდა დააჩქარონ საბჭოთა ხალხის დიდი ოცნების — კომუნისმის აშენების გეგმების განხორციელება. „რომლის დროსაც კომუნისტური საერთო ცხოვრების ერთიანი საყოველთაოდ მიღებული წესების დაცვა ყოველ ადამიანს შინაგან მოთხოვნილებად და ჩვევად გადაექცევა“.

პროგრამის ახალი რედაქციის ყველა პუნქტი, ყველა სტრიქონი განმსჭვალულია ადამიანზე ზრუნვით, მის კეთილდღეობაზე და ბედნიერებაზე ფიქრით. მაგრამ ეს არ არის ფიქრი მხოლოდ საბჭოთა ადამიანზე, მხოლოდ საბჭოთა ხალხის ბედზე, ეს არის ფიქრი საერთოდ მთელი კაცობრიობის ბედზე, მის მომავალზე, ადამიანთა საყოველთაო ბედნიერებაზე; დედამიწაზე მცხოვრები ყველა ხალხის კეთილდღეობაზე. „ეს არის მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლის პროგრამა“. ოპტიმიზმით, იმედით, შეუპოვარი სულისკვეთებითაა გაელენილი სიტყვები, რომლებიც მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნების პრობლემებს ეხება: „მსოფლიო ომის ფატალური გარდღევალობა არ არსებობს. ომის თავიდან აცილება, კაცობრიობის ხსნა კატასტროფისაგან შეიძლება“. ახალი პროგრამა მშვიდობისათვის შეუწეებელ ბრძოლას კომუნისტური პარტიის, სოციალიზმის უმთავრეს ისტორიულ მოწოდებად თვლის.

ჰარმონიულად განვითარებული, საზოგადოებრივად აქტიური პიროვნების ჩამოყალიბებისათვის უდიდესი როლი ენიჭება ლიტერატურას, ხელოვნებას. ლიტერატურამ და ხელოვნებამ უნდა მისცეს საბჭოთა ადამიანს ის სულიერი საზრდო, რომელიც ხელს შეუწყობს მორალურად სპეტაკი, მაღალი შეგნებით შეიარაღებული პიროვნების ჰარმონიულ განვითარებას. კაცთმოყვარეობის, ინტერნაციონალიზმის, კოლექტივიზმის პრინციპებით ადამიანთა აღზრდა ლიტერატურისა და ხელოვნების უპირველესი მოვალეობაა.

პარტიის პროგრამა მწერლობის, ხელოვნების, კულტურის მუშაკთა წინაშე წარმოაჩენს იმ პრობლემებს, რომელთა გადაწყვეტაში მთავარი სიტყვა მათ ეკუთვნით. მრავალეროვნულმა საბჭოთა კულტურამ ხელი უნდა შეუწყოს ადამიანებში კოლექტივისტური, ჰუმანისტური, აქტიური, ქმედითი მორალის

საქ. სსრ კ. მარქსის
საბ. საბ. „...“
გეგმვის დეპ.



განმტკიცებას. მან უნდა აღზარდოს ადამიანები ჯანსაღი პატრიოტიზმით.

საბჭოთა ლიტერატურისათვის დასაბამიდანვე დამახასიათებელი იყო ჭეშმარიტი ხალხურობა, სინამდვილია რეალისტური, ობიექტური ასახვა, კომუნიზმის იდეალების ერთგულება, ადამიანთა ყოფაში შემორჩენილი მანკიერი ტენდენციების წინააღმდეგ შეუწინაღებელი ბრძოლა. პარტიის პროგრამა მოუწოდებს მწერლობას კიდევ უფრო განავითარონ ეს თვისებები.

„საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია დიდ მნიშვნელობას ანიჭებამას, რომ მშრომელმა მასებმა უფრო სრულიად და ღრმად აითვისონ აულიერი და მატერიალური კულტურის საგანძური, აქტიურად ეზიარონ მხატვრულ შემოქმედებას“ — აღნიშნულია პროგრამაში. მაგრამ მშრომელმა მასები რომ აქტიურად ეზიარონ მხატვრულ შემოქმედებას, ამისათვის აუცილებელია მწერლობამ უერთგულოს იმ სწორ ფორმებს, გამოხატვის იმ საშუალებებს, რომლებიც მისაღებს გახდის მხატვრულ შემოქმედებას მკითხველთა ფართო მასებისათვის.

საბჭოთა ლიტერატურა ავითარებს სამამულო და მსოფლიო ლიტერატურის საუკეთესო ტრადიციებს. ის ერთგულად აგრძელებს კაცობრიობის ყველა თაობისათვის მარადიული და უცვლადი იდეების მსახურებას — სიკეთის, პატიოსნების, ზნეობრივი უმწიკველობის, ჭეშმარიტი მამულიშვილობის იდეების მსახურებას.

პროგრამაში მითითებულია, რომ ხელი უნდა შეეწყოს ნიჟის სწორ განვითარებას, დახვეწილი ესთეტიკური გემოვნების ჩამოყალიბებას. საბჭოთა ლიტერატურის წარმომადგენლები არ უნდა დაკმაყოფილდნენ მიღწეულით, ახალი შემოქმედებითი ხერხების და ფორმების, გამოსახვის ახალი საშუალებების შეუწინაღებელი ძიება, თანამედროვე ადამიანის მისწრაფებების, მისი შინაგანი სამყაროს სრულყოფილად წარმოჩენისათვის, შემდგომშიაც ნიშნდობლივი უნდა იყოს საბჭოთა ლიტერატურისათვის.

„ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეთა წინაშე ფართო სარბიელია გადაშლილი ნამდვილად თავისუფალი შემოქმედებისათვის“ — ვკითხულობთ პროგრამაში. შემოქმედებითი თავისუფლება კი ის ფაქტორია, რომელიც ხელს უწყობს ტალანტის ზრდას, მისი ნიჟის სრულ გამოვლინებას.

საბჭოთა ლიტერატურა მრავალეროვნული და მრავალენოვანი ლიტერატურაა. ეს ლიტერატურები ვითარდებიან და იზრდებიან თავიანთი ეროვნული კულტურის საფუძვლებზე და ამასთანავე დიდი საბჭოთა კულტურის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ. მათ აქვთ განმასხვავებელი ნიშნებიც, მაგრამ საერთო აქვთ უმთავრესი მიზანი — აღზარდონ მაღალი იდეალების ერთგული პიროვნება, ყოველგვარი ადამიანური ღირსებებით შემკული, ჭეშმარიტი პატრიოტი და ინტერნაციონალისტი.

საბჭოთა ლიტერატურაში თავისი საპატიო ადგილი უჭირავს ქართულ საბჭოთა ლიტერატურასაც. ქართული ლიტერატურა ყოველთვის იყო საბჭოთა ლიტერატურის ერთ-ერთი ღონიერი შენაკადი.

ქართული ლიტერატურა თამამად ეჭიდება გლობალურ თემებს, ზოგადკაცობრიულ პრობლემებს, არ იკეტება თავის ნაჭუჭში, თავის ვიწრო, ლოკალურ ინტერესებში და ცდილობს მსოფლიო ლიტერატურის საერთო პათოსს აუწყოს ხმა.

სკვპ პროგრამის ახალი რედაქციის შექმნე ქართული ლიტერატურის წინაშეც მთელი რიგი ახალი პრობლემები, ახალი პერსპექტივები ისახება. უპირ-

ველეს ყოვლისა, საჭიროა ჩანსალი კრიტიკული თვლით მიუვდგეთ იმ ნაკლებობებს, რაც კიდევ გაგვაჩნია. ნალოვანებათა დროული მხილება მოფხვრა კი წარმატებათა საწინდარი გახლავთ.

საჭიროა, რომ ჩვენი მწერლობა უფრო აქტიურად, უფრო შემართებით ერეოდეს ანზოგადობრივი ცხოვრების ყველა სფეროში. მან უნდა იცხოვროს იმ შეგნებით, რომ ის პასუხისმგებელი ყველაფრის გამო, რაც ჩვენს გარშემო ხდება.

ჩვენი მწერლობა ჯერ კიდევ ინტენსიურად არ მუშაობს პუბლიცისტიკის დარგში. არადა, არის პრობლემები, რომლებზეც მსჯელობა ლექსითა თუ მოთხრობის საშუალებით ძნელია. ასეთ შემთხვევაში ყველაზე მოსახერხებელი ფორმა პუბლიცისტიკაა.

უნდა ამაღლდეს კრიტიკის წარმმართველი როლი ლიტერატურულ ცხოვრებაში: დროა, კრიტიკამ უარი თქვას უსაფუძვლო სახობო წერილებზე, აშკარად მამებლურ, ეგოისტური ზრახვებით ნაკარნახევი ქება-დიდებას აღვლენაზე. ჩვენი კრიტიკა ჯერ კიდევ ვერ უმკლავდება უღიმღამო ლიტერატურული სუროგატის მოზღვავებას. მან ჯერ კიდევ აკლია ობიექტურობა, პირუთენელი მიდგომა განსახილველი ნაწარმოებისადმი. კრიტიკის ინერტიულობის ბრალიც არის, რომ ასე მოგვიმრავლდა უცხოური ლიტერატურის უფერული ასლები, როგორც პროზაში, ისე პოეზიაში.

ვერც იმ სახის ლიტერატურას მივესალმებით, რომელიც გაუთავებლად იმეორებს კლასიკური ლიტერატურის მონაპოვრებს. ლექსიდან ლექსში გადადის ერთიდაიგივე განწყობილებები, ერთიდაიგივე სახეები.

რამდენიმე სიტყვა ახალგაზრდულ მწერლობაზე

ვერ ვიტყვი, რომ ჩვენს ახალგაზრდა პოეტებს და პროზაიკოსებს ნიჭიერება აკლდეთ, მაგრამ მათ შემოქმედებას აკლია სითამამე, გაბედულობა, აქტუალობა, მოქალაქეობრივი პოზიცია. მისი საკმაოდ ბევრი წარმომადგენელი უფროსის საკუთარი თავის, საკუთარი „მეს“, აინამდვილისადმი საკუთარი დამოკიდებულების წარმოჩენას. მოდად გვექცა ბრმა მიმბაძველობა და ამასობაში შეუმჩნეველი გვრჩება ჩვენს გარშემო, ჩვენს სინამდვილეში წამოჭრილი პრობლემები, შეუმჩნეველი გვრჩება ჩვენი თანამედროვე ადამიანი, მისი ცხოვრება, მისი ტკივილი და სიხარული.

ქართული ახალგაზრდული მწერლობა უნდა ისწრაფვოდეს აათქმელის ნათლად, გასაგებად, უბრალო და ამავე დროს კეშმარიტი პროფესიონალიზმით გადმოცემისაკენ. რებუსული ხასიათის, მოჩვენებითი სიბრტყლის, ბუნდოვანი სტილით მეტყველება ხშირად აათქმელის უქონლობაზე, მწერლის შინაგან სიციარიელზე მიგვანიშნებს.

საკვ პროგრამის ახალი რედაქცია, ის დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტია, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს ყველა საბჭოთა ადამიანი, შემოქმედებითი ინტელიგენციის ყველა წარმომადგენელმა. როგორც ვთქვი, დიდა მწერლობის როლი პროგრამის დებულებათა ცხოვრებაში გატარების საქმეში. გვწამს, რომ ქართველი მწერლები ღირსეულად გაართმევენ თავს მათ წინაშე დასმულ ამოცანებს.



ბავშვები მტრედები არიან

„მსოფლიო ომის ფატალური გარდუ-
ვალობა არ არსებობს...“

სკკპ პროგრამის ახალი ორდაქციიდან

მტრედებმა
ისწავლეს სიარული.
ხმა მომდის:
ფართქუნის, გალობის,
მინდა ეს ლექსიც იყოს მხიარული,
ძალიან მხიარული და —
არ გამოდის...

მაშინებს ხკალინდელი ბედი,
ხვალის დღეს
ცახცახა არა:
არ დაუყვიროთ მტრედებს!
არ შეაშინოთ მტრედები! —
მტრედები ბავშვები არიან!

მტრედებს სულ ჰკოცნიან დედები,
ბაბთებს უკეთებენ
დარაია-დარაის,
არ დაუმიზნოთ მტრედებს,
არ გაიმეტოთ მტრედები!
მტრედები ბავშვები არიან!

ჰქროლავენ ფერადი ეტლებით,
ბაღში სურნელების ქარია.
თაყვანი ეცით მტრედებს! —
მტრედები ბავშვები არიან!

ხან-ხან ახველებენ.
ხან უჭირთ სუნთქვა,
ჩვენთვის ის წუთებიც მწარეა.
მტრედები თამაშობენ:

„ვისი სული გასურთო“
და თვითონ სულიკოები არიან.

მტრედები გზავნიან
სასწაულ ბარათებს:
„ბიძია, მშვიდობა გესურს ძალიან“...
მტრედებს არაფერში უღალატოთ,
მტრედებს არასოდეს უღალატოთ, —
მტრედები ბავშვები არიან!

მშობელ ჰლანეტიდან
ფერად ხელს იშვერენ
ყვავილნი: „იოან და მარია“,
დააპურეთ მტრედები
თვალცისა,
თვალგიშერა —
მტრედები ბავშვები არიან!

ეთეთრდები.
ვბერდები,
ვბერდები.
ვუკვივ უბრალოს და ბრალიანს:
არ დაუმიზნოთ მტრედებს!
არ ჩამოაგდოთ მტრედები! —
მტრედები ბავშვები არიან!

... აღმოხდა სხივოსან დაშნებით,
მზე — ჩვენი ბრწყინვალე

ფარია
მზეო, გაგვიმრავლე ბავშვები,
მზეო, გვიმშვიდობე ბავშვები,
ბავშვები მტრედები არიან!

გურამ ფანჯიქია

ს კ ი რ ა ლ ი

რომანი

თავი მეშვიდე

რამაზ კორინთელს დილის ხუთ საათზე გაეღვიძა. უფრო სწორად, კი არ გაეღვიძა, უცნაურად შეჰყვირა და ფეხზე წამოიჭრა. ერთხანს თვალებს უაზროდ აცეცებდა, მერე მიხვდა, რომ სიზმარი ნახა, უცნაური და საშინელი სიზმარი. წისკვილში იყო, ძველებურ წყლის წიკვილში. ფიცრულ და ფარდალადა წისკვილა ღია კარიდან შემომავალი მთვარის შუქი ანათებდა. იჯდა მარტო და სარეკელას რიტმზე სხვადასხვა მუსიკალური ნაწარმოებების მორგებას ცდილობდა. ყველაზე უფრო ბიზუა ხაბანერა შეუწყო ბავშვობიდან დანატრებულ სარეკელას რიტმსა და წისკვილის ქვების წყვეტილ ღრქილას.

უცებ სიჩუმე ჩამოვარდა. სარეკელას ხმა მოულოდნელად შეწყდა. უზარმაზარმა მრგვალმა ქვამაც მომაკვდავივით ამოიხროტინა და გაჩერდა.

„რა მოხდა?“ — გაოცდა რამაზ კორინთელი, უმალვე გარეთ გამოვარდა და ხის დაქანებულ ღარს მიაშურა. ჭერ შეკრთა, მერე შიშმა დარია ხელი. წისკვილის ღარში წყალი გაჩერებულიყო. მდინარეს ღრმა ძილით ეძინა. მერე მოეჩვენა, რომ წყალთან ერთად გულიც გაუჩერდა. ტვინიდან სისხლი თანდათანობით დაბლა ჩამოეწრიტა და ძარღვებში გაიბლანტა. აისხლის ადგილზე ვიღაცამ უხილავი კომპრესორით

ტვინში ცივი და ნესტიანი ჰაერის ნაკადი შეუშვა. სასოწარკვეთილმა კორინთელმა საკუთარ სხეულს ხელი ატაცა და გაჩერებული საათივით შეანჯღრია. შემდეგ თავისი უსიცოცხლო მკერდი ყურთან მიიტანა. ჩამიჩუმე არ იამოდა. შეძრწუნებულმა სხეული მთელი ძალით შეანჯღრია, ისე მაგრად შეანჯღრია, თვითონვე შეეშინდა. ნაწილებად არ დავიშალო და მიწაზე არ გავიბნეო. მერე სუნთქვაშეკრულმა მკერდი კვლავ ყურთან მიიტანა და ნერვების დაწყვეტამდე დაიძაბა. გული ამუშავდა, ამუშავდა ნელ-ნელა, მიიმედ, მაგრამ მაინც ამუშავდა. აწორედ მაშინ შეჰყვირა სიხარულისაგან თუ სასოწარკვეთისაგან რამაზ კორინთელმა, შეჰყვირა და ფეხზე წამოიჭრა. როცა გამოოკვია, როცა დაარწმუნდა, რომ რაც ნახა, სიზმარი იყო, კვლავ ლოგინში ჩაწვა.

ველარ დაიფინა. შვიდ საათამდე ლოგინში იწრიალა. მიხვდა, აღარ დაეძინებოდა და წამოდგა. ჭერ წვერი გაიპარსა, ხელ-პირი დაიბანა და ყავა მოაღულა.

მაგიდას მიუჯდა. სადილობო შრომა უკვე დაწერილი ჰქონდა. უფრო აწორად, ხელად აღადგინა ერთი თავისი გამოკვლევა, რომელიც აატროფიზიკის ინსტიტუტის დირექტორის კაბინეტის სეფში ინახებოდა „რადიოაქტიურობის მეხუთე ტიპის“ გვერდით. იცოდა, მიაა გამოკვლევა ააჯერ მეტად ფასობდა თა-



ვისი მეცნიერული ღირებულებით, ვიდრე დიპლომისათვის იყო საჭირო. ასეთ გამოკვლევებზე კაცი აადოქტოროსაც იოლად დაიცავდა. ამიტომ უნდოდა, თუ უნივერსიტეტში ნებაა დართვდნენ, იანვრამდე სამთავე კურსი დაეხურა, სადიპლომო ნაშრომის დაცვა საკანდიდატო ხარისხის დაცვად გადაექცია. წარმატებისა მტკიცედ სჯეროდა და იცოდა, ეს იქნებოდა პირველი სენსაცია ახალი სამეცნიერო კარიერის დასაწყისში.

გამოკვლევა, რომელიც ჰერკულესის თანავარსკვლავედიდან წყვეტილი თბური რადიოაქტიური გამოსხივების მექანიზმს ხსნიდა, ჯერ კიდევ ერთი წლის წინ დაამთავრა აკადემიკოსმა დავით გიორგაძემ. მისი გამოქვეყნება რატომღაც არ იქარა, ვინაიდან თავისი ძირითადი გამოკვლევის — რადიოაქტიურობის მეხუთე ტიპის დადგენამ ბორბალივით ჩაიხვია, მთელი არსებით შეიპყრო და სხვა ყველაფერი გადაავიწყა. ახლა, როცა საჭირო იყო ახალი სამეცნიერო კარიერა ტრიუმფით დაეწყო, ერთი წლის წინანდელი უმნიშვნელოვანესი, მაგრამ გამოუქვეყნებელი გამოკვლევა მართლაც დიდ ეფექტს მოახდენდა.

„იქნებ მართლაც ბედისწერა იყო, ამ ნაშრომის გამოქვეყნება რომ არ ვიქარა?“

„იქნებ სულაც ღვთის ნებამ შემაჩერა?“

„ღვთის!“ — მწარედ ჩაიციხა თვითონვე. ღმერთისა, როგორც ადრე, ახლაც არაფერი სჯეროდა.

„თუკი ღმერთმა დღევანდელი დღისათვის საგანგებოდ შემომინახა ერთი წლის წინანდელი გამოკვლევა, თუკი მან შთამაგონა, არ მეჩქარა ნაშრომის სამეცნიერო საბჭოზე წარდგენა, გამოდის, რომ იცოდა მოსალოდნელი ოპერაციის ამბავი. გამოდის, რომ ღმერთმა ნება დართო ადამიანს, შეტრილიყო ღვთიური ნებით შექმნილ სამყაროში და დაერღვია მის მიერ დადგენილი სიკვდილ-სიცოცხლის კანონები!“

„ღმერთო ჩემო, ვყოფილხარ როდესაც მე ფილოსოფიით გატაცებული? აბა, ახლა რა დამემართა? ღმერთი რომ ყოფილიყო, განა ძირშივე არ აღკვეთავდა ამ ოპერაციას? ტვინის გადანერგვა ხომ ყველაზე საშიშელი მკრეხელობაა მკრეხელობათა შორის?“

ყავა მოსვა. მთლად გაციებულყოზიზლით გადააპურტყა და ფეხზე წამოდგა.

ვარჯიში დაეხარა. ის აუცილებელი მოძრაობებიც არ გააყეთა. ექიმმა რომ საგანგებოდ შეასწავლა.

მეოთხე დღე იყო, შინ იჭდა და თავაულებლად მუშაობდა. ყველანი გააფრთხილა, ამ კვირაში არ შემაწუხნოთო.

მთავარ ექიმსაც დაურეკა, საკანდიდატო შრომის ავტორეფერატს ვწერ და თქვენი ჩვეული ყურადღებით აზროვნებას ნუ გამიფანტავთ, თუ რამე იქნება საჭირო და აუცილებელი, თვითონ დაგირეკავთო.

მაგიდას კი მიუჯდა, მაგრამ სამუშაოს გული ვერა და ვერ დაუღო.

სიზმარი სიზმრად დარჩა, თუმცა დროდადრო მაინც ეჩვენებოდა, რომ გული უჩერდებოდა.

„რა მემართება?“

„ალბათ გადავიღალე. ეს ხომ ბუნებრივიცაა, რამდენი თვეა მეცნიერებისათვის აღარც კი მომიცლია!“ — დაიმშვიდა თავი.

შრომა, ძალზე მნიშვნელოვანი და დიდი გამოკვლევა, მზად ჰქონდა. ახლა მთავარი იყო სადიპლომო შრომად, ფაქტიურად, სადისერტაციო შრომად ექცია.

ლიტერატურის უქონლობა ძალზე უშლიდა ხელს. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკიდან ბევრი წიგნი გამოიტანა. მაგრამ ის უცხოური უახლესი ლიტერატურა, დავით გიორგაძის ბინაში რომ დარჩა, თბილისში სხვაგან არსად ეგულებოდა.

გული ისევ შეუჩერდა. ტვინის ხვეულებში ისევ იგრძნო ცივი და სველი ჰაერი.

„არა, ჩემი ცუდი განწყობილება მოქანცვის ბრალი არ უნდა იყოს, თანაც

მე ხომ სრულებით ვერ ვგრძნობ ვერც ფიზიკურ, ვერც გონებრივ დადლილობას.

„აბა, რატომ შემოიპყრო აეთმა საშინელმა გრძნობამ?“

„ღმერთო, ვინ იცის, წინ კიდევ რამდენი გაუთვალისწინებელი უბედურება მელის?!“

რამაზ კორინთელი არ სცდებოდა, ჭაბუკი მეცნიერის ინტუიცია რაღაც საშინელების მათუწყებელ იმპულსებს დებულობდა.

შეეცადა, ფეჭრი სხვა თემაზე გადაეტანა. მივიდა, ეზოში გადაიხედა.

ბეტონის უზარმაზარ ოთხ კოლოფს შორის მოქცეული ეზო მანქანებით იყო სავსე.

ივლისის შუა რიცხვებისათვის ხეებს უჩვეულოდ გაჰყვითლებოდა ფოთლები.

მხურვალე ასფალტში ამოჭრილი ხეები ცისკენ მიისწრაფოდნენ, რომ იქნებ როგორმე ასცილებოდნენ ბეტონის კედლებს. მათი უპროპორციო, სულ სიმალისაყენ მსწრაფი წვრილი და სუსტი ტანი მაინც ვერ გაუძლებდა აღუდებული ასფალტიდან ამოვარდნილ სიმხურვალეს და ამდენი მანქანის გამონაბოლქვ აირებს.

რამაზ კორინთელმა საფეთქელი გამოღებული ფანჯრის მინას მიადო. უნივერსიტეტის რექტორი გაახსენდა, მაღალი, თხელი, საფეთქლებშევერცხლილი პროფესორი, თავდაპირველად უნდობლად რომ შეხვდა დაუსწრებელი ფაკულტეტის სტუდენტის ნიჭიერებას.

ზურაბ თორაძემ ჯერ კიდევ მთელი ორი კვირით ადრე გააფრთხილა რექტორი, ფენომენალური ნიჭისა და ცოდნის ყმაწვილ კაცს მოვიყვანოთ. მთავარმა ექიმმა იმდენი აქო ყოფილი პაციენტი, რომ რექტორმა იგი ჩვეულებრივ გავზიადებად ჩაუთვალა და ყურს ხეირიანად აღარც კი უგდებდა. ზურაბ თორაძე მიხვდა, რომ რექტორს არ სჯეროდა მისი და გულმოსულმა მკვახედ მიახალა:

— ეტყობა, თქვენ არ გჯერათ ჩემი ნალაპარაკევი და მიგაჩნიათ, რომ მე

ისევე ვაქებ რამაზ კორინთელს, ვგორც ბევრი მშობელი ან გულშემატკივარი თავის შვილს ან ახლობელს. უმჯობესია, მოვიყვანო და თვითონ გამოვლაპარაკოთ. იმედი მაქვს თქვენი გულწრფელობია და მჯერა, არ შეგრცხვებათ აღიაროთ, რომ იგი მართლაც ფენომენალური ნიჭის მქონე და უადრესად განათლებული ახალგაზრდაა.

რექტორმა არც ამ სიტყვებს მიაქცია დიდი ყურადღება. ზურაბ თორაძის ზეაწეულ ინტონაციას და ლაპარაკს საზეიმო მანერას კარგად იცნობდა. არც დაინტერესებულა, დეკანი გამოეახა და „ფენომენალური“ ყმაწვილის თაობაზე რაიმე ეკითხა.

დადგა ია დღეც, როცა რექტორმა ერთად მიიღო ზურაბ თორაძე და მისი ყოფილი პაციენტი.

რექტორმა ჯერ ხელი ჩამოართვა ორთავეს, მერე თავის მბრუნავ რბილ სავარძელში ჩაეშვა, მარცხენა ხელი შევერცხლილ საფეთქლებზე გადაისვა და რამაზ კორინთელს ოდნავ შესამჩნევი დამცინავი ღიმილით მიმართა:

— მაშ, ეს თქვენ ხართ ფენომენალური ნიჭისა და ცოდნის პატრონი?

— მე ვარ რამაზ კორინთელი, — გამომწვევად მიუგო ჭაბუკმა, — რამაზ მიხეილის ძე კორინთელი!

რექტორი შეაკრთო ჭაბუკის უცნაურად წამონთებულმა თვალებმა.

— მე მგონი, საწყენი არაფერი მითქვამს! — დაბნეულად აიჩეჩა მხრები რექტორმა და თან ზურაბ თორაძეს ისე გადახედა, თითქოს ეკითხებოდა, რა ვთქვი საწყენიო.

— არც რამაზ კორინთელს სწყენია არაფერი! — მიუხვდა მთავარი ექიმი, — იგი, უბრალოდ, ძალზე მგრძნობიარე და თავმოყვარე კაცია.

რექტორს ხასიათი წაუხდა, ინანა, წინასწარ დეკანს რატომ არ ვესაუბრე ან საბუთები მაინც რატომ არ გამოვიტხოვეო.

— კეთილი და პატიოსანი! — თქვა ოდნავ განაწყენებული, ოდნავ დაბნეული ხმით. — მაშ, თქვენ გინდათ, ერ-

თბაშად ჩააბაროთ მთელი სამი კურსის დისციპლინები და იანვრის ბოლოს დაცვათ დიპლომი? თქვენ იცით, ეს რამოდენა დარღვევაა ყოველგვარი კანონისა და წესდებისა?

— კი მაგრამ, განა არ გვხვდებიან გამონაკლისებიც? მაგალითად, მერგელიანი თვრამეტი წლისა უკვე აკადემიკოსი იყო.

— მერგელიანი, მერგელიანი... — ჩაილაპარაკა რექტორმა, სავარძელს ზურგით მიაწვა და ჰერს ახედა. — მერგელიანი, ახალგაზრდავ, იშვიათი გამოწველია. ღმერთმა ქნას, რომ თქვენც მისი მსგავსი და კიდევ უკეთესი იყოთ.

— მერწმუნეთ, ბატონო სერგი, რომ რამაზ კორინთელი არავისზე ნაკლები არ გახლავთ. იქნებ კეთილი ინებოთ და გაესაუბროთ! — ხმა აუთრთოლდა ზურაბ თორაძეს.

— დიპლომს უკვე წერთ? — ჰკითხა მოულოდნელად რექტორმა და თვალი თვალში გაუყარა.

— უკვე დაწერე, ბატონო რექტორო! — მიიღო გამოწვევა კორინთელმა.

ძნელი მისახვედრი არ იყო, რექტორმა თავიდანვე უნდობლობა გამოუცხადა. თვალსა და ხელს შუა კი უნდობლობა თანდათანობით და საფუძვლიანად ზიზღში გადაიზარდა. ჰაბუკის გულში შურისძიების გრძნობა აიზვირთა. გადაწყვიტა, საუბარი დამცინავად გაეგრძელებინა.

რექტორმა ველარ გაუძლო ჰაბუკის მოელვარე თვალებს. ბედად ტელეფონმა დარეკა. ელვის სისწრაფით დასწვდა ყურმილს. სავარძელი სანახევროდ შეაბრუნა და სხარტად წარმოთქვა.

— გისმენ!

რექტორს სახე დაეძაბა.

— დიახ! (პაუზა) დიახ! დიახ! (პაუზა)! ბატონი ბრძანდებით! — მხოლოდ ეს სიტყვები წარმოთქვა აღელვებულმა და ყურმილი დაღო.

— განათლების სამინისტროში შეძა-

ხიან. — თქვა ფიჭვიანად და კვლავ კორინთელისაკენ შემობრუნდა. — მაგალითად ან კარგი, თუ დაამთავრეთ. შეიძლება, მე, არა როგორც რექტორმა, არამედ როგორც კოლეგამ, გკითხოთ, ყოველგვარი დახმარებისა და ხელშეწყობის გარეშე რა თემას მოჰკიდეთ ხელი? — შევეცდები დაწვრილებით ავიხსნათ ყველაფერი. მით უმეტეს, რომ მჯერა, თქვენ ჩემს მიერ გადაჭრილი პრობლემით ძალზე დაინტერესდებით.

— მაშ, თქვენ პრობლემაც გადაჭრილი გაქვთ? სადიპლომო შრომებში ჩვენ არ მოვიხივოთ პრობლემების დაყენებასა და გადაჭრას. მაგრამ რაკი გადაგვიჩიათ, ნება მიბოიეთ, გკითხოთ, რა პრობლემა იგი და ვთხოვთ ამიხსნათ, რატომ დაინტერესდები მე?

— დიახ, ბატონო რექტორო, ახლავე შემოძლია დაგარწმუნოთ, რომ პრობლემა უკვე საბოლოოდ მაქვს გადაჭრილი. ხოლო როცა მოგახსენეთ, აუცილებლად დაინტერესდებით-მეთქი ჩემი დიპლომით, ვფიქრობ, არც აქ შევმცდარვარ. მე გადავჭერი საკითხი, რომელსაც პირადად თქვენ ვერაფერი მოუხერხეთ.

— კერძოდ? — უკვე დაინტერესდა რექტორი. ამჯერად მისი ბაგეების კიდებზე აღარ გამოსახულა მხოლოდ მახვილი თვალისათვის შესამჩნევი ირონია. იგრძნო, საქმე უცნაურ და მტკიცე პიროვნებასთან ჰქონდა. ოღონდ ჯერაც ვერ მიმხვდარიყო, წინ თუ კიდევ ბევრი მოულოდნელობა ელოდა.

— კერძოდ?! — კვლავ ბოროტად გაკვესა რამაზ კორინთელის თვალემა, — კერძოდ, მე განგებ ავიღე პრობლემა, რომელსაც თქვენ ვერ უპოვეთ გასაღები. ავიღე განგებ, რადგან წინასწარ ვიცოდი, რომ ჩემი „ფერომენობა“ თქვენში მხოლოდ დამცინავ ღიმილს გამოიწვევდა, და მეორეც: მე ვიცი თქვენი დამოკიდებულება ახალგაზრდობის მიმართ. არა საერთოდ, უნივერსიტეტის მასშტაბით, არამედ, კერძოდ, თქვენი ახალგაზრდა კოლეგების მიმართ. უნივერსიტეტის მასშტაბით თქვენ ძალზე

კეთილ და ახალგაზრდობის მოყვარულ რექტორს თამაშობთ.

— ყმაწვილო, არ გეჩვენებათ, რომ თქვენმა თავხედობამ გადალახა ყოველგვარი საზღვარი?!

აღშფოთებული რექტორი მთავარი ექიმისაკენ ისე შებრუნდა, თითქოს სტუდენტის უზრდელობაზე პასუხს მისგან მოითხოვდა.

ზურაბ. თორაძემ პასუხად უმწეოდ გაშალა ხელები. მთავარმა ექიმმა კარგად იცოდა, მისი საქმეში ჩარევა რამაზ კორინთელს კიდევ უფრო გააცოფებდა.

— შეიძლება, ბატონო რექტორო, შეიძლება მე მართლაც ვეპარებ. მაგრამ სანამ ეთიკურ საკითხებს გადავჭრიდეთ, მოდიო, ჯერ პერკულესის თანაგარსკვლავედინდან მოდენილ რენტგენულ გამოსხივებაზე ვილაპარაკოთ. თქვენი შრომა, კარგად გემასხვრებათ, იწყება ფრაზით, რომ 1971 წელს ერთ-ერთმა თანამგზავრმა აღრიცხა ძლიერი რენტგენული გამოსხივება პერკულესის თანაგარსკვლავედის აღმოსავლეთ ნაწილიდან. მეცნიერები გააოცა ერთმა უცნაურმა მოვლენამ. გამოსხივება მოულოდნელად შეწყდა. და აჰა, რვათვიანი შესვენების შემდეგ აპარატურამ კვლავ აღრიცხა პერკულესის თანაგარსკვლავედის აღმოსავლეთ სფეროსებური დაჯგუფების რომელიღაც სხეულიდან მომდინარე რენტგენური გამოსხივება. თქვენი შეხედულება ამ გამოსხივების თაობაზე მცდარი აღმოჩნდა. მცდარი აღმოჩნდა შემდეგი მიზეზების გამო: თქვენ ვერ აღმოაჩინეთ და ვერ მიიკვლიეთ სხეული, რომლის ირგვლივაც ბრუნავს გამოსხივების წყარო. ვერ აღმოაჩინეთ ვერც თქვენ და ვერც თქვენმა კოლეგებმა საერთაშორისო მასშტაბით, ერთი უბრალო მიზეზის გამო: ამ მიმართულებით არც კი დაგვიყენებიათ ცდები. თქვენ პრობლემის ახსნას სულ სხვა სფეროებში ეძებდით და ამიტომაც ასცდით ქეშმარიტებისკენ მიმავალ გზას.

— თქვენ? თქვენ რა მიმართულებით წაიყვანეთ მუშაობა?

რამაზ კორინთელი მიხვდა, რომ გაიმარჯვა, რექტორი უკვე დაძაბული ინტერესით და მოკრძალებითაც კი უსმენდა.

— თქვენ და თქვენს კოლეგებს გამოგრიხათ ერთი მოვლენა. ვარსკვლავის ნივთიერება მაღალი ტემპერატურის მქონე პლაზმაა და თანაც ელექტროგამტარია. როცა ვარსკვლავი იწყებს რენტგენულ გამოსხივებას, მას რაღაც „აღშფოთებს“. თქვენ ჩემზე უკეთ იცით, რომ თანახმად საყოველთაოდ მიღებული მოდელისა, მთავარი ვარსკვლავის მასის ნაწილი მიისწრაფვის ნეიტრონული ვარსკვლავისაკენ და მასთან მიახლოებისას იმდენად ვარვარდება, რომ იწყებს ეგრეთ წოდებულ თერმულ რენტგენულ გამოსხივებას. მე აღმოვაჩინე ნეიტრონული ვარსკვლავი, რომელიც პერკულესის საკვლევი ვარსკვლავის ირგვლივ 1,7 დღის პერიოდით ბრუნავს... — რამაზ კორინთელი ერთბაშად დადუმდა და რექტორს დაკვირვებით შეხედა, თითქოს უნდოდა კარგად ამოეცნო, მისმა გამოკვლევამ რა შთაბეჭდილება მოახდინა საქვეყნოდ აღიარებულ, მაგრამ თავის თავში ზედმეტად დარწმუნებულ მეცნიერზე.

— თუ გნებავთ, სადიპლომო ნაშრომს დაგიტოვებთ, სადაც შეგიძლიათ დაწვრილებით გაეცნოთ ჩემს მოსაზრებებს, ვარაუდებს და დასკვნებს! — უცებ მოკლედ მოჭრა რამაზ კორინთელმა.

რექტორს კოხტად გადააკვილი ფურცლები გაუწოდა.

რექტორმა სათვალე გაიკეთა და კითხვა დაიწყო. კაბინეტში დუმილი გამეფდა. მთავარი ექიმი რამაზ კორინთელისკენ შებრუნდა, უნდოდა თვალი ჩაეკრა და პაციენტისათვის პირველი დიდი გამარჯვება ღიმილით მიელოცა, მაგრამ კორინთელს აზრდაც არ მოსვლია, მისკენ გაეხედა. იგი გაქვავებული იჯდა და რექტორის შუბლს თვალეზით ხვრეტდა, თითქოს უნდოდა დაე-

ნახა, შუბლის ძვალს იქით, ტვინის ხვეულეებში რა აზრები იზადებოდა და ღლართებოდა.

რექტორი გრძნობდა რამაზ კორინთელის თვალების მხურვალეობას. თავის აღებას არ ჩქარობდა. შვიდგვერდიან ნაშრომს უკვე მესამედ კითხულობდა, თუმცა პრობლემაში გათვითცნობიერებული მეცნიერისათვის პირველი წაკითხვისთანავე ნათელი იყო ყველაფერი.

— ხედავთ, ურთულესი პრობლემაა რა იოლი ჩანს გადაჭრის, ამოხსნის შემდეგ?

— მართალი ბრძანდებით! — ასწია თავი რექტორმა, სათვალე მოიხსნა და ჭაბუკს შეხედა — გულახდილად რომ გითხრათ, არ ვიცი, კარგია ეგ თუ ცუდი. საკითხის ფილოსოფიური მხარით არასდროს არ დავინტერესებულვარ. ყოველ დიდ აღმოჩენას სკოლაში თუ სტუდენტურ აუდიტორიაში ისე იოლად და ჩვეულებრივად ხსნიან, თითქოს მათი აღმოჩენაც ასევე იოლად და ჩვეულებრივად მომხდარიყოს. ალბათ, ამის გამო ვერ უტოლდება მეცნიერება ხელოვნებას.

— მართალი ბრძანდებით, ბატონო რექტორო, ყოველი ახალი მეცნიერული აღმოჩენა ახალი საფეხურია უსასრულო და უსწორმასწორო კიბისა. საფეხურები თავისი სიდიდით შეიძლება ძალზე განსხვავებულნი იყვნენ ერთმანეთისაგან, მაგრამ, საბოლოოდ, მაინც საფეხურებად რჩებიან. ხელოვნების დიდი ნიმუშები კი დამოუკიდებელ სამყაროებს წარმოადგენენ.

— შესანიშნავად ბრძანეთ, ქეშმარიტად, ჩემო ბატონო. ქეშმარიტად! — თქვა აღელვებულმა რექტორმა, მაგრამ უმაღლესი გამოერკვა და გაცისკროვნებული სახე ერთბაშად მოედუნა. გაახსენდა, ვინმე თავისი რანგის მეცნიერს კი არა, დაუსწრებელი ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტს ელაპარაკებოდა.

— ძალიან კარგი, ყმაწვილო, ძალიან კარგი. ზურაბ თორაძე, როგორც ყოველთვის, არც ახლა შემცდარა. თქვენ

ძალზე ნიჭიერი კაცი ბრძანდებით. მე, როგორც მეცნიერმა, უნდა ვაღიარო, რომ თქვენს მიერ გადაჭრილი პრობლემა რეალურია. ვფიქრობ, ექსპერიმენტი დადასტურებს თქვენს მიერ საოცარი ინტუიციით ნავარაუდევი და თეორიულად ნაანგარიშევი ნეიტრონული ვარსკვლავის არსებობას. მართლაც დიდებული დიპლომი იქნება და შევეცდები, საკითხი დავაყენო, პირდაპირ მოვანიჭონ ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი.

— ბედნიერი ვარ, ბატონო სერგი, რომ ამოდენა შეფასება მიეცით ჩემს ყოფილ პაციენტს. ისიც მინდა დავძინო, რომ რამაზ კორინთელი ქართულის და რუსულის გარდა შესანიშნავად ფლობს ინგლისურ, გერმანულ და ფრანგულ ენებს.

— მართლა? — ჰკითხა რექტორმა კორინთელს.

— შეგიძლიათ შემამოწმოთ!

— კარგი, მჯერა და გულწრფელად მიხარია თქვენი გაცნობა. ჩემი ამოდენა მოღვაწეობის მანძილზე იშვიათად მქონია ბედნიერება, შევხვედროდი თქვენისთანა ხალას ნიჭს. თანაც ასე განათლებულსა და მცოდნეს, კვლევის ნიჭით აღსავსე ახალგაზრდას. ჩათვალეთ, რომ უნივერსიტეტის რექტორატი თქვენს მხარეზეა. მობრძანდით პირველ სექტემბერს და გამოცდების კონკრეტული გრაფიკი შევადგინოთ.

რექტორი ფეხზე წამოდგა.

ზურაბ თორაძე სწრაფად წამოიჭრა და სკამი მაგიდასთან მისწია.

რამაზ კორინთელი ნელა წამოიმართა, თუმცა ტანის დუნე მოძრაობაშიც აშკარად გამოხატა გამარჯვებით გამოწვეული სიხარული.

— ნაშრომი თან წავიღო თუ თქვენთან დარჩეს?

— რასაკვირველია, თქვენთან უნდა იყოს! — რექტორმა ფურცლები ზედმეტი გულმოდგინებით აკრიფა და კორინთელს გაუწოდა.

— ხომ არ აჯობებდა, გამოკვლევა ოფიციალურად წარმომედგინა და გან-

გვეხილა აკადემიაში? არაა გამორიცხუ-
ლი, რომ ჩემი დიპლომის დაცვამდე,
ესე იგი იანვრამდე, სხვა ვინმე არ ამო-
ხსნის! ამ პრობლემას.

— მართალი ბრძანდებით... — დაი-
ბნა რექტორი — აავსებით მართალი
ბრძანდებით. იცით რა, სჯობია ხვალ
აკადემიის კანცელარიას ჩააბაროთ,
თქვენი ნაშრომი, მე კი პრეზიდენტს
მოველაპარაკებო.

— კარგად ბრძანდებოდეთ, ბატონო
რექტორო!

— კარგად ბრძანდებოდეთ, ბატონო
სერგი, დიდი მადლობა ყურადღებისათ-
ვის! — სიხარულს ველარ მალავდა ზუ-
რამ თორაძე.

რამაზ კორინთელმა გრძელი კაბინე-
ტის მუქი წაბლისფერი ხის კარი სწრა-
ფად გამოაღო და წინ მთავარი ექიმი
გაატარა. შემდეგ კარი მიხურა და იქედ-
ნური, ოღნავ მუქარაშერეული ღიმი-
ლით კვლავ რექტორისაკენ გაემართა.

— მაინც არ მოიქეცით მაშინ სწო-
რად, ბატონო რექტორო!

— რა ბრძანეთ? — დაიბნა რექ-
ტორი.

— არ მოიქეცით-მეთქი სწორად, რო-
ცა აკადემიკოს დავით გიორგაძეს თა-
ნაავტორობა შესთავაზეთ.

რექტორი ვაფიქრდა და სავარძელ-
ში მოწყვეტით ჩაეშვა.

— არ მესმის, რომელ თანაავტორო-
ბაზეა საუბარი?!

— ძალიან კარგად გესმით და იცით,
ამხანაგო სერგი! თქვენ დავით გიორ-
გაძეს თანაავტორობა შესთავაზეთ რა-
დიოაქტიურობის მეხუთე ტიპის აღმო-
ჩენის შემთხვევაში, სანაცვლოდ და-
პირდით, რომ თქვენ იზრუნებდით სა-
კავშირო სახელმწიფო პრემიის მო-
პოვებაზე. აბა გაიხსენეთ, განა ასე
არ იყო? გნებავთ ზუსტად ვითხრათ,
სად დაგებადათ თანაავტორობის
ბრწყინვალე იდეა? მოსკოვში, სესიაზე
რომ ბრძანდებოდით. ყრილობათა სა-
სახლის ბუფეტში ანანასის წვეწვზე და-
პატივით უფროსი კოლეგა. უკანასკნე-
ლი მოდის ბალახისფერი ველვეტის

კოსტიუმი გეცვათ, კარდენის ფირფისა
გახსოვთ, დავით გიორგაძემ რა გიპა-
სუხათ?

რექტორმა უაზრო თვალებით შეხე-
და უცნობ, თავხედ ახალგაზრდას.

— არ გახსოვთ? ახლავე გაგახსე-
ნებთ. პასუხად აკადემიკოსმა ჯიბიდან
ფული ამოიღო და ანანასის წვეწვის სა-
ფასური გადაიხადა.

— თქვენ ეს საიდან იცით?
რამაზ კორინთელს შორიდან ჩაესმა
რექტორის სუსტი და ყრუ ხმა.

— მე ყველაფერი ვიცი. ისიც ვიცი,
საუბარი თანაავტორობაზე იმ დღეს კი
არ დაგიწყიათ, მთელი ორი დღით
აღრე ამზადებდით ნიდაგს. გახსოვთ,
კუტუზოვის პროსპექტზე აკადემიკოს
ვლადიმერ სერგაევს რომ ესტუმრეთ?
გინდოდათ დაგერწმუნებინათ დავით
გიორგაძე, რა ახლოსა ხართ ამ გამო-
ჩენილ მეცნიერთან, რომელიც ფაქტი-
ურად წყვეტდა ფიზიკისა და ასტრონო-
მიის დარგში სახელმწიფო პრემიების
მინიჭების ბედს. ისიც კი ვიცი, ლფტი
რომ არ მუშაობდა. მეოთხე საბითუ-
ლზე, სანამ ზარის დილაკს თითს დააქრ-
დით, თქვენ შესივნიეთ. დავით გიორ-
გაძეს უთხარით, არ მიხდა აქოშინეუ-
ლი დამინახონო და თან ჯიბეში მასპინ-
ძლის მუფლლისათვის მისართმევი „ზე-
ნელი“ მოსინჯეთ...

— ვინა ხართ თქვენ? — შეშინებუ-
ლმა ამოიხრიალა რექტორმა.

— ალბათ, გახსოვთ, საშინლად ცხე-
ლოდა. თქვენ ჰალსტუხი ოღნავ მოშვე-
ბული გქონდათ. როგორც კი სული
მოითქვით, ჰალსტუხი შეისწორეთ და
ზარის თითი დააჭირეთ. ზარის ხმა რომ
ვერ გაიგონეთ, მერე ორთავენი მიხე-
დით, რომ შენობაში დენი იყო გამორ-
თული. ლიფტიც იმიტომ არ მუშაობ-
და, და ხის კარზე სამჯერ ფრთხილად
დააკაკუნეთ; კარის გაღებამდე რატომ-
ღაც წელშიც კი მოიხარეთ მოკრძაღე-
ბით.

„ვთქვათ, ყველაფერი დავით გიორ-
გაძემ უამბო, მაგრამ ასე დეტალურად,

ასე დაწვრილებით? ისე ჰყვება, თითქოს იქ მდგარიყოს და ყველაფერი საკუთარი თვალით დაენახოს," — რექტორს თვალის გუგები თანდათან გაუფართოვდა.

— სანამ კარს გააღებდნენ, ცხვირსახოცი თვალით გაოფლილი სახე შეიმშრალეთ!

— კმარა! — ფეხზე წამოიჭრა რექტორი, — რა ვინდათ ჩემგან? თუ ფიქრობთ, რომ შანტაჟით შემაშინებთ, ძალიან ცდებით, რასაც თქვენ ყვებით, მართალიც რომ იყოს, დანაშაულად არ მიმაჩნია, და მეორეც, რითი დაამტკიცებთ თქვენს მონაყოლს?

— მე არაფრის დამტკიცებას არ ვაპირებ, ბატონო რექტორო, გარდა ერთისა. გახსოვთ, რა ირონიული დიმილით ბრძანეთ, „მაშ, ეს თქვენ ხართ „ფენომენალური“ ნიჭისა და ცოდნის პატრონი?“ მინდოდა დამემტკიცებინა, რომ ყველაფერი ვიცი, თქვენი ცხოვრების ისეთი რაღაც-რაღაცებიც ვიცი, თქვენ რომ წარმოდგენაც არა გაქვთ. თუმცა მოდით, ამაზე ლაპარაკს შევეშვათ. ცნობისთვის მინდა მოგახსენოთ. აკადემიკოსმა დავით გიორგაძემ ვერ დაამტკიცა რადიაციის მეხუთე ტიპის არსებობა, თუმცა ინტუიციამ იგი სწორ გზაზე დააყენა. იქნებ პრობლემა გადაეჭრა კიდევ, რომ დასცლოდა უბეჭურს, ალბათ, იცით, ტვინში სისხლი ჰაქვია და მისი გამოკეთების იმედუნულის ტოლია. სამაგიეროდ, მე აღმოვაჩინე რადიოაქტიურობის მეხუთე ტიპი. იგი დაწერილია და თავის რიგს ელოდება. მანამდე თქვენ უნდა მოავზაროთ ჩემი საქმეები, თუ გაირჩებით და იანვარში დიპლომთან ერთად კანდიდატის სამეცნიერო ხარისხსაც მომანიჭებთ, მაშინ მე მივიღებ თქვენს იმ წინადადებას, აკადემიკოს გიორგაძეს რომ შესთავაზეთ. იმედი გქონდეთ, რომ არ დაგასწრებთ და არ გადავიხდი ანანასის წვენიც საფასურს! დამეთანხმებით, სრულიად ახალგაზრდა კაცისათვის ბევრს ნიშნავს სახელმწიფო პრე-

მია! კარგად ბრძანდებოდეთ, ბატონო რექტორო!

კარის გაჯახუნებაზე უნივერსიტეტის რექტორი ისე შეხტა, თითქოს მოულოდნელად რევოლვერი ისროლესო. არ ახსოვს, რამდენ ხანს იყო ჩაფერვლილი და დაღუმებული. მერე ერთბაშად წამოენთო, წამიერად დაუბრუნდა ენერგიული გამომეტყველება. სელექტორის კლავიშს თითი დააჭირა და დაუსწრებელი სწავლების დარგის პრორექტორი გამოიძახა.

— გისმენთ, ბატონო სერგი!

— შემომიტანეთ ყველა მონაცემი ფიზიკის დაუსწრებელი ფაკულტეტის შესამე კურსის სტუდენტ რამაშ მიხეილის ძე კორინთელზე.

ათი წუთის შემდეგ პრორექტორი საქაღალდით ხელში შემოვიდა რექტორის კაბინეტში.

— იცნობთ მაგ ყმაწვილს პირადად?

— ვიცნობ.

— როგორი სტუდენტია?

— ყველაზე ჩამორჩენილი და უსაქმური. ამას ვინ დაეძებს, ხულიგანი და მილიციის მიერ აღრიცხვაზე აყვანილი რომ არ იყოს.

— რა ბრძანეთ? — იყვირა გოცებულმა რექტორმა.

პრორექტორი შეცბა. ვერ მიხვდა. რექტორი რამ შეაშფოთა.

— ხომ არ გეშლებათ? მე რამაშ მიხეილის ძე კორინთელზე მოგთხოვეთ ინფორმაცია.

— დიახ, მეც რამაშ კორინთელზე მოგახსენებთ. ორჯერ იყო მაგ ყმაწვილის საქმე ამხანაჯურ სასამართლოზე

— ღმერთო ჩემო! — ამოიგმინა რექტორმა და თავი ხელეშში ჩარგო.

„ხულიგანი, საექვო პიროვნება, ამხანაჯური სასამართლო, უსაქმური და ჩამორჩენილი... მაშ, საიდან იცის ასე კარგად ფიზიკა და ასტრონომია? საიდან გადაჭრა ურთულესი მეცნიერული პრობლემები, საიდან იცის უცხო ენები?“

პრორექტორი შეშინებული იჯდა და

ხმას არ იღებდა. დუმილი კარგა ხანს გაგრძელდა.

— შეიძლება მე წავიდე? — იკითხა ბოლოს მოკრძალებით პრორექტორმა.

რექტორმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

პრორექტორმა შვებით ამოისუნთქა და ფრთხილად წამოდგა.

— მდივანს უთხარით, მანქანა გამოიძახოს, თან სამინისტროში დარეკოს, რომ თათბირზე ველარ წავალ, თავს შეუთქლოდ ვგრძნობ! — მიაძახა ფეხაკრეფით მიმავალ პრორექტორს.



ეზოში „უიგულის“ ძრავა ამუშავდა. რამაზ კორინთელი გამოერკვა. ფანჯარას მოშორდა, სკამზე ჩამოჯდა.

მანც რატომ დაუძძიმდა ასე გული? იქნებ იმიტომ, რომ წვერის გაპარსვის დროს სარკეში ცქერისას კიდევ ვერ შეეჩვია თავის ახალ სახეს? არა, მსგავსი პრობლემები თითქმის აღარ აღელვებდა. მოზღვავებული ენერგია, ქაბუტყური ხალისი და ტემპერამენტი მის არსებაში კარგა ხანია ზეიმობდა გამარჯვებას.

მაშ, დღეს რაღა დაემართა, რა უღრღნიდა სულსა და სხეულს?

თითქოს რაღაც ენიშნა, მიხვდა, სხეული უბედურების სიგნალებს იჭერდა. სიგნალები ნაწყვეტ-ნაწყვეტ მოდიოდა, იმპულსებად, ყოველი იმპულსი თმაზე უწვრილეს ტყვიებად უვლიდა გულში და დაშანთულ ხვრელებს ტოვებდა.

ცივი ყავა სანახევროდაც ვერ დალია. ახლის მოდუღების აღარც სურვილი ჰქონდა და აღარც თავი.

ოთახში უეცრად ჩამობნელდა.

გაოცებულმა კორინთელმა ფანჯარას გახედა.

„ღამდება თუ თენდება?“ — დაიბნა, ფიცხლად წამოდგა და ფანჯარასთან მივიდა.

ცას სილურჯე დაეკარგა და ლაპლაპა შავი ფერი გადაჰკვროდა. მზე უკვე ამოსული იყო, მაგრამ ცასა და მიწას

ველარ ანათებდა, ვარსკვლავებთან ჰგავდა ჰედელ ცაზე უზარმაზარ სპილენძის მონეტას ჰგავდა.

რამაზ კორინთელი საწერ მაგიდაზე მიგდებულ საათს ეცა. რვა სრულდებოდა. ირგვლივ ისევ ბნელოდა. ქუჩებში ძეხორციელი არ ჰაჰანებდა. საგანგაშო სიგნალების იმპულსებმა მთელი სხეული ერთბაშად დაუჩხვლიტა და დაუშანთა.

ტრანზისტორს ეცა. დიქტორის ხმამ ოდნავ დაამშვიდა მიხვდა, ქალაქში სიცოცხლე მთლად არ ჩამკვდარიყო. რადიოში უკანასკნელ ცნობებს გადმოსცემდნენ. დიქტორები რიტმულად ენაცვლებოდნენ ერთმანეთს, რამაზ კორინთელი ორთავე დიქტორის ხმას კარგად იცნობდა, თუმცა ამ ხმის პატრონთა არც სახელები იცოდა და არც გვარები.

უცებ მათი ხმა თითქოს საღდაც შორიდან მოისმა. უფრო სწორად, ისინი თითქოს საღდაც შორს, ძალიან შორს მიჰქროდნენ შავ სივრცეში მოტივტივე გარდაცვლილი დედამიწიდან, ზემოდან რომ გაციებული, დაჟანგული სპილენძისფერი მზე დასჩერებოდა.

„ნუთუ ყველა გაიქცა, ნუთუ ჩემს გარდა ყველამ უშველა თავს?“ — გაიფიქრა შეშინებულმა და სასოწარკვეთილი სკამზე დაეშვა. მოეჩვენა, რომ სკამი უცნაურად ტორტმანებდა. შეეშინდა, არ გადმოგვარდევო და სახელურებს ხელები ისე ჩაავლო, თითები ეტკინა. თვალი ტრანზისტორს გაუშტერა, ქვეშეცნეულად იგრძნო, უბედურების სიგნალებს მძლავრ, ყველგან გამტარ იმპულსებად ტრანზისტორი ასხივებდა, გაქვავებული სმენად იქცა. ყველა ნერვი აღგზნებული და დაჭიმული ჰქონდა. გრძნობდა; ძარღვებში სისხლი ჩეულებრივზე ორჯერ უფრო სწრაფად მოძრაობდა. კი არ მოძრაობდა, თითქოს ორი უძლიერესი ტუმბო ცხელ სისხლის ნაკადს ერთმანეთის საწინააღმდეგოდ ერეკებოდა. დიქტორის ხმა, საღდაც შორიდან რომ მოისმოდა, უცებ სულ დადუმდა.



რამაზ კორინთელს მოეჩვენა, რომ სიჩუმე მთელი საუკუნე გაგრძელდა.

— გულშინ, საღამოს ათ საათზე, — ჩაესმა უცებ შორიდან დიქტორის უსიამო ხმა, — გარდაიცვალა დიდი ქართველი მეცნიერი, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, მსოფლიოს მრავალი აკადემიის საპატიო წევრი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ასტროფიზიკის კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი...

გულწასული რამაზ კორინთელი სკამიდან ჩამოცურდა და იატაკზე გაიშხლართა.

როცა გონს მოვიდა, ვერ აღადგინა, რამდენ ხანს იყო გულწასული. ჯერ წამოჯდა, მერე წელა წამოდგა, საწოლთან მივიდა და გულაღმა გაიშხლართა. ფანჯარაში შემოჭრილი მზის სხივები სარკეზე ირეკლებოდა. ეზოსა და ქუჩაში ძველებურად ისმოდა ავტომანქანების მოტორების ღმუილი, მუხრუჭების ხრჭილი და ბავშვების ყრიაბული, რადიოში სავიოლინო კონცერტს გადმოსცემდნენ. ერთბაშად მოეჩვენა, რომ მენდელსონის სავიოლინო კონცერტი ტრანზისტორიდან კი არ ისმოდა, მზიდან სარკემდე ოქროსფრად გაჭიმულ სხივებს მოჰქონდა შორეული სივრციდან. „იქნებ მომეჩვენა? — დაეტყვდა უცებ კორინთელი, — ცა რატომ არ გამოსცემდა? ალბათ, გული რომ წამივიდა, მაშინ მომელანდა ცის სიშავეც, დედამიწისა და მზის გარდაცვალებაც. იქნებ არც რადიოთი ვადმოუშვიათ აკადემიკოს დავით გიორგაძის სიკვდილის ცნობა?“

ტელეფონს ეცა, ზურაბ თორაძეს დაურეკა.

მთავარმა ექიმმა უმაღლვე აიღო ყურმილი. კორინთელს ათრთოლებულ და შეშინებულ ხმაზე შეატყო, უკვე იცოდა აკადემიკოსის გარდაცვალების ამბავი. მთავარმა ექიმმა ისიც შესანიშნავად იცოდა, მოხუცის სიკვდილი რამაზ კორინთელზე რა შემამარწუნებელ შთაბეჭდილებასაც მოახდენდა. შეეცადა, თა-

ვიდანვე მხიარულად ელაპარაკებოდა, მარტო უბედურების სიმძიმე შეეშუბუქებინა და გაეუბრალოებინა. ამ წუთებისათვის იგი დიდი ხანია მზად იყო. კაცმა რომ თქვას, სადარდებელი არაფერი ჰქონდა და მხიარულადაც იყო. აკადემიკოსის ცოცხალი სხეული მას აღარ ჰქირდებოდა. პირიქით, მომავალში შეიძლება ხელიც კი შეეშალა მოვლენების განვითარებისათვის. ოპერაციის შემდეგ საკმარისმა დრომ განვლო. რასაკვირველია, სჯობდა მალე მიეჩინათ უინტელექტო, გამოფიტული სხეულისათვის სამუდამო ბინა. ახლა მთავარი იყო, რამაზ კორინთელი არ დაეთრგუნა დებრესიას. საჭირო იყო მის გვერდით დგომა და მძიმე ემოციების განეიტრალება.

— გაიგეთ, არა? — დაასწრო მხიარულად კორინთელს.

— მერე გეცინებათ? — კორინთელმა ჯანსაღ კბილებსშუა ძლივს გამოსცრა მრისხანე ფრაზა.

— აბა, სატირალი რა გვაქვს? — უკან არ დაიხია მთავარმა ექიმმა. — მართალია, რამდენიმე უსიამოვნო დღის გადატანა მოგიწევთ, სამაგიეროდ, ერთხელ და სამუდამოდ დაშვიდდებით, რომ სადღაც, საავადმყოფოში აღარ ბოგინობს სხეული, რომელიც ოდესღაც თქვენ გეკუთვნოდათ.

— და კიდევ ერთხელ დავრწმუნდები, რომ ექიმებს გული არა გაქვთ!

— კარგით, იყოს ასე, არ გეკამათებოთ. მხოლოდ გირჩევთ, აკადემიკოსის გარდაცვალების ამბავს გულთან ნუ მიიტანთ. ნურც გაზეთებს წაიკითხავთ, ოდნავ თუ თავი შეუძლოდ იგარძნოთ ან რაიმე უსიამოვნო გრძნობა დაგეუფლოთ, იმავე წუთში შემატყობინეთ, ახლა, ჩვეულებისამებრ, დღის თათბირს ვიწყებთ. ორი საათის შემდეგ მოვალ და გინახულებთ...

— არ არის საჭირო. გთხოვთ, ეს დღეები მარტო დამტოვოთ. თუ რამე გამიჭირდა, თვითონ დაგირეკავთ. როდის არის გასვენება?

— ხუთშაბათს, ოთხი დღის შემდეგ.



— კარგად ბრძანდებოდეთ!
რამაზ კორინთელმა ყურმილი დაკი-
და და ლოგინზე თავდაღმა დაემხო.

გათენდა ზუთშაბათი.

რამაზ კორინთელმა ერთგვარი შვებ-
ით ამოისუნთქა. მიხვდა, დღეს ყველა-
ფერი მთავრდებოდა.

ოთხი დღის მანძილზე თავდაყირა ეგ-
დო ლოგინში, ოთხი დღის მანძილზე
რული არ მიკარებია მის თვალებს. ოთ-
ხი დღის მანძილზე მია თავში ტვლეგ-
რაფის მავთულეებივით ზუზუნებდნენ
ნერვები, ათასგვარ ინფორმაციას
რომ გადასცემდნენ ერთდროულად. ოთ-
ხი დღის მანძილზე გამოთიშული ჰქონ-
და ტვლეფონი. ოთხი დღის მანძილზე
გაუძლო ცთუნებას, არ ჩასულა დაბლა
და გაზეთები; არ ამოუტანია. ინტერე-
სით კი ყველაფერი აინტერესებდა, ვინ
გამოაცხადა ან მთავრობამ როგორ გა-
მოაცხადა მისი გარდაცვალება. რამდენ-
ი ნეკროლოგი და რომელ გვერდზე გა-
მოაქვეყნეს გაზეთებმა.

ოჯახის განცხადებაც იქნებოდა „თბი-
ლისში“.

„ცოლთან ერთად, ალბათ, აკადემი-
კოსის შვილიც გამოაცხადებდა დავით
გიორგაძის გარდაცვალებას,“ — გაი-
ფიქრა და გული ეტკინა.

„თუკი სადმეა ცოცხალი, იქნებ ჩუ-
მად ჩამოვიდეს თბილისში და გასვენე-
ბას დაეწროს კიდეც?“

„პარიკით იქნება შენიღბული. მე
მაინც ვიცნობ, აუცილებლად ვიცნობ.
თუ არ ჩამოვიდა, მაშინ... ვინ იცის, თუ
რუსეთშია გადაქარგული, იქნებ ვერც
კი გაიგოს მამის გარდაცვალების ამბა-
ვი...“

გაზეთების ნახვის სურვილმა საშინე-
ლი ძალით შეიპყრო. ფეხზე წამოხტა,
ოთახის ჩაკეტილი კარი გააღო, გასაღე-
ბების აკმულა გამოაძრო და დაბლა და-
ეშვა.

საფოსტო ყუთში ოთხი დღის გაზე-
თები იყო ძალისძალად ჩაკეტილი. უმა-
ლვე იმდღევანდელი „კომუნისტი“ მო-

ნახა, მაგრამ არ გაუშლია, ცნობილი
ვარება მოთოკა, მაღლა ამოვიდა,
ოთახის კარი შიგნიდან გასაღებით ჩა-
კეტა, აკამზე დაჯდა, სული მოითქვა
და გაზეთი მერე გაშალა. მე-ამე გვერ-
დზე შვე ჩარჩოში ჩასმული ნეკრო-
ლოგის შუაგულიდან დავით გიორგა-
ძის პორტრეტმა თვალი თვალში გაუ-
ყარა. გულშეკუმშულმა გაზეთი უმა-
ლვე დაკეცა და თვალები დახუჭა.

„მოკვდა!“ — მთელი ძალით იყვირა
გულში.

თითქოს სადღაც კიდევ არ იყო ბო-
ლომდე დარწმუნებული აკადემიკოსის
სიკვდილში. თითქოს სადღაც კიდევ კო-
შმარსა და რეალობაა შორის დაბორო-
ალებდა. პორტრეტმა მოვლენის ფოკუ-
სი გაასწორა და დავით გიორგაძის სი-
კვდილი სამუდამოდ დააფიქსირა.

ალარ უნდოდა ნეკროლოგისთვის კი-
დევ დაეხედა, ალარ უნდოდა საკუთარ
სიკვდილზე კიდევ ეფიქრა, მაგრამ უხ-
ილავი ძალა სთხოვდა, გაზეთი ისევ
გაეშალა.

დავით გიორგაძის პორტრეტმა ისევ
გაუყარა თვალი თვალში. მღელვარებას
როგორც იქნა გაუძლო, ცოტა დამშვიდ-
და კიდევ. იცნო ორი წლის წინანდელი
პორტრეტი, უცხოეთში მივლინების წინ
რომ გადაიღო პასპორტისათვის.

„რაღა ეს პორტრეტი მოათავსეს! —
ეწყინა გულში რამაზ კორინთელს, —
აკადემიკოსი დავით გიორგაძე ამ პორ-
ტრეტით ყველაზე ნაკლებად ჰგავს თა-
ვის თავს.“

რამაზ კორინთელმა ყურადღება თან-
დათან ტექსტზე გადაიტანა. პირველად
თვალი ნეკროლოგის ქვეშ მსხვილი შა-
ვი შრიფტით დაბეჭდილი გვარებისა-
კენ გაეჭკა. კმაყოფილება ვერ დამალა,
მთავრობის წევრებთან ერთად გვარს
ყველა სახელოვანი მეცნიერი აწერდა,
თვით აკადემიკოსის დაუძინებელი
მტერი პროფესორი მიხეილ გიორგე-
ლიძეც კი!

გურამ ზანჯიკიძე
საირალი

საქ. სსრ კ. მარქსის
საბ. საბ. რესპუბ.
ზიგლიოტოვა



გვარებს ბარე სამჯერ გადაავლო თვალი, შემდეგ ტექსტი ჩაიკითხა. სასაყვედურო აქაც არაფერი ჰქონდა, მეცნიერის დიდი და საინტერესო ცხოვრების არც ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი არ იყო გამოჩენილი.

სკამის საზურგეს მიაწვა, თავი ასწია და თვალები დახუჭა. გაშლილი ვახეთი ისევ ხელში ეჭირა. ფიქრებში ჩაიძირა. უაზროდ ფიქრობდა, უაზროდ და ნაწყვეტ-ნაწყვეტ. მთლიან აზრს თავს ვეღარ აბამდა. ფიქრები კი ყოველი მხრიდან მოსწრაფოდნენ, მაგრამ რამაზ კორნთელის შუბლზე ირეკლებოდნენ, ტკაცუნობდნენ, ნაბერწყლებს ისროდნენ და უკვალოდ ქრებოდნენ.

უცებ რამაზ კორინთელმა ვახეთი აწოლზე მოიროლა და გაიცინა. ჯერ ხმადაბლა იცინოდა, მერე თანდათან უმატა და ბოლოს ისტერიული ხარხარი აუტყდა. სკამზე ვეღარ დაკავდა, მთელი სხეული საშინლად უთახთახებდა. ფეხზე წამოიჭრა, კედლიდან კედელს ასკვდებოდა. ხან თავაწეული ხმამალა იცინოდა, თითქოს ჰერს შეჭხარხარებდა, ხან წელში მოიხრებოდა და ხარხართან ერთად მორეულ ხველას უმკლავდებოდა.

ხარხარში თანდათან უცნაური სევდიანი ხმები გაერია, შემდეგ ამ ხმებმა იძალა და ნელ-ნელა ხარხარი ქვითინში გადაიხარდა. რამაზ კორინთელი ხან ხარხარებდა, ხან ტირიდა. ცრემლები ლაპალუპით ჩამოსდიოდა. მოულოდნელად საწოლთან მიიჭრა. გაზეთს ხელი დაავლო, ნაკუწებად აქცია, ლოგინზე თავდაღმა დაეხეთქა და თავი ბალიშში ჩარგო. ტირილს ებრძოდა, როგორც ცოცხალ არსებას, ისე ებრძოდა. უნდოდა ყელში სწვდომოდა, ბალიშში მოესროყო, მოეგუდა.

მხრები, მკლავები და თავი ისე უძაგძაგებდა, თითქოს მის სხეულში მალალი ძაბვის დენი ვადიოდა. მერე, თითქოს ქსელში ძაბვა დავარდაო, ძაგძაგმა უკლო, ტირილის ხმაც თანდათან მისუსტდა და ბოლოს სულ მიწყდა.

არ ახსოვს, რამდენ ხანს იყო ასე. სა-

ნკრებიდან ისევ ამოძვრნენ ნიშნები, წელში მოხრილი ჯარისკაცების ხიშტმომარჯვებული მოისწრაფოდნენ ყოველი მხრიდან.

უცებ რა მოხდა? შეშინებულები ყველანი უკან გაბრუნდნენ და საშინელი სისწრაფით გადაიკარგნენ ჰორიზონტს იქით.

რამაზ კორინთელს მკვდარივით ჩაედინა. ოთხი დღის უძინარმა გონებამ რაღაცა უცნაური მოვლენა მთლიანად გადახარშა, ელექტრონიკისაგან დაცლილი ელემენტებით გამოთიშა ტვინის ხვეულებში წითლად მოვაჭვარე და გადახურებული ნერვები.

ოთხი საათი გაუნძრევლად ეძინა. თვალი რომ გაახილა, უმალვე საათს შეხედა. პირველი იყო დაწყებული. ტელეფონი ისევ ჩართო, ლგინიდან არ წამომდგარა. მთავარ ექიმს დაურეკა, თითქმის უბრძანა, ახლავე ჩემთან მოდიო. ყურმილი ბერკეტზე დაავლო, თვალები ჰერს მიაპყრო. უცებ შვება იგრძნო, მძაფრი ვნებებისაგან დაცლილს საფიქრალი აღარაფერი ჰქონდა. ძროხის ახლად გამოწველილ ჯიქანს ჰგავდა. სანამ ცური ფიქრებით ხელახლა შეივსებოდა, შეეძლო მშვიდად ყოფილიყო.

ოთახში გამეფებული დუმილი ზარის ხმამ დაარღვია. პირველად ეგონა მომეჩვენაო და არ შერხეულა.

ზარის ხმა განმეორდა.

„ასე მალე?“ — გაუკვირდა კორინთელს.

„ალბათ, სულ დავკარგე დროის შეგრძნება“.

ნელა წამოდგა. კარის გაღებას არ ჩქარობდა. სააბაზანოში შევიდა და სარკეში ჩაიხედა. დაწვებზე ცრემლები საღებავის შხეფებივით შერჩინოდა. პირი დაიბანა, პირსახოცით სახე დინჯად შეიმშრალა და სარკეში ჩაიხედა. თითქოს ისევ შემობრუნდა ის განცდები, ამ ერთი თვის წინ რომ საბოლოოდ მივიწყდა. თავდაპირველად სარკეში ვერ იხედებოდა, თავის ახალ სახეს ვერა და ვერ შეჰგუებოდა. წვერის გა-

პარსვის დროს ცდილობდა ლოყის მხოლოდ იმ ნაწილისათვის შეეგლო თვალი, სადაც ელექტროსაპარს მანქანას დაასრიალებდა.

კარი ნელა გააღო. არც კი შეუხედავს, ზღურბლზე ვინ იდგა, უკან გამობრუნდა.

— თვალბზე გატყობთ, თქვენზე ძალზე უმოქმედია აკადემიკოსის სიკვდილს. — უთხრა შემოსვლისთანავე მთავარმა ექიმმა.

— და თქვენ ქს ბუნებრივად არ მიგაჩნიათ? დაბრძანდით. — რამაზ კორინთელმა სტუმარს სკამი შესთავაზა.

— როგორ გითხრათ, — ჩამოჯდა სკამზე მთავარი ექიმი და თან ცხვირსახოცით შუბლზე ოფლი მოიწმინდა, — კაცმა რომ თქვა, მსგავსი ვნებათაღელვა ბუნებრივია, მაგრამ: არავითარ შემთხვევაში თქვენისთანა ადამიანისათვის.

— ეგ როგორ გავიგოთ?

— სრულად უბრალოდ! — ზურაბ თორაძემ მარჯვენა წარბი მაღლა აზიდა და თავისი ჩვეული ტონალობა იპოვა, — თქვენ დიდი თეორეტიკოსი და მკვლევარი ბრძანდებით. თქვენს გონებას ბევრი დიდი პრობლემა გადაუჭრია, თქვენს თავში არაერთი გაბედული, თითქმის რევოლუციური ჰიპოთეზა დაბადებულა, თქვენი ტალანტი მილიონობით სინათლის წელიწადის სივრცეებს დაეუფლა, სამყაროს, მატერიის პირველსაფუძვლებს ჩასწვდა. ფსიქოლოგიურად თქვენ მზად იყავით ყველაზე მოულოდნელი და ეპოქალური აღმოჩენებისათვის. ამიტომაც ოპერაციიდან განვლილი თითქმის ხუთი თვის მანძილზე მეგონა იოლად დასძლევდით თქვენი გარდასახვით გამოწვეულ ემოციურ სტრესებს. თუმცა არც გამტყუნებთ. იყო კიდევ ერთი მოვლენა, რაც ხელს გიშლიდათ ბოლომდე განთავისუფლებულიყავით უსიამო გაცნობისაგან. დიჯბ, თქვენს სხეულზე მოგახსენებთ, ბატონო ჩემო, თქვენს ყოფილ სხეულზე; სადაც სამოცდაათობმეტ წელს იყდ ჩაბუდებული თქვენი გონება და სული! ახლა, როცა თქვენი ყოფილი სხეული აღე-

სრულა, სულ იფლი, ორი ათეული დღის ამბავია, საბოლოოდ განთავისუფლდეთ ყოველგვარი ფსიქოლოგიური ტრავმებისა და კომპლექსებისაგან!

მთავარმა ექიმმა მთელი ეს ტირადა ისე წარმოთქვა, რამაზ კორინთელისათვის არც კი შეუხედავს. უფრო თუ დავაზუსტებთ სათქმელს, თვალბით რამაზ კორინთელს მისჩერებოდა. მაგრამ სადღაც შორს, რძისფერ სივრცეში იცქირებოდა და თავისი მაღალფარდოვანი ლაპარაკით თვითონვე ტკბებოდა.

წამიერად შეისვენა, ახლა კი ნამდვილად რამაზ კორინთელს ჩახედა თვალბში. ანტერესებდა, მისმა მონოლოგმა როგორი შთაბეჭდილება მოახდინა.

რამაზ კორინთელი ოდნავ დამცინავი ღიმილით მისჩერებოდა მთავარ ექიმს. ფიქრობდა და ვერ ამოეხსნა, რატომა ჭამთ მეცნიერებს, განსაკუთრებით ექიმებს, მ.ახიობობისა და მწერლობის ჭია. დარწმუნებული იყო, ზურაბ თორაძე ლექსებს თუ არა, პიესებს მაინც წერდა.

მთავარმა ექიმმა შენიშნა, კორინთელის ბაგეების ბოლოებზე ულვაშებივით აწყვილი ირონიული ღიმილი, მაგრამ აინუნშიც არ ჩაუგდია, იგი ახლა მთიდან მოწყვეტილ ზეაეს ჰგავდა, წინ რომ ველარაფერი დაუდგებოდა.

— ჩვენ დღეს ერთად წავალთ თქვენი ყოფილი სხეულის გასვენებაზე. როდესაც თვალნათლივ დარწმუნდებით მის სიკვდილში, მხრებიდან საბოლოოდ ჩამოიბერტყავთ ეჭვებსა და ემოციებს, ნაყარი ფუტკარივით რომ შემოგსვენიათ ირგვლივ. განა სიამაყით არ უნდა აგვესოთ გული, როცა იცით, რომ პლანეტაზე თქვენ ხართ პირველი და ერთადერთი ადამიანი, რომელიც სასაფლაო-იკენ მიმავალ მარადიულ გზაზე უკან მიჰყვება საკუთარ ცხედარს?! დიჯბ, ბატონო ჩემო, თქვენ სიცოცხლე არა მარტო განიახლეთ და გაიორმაგეთ, არამედ სამუდამოდ უკვდავყავით!

მთავარმა ექიმმა ისევ ამაყად შეხედა რამაზ კორინთელს. ჰაბუკის ბაგეებზე

ულვაშებივით აწკეპილი დამცინავი
ლიმილი. სადღაც გამჭრალიყო, ახალგაზ-
რდა, ჯანმრთელ და ფეროვან სახეზე გა-
მოხატული დიდი მწუხარება ისე არა-
ბუნებრივად გამოიყურებოდა, გეგონე-
ბოდათ, ვილაცის ნაჩქარევ ხელს-ფუნ-
ჯით მიუხატავსო. რამაზ კორინთელის
თაფლისფერი თვალები შორს, შორს,
სადღაც უსასრულობაში იცქირებოდა.
ზურაბ თორაძემ ისიც კი ვერ დაასკე-
ნა, კორინთელი საერთოდ უსმენდა თუ
არა. გუნება გაუფუჭდა, ლურსმანგაყ-
რილი საბურავივით ჩაიჩუტა. ფარ-ხმა-
ლი მაინც არ დაყარა.

— დღეს, ფსიქოლოგიურად მძიმე
წუთებში, მეც თქვენს გვერდით ვიქნე-
ბი. განა იმიტომ, რომ რაიმე საფრთხე
გელით. უბრალოდ, მეც მინდა ვიყო მო-
წმე ამ ისტორიული მოვლენისა. ვფიქ-
რობ, ტრაბახში არ ჩამომართმევთ, თუ
ვიტყვი, რომ მე მაქვს ამის უფლება,
სწორედ მე ვარ ავტორი ამ ჯერჯერობ-
ით პირველი და ერთადერთი ეპოქალ-
ური ექსპერიმენტისა!

რამაზ კორინთელი კვლავ სახეგაქვა-
ვებული იცქირებოდა სივრცეში.

მთავარ ექიმს შეტი სათქმელი აღარ
ჰქონდა. მიხვდა, კორინთელი ხმას აღარ
ამოიღებდა. ამ საზეიმო სიტყვების შე-
მდეგ აღარ სურდა გულის დამთრგუნ-
ველი, უხერხული დუმილი ჩამოეარდ-
ნილიყო და ფეხზე წამოდგა.

— გასვენება ხუთ საათზეა. ოთხ სა-
ათზე გამოგივლით და მზად დამხვდით.

ზურაბ თორაძე შებრუნდა, კარისაკენ
ნერვული ნაბიჯებით გაემართა, თით-
ქოს საშინელი სურვილი ჰქონდა, აქაუ-
რობას რაც შეიძლება სწრაფად გასც-
ლოდა. კარი ისე გაიკეტა, უკან არც
მოუხედავს.

რამაზ კორინთელს სკამიდან წამოდ-
გომაც არ უცდია. მხოლოდ ცივად გა-
აყოლა თვალი კარისაკენ მიმავალ ექ-
იმს. კარის გაჯახუნებაზე შეერთა,
თითქოს რაღაც მძიმე ფიქრისგან გა-
მოერკვა, სწრაფად წამოდგა, საწოლ-
თან მივიდა და კვლავ თავდაღმა და-
ეხმო.

●
აკადემიკოს დავით გიორგაძის კუ-
ბო ინსტიტუტის ვესტიბიულში დაესვე-
ნებინათ მარმარილოს ორი ბოძის წინ.
ორთავე ბოძსა და სიდრემში, მეორე სა-
რთულზე განდაგან ორ ტოტად ამაველ
კიბეებს შორის მოქცეული ნიში შავი
ხავერდით იყო შესუდრულნი დავით გი-
ორგაძის დიდი, ცნობილი მხატვრის
მიერ ფოტოდან შესრულებული ფერ-
წერული პორტრეტი ზნორედ ნიშიში
მოეთავსებინათ. პორტრეტის ქვეშ ორი
თეთრი მიხაკი ირიბად იყო მიმავრებუ-
ლი... ნიშის წინ, ბაქანზე მიკროფონი
იდგა. ქვემოდან ამომავალი კიბის ხუ-
თი საფეხური ბაქანს მთელ იგრძებზე
უერთდებოდა. დამკრძალავი კომისიის
წევრები სურათის ქვეშ იდგნენ, მიკ-
როფონს უკან.

მალა სართულზე ორთავე მხრიდან
ამავალ კიბეებზე მოაჯირებს ხელით და-
ყრდნობილი ინსტიტუტის თანამშრომ-
ლები ამწყრივებულებიყვნენ.

ჭირსუფლებისათვის ქვემოთ გამო-
ეყთ ადგილი, კუბოს მარჯვენა მხარეს.
აკადემიკოსის მეუღლე წინ წამოწეულ
სავარძელზე იჯდა. დანარჩენი ქალები
მის უკან ჩამომხდარიყვნენ სკამებ-
ზე. მათ გაგრძელებაზე მამაყაცები იდ-
გნენ ფეხზე.

რამაზ კორინთელმა მანქანაშივე
სთხოვა მთავარ ექიმს, ინსტიტუტში
რომ მივალთ, მე სადმე ჩემთვის მივი-
კუჭებიო. ზურაბ თორაძემ თანხმობის
ნიშნად თავი დაუქნია, თან დასძინა,
საშიში არაფერია, მაგრამ სიფრთხი-
ლეს თავი არ სტკივა, მე სადმე თქვენს
აქლოს ვიტრიალებ, ხოლო ასაფლაო-
ზე ჩემი მანქანით წავიდეთო.

მთავარმა ექიმმა მანქანა ინსტიტუტი-
დან სკამოდ მოშორებით დააყენა, თუ-
მცა ინსპექციის მიერ გადაეკეტა
ზონაშიდ მთელი ასი მეტრი იყო დარ-
ჩენილი, იცოდა, მალე ქუჩა მანქანებით,
გაიქედებოდა და კარგი სამანევრო ად-
გილი შეარჩია. სამსახურის მანქანით არ

წამოვიდა, უნდოდა რამაზ კორინთელ-თან მარტო ყოფილიყო.

კვლევით ინსტიტუტის წინ ხალხი ირეოდა. სმპიომარზე შემსვლელთა რი-გი ორმოცდაათ მეტრზე მაინც გაჭიმუ-ლიყო. ზუჭაბ თორაძეს თითქმის ყო-ველი მეორე კაცი ესალმებოდა. ისინი ოდნავ შესამჩნევი ღიმილით ართმევდ-ნენ ხელს და თან რამაზ კორინთელს ის-ეთი გაკვირვებით მისჩერებოდნენ, თი-თქოს ამბობდნენ, აეთი ახლობელი ვი-ნაა საქვეყნოდ ცნობილი ექიმისა, აქამ-დე რომ არ გვინახავსო.

რამაზ კორინთელმა გადაწყვიტა, მთა-ვარ ექიმს ნელ-ნელა ჩამორჩენოდა და ხალხშორებოდა. უკვე ნანობდა, მასთან ერთად რომ წამოვიდა გასვენებაზე. ზუ-რარ თორაძეს კმაყოფილი იერი აცო-ფიბდა, თავს მარტოდ ვეღარ გრძნობდა. არადა, როგორ უნდოდა საკუთარ თავ-თან მარტო დარჩენილიყო.

მისალმებთ გართული ზურაბ თორა-ძე მალე მიხვდა, კორინთელი რომ აღ-არ მიჰყვებოდა და ფიცხლად შემობ-რუნდა. მათ შორის მანძილი ათი ნაბი-ჯი მაინც იქნებოდა.

კორინთელმა ხელის მოძრაობით ანიშნა, მშვიდად იყავიო.

მთავარმა ექიმმა თანხმობის ნიშნად თვალი ჩაუჭრა და უმაღლე ნაცნობს მი-ესალმა.

რამაზ კორინთელი რიგში ჩადგა და მოთმინებით ელოდა იმ წუთებს, რო-ცა ინსტიტუტის ნაცნობ ვესტიბულამ-და მიაღწევდა. თვითონვე უკვირდა თავისი სიმშვიდე, მაგრამ რაც უფრო უახლოვდებოდა ინსტიტუტს, მით უფ-რო გრძნობდა, სქელი ღრუბელივით დახვეული მდილი როგორ უჭამდა გულს.

აჰა, მიაღწია კიდეც ორთავე ფრთით გაღებულ უზარმაზარ კარამდე.

პირველი, რაც თვალში მოხვდა, აკა-დემიკოსის გამხდარი, ცვლი ფერი სა-ხე იყო. ყვავილებით მორთულ კვარ-ცხლებეზე დადგმულ კუბოში კარგად მოჩანდა მეცნიერის მაღალი შუბლი, შეთხელებული, ქლარაშეპარული, ასა-

კისათვის საკმარდ შეუფერებელი შავი თმა და ოდნავ კეხიანი ცხვირი.

ტანში გააეროლა, ცივმა ოფლმა დაასხა. მდილმა გულის სიღრმეში შეაღწია. წინ ნაბიჯი ვეღარ წად-გა, მალაზიის მანეკენივით უცნაურ პოზაში გაშეშდა. უკნიდან რომ ხალ-ხის მოწოლა იგრძნო და ყურში რომ უკმაყოფილო ბუზღუნე ჩაესმა, გონა მაშინდა მოეგო, ძალა მოიკრიბა და ფეხები იატაკზე ისე წათრია, კაცს ეგონებოდა, ორთავე კიდურებზე დამ-ზლა დასცემიაო.

მთლად გონზე მოსვლა ვერ მოასწ-რო, ისე აღმოჩნდა აკადემიკოსის მეუ-ღლი. წინ, ამდენი უბედურებისაგან დააუსტებული ანა სულ მოტეხილიყო, ლოყები ჩასცივებოდა, ტირილისაგან თვალში ცრემლი გაშრობოდა. უბე-დური ქალი გაშტერებული იჯდა და კუბოში ჩასვენებული მეუღლის სიმა-ვეშეპარულ ცვილისფერ სახეს უაზ-როდ მისჩერებოდა.

რამაზ კორინთელი ვერ მიხვდა, რა დაემართა. ანა რაღაც უცნაური ძრწო-ლითა და ზიზღით ჩაუარა. განა შეიძლე-ბოდა ეს დამკნარი ქალი ოდესმე აკა-დემიკოს დავით გიორგაძის საყვარელი ადამიანი ყოფილიყო?! სახეზე სირცხ-ვილი წითლად ჩამოვლენთა.

აკადემიკოსის ნათესავეებიდან ბევრი ვერ იცნო, მაგრამ ვინც იცნო, იმათაც გულგრილად ჩაუარა. შემდეგ რიგს გა-მოეყო და იქვე კიბესთან მიიყუთა. ირ-გვლივ სულ ნაცნობ-მეგობრები და კო-ლეგები იდგნენ. იცნოდა, არავის არ უნ-და მისალმებოდა, მაგრამ რამდენჯერმე უნებურად თავი მაინც დაუქნია ძალ-ზე ახლობელ ხალხს. ერთი ორი შეცბა კიდეც, ვერ მიხვდნენ, ახალგაზრდა კა-ცი ვინ იყო ან რატომ იდგა ასე ახლოს დამძალავი კომისიის წევრებთან. მა-ღლე რამაზ კორინთელმა აქეთ-იქით და-იწყო თვალების ცეცება, იქნებ დავით გიორგაძის ვაჟიშვილი დგას სადმე პა-რიკით შენიღბულით. ყველა შესათვა-ლიანს დააკვირდა. აკადემიკოსის შვილს ვერავინ მიახვავსა.

„არის კი ცოცხალი?“ — გულზე ისევ მიესია უთვალავი მდილი. ირგვლივ უამრავი ნაცნობ-მეგობარი იდგა. დიდი მწუხარება და გულსიტკივილი არავის ეტყობოდა. ისინი თითქოა ცნობისმოყვარეობას უფრო ჰყავდა შეპყრობილი, ვიდრე დარდსა და სევდას. შემოსულებს გულდასმით ათვალიერებდნენ და ცნობილი ადამიანების გვარებს ერთმანეთს საკმაოდ ხმაძალდა ეუბნებოდნენ. შიგადაშიგ ჩურჩულებდნენ, ხმადაბლა იცინოდნენ კიდევ.

უცებ შავ კაბაში გამოკვართულმა მკერდმა მოსტაცა თვალი. ხელში დავით გიორგაძის პირადი მდივანი შერჩა. შვიდი წელი მაინც იყო, მარინე დვალი აკადემიკოსთან მუშაობდა. მთლად ბავშვი, თვრამეტი წლისა ძლივს იქნებოდა, სამუშაოდ რომ აიყვანა. არაადროს არ შეუგრძენია ქალად. არც კი შეუძინებია, თუ ასეთი ვნებიანი მკერდი ჰქონდა.

რამაზ კორინთელმა თვალი ვერ მოწყვიტა ქალიშვილის მკერდს. გულში სინანულის გრძნობა შეეპარა, დავით გიორგაძეს რა ქალი ვერ შეუძინებიაო. უნდოდა წარმოედგინა, შიშველი როგორი იქნებოდა. ვერც კი გაიხსენა, ფეხები როგორი ჰქონდა. ვესტიბიულში იმდენი ხალხი ირეოდა, ძალიანაც რომ მოენდომებინა, ქალიშვილის ფეხებს მაინც ვერ დაინახავდა, სახემიმპქნარ, მოხუც მეცნიერთა შორის მისი ჯანმრთელი, არცთუ მთლად პროპორციული, მაგრამ ენებიანი სახე ყვავილივით ბღღერიალებდა. უნებურად გაეხარდა, ახალგაზრდა ქალის თვალებში რომ გულწრფელი სინანული და მწუხარება დაიჭირა.

უცებ კორინთელის გვერდით საიდანდაც პროფესორი ნიკო ლოლაძე გამოძვრა. უნებურად გაეღიმა. ამ ათიოდეთვის წინ მოსკოვში, სიმპოზიუმზე ყოფნისას, სამასი მანეთი ასესხა, ნეტავ თუ დაუბრუნა ვალი აკადემიკოსის ოჯახს.

„რისი დამბრუნებელია, მაგრამ არ შევარჩენს!“

ისევ მარინესაკენ გაიხედა, ახალგაზ-

რდა ქალს ვიღაც ახმახი, ცხვირგაწითლებული კაცი ჩამოჰფარებოდა.

„ნეტავ ვინ არის ან აქ როდის აისვენება?!“ — გაბრაზდა რამაზ კორინთელი. შემჭიდროებული ხალხის ღობე ღონიერი მკლავებით საკმაოდ უხეშად გაარღვია და მარინეს ორ ნაბიჯზე მიუახლოვდა.

ისევ მოსტკრა თვალი ქალის ჯიშინმა მკერდმა.

უფრო ახლოს მისვლა ვერ გაბედა. უნებურად შეეშინდა, არ მიცნოსო. თავისი შიშის უაზრობაზე თვითონვე გაეღიმა.

ისევ კუბოსკენ გააპარა თვალი. მიცვალებული თვალსა და ხელს შუა შავედებოდა. რამაზ კორინთელს აღარც კი სჯეროდა, რომ ეს შავი, ფაიფურის მავგვარსახიანი კაცი აკადემიკოსი დავით გიორგაძე იყო.

ირგვლივ ყველა სევდიანად ასხენებდა აკადემიკოსის სახელს. დარდი მაინც-დამაინც არავის ეტყობოდა, მაგრამ მეცნიერს ყველა მოკრძალებით იგონებდა, უდიერი სიტყვა არავის წამოსცდენია.

რამაზ კორინთელს გუნება თითქოს გამოუკეთდა კიდევ. კუბოს თვალი აარიდა და კვლავ იქაურობას დაუწყო დაკვირვებით თვალიერება, იქნებ სადმე აკადემიკოსის შვილს წავაწყდეთო. მსგავსი ვერავინ დაინახა. დაღონებულს თვალი ისევ დავით გიორგაძის მეუღლისაკენ გაეჭვა. კვლავ წვდანდელი, გამოუცნობი უსიამო გრძნობა დაეუფლა. ბოლოს მაინც მიხვდა, რაც უღრღნიდა გულს. ეს იყო ახალგაზრდა კაცის ზიზღი მოხუცი ქალის მიმართ, რომელთანაც ოდესღაც სარეცელი გაუყვია და მისი გულმკერდი გაშმაგებით უკოცნია.

კლასიკური მუსიკა ქართულმა საგუნდო სიმღერებმა შეცვალა, ხალხური სიმღერები — კვლავ კლასიკურმა. ხალხი კი მოდიოდა და მოდიოდა.

ხუთს ათი წუთი რომ დააკლდა, ვესტიბიულში ხალხის შემოშვება შეწყვიტეს.

რამაზ კორინთელმა იქით გაიხედა, სადაც დამკრძალავი კომისიის წევრები



იდგნენ იცოდა, ახლა მთავრობის წარ-
მომადგენლები, მეცნიერებათა აკადემი-
ის პრეზიდენტი და დამკრძალავი კომი-
სიის სხვ. საპატიო წევრებაც გამოჩნ-
დებოდნენ. მართლაც, კიბეზე პირველ-
ად აკადემიის პრეზიდენტის შემელო-
ტებულ ჭკობაზე მოკრა თვალი. სწო-
რედ ის გახლდათ დავით გიორგაძის
დამკრძალავი კომისიის თავმჯდო-
მარე. შემდეგ მოსკოველი პროფესორე-
ბი სერგეი ოგლოვი და მიხეილ ვაინშ-
ტეინი დინახვ. დაკრძალვაზე ჩამოსულ
სტუმრებს შორის სხვა ვერაინ იცნო.

ყველანი ბაქანზე შეიკრიბნენ. აკადე-
მიის პრეზიდენტი მიკროფონთან მივი-
და, ჯიბიდან ქალაღი ამოიღო და ვილა-
ცას ხელით ანიშნა, მუსიკა გამოთიშე-
თო.

დინამიკები უმალვე დადუმდა.

პრეზიდენტმა ჩაახველა, მაგრამ სი-
ტყვის თქმას არ ჩქარობდა. აუღელვებ-
ლად იდგა ვეატიბიულში მოფუთფუთე
ხალხს მისჩერებოდა და ელოდა, სანამ
ყოველგვარი მოთრობა და ჩურჩული
მიწყდებოდა. ბოლოს ყველამ მონა-
ხა ისეთი ადგილი, საიდანაც ბაქანზე
მდგომი ხალხი და მიკროფონი კარგად
მოჩანდა და ინსტიტუტის უზარმაზარ,
პომპეზურ ვესტიბიულში უსიამო სიჩუ-
მე ჩამოწვა.

— ძვირფასო მეგობრებო! — დაიწ-
ყო ჩახრინწული ხმით პრეზიდენტმა.
თავი უკმაყოფილოდ გააქნია, მარცხე-
ნა ხელის მუშტი ტუჩებთან მიიტანა, ჩა-
ახველა და ხელახლა გაიმეორა. —
ძვირფასო მეგობრებო!

რამაზ კორინთელი მიხვდა, დინამიკე-
ბი ქუჩაშიც გაეტანათ. აღარ მოისმოდა
უზარმაზარი ღია ფანჯრებიდან ქუჩაში
მდგომთა ზორხოცი.

პრეზიდენტი ნულა და გარკვევით
ლაპარაკობდა. მისი სიტყვა ისეთივე
ჩვეულებრივი და ტრაფარეტული იყო,
რომლის მსგავსი აწ გარდაცვლილ აკა-
დემიკოსს თვითონაც ბევრჯერ წარმო-
უთქვამს და სხვისიც ბევრი მოუსმე-
ნია. საყვედური მანც არ ეთქმოდა,

პრეზიდენტმა შესავალ სიტყვაში
ქმის მთლიანად დაახლო. იათა დავით გი-
ორგაძის მეცნიერული ღვაწლი და
ღირსეული ადგილიც მიუჩინა ერის
გამოჩენილ შვილთა შორის.

პრეზიდენტმა სამგლოვიარო მიტინგი
გახსნილად გამოაცხადა და სიტყვა დამ-
კრძალავი კომისიის თავმჯდომარეს მის-
ცა.

ხანმოკლე პაუზის დროს საპატიო ყა-
რაულიც შეიცვალა.

უცებ კორინთელს კეფა ვილაცის თვა-
ლებმა გაუხვრიტა. უნებურად უკან მო-
იხედა. სამიოდე მეტრის დაშორებით
ვილაც მაღალი, შავგვრემანი და სქელ-
წარბებიანი ჭაბუკი იდგა და ოდნავ პირ-
დაღებული დაეინებოთ მისჩერებოდა.

რამაზ კორინთელი შეაკრთო უცნო-
ბის ამღვრეულმა გამოხედვამ და თავი
შემოაბრუნა. კეფაზე ისევ იგრ-
ძნო უცნობის თვალების სიმხურვა-
ლე. უმალვე უკან მოიხედა. სქელწარ-
ბებიანი ჭაბუკი კვლავ დაეინებოთ მი-
ჩერებოდა. ღია პირიდან ოღროზოდრო
კბილები ჩავარდნილი კლავიშებივით
მოუჩანდა.

თავი კვლავ სწრაფად შემოაბრუნა და
ბაქანსკენ გაიხედა. უსიამოვნო გრძნო-
ბით შეპყრობილმა ვერც კი შენი-
შნა, დამკრძალავი კომისიის თავმჯდო-
მარემ სიტყვა როდის დაამთავრა. მიკ-
როფონთან აკადემიკოსის მოადგილე
ოთარ კახიშვილი იდგა და ზეწარივით
გაფითრებული, აკანკალებული ხმით
ლაპარაკობდა.

„აუღაჟა კაცი ასე რატომ გაფითრე-
ბულა ან ხმა რატომ უკანკალებს? —
სხვა თემაზე სცადა გადართვა უცნობ-
ის ამღვრეული თვალებით აფორიაქე-
ბულმა კორინთელმა, — ვითომ მწუხა-
რებამ დარია ხელი? არა მგონია. საქვე-
ყნოდ ცნობილ დემაგოგს, თავი რომ
ყოველთვის კარგ ორატორად მოაქცა,
დირექტორის გარდაცვალება ხმას ვერ
აუკანკალებს, მით უმეტეს, აკადემიკო-
სის სიკვდილით გამოწვეული მისი
მწუხარება საერთოდ გამორიცხულია.

მაშ, რატომ დელავს? საფეთქლები რატომ დაპბერვია? განა ძნელი მისახვედრია? იგი დღეს პირველად ამბობს სიტყვას, როგორც ასტროფიზიკის კვლევითი ინსტიტუტის მომავალი დირექტორი. ამ სიტყვაზე ხომ ბევრი რამ არის დამოკიდებული. ასეთ აუდიტორიას განა კიდევ იპოვის სადმე? მთავრობის წევრები, მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, ვიცეპრეზიდენტები, ამდენი სახელგანთქმული მეცნიერი და მკვლევარი...“

„ეაი შენ, ჩემო თავო, ვინ უნდა შეცვალოს აკადემიკოსი დავით გიორგაძე?!“ — რამაზ კორინთელმა ერთბაშად შეავლო თვალი თავის მეორე მოადგილეს, ინსტიტუტის პარტკომის მდივანს, განყოფილების გამგეებს. თავი უკმაყოფილოდ გაიქნია. მიხვდა, დავით გიორგაძის მიერ ოცი წლის წინ დიდი ბრძოლით შეკოწიწებული ინსტიტუტი, შემდგომში გაძლიერებული და მსოფლიოში სახელგანთქმული კვლევითი ცენტრი, ერთბაშად იქცა რიგით, პროვინციულ მეცნიერულ დაწესებულებად.

კეფა ისევ დასწვა ამღვრეული შავი თვალებიდან გამოსულმა ორმა წვრილმა სხივმა.

რამაზ კორინთელი თავს შეებრძოლა, რომ უკან აღარ მოეხედა. თუმცა უცნობის აწოწილი ტანი, შავი თმა, სქელი წარბები და უსიამო მრგვალი თვალები ნათლად ედგა თვალწინ.

„სად მინახავს ეს თვალები? — დაფიქრდა უცბე რამაზ კორინთელი, — არადა მინახავს, ნამდვილად მინახავს სადღაც!“

აკადემიკოსის მოადგილე ჯერ სერგეი ორლოვმა შეცვალა, ორლოვი სომხეთიდან ჩამოსულმა მეცნიერმა.

რამაზ კორინთელი კვლავ უცნობ ჭაბუკზე ფიქრობდა, გამომსვლელებს თითქმის აღარ უსმენდა, მაგრამ დროდადრო ამოსხლეტილ ფრაზეებზე მიხვდა, ყველა ტრაფარეტის მდინარეში ცურავდა.

„იქნებ მეჩვენება?“ — გაიფიქრა უნებურად და თავი უკან შეაბრუნა.

აწოწილი, შავთმიანი ჭაბუკის მკვლევარი შურდულით ნაპროლი კენჭებივით მოხვდა.

ამჯერად სიმშვიდე შეინარჩუნა. ვითომც აქ არაფერიყო, მზერა სხვებზე გადაიტანა, ოციოდე კაცის სახე მინც შეათვალიერა და თავი დინჯად მოაბრუნა.

„ვინ არის და რა უნდა ჩემგან?“

„იქნებ სულაც ნამდვილ რამაზ კორინთელთან აქვს საქმე?“

გულზე ყინულის თხელი ფენა გადაეფარა. თავიდან სიფრიფანა ყინული თვალსა და ხელს შუა სქელდებოდა.

ვერ გაიგო, მიტინგი როდის დამთავრდა.

ვერც ის გაიგო, ზურაბ თორაძე მასთან როდის გაჩნდა.

მთავარმა ექიმმა მხარზე ხელი რომ დაადო, კორინთელი დენდარტყმულივით შეხტა. რატომღაც ეგონა, უცნობმა ჭაბუკმა დაადო სხეულთან შედარებით უპროპორციოდ გრძელი ხელი.

— გავიდეთ გარეთ! — ჩუმი ხმით, თითქმის ჩურჩულით უთხრა მთავარმა ექიმმა.

რამაზ კორინთელმა ახლად გააცნობიერა, რომ დინამიკებიდან შოპენის სამგლოვიარო მარში შავი ნისლივით გადმოდიოდა. უსიტყვოდ დაემორჩილა მთავარ ექიმს, სამ წუთში უკვე ქუჩაში იყვნენ.

— წავიდეთ, მანქანაში ჩავსხდეთ. პროცესიას ნუ გავყვებით. რატომ უნდა ვიწვალოთ. სასაფლაოზე სხვა გზით მივიდეთ.

— ჯერ გამოასვენონ. მერე როგორც გინდათ, ისე წავიდეთ სასაფლაოზე.

ზურაბ თორაძემ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია და უმაღლე ვილაცას ღიმილით მიესალმა.

ზუსტად ხუთ საათზე კუბო შენობიდან გამოასვენეს. კიბეზე ჩამოტანის დროს აკადემიკოსის თავი რამდენჯერმე შეირხა.

რამაზ კორინთელს უსიამოდ გააყრეოლა, მთავარი ექიმი მიატოვა და კუბოსთან ახლოს მივიდა.



„ნუთუ ეს გაშავებული და ფაიფური-
ვით გამომწვარი ფიტული ოდესღაც
აკადემიკოსი დავით გიორგაძე იყო?!“

თვითონაც ვერ მიხვდა, როგორ მივი-
და კუბოსთან და როგორ შეენაცვლა
ვილაც ახალგაზრდა კაცს.

ვერ წარმოიდგენდა, თუ გამოფიტუ-
ლი აკადემიკოსის სხეული ასეთი მძიმე
იქნებოდა. მერე მიხვდა, მისი ძლიერი
კუნთებისათვის კუბოს სიმძიმე სახსენე-
ბელიც არ იყო. რამაზ კორინთელის მა-
რჯვენა მკლავსა და მხარს კუბო კი არა,
ცის ჩამონღლებული თაღი დააწვა.
გრძნობდა, თვალი ნელ-ნელა უზნელდე-
ბოდა. მერე მკერდმა დაუწყო თახთახი.
მიხვდა, მისი გული გადატვირთვისაგან
უკიდურესად გადახურებულ ძრავაა-
ვით ზრიალებდა და სადაც იყო, გასკდე-
ბოდა.

— ყველაფერი ერთ საათში დამთა-
ვრდება. ასეთი მძიმე დღე მეორე აღარ
იქნება თქვენს ცხოვრებაში, — ჩვეუ-
ლებისამებრ, გამოთქმით და მალალი
ტონალობით წარმოთქვა ზურაბ თო-
რაძემ, როცა მანქანა თავისუფალ ქუჩა-
ზე გაიყვანა და გეზი სასაფლაოსკენ აი-
ლო.

— მოდით, მაგაზე ნულარ ვილაპარა-
კებთ, — უხეშად მიმართა რამაზ კორინ-
თელმა, — და, საერთოდ, მომწყინდა
თქვენი სენტენციები. მე პატარა ბავშვი
აღარა ვარ. ნურც ოცდასამი წლის
რამაზ კორინთელი გგონივართ. კარგად
იცით, შეგნებულად გადავდგი გაბედუ-
ლი ნაბიჯი და არც ვნანობ. დაახლოებ-
ით ვიცოდი, რასაც ვაკეთებდი და რაც
მოჰყვებოდა ტვინის გადანერგვას. მაგ-
რამ, ეტყობა, სიჩქარეში ყველაფერი
ვერ გავითვალისწინე. ვერც თქვენ გა-
ითვალისწინეთ ყველაფერი, ბატონო
მთავარო ექიმო!

— კერძოდ?
— კერძოდ? ახლავე მოგახსენებთ.
თქვენ ჩემი ტვინი გადანერგეთ რამაზ
კორინთელის თავში. მე მისი სხეული
ვაქციე ინტელექტუალურ, მოაზროვნე
ადამიანად, რომლის ნიჭსა და ტალანტ-
ზე მალე აღაპარაკებდა ხალხი. არც ის

ყმაწვილი დამრჩენია ვალში. ^{ჩემი} ^{სხეული}
ოდ' მან გადმომილოცა თავისი სამარც-
ხვინო სახელი და გვარი, თავისმომტრე-
ლი ბიოგრაფია, დანაშაულთა რიგი, იქ-
ნებ სისხლის სამართლის დანაშაული და
ნკველელობაც კი!

— როგორ გეკადრებათ.
— მაკალეთ ლაპარაკი! დიხაბაც რომ
მეკადრება. ამ ექვს აქვს რეალური სა-
ფუძველი!

რამაზ კორინთელს უეცრად ისეთი სი-
ცხადით დაუდგა თვალწინ აწოწილი შა-
ვი ჰაბუკის ამღვრეული თვალეები, რომ
უნებურად გვერდით, მომავალი მანქანე-
ბი შეათვალა, რომელიმეში ხომ არ
ზის, სასაფლაოზეც ხომ არ მომდევო.

„მანაც სად მინახავს, საიდან მახსოვს
მისი თვალეები? არადა, მინახავს, ნამდ-
ვილად მინახავს!“

სასაფლაოზე ადრე მივიდნენ. პროცე-
სია, ალბათ, ჯერ შუა გზაშიც კი არ იქ-
ნებოდა.

ზურაბ თორაძემ მანქანა მოხერხებ-
ულ ადგილზე გააჩერა.

— მოდით, ერთ რამეზე შეეთანხმ-
დეთ, — თქვა მანქანიდან გადმოსვლამ-
დე ზურაბ თორაძემ, — დღეს ნუ დავუ-
წეწავთ ერთმანეთს ნერვებს. წინასწარ
გაფრთხილებთ, ჩემი წონასწორობიდან
გამოყვანა, ძალიანაც რომ მოინდომოთ,
არ გამოგივათ. დღეს ჩემი დიდი დღესა-
სწაულია, რომელიც ხვალ და ზეგ მსო-
ფლიო დღესასწაულად იქცევა. მე, ზუ-
რაბ თორაძემ, მსოფლიოში პირველმა
და ჯერჯერობით ერთადერთმა მეცნი-
ერმა, შევქმენი ადამიანი, რომელიც
ორი დედის საშობიდანაა ნაშობი, მე შე-
ვქმენი ადამიანი, რომელიც დადგა სა-
კუთარი კუბოს ქვეშ და უკანასკნელ
გზაზე გააცილა საკუთარი ცხედარი!

— ენა გააჩერე, თორემ მიგახრჩობ
უპატრონო ძაღლის ლეკვივით! — დაი-
ღრინა რამაზ კორინთელმა.

მთავარი ექიმი შეაკრთო ჰაბუკის
მრისხანე გამოხედვამ. ნირწამხდარი ერ-
თბაშად ჩაიფერფლა და რამაზ კორინ-
თელს საცოდავად შეხედა. როცა ბორო-
ტად წამონთებული თვალეები, ზიზლით



თსივით პირთამდე ავსებული სახე და მოცანცანე ყბა დაინახა, მიხვდა, მის გვერდით აისხლს მოწყურებული მკვლელი იჯდა.

სამგლოვიარო მიტინგი სასაფლაოზე გაგრძელდა.

პროცესიას ბოლომდე, ჩვეულებისამებრ, ვასვენებაზე მოსულთა მეხუთედ იც არ გამოჰყოლია, მაგრამ საფლავთან მაინც ბევრმა ხალხმა მოიყარა თავი.

რამაზ კორინთელი ძალზე მოშორებით იდგა. გამომსვლელთა ხმა იქამდე არ აღწევდა. არც არავის გამოსვლა აინტერესებდა. უკან, სამი ნაბიჯის დაშორებით, ზურაბ თორაძე ხეს მიყრდნობოდა.

— ძალიან ვთხოვთ, მარტო დამტოვოთ და საერთოდ, სანამ მე არ დავირეკავთ, არ მომაკითხოთ! — გაცრა კორინთელმა კბილებშუა.

მთავარმა ექიმმა დამცინივად ჩაიღიმა და წასავლელად შებრუნდა.

— კიდევ ერთი! — ზურაბ თორაძე ადგილზე გაყინა კორინთელის მიდევნებულმა ფრაზამ, — მე, მსოფლიოში ერთადერთ, ორი დედის საშოდან დაბადებულ პიროვნებას, ორჯერ მეტი ფული მჭირდება, ვიდრე თქვენ მაძლევთ. ძალიან ვთხოვთ, გაითვალისწინოთ დღევანდელი დღიდან!

ზურაბ თორაძეს ხმა არ ამოუღია. რამდენიმე წამს გაცოფებული მისჩერებოდა ჭაბუკის ზურგს. მერე შებრუნდა და მანქანისკენ წავიდა.

ხალხმა ნელ-ნელა იწყო დაშლა. აღარც სიტყვაში გამომსვლელთა გაურკვეველი და დაგუდული ხმა მოისმოდა,

აღარც შოპენის სამგლოვიარო მარშის ბოლოს საფლავზე რამდენიმე ნათესავი და მესაფლავეები დარჩნენ. პატარა ბორცვიც მალე წამოიშორდა. ბორცვი გვირგვინებით დაფარეა, მიცვალბულის შესანდობარიც აწრფად დალიეს.

რამაზ კორინთელი ისევ მოშორებით იდგა, საფლავთან მისვლას არ ჩქარობდა. ბოლოა, როცა ყველა წაივდა, საფლავს მძიმე ნაბიჯებით მიუახლოვდა. ორიოდ მეტრის დაშორებით შეჩერდა და ყვავილების ბორცვს სევდიანი ღიმილით დააშტერდა. რამდენი რამ იყო ამ ღიმილში ერთმანეთში ათქვეფილი და გადახლართული: აღამიანის არარაობის შეგრძნება, დღევანდელი საკუთარი პიროვნული გაურკვეველობა, წარსულთან დაშორების სინანულის გრძნობა, მომავალი ცხოვრების არსიანობა და მიზნის ბუნდოვანება. გაუთვალისწინებელი, დღეისათვის არულიად წარმოუდგენელი პრობლემებისა და სიურპრიზების მოლოდინი...

უცებ გონება გაუნათდა. გაახსენდა, სად ნახა პირველად ის აწოწილი, შავთმიანი და ამღვრეულთვალეზიანი ჭაბუკი, დღეს რომ ინსტიტუტის ვესტიბიულში დაყინებით მისჩერებოდა.

ერთბაშად დაუდგა თვალწინ ქუჩაში გამოსვლის პირველი დღე, „ზარია ვოსტოკას“ რედაქციის შენობა და შენობის კუთხესთან ატუზული მაღალი, შავგვრემანი, უსიამოვნო გამომეტყველების ჭაბუკი. თვალნათლივ დაინახა ლაზერის ორი წვრილი სხივი, შიში ამღვრეული, მრგვალი თვალებიდან რომ მოედინებოდა.

თავი მერვე

11

რამაზ კორინთელი გულადმა იწვა. ლალის თავი ჭაბუკის ძლიერ მკერდზე ჰქონდა დადებული. ორთავეს ეძინა.

ოთახში გამეფებული ღუმილი ტელეფონის ზარმა დაარღვია.

ლალიმ თვალი გაახილა. კორინთელს მკვდარივით ეძინა. არ იცოდა,

რა ექნა. ყურმილის აღება თვითონ არ უნდოდა. რამაზიც ეცოდებოდა. არადა, გაბმული ზარი აუცილებლად გაღვიძებდა. საათს დახედა. თორმეტი იყო.

„ამ შუალამისას ვინ უნდა რეკავდეს?“

ზარი არ წყდებოდა.



რამაზ კორინთელი, ისე რომ თვალი არ გაუხელია, მარჯვენა ხელით საწოლთან, იატაკზე დადგმული ტელეფონის ყურმილს დასწვდა.

— გისმენ! — მიმართა შენობით, იცოდა, შუალამისას სერიოზული კაცი არ დაურეკავდა.

— გამარჯობა!

— გაგიმარჯოს, რომელი ხარ?

— ვიცი, ლალი გყავს, მაგრამ აუცილებელი საქმეა, უნდა ჩამოხვიდე.

— ჭერ გამაგებინე, რომელი ხარ!

— სოსო ვარ. ჯობია, ლალი საერთოდ გაუშვა შინ.

— ვინ! სოსო?

— ჩამოდი და გაიგებ. ნახევარ საათში შენთან ვიქნები.

— კარგი, ნახევარ საათში დაბლა დაგხვდები. — შეფიქრებულმა კორინთელმა თავი უკმაყოფილოდ გააქნია და ყურმილი შორიდანვე დააგდო ბერძნულზე.

— რომელი საათია? — ჰკითხა ლალის.

— პირველი დაიწყო. ვინ გირეკავდა?

— ადექი, ჩაიცვარ. შინ უნდა წახვიდე. ვერ გაგაცილებს. რაღაც საქმეზე უნდა გამომიარონ.

— ამ შუალამისას მარტო წავიდე? — შეიცხადა ქალიშვილმა.

— ჭერაც არ წასულხარ!

— ეგრე რატომ მელაპარაკები? — განაწყენდა ლალი.

— ჰო, კარგი, ბოდიშს გიხდი. ხომ იცი, არ მიყვარს ამდენი ლაპარაკი. ჩაიცვი და წადი!

ორთავენი წამოდგნენ.

განაწყენებული ახალგაზრდა ქალი საბაზანიოში ვაეიდა. კორინთელმა სწრაფად ჩაიცვა, ხუთ წუთში მზად იყო. ფანჯარასთან მივიდა და გადაიხედა. ბეტონის ოთხ უზარმაზარ კოლოფს შორის მოთავსებული ეზო მანქანებით იყო სავსე.

ვაეიდა კიდევ თხუთმეტი წუთი. ლალი აბაზანიდან გამოსვლას არ ჩქარობდა.

რამაზ კორინთელს ნერვები ნელ-ნელ-

ლა და საფუძვლიანად ეშლებოდა. რო ის აცოფებდა, აბაზანიდან ხმა წერთოდ რომ არ გამოდიოდა. ვერ გაეგო, ლალი იქ რას აკეთებდა.

საათს დახედა. უცნობის მანქანა სადაცაა მოვიდოდა.

— აღარ გამოხვალ?! — იყვირა უცებ და აბაზანის კარს ეცა.

— მოვდივარ, ჰო, ნუ გაცოფდები!

— სწრაფად, სწრაფად. რა ვქნა, ჩემი ბრალი არ არის, უნდა მაპატიო. ხვალ დილით დამირეკე და ყველაფერს ავთხსნი.

პარმალზე ლალის ყელზე აკოცა, კარი სასწრაფოდ მიუხურა და იმ ფანჯარას ეცა, ქუჩაში რომ ვადიოდა.

ქვემოთ არავინ ჩანდა. არ უნდოდა მანქანის გამოჩენამდე ჩასულიყო და იმ ვილაც სოსოს დაბლა დალოდებოდა.

უცებ ქუჩაში ლალი გამოჩნდა. ღამის სიჩუმეში მეოთხე სართულამდე აღწევდა ახალგაზრდა ქალის ქოშების ბაკუნის ხმა.

რამაზ კორინთელს ისევე აეშალა ნერვები. მხოლოდ მაშინ დაწყნარდა, როცა ლალი თვალს მიეფარა. თავის თავს მოულოდნელად გამოუტყდა, რომ ლალი უკვე მოწყინდა. უფრო მეტიც, თუ არ ეზიზღებოდა, ძალზე აღიზიანებდა ახალგაზრდა ქალის ვითომ ლამაზი. მაგრამ უინტელექტო სახე.

უცებ სადარბაზოს წინ წითელი „ჩიგული“ გაჩერდა.

„ეს არის?“ — ჰკითხა თავის თავს კორინთელმა.

მანქანიდან არავინ ვადმოსულა.

„ეს არის!“ — უბასუხა საკუთარ შეკითხვას. სასწრაფოდ შემობრუნდა, აბაზანაში შევიდა, პირი დაიბანა და კიბეებს დინჯად ჩაუყვია. არ უნდოდა, აჩქარებულყო და თავისი მღელვარება გაეცა.

ქუჩაში რომ ვაეიდა, მანქანასთან მისვლამდე ჯიბიდან სიგარეტი ამოიღო, დინჯად მოუკიდა, ნაფაზი დაარტყა და „ჩიგულს“ ნელი ნაბიჯით მიუახლოვდა.

ვილაცამ შიგნიდან წინა კარი გაუღო.



— ჩაჯექი! — მოესმა როყო ხმა.

რამაზ კორინთელი, ვითომც აქ არაფერიო, უყოყმანოდ ჩაჯდა და სალონი მოათვლიერა. მანქანაში სოსოს მეტი ვერავენ დაინახა, თუკი ნამდვილად ის იყო სოსო.

უცნობმა ძრავა ჩართო და „ჟიგული“ ჯცბად მოგლიჯა ადგილიდან.

— საბურავები არ ვაცვდება? — განგებ უდარდელად უთხრა კორინთელმა.

— როდის აქეთ გახდი ასეთი მომჭირნი?

სალონში ბნელოდა, საჭესთან მჯდომ სოსოს კარგად ვერ ხედავდა. პროფილი კონტურები თითქოს ნაცნობი ეჩვენა კიდეც, მაგრამ ვერ მიხვდა, ვინ უნდა ყოფილიყო, აიდან იცნობდა, სად ენახა. უცნობის ვერც ხმამ გაახსენა ვერაფერი. დროდადრო, მარჯვე წამა რომ იპოვიდა, სოსოს თუ სოსო ნამდვილად ის იყო, თვალა შეავლებდა ხოლმე. ქვეშეცნეულად, ხვდებოდა, უცნობთან სერიოზული ლაპარაკი მოუწევდა. სალაპარაკო თემა, ალბათ, რამაზ კორინთელის რომელიმე ადრინდელი თავგადასავალი იქნებოდა. სავარძლის სახურავს დაუდევრად მიწოლილი სიგარეტს უდარდელად აბოლებდა, არ უნდოდა მღელვარება გამოემჟღავნებინა,

„ნეტავ ვინაა ან რამდენი წლის იქნება? ალბათ, ოცდაშვიდისა მაინც“.

— სოსო თქვენ ბრძანდებით? — შენობით მიმართვა მაინც აღარ აკადრა უცნობს.

— რა, ველარ მიცანი?

— ვერა. მე ხომ მესხიერება მთლიანად დავკარგე! — თქვა სხვათა შორის და სიგარეტის ნამწვი ქუჩაში მოისროლა.

— სულ აღარაფერი გახსოვს?

— აღარაფერი. ოღონდ, როცა რამეს შემახსენებენ, დიდი ვაჭირვებით აღვოდგენ ხოლმე გონებაში.

სოსომ დაკვირვებით გადმოხედა.

რამაზ კორინთელი წინ იქიკრებოდა, მაგრამ მაინც შეამჩნია, სოსომ როგორ შეათვლიერა.

უკან დარჩა ვაკე-საბურავების დასასვლელი. ქავეკავადი პროსპექტიდან ხელმარჯვნივ ფალიაშვილისაქვე აუხეიეს.

სოსომ მანქანა უცებ შეაჩერა, ძრავა გამორთო და კარი გააღო. სალონში შუქი აინთო.

— აბა, შემომხედე, ახლაც ვერ მიცანი?

რამაზ კორინთელმა გოცებისა და შიშისგან კინაღამ შეჰყურა. სახე ისევ დასწვა ლაზერის ორმა წვრილმა სხივმა, სოსოს მრგვალი, შავი თვალებიდან რომ მოედინებოდა.

— თქვენ?

— მაღლობა ღმერთს, რომ მიცანი, ოღონდ თქვენობით მომართვია საჭიროებას ვერა ვხედავ!

— არა, ვერ გიცანი! არ ვიცი, ვინა ხარ. მე მხოლოდ ის კაცი ჭკიანი, აკადემიკოს დავით გიორგაძის გასვენებაში რომ მითვალთვალედა.

— რამაზ, მართლა ვერ მიცანი?! — გაკვირვებას ველარ მალავდა სოსო.

— ვერა.

— კარგი, ავიდეთ სახლში.

სოსო მეოთხე სართულზე ცხოვრობდა. პირველს აღარაფერი აკლდა. ლიფტი გამოერთოთ. კიბეს ფეხით აუყვენენ. სოსომ გააადები მესამე სართულის ბაქანზევე ამოიღო, მასიური რკინის თეთრად შეღებილ კარს სამი საკეტი ჰქონდა. ორი პატარა ნათურა სადარბაზო ბაქანა კარგად ანათებდა. „ი. შადური“ — ამოიკითხა კორინთელმა კარზე მიმაგრებულ სპილენძის აბრაზე. ახლა უკვე გვარიც იცოდა უცნობის და საბელიც იოსებ, სოსო შადური. მღელვარებამ საბოლოოდ გაუარა. უცნობს რომ გულში ცუდი განზრახვა სდებოდა, შინ არ მიიყვანდა. სამაგიეროდ, ცნობისმოყვარეობა დაეუფლა. მიხვდა, რამდენიმე წუთში რამაზ კორინთელის წარსულიდან ერთ მნიშვნელოვან და დამახასიათებელ ეპიზოდს აეხდებოდა ფარდა.

„ვინ უნდა იყოს? — ჰკითხა თავის თავს და უმაღვე უპასუხა, — რასაკვი-



რველია, რამაზ კორინთელის ერთ-ერთი უახლოესი ძმაცაქი!“

— იქ დაჯექი! — თქვა სოსომ და სტუმარს საკარძელზე მიუთითა.

ბინა სოსო შადურს მდიდრულად, მაგრამ გემოვნებით ჰქონდა მოწყობილი. იქაურობა ყურადღებით შეათვალიერა. გაკვირვება ვერ დამალა. იშვიათად უნახავს, მდიდართა ოჯახები გემოვნებით რომ ყოფილიყო მოწყობილი, თანაც სოსო შადურის შესახებობა, სქელი, შავი წარბები, მრგვალი, დაბალფსკერიანი თვალები და ტყვიან-გაუმტარი შუბლი უცხო სხეულივით მოჩანდა გემოვნებით მოწყობილ ჰერქვეშ.

— არ დავლიოთ?

— სავალდებულოა?

— რამდენი ხანია, ერთმანეთი არ გვინახავს. შვიდ თვეზე მეტი გავიდა იმ ამბის შემდეგ. არ დავლოცოთ ერთმანეთი?

„რომელი ამბის შემდეგ?“ — დანტერესდა რამაზ კორინთელი, მაგრამ კრინტი არ დაუიროვს, შეეითხვა სახეზეც არ გამოუსახავს. ცნობიანყოყნარობა ჰკლავდა, მაგრამ დუმილი ამოვიდა.

„ეტყობა, რაღაც ძალზე მნიშვნელოვან ეპიზოდს იხანება, — დააკენა გულში, — შეეითხვა რა საჭიროა, თვითონვე იტყვის ყველაფერს.“

მასპინძელმა სერვანტის ბარი გამოალო.

— „სიბირსკაია“ მაქვს, ძეხვზე და ხიზილალაზე კარგად წავა. გავხსნა?

— ნება შენია.

— ახლა მაინც მიცანი, ვინა ვარ?

პასუხად კორინთელმა ორჭოფულად გაიღიმა.

— რატომ გეღიმება?

— ისე, უბრალოდ: ვაგიკვირდება, მაგრამ მაინც ვერ გიცანი.

სინამდვილეში უნდოდა ეთქვა, არასდროს არ გიცნობდი, თორემ შენს სქელ, შავ წარბებს და ოღროჩოღრო კბილებს რა დამავეიწყებდაო.

სოსო ადგილზე გაშეშდა. მაგიდაზე დასადგმელად გამზადებული ბოთლი

და ორი პატარა ბროლის ჭიქა ხელში შეერჩა.

— ხუმრობ?

— სრულებითაც არა ვარ ხუმრობის ტუნებაზე.

შადურმა „სიბირსკაია“ და ორი ჭიქა მაგიდაზე დადო. რამაზ კორინთელს თვალში მოხვდა მისი გრძელი, სხეულიანი შედარებით უპროპორციო ხელები.

— მე უკვე მგონია, რომ დამცინი! — მასპინძლის ხმაში სიბრაზე გაერია.

— რატომ უნდა დავცინოდე?

— როგორ, ლალი გაიხსენე და მე ვერ მიგონებ?

— მერე ვინ ვითხრა, რომ გავიხსენე? იგი თვითონ მოვიდა ჩემთან და გამახსენა თავი. იმდენი რამ მიაამბო ჩვენი ურთიერთობის თაობაზე, იმდენი ეპიზოდი აღადგინა ჩემს თვალწინ, რომ, ბოლოს და ბოლოს, ზოგიერთი რამ ბუნდოვნად გამახსენდა კიდევ.

შადურმა სტუმარს კარგა ხანს უყურა დაკვირვებით, უნდოდა, რამაზ კორინთელის თვალებში ამოეკითხა, სტუმარი ტყუოდა თუ მართლს ამბობდა. შემდეგ უცებ გაბრუნდა, სამზარეულოში გავიდა და მაცივრის კარი გამოალო.

რამაზ კორინთელის ყურადღება კედელზე გაკრულმა გობელენმა მიიპყრო.

სოსო უმაღლე შემობრუნდა. ხელში ძეხვიანი თეფში და პურის მოწნული ხონჩა ეჭირა. ხონჩაზე პურთან ერთად ხიზილალას გახსნილი ქილა, თეფშები და დანა-ჩანგალიც დაეწყო.

— არაა სუფრის გაწყობა ჩემი საქმე! — თქვა შადურმა. ხიზილალას ქილა მაგიდაზე გადადგა და სტუმარს თეფში მიაწოდა.

რამაზ კორინთელმა დანა-ჩანგალი თვითონ აიღო, შავი პურის სუნი ესიამოვნა და ერთ თხელ ნაჭერს უცერემონიოდ დასწვდა.

— კარაქი არა გაქვს?

— ახლავე მოვიტან. — თქვა სოსომ და კვლავ სამზარეულოს მიაშურა.



კორინთელმა იავე გობელენს შეხედა. სქელი, გრებილი ძაფით შესრულებულმა სვანურმა პეიზაჟმა თვალი მოწყვიტა.

სოსომ შემოსვლისთანავე შენიშნა, კორინთელი რომ გობელენს მისჩერებოდა.

— გობელენი მაინც ველარ იცანი? გახსოვს, როგორ მოგწონდა?

— ჰო, რაღაც მაგონდება. — გაურკვევლად, ბურანში მყოფი კაცივით წაიბურტყუნა რამაზ კორინთელმა. ინტუიციამ უკარნახა, უკვე დადგა დრო, ზოგი რამ „აღედგინა“ და „გაეხსენებინა“.

— ოღონდ... — შუბლი შეიჭმუხნა კორინთელმა და სათქმელი აღარ დაამთავრა.

— რა „ოღონდ“?

— ოღონდ არ მახსოვს, ამ კედელზე ეკიდა?

შეკითხვა იღბლიანი გამოდგა, რამაზ კორინთელმა ათიანში მოარტყა.

— აი, ხედავ? უკვე გაგახსენდა. ადრე კაბინეტში მეკიდა. ხუთი თვეა, რაც აქ გადმოვიტანე! — გაეხარდა შადურს.

„კაბინეტში?“ — გულში გაელიმა კორინთელს, — ნეტავ რისთვის ჭირდება კაბინეტი ამ შუბლზე ჯავშანგადაკრულ კრეტინა?!“

— ჰო, სიზმარივით მაგონდება. — თქვა მცირეოდენი დუმილის შემდეგ.

— აბა, გადი კაბინეტში. ვფიქრობ, ნაცნობი ნივთებიც დაგეხმარებიან, გაიხსენო ჩვენი ძველი მეგობრობა!

„მეგობრობა!“ — რამაზ კორინთელმა პური ისევ ხონჩაზე დადო და მძიმედ წამოდგა.

კაბინეტიც გემოვნებით იყო მოწყობილი, ოღონდ თაროებზე წიგნების განლაგების პრინციპი კაცს პირველი შეხედვისთანავე მიახვედრებდა, ვინ იყო ამ ავლადიღებია პატრონი.

— გამოდი, ყველაფერი მზადაა! — შემოესმა სოსოს ხმა.

რამაზ კორინთელი ისევ სასადილო ოთახში შემობრუნდა, სავარძელში მოიკალათა და სოსოს მომზადებულ ხიზი-

ლალას ბუტერბროტს დააწვდა. შადურმა ჭიქები შეავსო.

— ალბათ, გახსოვს, სადღეგრძელოების თქმა არ მიყვარს, მაგრამ ერთი რამ მაინც უნდა ვთქვა, შენს გადარჩენას გაუმარჯოს.

— გაგვიმარჯოს! — კორინთელმა ჭიქა მიუჭახუნა და სულმოუთქმელად დალია.

სამი ჭიქის შემდეგ რამაზ კორინთელს კეთილიც კი მოეჩვენა სქელ და შეფწარბებიანი, ოღროზოლორი კბილებიანი შადური. ოღონდ მისი ორანგუტანგევით გრძელი ხელები მაინც ზიზლსა ჰგვრიდა.

— გულახდილად მითხარი, მართლაც ვერ მიცანი? — ჰკითხა შადურმა, როცა ჭიქები მეოთხედ შეავსო. პასუხს არ დაელოდა, ბოთლში ჯერ არაყი საკმაოდ იყო, მაგრამ სამზარეულოში გავიდა და ახალი ბოთლი გამოიტანა.

— არ გახსნა. ამდენა არ დავლევ. ხომ არ გავიწყდება, რომ ახალი ნავეადმყოფარი ვარ?

— მართლაც ვერ მიცანი? — გაუმეორა შადურმა წელანდელი შეკითხვა.

— შენი სახე ჯერ ვერ ადვადგინე, მაგრამ ხმაში ნაცნობი ინტონაციები უკვე იკვეთება.

„ნაცნობი ინტონაციები! — გაიმეორა გონებაში რამაზ კორინთელმა, — ამ იდიოტისათვის ძალიან რთულად ხომ არ ვაზროვნებ? ან განა შეიძლება ოდესმე მისი გამოხედვა დაგავიწყდეს?“

— მეხსიერება მთლიანად დაკარგე?

— მთლიანად! — უდარდელად თქვა კორინთელმა და ჭიქა ხელში შეათამაშა. — „მაინც რამდენი წლის იქნება ბატონი შადური? ალბათ, ოცდაათისა.“

— როცა მკურნალობის შემდეგ გონს მოხვედი, რაზე ფიქრობდი?

— თითქმის არაფერზე. ალბათ, იმიტომ, რომ არ ვიცოდი, რაზე მეფიქრა.

— ლაპარაკიც დაგავიწყდა?

— ლაპარაკი? — დაიბნე კორინთელი, — წარმოიდგინე, რომ დამავიწყდა.



— პირველ დღეებში ფიქრი სულ არ მოგდიოდა თავში?

— როგორ არა, ვფიქრობდი.

— მაინც რას?

— მიკვირდა, სად ვარ ან ეს თეთრხალათიანი ადამიანები ვინ არიან-მეთქი.

— როგორ ფიქრობდი?

— როგორც ყველა ფიქრობს, ისე ვფიქრობდი.

— არა, მაგას არ გეუბნები. როცა ადამიანი ფიქრობს, იგი რაღაც ენაზე ფიქრობს. უფრო კი მშობლიურ ენაზე. აქედან გამომდინარე, თავის აზრებს, თავის ფიქრებს მაინც სიტყვებით გამოხატავს. შენ?

— რა მე?

— თუკი სიტყვები არ გახსოვდა, როგორ ფიქრობდი, აზრებს როგორ გამოხატავდი? წუღან რომ თქვი, „ვინ არიან ეს თეთრხალათიანი ადამიანებიო,“ თუ სიტყვები დაგაიწყდა, „თეთრხალათიანი“ როგორ გაიფიქრე?

„ოჰო, მთლად ილიოტი არ ყოფილა ამხანაგი შადური,“ — გაეღიმა გულში რამაზ კორინთელს.

— გულწრფელად რომ ვითხრა, ვერ ვიხსენებ, როგორ ვფიქრობდი. მახსოვს, თავიდან ლაპარაკი მიჭირდა. სიტყვებს ვერ ზიგონებდი. ერთმა რამემ მიშველა. დღის განმავლობაში ათი-ათხმეტი საათი მაინც მიწევდა ექიმების ლაპარაკის მოსმენა. ისინი ხან ერთმანეთში, საუბრობდნენ, ხან მე მეკითხებოდნენ ჯანმრთელობის ამბავს. ასე გრძელდებოდა თვეების მანძილზე. საავადმყოფოდან გამოსვლის შემდეგ ბევრი რამ გამახსენდა, ალბათ, ისე არა, როგორც უწინ მქონდა გონებაში ჩაჭედილი ან, ვთქვათ, გუშინდელი და გუშინწინდელი დღეები რომ მახსოვს. ჩემი ცხოვრების უმთავრესი ეპიზოდები ბუნდოვნად, ნაწყვეტ-ნაწყვეტ და უაზროდ მაგონდება. არ ვკარგავ იმედს, რომ დროთა განმავლობაში ყველაფერი მოწესრიგდება.

დღემილი.

— გინდ დამიჯერე, გინდ არა, ჩემი

და ვერ ვიცანი. დაასხი! — თქვა რამაზ კორინთელმა.

სოსომ ჭიქები შეავსო და მეორე ბოთლიც გახსნა.

— ხომ ვითხარი, მეორე ბოთლს ნუ გახსნი-მეთქი.

— მე კიდევ ვერ გამიხსენე? — არ ეშვებოდა შადური.

რამაზ კორინთელმა დაკვირვებით შეხედა სოსოს.

„ვინ უნდა იყოს ან რამაზ კორინთელს რა კავშირი უნდა ჰქონოდა ამ კაცთან?“

უცებ გადაწყვიტა რისკზე წასულიყო.

— ჩემი რევოლვერი სად არის?

შადურს სახე გაუბრწყინდა. რამაზ კორინთელი მიხვდა, ისევე გაარტყა ათი-ანში.

— გახსოვს?

— არ მახსოვს. ვერ ვიგონებ, როგორ დავკარგე. სახლში რომ ვაზნები ვიპოვე, დიდ ხანს ვიფიქრე, ალბათ, რევოლვერიც მქონდა-მეთქი. აი, ახლაც, ნისლში რომ მანქანის შუქის კონტური გამოჩნდება, ისე იკვეთება ჩემს თავშიც რაღაც მოგონება. აი, თითქოს (დუმილი)... თითქოს... არა, ვერაფერს ვხედავ! — გაიქნია თავი უკმაყოფილოდ, — შენთან არის რევოლვერი?

შადური წამოდგა და საწოლ ოთახში გავიდა. რამაზ კორინთელმა თვალი გააყოლა. გულში პირველ გამარჯვებას ზეიმობდა.

„თუ თვითონ არაფერს მომიყვება, რაც შეიძლება მეტი რამ უნდა წამოვაცდენინო,“ — დაასკვნა კორინთელმა.

ორი წუთის შემდეგ სოსო შემობრუნდა და სტუმარს რევოლვერი წინ დაუდო.

რამაზ კორინთელი მოქრომილ „ტტ“-ს ერთხანს ჩუმად დასჩერებოდა. მერე ხელში ფრთხილად აიღო და დაკვირვებით შეათვალიერა.

— გატენილია, მჭიდვ გამოილე.

კორინთელმა მჭიდვ ისე ოსტატურად გამოიღო, თვითონვე გაუკვირდა.

— მაინც რა მოხდა იმ დღეს?

— მართლა არ გახსოვს?



— აღარ მახსოვს. უკვე გული დამე-
ლალა ამდენი ახსნა-განმარტებით, —
გაბრაზდა კორინთელი, — ტყუილს რა-
ტომ გეტყვი ან რა აზრი აქვს!

— თუ არ გახსოვს, საჭიროა კი მისი
გახსენება?

— მინდა ვიცოდე, რა მოხდა. შენი
საუბრიდან დავასკენი, რაღაც მნიშე-
ნელოვანი ამბავი გადამხდენია თავს.
შენმა ნაამბობმა იქნებ უფრო მეტი
რამ გამახსენოს, ვიდრე მარტო ის ერთი
ეპიზოდი.

შადღერმა დაკვირვებით ჩახედა თვა-
ლებში.

რამაზ კორინთელმა გაუძლო შავი,
მრგვალი თვალებიდან გამოშვებულ
ორ წვრილ, გავარვარებულ სხვივს.

— საჭიროა კი ვიამბო?

— საჭირო კი არა, აუცილებელია!
დუმილი.

— არაა საჭირო. ჯობია დავლით.
სასიამოვნოს და გასახარელს მაინც ვე-
რაფერს გეტყვი. თვითონ მეც კოშმა-
რივით მახსოვს, რაც გადაგვხდა. არ ვი-
ცი, ბოლომდე ხარ თუ არა გამოჯანსა-
ღებული. უსიამოვნო ამბავმა რატომ
უნდა გაგაღიზიანოს (დუმილი)? ძალია-
ნაც კარგი, რომ არ გახსოვს!

შადღერი წამოდგა, რევოლვერი გა-
მოართვა და საძინებელი ოთახისკენ გა-
ემართა.

— რევოლვერს არ მიბრუნებ? —
ჰკითხა კორინთელმა, როცა სოსო მაგი-
დას მიუჭდა და ჰქიქები ხელახლა შე-
ავსო.

— სხვა მარკას გიშოვი. სახლში და-
მალული ვაზნები თავიდან მოიშორე,
გადაყარე ან მე მომეცი. მილიციამ,
ბუნებრივია, იცის რევოლვერის მარკა.
თუ საქმე გაიხსნა, განჩრეკისას ერთი
ვაზნაც რომ გიპოვონ, ჩვენი საქმე
წასულია.

— შენ თვითონ რატომ გაქვს შენა-
ხული. თუ ჩავვარდით, განა შენს
სახლს არ გაჩხრეკენ?

— მეგობრის გარაჟში მქონდა დამა-
ლული. დღეს შენი ხათრით მოვიტანე.
ერთი ნაცნობი დამპირდა, „ვალტერში“

გადაგიცვლიო, ხვალ დილით გეცა-
ტან.

— მინდა ვიცოდე, რა მოხდა იმ
დღეს! — თითქმის ბრძანებით წარმო-
თქვა რამაზ კორინთელმა.

— თუ იცი და მსახიობობ, დმერთმა
შეგარგოს! თუ არ იცი, კიდევ გიმეო-
რებ, ნურც მკითხავ. უსიამოვნო ამბავს
რაც მალე დაივიწყებ, ის ჯობს. ერ-
თი კი იცოდე, მეტი თავშეკავება გმა-
რთებს. სროლა ადვილია, შედეგის მიჩ-
ქმალვია ძნელი.

— ბოლოს და ბოლოს, მეტყვი, რა
მოხდა? — რამაზ კორინთელის სახეზე
მრისხანებამ ქარიშხალივით გადაქრო-
ლა და ზღვის უზარმაზარი ტალღები
აავორა.

— რაკი არ იშლი, გეტყვი, მეშვიდე
სამშენებლო სამმართველოს სეიფი
გავტეხეთ. ყველაფერი გეგმის მიხედ-
ვით მიდიოდა. რატომღაც ერთი სასიგ-
ნალო საყვირი აღრიალდა. ეტყობა,
ვინც საქმე მოგვცა, არც იმან იცოდა
იმ სიგნალის არსებობის ამბავი. დანა-
რჩენები ყველა გადაჭრილი და გათი-
შული გექონდა. თუ გახსოვს, სალარო
მეორე სართულზე იყო. შენობაში უკა-
ნა ფანჯრიდან შევიპარეთ. ბუნებრი-
ვია, ოპერაციის შემდეგ გამოსასვლე-
ლადაც იქით გავწიეთ. უკვე სამშვი-
დობოს ვიყავით გასული, დარაჯი რომ
დაგვედევნა. შენ რატომღაც შებ-
რუნდი და სამჯერ ესრფლე. დარაჯი
დერეფანში გაიშხლართა. არაფერი სა-
ჭირო არ იყო მისი მოკვლა. კიდევ გი-
მეორებ, უკვე სამშვიდობოს ვიყავით.
მერე გაირკვა, რომ არ მომკვდარა. ერ-
თი თვე იწვალა. საბოლოოდ მაინც
გავვიმართლა, გონს არ მოსულა, ისე
გარდაიცვალა. და საერთოდ, რატომ
გისწრებს ხელი? ჯობია, აწი იარაღი
საერთოდ არ ატარო. ეტყობა, რთულ
სიტუაციაში კონტროლის გრძნობას
კარგავ!

— რა მოხდა იმ დღის შემდეგ?

— მეორე დილით სამსახურში წახ-
ვედი. იქნებ ისიც არ გახსოვს, თბილი-
სის საინჟინრო-ინსტრუმენტულ ქარ-

ხანაში რომ მუშაობდი. ძთელი დამის უძილო იყავი, ალბათ, კაცის მოკვლამაც იმოქმედა. შენ ხომ მაშინ არ იცოდი, დარაჯი რომ გადარჩა, თუ ერთი თვით გადარჩენილს გადარჩენა ჰქვია. ხილურმა ამწემ სამჯერ მოგცა სიგნალი, ვერაფერი გაიგონე. ეტყობა, გათიშული იყავი. თითქოს საგანგებოდ დაუღეკი ქვეშ ამწის კაუჭს...

სალამოს დატყმულ ადგილზე არ მოხვედი. შინ მოგაკითხეთ. გავიგეთ შენი უბედურების ამბავი და საავადმყოფოში მოვევარდით. სანუგეშო ვერაფერი გავიგეთ. გვითხრეს, შეიძლება გადარჩეს, მაგრამ დაკარგული გონება აღარ დაუბრუნდება!

შადური წამოდგა, ისევ საძინებელ ოთახში გავიდა. კორინთელმა ძლივს ამოისუნთქა.

„ღმერთო, რა ისტორიებში ვარ გაბმული! — ყინულის ლოდების მარწყუხებში მომწყვდევული გული, სადაც იყო, გაჩერდებოდა. — ვინ ვარ მე? ბანდიტი და მკვლეელი, გარეწარი, ქურდი?! ვინ იცის, კიდეც რა საქმეები მაქვს ჩადენილი...“

შადურმა ტყავის პატარა, ყავისფერი ხელჩანთა შემოიტანა.

— აქ ჩვიდმეტი ათასია.
„ჩვიდმეტი ათასი!“

სოსომ ჩანთა სტუმარს გაუწოდა. სავარძლის საზურგეს მიწოლილი რამაზ კორინთელი არ განძრეულა, ხელში სიგარეტს ათამაშებდა და შადურს სახეში მისჩერებოდა.

— მთელი ამ ხნის მანძილზე შენახული მქონდა. ბევრჯერ გავვიჭირდა, მაგრამ კაბიკი არ მოგვიკლია.

სოსო მიხვდა, რამაზ კორინთელი ჩანთის ჩამორთმევას არ აპირებდა. ვითომც აქ არაფერიაო, თვითონაც სავარძელში ჩაჯდა და ჩანთა სტუმარს წინ დაუდო.

„ნუთუ მართლაც არაფერი ახსოვს? — გულს უღრღნიდა ეჭვი შადურს, — იქნებ უნდა ჩვენგან თავი სამუდამოდ დაიძვინოს? იქნებ ეშინია, მომავალში

საქმე არ გაიხსნასო და თამაშიც სვლას ცდილობს?“

— ამ ორი თვის მანძილზე რატომ დამდევი? — ჰკითხა უცებ რამაზ კორინთელმა და შადურს თვალებში შეხედა.

— რატომ? — შადურმა მხრები აიჩეჩა.

რამაზ კორინთელს შეკითხვა სიტყვიერად აღარ გაუმეორებია, რადგან იგი ჯერ კიდევ არ ჰქონდა წაშლილი სახეზე.

— სიფრთხილეს თავი არ სტკივთ, ამბობს ქართული ანდაზა! — თქვა ირონიული ღიმილით შადურმა.

— ოჰო, შენ ქართული ანდაზებიც იცი?

— ეტყობა, მართლა აღარ გახსოვს, რომ მე არ მიყვარს ეგეთი ლაპარაკი! — წამოენთო სოსო.

„მგონი, ვიჩქარე სანგრიდან ამოსვლა,“ — გაეღიმა გულში რამაზ კორინთელს.

— გამოჯანმრთელების შემდეგ რამდენჯერმე საგანგებოდ შეგეფეთე პირისპირ. ვერ მიცანი. გაგებული მქონდა, რომ მესხიერება დაკარგე. ძალზე დამაეჭვა ერთმა ფაქტმა, ბევრი რამ თურმე მშვენიერად გახსოვს, ბევრსაც თურმე სულ ვერ იგონებ.

— განა ახლა ეჭვი გეპარება, რომ შენს მიერ მოპოვებული ინფორმაცია სწორი ყოფილა? — რამაზ კორინთელმა გამომწვევად შეაბოლა მასპინძელს სახეში და სიგარეტის ნამწვი დაუდევრად დაავლო საფერფლეზე.

არაყი საქმაოდ მოეკიდა. წელან თუ ზიზს ჰგვრიდა, ახლა უკვე აღიზიანებდა შადურის უპროპორციო, გრძელი ხელები, მსხვილი შავი წარბები და ჩავარდნილი კლავიშებივით ოდროჩოდრო კბილები. ინტუიციით ხვდებოდა, სოსო შადური მეთაურობას ჩემულობდა ძმაკაცებში და, ალბათ, მეთაურობდა კიდეც.

შადურმა არაფერი შეიმჩნია. არ უნდოდა საქმე გაემწვევებინა. იცოდა,

გურამ ფანჯიანიძე
საირალე

ჯერ ბევრი რამ იყო გასარკვევი და მოსაგვარებელი.

— განა შენ როდია მე წარმოიდგენ, რამდენი ვინერვიულეთ, სანამ საავადმყოფოში იყავი! ხომ შეიძლებოდა აგონიაში მყოფს, თუ ყველაფერი არა, ისეთი რამ წამოგებოდებინა, მილიციას რომ ეყოფოდა ჩვენს დასალუპად? დიდი რისკი გავწიეთ. შემდეგ გავიგეთ, რომ მეხსიერება დაკარგე. და აი, რამდენჯერმე ვერ მიცანი. ორი თვის განმავლობაში გაკვირდებოდი, ვცდილობდი გამერკვია, როდის შეიძლებოდა შენთან გამოლაპარაკება. — შადურის სიგარეტის კოლოფს დასწვდა.

„ხედავთ, ეს ჯავშნოსანშუბლიანი რა მწყობრად და ლოგიკურად ლაპარაკობს?“ — გულწრფელად უქვირდა რამაზ კორინთელი.

— აკადემიკოს დავით გიორგაძის გასვენებაზე რამ მიგიყვანა? — უეცრად შეაბრუნა სასაუბრო თემა შადურმა.

— რას უნდა მივეყვანე? შენ ხომ მაინც არ დაგიკარგავს მეხსიერება. მე ფიზიკოსი ვარ, თანაც ასტროფიზიკოსი. სვალდებულო ხომ არ იყო, პირადად მცნობოდა განსვენებული აკადემიკოსი? განა ვასაკვირია, მსოფლიოში სახელგანთქმული მეცნიერის და კოლეგის გასვენებაზე რომ მივედი?

— „კოლეგის!“ — გაეცინა შადურს. — მე კი მეგონა, სულ სხვა რამის გამო მიხვედი.

— რა სხვა რამის გამო? — გაოცდა კორინთელი. თან მიხვდა, „კოლეგა“ რომ ცუდად გამოუვიდა.

— ბოდიშს ვიხდი. თვითონ არ ვიცი, რა გითხარი. უბრალოდ, გამიკვირდა იქ რომ გნახე.

— კარგი. მე ფიზიკოსი მაინცა ვარ. შენ რა გინდოდა გასვენებაში?

— გასვენებაში მისვლა აზრად არ მქონია. მე შენ დაგყვებოდი ჩემად. ექიმის მანქანაში რომ ჩაჯექი, ჩემი მანქანა იქვე იდგა, ოცი მეტრის მოშორებით. ვერ წარმოვიდგენდი, გიორგაძის გასვენებაში მისვლის სურვილი თუ გაგიჩნდებოდა.

— დავით გიორგაძეს პატივს ვცემდი, როგორც მეცნიერს და როგორც მოქალაქეს. მე მხოლოდ ჩემი მოქალაქეობრივი ვალი მოვიხადე.

— „მოქალაქეობრივი ვალი!“ — წელანდელზე უფრო დამცინავად და უფრო ხმამაღლა ჩაიციხა სოსო შადურმა. — ყურს არ ვუჭერებ, რომ ამ სიტყვებს შენ წარმოთქვამ, შენ, რამაზ კორინთელი. მეხსიერებია დაკარგვამდე ასე არ ლაპარაკობდი. არც „მოქალაქეობრივი ვალი“ ვალელებდა მაინც-დამაინც. რამდენადაც ვიცი, დავით გიორგაძეა საერთოდ არ იცნობდი. არასდროს წამოგცდენია მისი სახელი და გვარი. ყოველ შემთხვევაში, თუ გაგონილი გქონდა აკადემიკოსის არსებობის ამბავი, სიცოცხლეში ფეხებზე გეკიდა მისი პიროვნება. ეტყობა, საავადმყოფოში მარტო ავადმყოფობისაგან კი არ განგკურნეს, მარტო აზროვნება კი არ დაგიბრუნეს, ტვინში ზოგიერთი ისეთი დეტალიც ავიმუშავეს. მანამდე რომ უქმად ყოფნისაგან სამუდამოდ იყო ჩაქანგებული.

— დამცინი?! — რამაზ კორინთელმა რისხვით შეხვდა შადურის ტყვიავაუმტარ შუბლს.

— პირიქით! მე საერთოდ მახარებს ყოველგვარი პროგრესი. მედიცინაში ჩახედული არა ვარ, მაგრამ ერთი რამ კი მაოცებს. წელან გითხარი და კიდევ გიმეორებ — როგორ მოხდა, რომ ზოგი რამ მთლიანად აღვიდგა გონებაში, ზოგი კი საერთოდ ვერ გაიხსენე?! შენი ბუნება და ცხოვრების წესები დაივიწყე. მოქალაქეობრივი ვალის მოხდის სურვილმა კი, ადრე რომ მსგავსი რამ აზრადაც არ მოგსვლია, ასე მოულოდნელად შეგიპყრო?

— ეგ მოვლენები მეც მაკვირვებს, წარმოიდგინე, მალელებს კიდევ. ბევრი ფიქრის შემდეგ ერთ დასკვნამდე მივედი: არ გინახავს გონებანაკლული ადამიანი, რომელიდაც დარგში რომ საოცარი ნიჭი აქვს ხოლმე? მაგალითად, მუსიკაში, მათემატიკაში. მე თვითონ ვიცნობდი ერთ გონებაამღვრეულ კაცს,



უფრო სწორად, შეშლილს, რომელიც ჭადრაკს ოსტატობის კანდიდატის დონეზე თამაშობდა. თანაც ყოველგვარი წერტნისა და თეორიული ცოდნის გარეშე.

— მიხარია, რომ შენ მაინცდამაინც არ ეტანები ჭადრაკს! — დამცინავად გასცრა კბილებში სოსო შადურმა.

— ვინ მოგახსენა? — დამცინავადვე უპასუხა რამაზ კორინთელმა, — ალბათ, გექნება სახლში ჭადრაკი, მე შემიძლია ნიძლავი დაგიდო და გეთამაშო ერთი პირობით, რომ ასი ხელიდან ასივეს მოგიგებ. უფრო მეტიც, თუ სურვილი გექნება, დაფაზე დაუხედავადაც გეთამაშები.

— კარგი, ვთქვათ, არ ვიცოდი, რომ ჭადრაკს ასე კარგად თამაშობდი. ტრავმის შემდეგ ამდენი რამე რომ აღარ გახსოვს, ჭადრაკის თამაში როგორღა გაიხსენე?

რამაზ კორინთელი შეაკრთო შადურისა ნიშნის მოგებით გაელენთილმა ინტონაციამ. მიხვდა, ვერ მოზომა. კიდევ ერთხელ დარწმუნდა, ჯავშნოსან შუბლს უკან სოსო შადურის ტვინის კბილანები საკმაოდ მწყობრად მუშაობდა.

— შენ წარმოიდგინე, არ დამვიწყინია! — თქვა სხვათა შორის რამაზ კორინთელმა. ვითომ სულაც არ მიიტანა გულთან, შადურმა რომ ლამის კუთხეში მიაყენა.

— მე კი მაინც ვერ გამიხსენე, არა? ეტყობა, ან ჭადრაკის პარტიებზე რთული გასახსენებელი ვარ, რაც არც მე მგონია და არც შენ, ან ისეთი უმნიშვნელო პიროვნება, გასახსენებლადაც რომ არ ვღირვარ!

რამაზ კორინთელს არ ესიამოვნა შადურის ცივი ხმა.

— ვერ გაგიხსენე და რა ვქნა. ტყუილს ხომ არ გეტყვი?! თუმცა, როცა გაკვირდები და შენს ლაპარაკს ვისმენ, მგონია, რომ დიდი ხნის წინათ სიზმარში მინახხარ.

— გულით მინდა დაგიჯერო, მაგრამ ბოლომდე მაინც არა მჯერა. მინდა კი,

რომ მჯეროდეს. ჩვენს საქმეში გულწრფელობაა საჭირო.

„ჩვენს საქმეში!“ — ტვინის რომელიც უჯრედში დააფიქსირა რამაზ კორინთელმა.

— მერედა, მე არა ვარ გულწრფელი? — გულუბრყვილოდ გაიოცა კორინთელმა, თან შადურს ანიშნა, ჯანდაბას, დაასხი, ერთი ჭიქა კიდევ დავლიოთო. — განა ჩემი ბრალია, რომ გონებამ ზოგი რამ აღადგინა, ზოგი კი საერთოდ ვერ გაიხსენა? იქნებ ორგანიზმის თვისებაა, თავდაცვის ინსტინქტია, დაივიწყოს ის, რისი გახსენებაც არაა მისთვის სასარგებლო და რაც არ გამოიწვევს სასურველ დადებით ემოციებს?

— აქ იმიტომ არ მომიყვანიხარ, რომ სამედიცინო პრობლემები გადავჭრათ, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ავადმყოფობამდეც ბევრჯერ დაამტკიცე, რომ შენს მეგობრებთან, რომლებმაც, სხვათა შორის, ყველაფერი გააკეთეს შენს გადასარჩენად, ბოლომდე გულახდილი არასდროს ყოფილხარ.

— კერძოდ?! — იმდენად გულწრფელად იწყინა რამაზ კორინთელმა, რომ უმაღვე მოეგო გონს და კინალამ გაელიმა.

— კერძოდ? ახლავე მოგახსენებ. — შადურმა ჭიქები შეავსო, — შენ არასდროს წამოგცდენია ჩვენთან, რომ ასე კარგად იცი გერმანული ენა. როგორც მითხრეს, თურმე ფრანგულიც და ინგლისურიც კარგად გცოდნია. და მერე ვის, შენ, რომელმაც ვითომ ქართულიც კი არ იცოდი ხეირიანად. ეს ერთი. ახლა მეორე: ექვს ისიც მიძლიერებს, რომ შენ, რომელმაც მშვენივრად აღიდგინე ენების ცოდნა, ვერ გაიხსენე, როგორ დაახალე დარაჯს სამი ტყვია!

რამაზ კორინთელმა ჭიქა აიღო, მაგრამ არც გადაკვრას ჩქარობდა და არც ხმის ამოღებას.

დუმილი დიდხანს გაგრძელდა.

შადური მიხვდა, მისმა შეკითხვამ რამაზ კორინთელი ღრმად ჩააფიქრა გულში გამარჯვებას ზეიმობდა.

„ნეტავ რას იტყვის? თავს რითი იმ-
ართლებს? ნუთუ ამდენი წლის მანძილ-
ზე თამაშობდა, თავის ცოდნასა და ნი-
ჭიერებას გვიმაღავდა? თუ ანე იყო,
რა ამოქმედებდა, რა ჩანაფიქრი ჰქონდა.
რაში სჭირდებოდა გონებაშეზღუდული
და თავზეხელაღებული კაცის როლის
თამაში?“

სოსო შადურმა ერთბაშად შენიშნა, კო-
რინთელს თვალეზი ჰქონდა დახუჭული.

„ნეტავ რა იტყვის? როგორ გამოძ-
ვრება ჩიხიდან?“

რამაზ კორინთელმა თვალი ერთბა-
შად გაახილა. არაყი დალია და ჭიქა
მაგიდაზე დადო.

— არ ვიცი, რატომ შეგიპყრო ეჭ-
ვებმა. — დაიწყო კორინთელმა უცებ
ენერგიულად და გამომწვევად, თვალე-
ზი ჩიუტად გაუშტერა შადურის ტყვი-
აგაუმტარ შუბლს, თითქოს უნდოდა,
დაენახა, ჭავჭავისან შუბლს იქით ამ
წუთში რა აზრი იბადებოდა. — უკანას-
კნელად გელაპარაკები. ამ თემაზე
მომავალში კრინტააც აღარ დავძრავ.
რასაც ახლა მოისმენ, გინდა დამიჯერე
და გინდა არა. ვიცი, ყველაზე უფრო
ენების ცოდნამ გააღრმავა შენი ეჭვი.
სხვათა შორის, ძვირფასო სოსო, შენ
არ ბრძანდები ორიგინალური. ეგ მო-
საზრება ამ რამდენიმე თვის მანძილზე
ბევრჯერ მოვისმინე. უფრო ბევრჯერ
კი, ალბათ, ზურგს უკან გამოთქვამდნენ
ეჭვებს. ვფიქრობ, განათლებაზე გაქა-
ჩულმა ხალხმა უნდა იცოდეს, რომ ად-
მიანის ტვინი მილიონობით და, მგონი,
მილიარდობით უჯრედიდან შე-
დგება. მეურნალობის შემდეგ, ეტ-
ყობა, უჯრედების უმრავლესობა აღ-
მიდგა, ის უჯრედები კი, თქვენით დ-
თქვენისთანებით რომ იყვნენ დაკავებუ-
ლი, აღარ აღდგა. რას იზამ, ბედისწე-
რას ვერ გაექცევი!

— დამცინი კიდევ?

— დაცინვა აზრდაც არ მომსვლია.
მე, უბრალოდ, საბოლოო განმარტებას
ვიძლევი. ბარემ, შემდეგ რომ მოულო-
დნელი არ იყოს, ახლავე გეტყვი. მე
კარგად ვუკრავ პიანინოზე, რაც თქვენ.

შენ და ჩემმა დანარჩენმა მეგობრებმა,
რომელთა არც სახელები მახსოვს და
არც გვარები, არ იცით. არ იცით მხო-
ლოდ ერთი სრულიად უბრალო, მაგრამ
თქვენთვის ძნელად გასაგები მიზეზის
გამო, არასდროს შექონდა სურვილი,
თქვენი თანდაწირებით პიანინოს მიე-
ჯდომოდი.

რამაზ კორინთელი მიხვდა, ელდამ
გაუარა, დაეღუპებოდა ნერვები
განემუხტა. თითქოს შებნა იგრანო. უკ-
ვე სიამოვნებდა თავისი კატეგორიუ-
ლი, ოდნავ დამცინავი ტონი. ფულით
საყვე ჩანთას დაწვდა და ისე აიღო.
თითქოს ხაზს უსვამდა, რომ თავისი
კუთვნილება ეპყრა ხელთ.

— შუადამე რომ არ იყოს, ახლავე გი-
ჩვენებდი ჩემს საშემსრულებლო ხე-
ლოვნებას. ერთი აიტყვით, თუ ჩავვი-
ვარდა მომენტი და პიანინოს მიეუჭე-
ქი, ნუ გაგიკვირდება — ნურც შენ და
ნურც ჩვენს კოლეგებს!

„კოლეგებს!“ — რა დამცინავად და
მრავალმნიშვნელოვნად წარმოთქვა კო-
რინთელმა ეს სიტყვა! იგრძნო, თავი
ღირსეულად და ვაჟკაცურად ეჭირა.
ვაჟკაცურად და გამომწვევად.

სოსო შადური არ იყო არც იოლად
მოსატყუებელი, არც ადვილად დაა-
მარცხებელი კაცი.

ორი ეჭვი ჰქლავდა შადურს. პირვე-
ლი ეჭვი თვითონვე ეჩვენებოდა უსა-
ფუძვლოდ. „ნამდვილად რამაზ კორინ-
თელია?“ — გაიფიქრებდა ხოლმე და
თვითონვე გული მოსდიოდა თავის და-
ეჭვებაზე.

„აბა, ვინ იქნება? რამაზის ორეული?
ტყუპის ცალი? ყველაფერი გამორიც-
ხულია. საავადმყოფოში ნამდვილად
რამაზ კორინთელი წავიყვანეთ, იქიდა-
ნაც რამაზ კორინთელი გამოვიყვან-
ეთ.“ — დაიმშვიდებდა ხოლმე თავს
შადური.

„გამოვიყვანეთ კი რამაზ კორინთე-
ლი? — უმაღლვე ფანჯრიდან შემოხტე-
ბოდა კარიდან გადებულ ეჭვი. — მე
ხომ არ დავსწრებივარ მის გამოყვანას?
როცა გაოცებული ნაცნობ-მეგობრე-

ბისაგან მისი უცნაური შეცვლია და ენების ცოდნის ამბავი გვიგე, კორინთელის ნახვისაგან. სანამ ყველაფერი არ დავაზუსტებ, თავი შევიკავებ არს კი ნამდვილად რამაზ კორინთელი?"

„რასაკვირველია, რამაზ კორინთელი!“ — ერთხელ და სამუდამოდ ჯერ კიდევ მაშინ უარყო პირველი ეპიკური, როცა კარგა ხნის ყოყმანის შემდეგ კორინთელთან შეხვედრა გადაწყვიტა. მეორე ეპოს კი ვერაფერი მოუხერხა, კაცმა რომ თქვას, ჰქონდა კიდევ საფუძვლიანი მიზეზი.

„მუდამ გონებაშეზღუდული, მაგრამ უშიშარი და თავზეხელაღებული კაცი გვეგონა. ნუთუ მთელი საბიწროების მანძილზე გვატყუებდა?! და თუ გვატყუებდა, რა მიზანს ისახავდა, რა ჰქონდა ჩაფიქრებული?“

სოსო შადურის გონება ქვიშის საათს ჰგავდა. რომ ეგონა, ფიქრი და ეპიკური უკვე ჩაიკალა ერთი კონუსიდან მეორეში. იმავე წამს ვილაცი უხილავი ხელი საათს გადააბრუნებდა და დაცარიელებული გონება ისევ ეპიკით ივსებოდა. ვერაფრით ვერ ჩაწვდა რამაზ კორინთელის ჩანაფიქრს, ვერაფრით ვერ მოუნახა ახანა და განმარტება მეგობრის საქციელს. ერთში კი დარწმუნდა, ავადმყოფობის შემდეგ კორინთელმა უნებურად გააცა თავისი თავი. სოსო შადურმა უკვე იცოდა, ვინ იყო რამაზ კორინთელი. ახლა ამოსახსნელი რჩებოდა ერთი რამ — რისთვის დასჭირდა კორინთელს, დაეშალა თავისი ცოდნა და განათლება? რა მიზანს ისახავდა სრულიად ახალგაზრდა კაცი, როცა მეგობრებს თავს უბირ პიროვნებად აჩვენებდა?! იქნებ ღარიბი ბიჭი ჩვენთან მხოლოდ ფულის გასაკეთებლად იყო და მერე სამუდამოდ აპირებდა ჩამოგვიცილებოდა?

სოსო შადური გრძნობდა, რაც მეტს ფიქრობდა, მეტად ებნეოდა გზა-კვალი ბნელ და ჩახუთულ ლაბირინთში.

ერთი კი დაასკვნა, ფრთხილად უნდა ყოფილიყო, რამაზ კორინთელის ნდობა არ შეიძლებოდა.

„ლეს კმარა! — გადაწყვიტა უკვე შადურმა, — მეორე სენსზე, ალბათ, უფრო მეტს შეეატყობ! თანაც ვნახოთ. ბიჭებს რომ ნახავს, რა ხასიათზე დადგება!“

— შენი ლაპარაკიდან ბევრი ვერაფერი დასკვნა გამოვიტანე, მაგრამ ცხოვრება წინაა. — თქვა უკვე შადურმა შემრიგებლური ხმით და მარჯვენა ხელის თითები გაატყაცუნა.

რამაზ კორინთელი მიხვდა, შადურმა ვილაცის ნიშანი მისცა. არც მოტყუებულა, საძინებელი ოთახიდან ორი კაცი გამოვიდა. ერთი ჭაბუკი, ალბათ, ოცდაორი-ოცდაათი წლის იქნებოდა, მეორე შეიძლება ორმოცისა ყოფილიყო, შეიძლება ორმოცდაათი იყოს.

რამაზ კორინთელი შეცბა, აღმფრთხილდა კიდევ. შადურის საქციელი ღალატად მიიჩნია, მაგრამ მიხვდა, არაფერი არ უნდა შეემჩნია. თავდაპირველად ერთი გამოცდა კიდევ უნდა ჩაებარებინა. შემოსულებისაგან სანახევროდ შებრუნდა და ვითომც არაფერი იყო, გულდასმით დააკვირდა. ჭაბუკი თბილისელს არ ჰგავდა. დასავლეთიდან იქნება ჩამოსული, — დაასკვნა კორინთელმა, მეორე ტიპური ქალაქელი იყო. ჭაბუკი გამოუცდელს ჰგავდა, ეტყობა, ახალი დაწყებული ჰქონდა საქმე. სამაგიეროდ, თბილისელის სახეზე ადვილად შეგეძლო ამოგეკითხა გულქვაობა და დაუნდობლობა.

რამაზ კორინთელმა ქალაქელის სახეზე რატომღაც ნაჭრილობებს დაუწყობდა.

ვერ შეამჩნია. „არადა, როგორ მოუხდებოდა!“ — გაიღიმა გულში.

აქამდე ხმის ამოღებას არ ჩქარობდა, ეშინოდა, მოწოლილი მღელვარება არ გავცეო. ბოლოს გაფიქრებულმა ფრანგულად დაარწმუნა, სავსებით მშვიდად იყო. ისევ სავარძლის საზურგეს მიაწვა, ტყავის ჩანთაც დაუდევრად მიაგდო მაგიდაზე და წყნარი ხმით იკითხა.

— ამდენი ხანი ჩაეტილები გყავდნენ?



— მომარაგებული დაეტოვე, არ მოიწყენდნენ!

— აი, რა არის გულწრფელობა! — მშვიდად. მაგრამ მტკიცედ და ნიშნის მოგებით შეხედა შადურს.

— არ გენდობოდი და იმიტომ.

„ოჰო, „არ გენდობოდი“. ახლა ვითომ მენდობა?“

— კარგა ხანია მივხვდი, რომ არ მენდობოდი.

— არ გენდობოდი შენი ავადმყოფობის გამო. თანაც იმდენი უსიამოვნო ამბავი უნდა გამეხსენებინა შენთვის, ხომ შეიძლება გულის შეტევა მოგვლდოდა ან კრუნჩხვები დაგმართნოდა...

— გასაკება, მეტი ახანა-განმარტება არაა საჭირო, ბატონებო!

რამაზ კორინთელი მიხვდა, ამ ხალხი აგან დანდობის იმედი არ უნდა ჰქონოდა.

— ბიჭები მაინც თუ იცანი? — ჰკითხა შადურმა.

— მე მგონი, მშვენივრად მიხვდი, რომ ვერ იცანი.

— ნოდარი და სერგო ვერ იცანი?

— რომელია ნოდარი და რომელია სერგო?

— სერგო ხაზარაძე! — წარუდგინა შადურმა ხანშესული ქალაქელი კაცი, რამაზ კორინთელის აზრით, ნაჭრილობევი რომ დაშვენდებოდა.

— ნოდარ მიმინოშვილი.

არც ერთა გაცნობის ნიშნად თავი არ დაუქნევია, უძრავად იდგნენ ერთ ადგილზე.

— თუ გინდათ, გადით, სადაც იყავით! — მეთაურის კილოთი წარმოთქვა შადურმა.

ორთავენი ისევ საძინებელ ოთახში გავიდნენ.

— ყოფილიყვნენ, რაზე გაყარე.

„გაყარეს“ განგებ გაუსვა ხაზი კორინთელმა. თითქოს უთხრა, ისედაც მივხვდი, მეთაური რომ ბრძანდებო.

— რა მნიშვნელობა აქვს, სად იქნებოან. — შადურიც დაჯდა და რამაზ კორინთელს საქმიანად შეხედა. საუბარსაც უფრო გულწრფელი და ინტიმუ-

რი ხასიათი მისცა. — მე არ მინდა რომ ჩვენი ძმობა და საქმიანობა წაი-

სულში დარჩეს. შენ უკვე მიხვდი, რატომაც არ მინდა. ბოლო საქმე რომ უსისხლოდ დამთავრებულიყო, შეგეი-

ლო, ჩამოგვცილებოდი, თუმცა არა მგონია. შენ მაშინ სხვა ცხოვრების

ურვილი გაგჩენოდა. აისხლი დაღვრილია. მე არ ვიცი, რამდენად გიშველის

სააამართლოში ტრავმა და მესხიერების დაკარგვა. ია კი ვიცი, დანარჩენებს რა მოგველის. ამიტომ ხვალაც

ერთად უნდა ვიყოთ. მით უმეტეს, რევოლუციური შენ ისროლე. მართალია,

საქმის დროს მნიშვნელობა არა აქვს, ვა მოუწვევს სროლა. ყველამ თანაბრად

უნდა ვაგოთ პასუხი, მაგრამ შენ მაინც იჩქარე. არ იყო სროლა საჭირო. უკვე

სამშვიდობოს ვიყავით გააული. თანაც, რაკი ისროლე, უნდა გაგესალებინა კი-

დეც. იბაბლი გვექონია, რომ გონსმოუსვლელად გარდაიცვალა. ვიცი, არ

გსიამოვნებს, რასაც გეუბნები, მაგრამ საქმე თავია. ითხოვს.

რამაზ კორინთელი საბოლოოდ დარწმუნდა. შადურს და მის მეგობრებს

იოლად ვერ დასცილდებოდა. დააწყვიტა სწივე მიხვდა, რამაზ კორინთელის ფე-

რიცვალემა ეჭვისა და უნდობლობის უზარმაზარ საბაბს რომ იძლეოდა. იმა-

საც მიხვდა, თუ ამ ფერიცვალეების შემდეგ ერთ ოპერაციაში მაინც არ მიი-

ღებდა მონაწილეობას, აუცილებლად მოკლავდნენ.

დუმილი ჩამოვარდა, დაძაბული, დამუხტული დუმილი, მეხის გავარდნის წინ რომ იცის ხოლმე.

უცებ რამაზ კორინთელმა ხელის მოძრაობით თანხმობა გამოხატა და მტკიცედ თქვა.

— რას მთავაზობ?

სოსო შადურმა შებებით ამოისუნთქა და სალაპარაკოდ მოეშადა. რამაზ კორინთელს მღელვარებამ გაუარა. თვითონვე უკვირდა, შადურთან და მის მეგობრებთან მომავალი საქმიანობა რომ არ აღეღვებდა. პირიქით, თითქოს ერთგვარი ინტერესიც კი იპყრობდა



თანდათანობით რწმუნდებოდა, რომ ცდებოდა მთავარი ექიმი. ადამიანი არ ყოფილა მარტო ტვინი, ხოლო დანარჩენი ორგანოები შიამი მომსახურე დეტალები. უწინ, აკადემიკოს დავით გიორგაძისათვის რომ ანალოგიური წინადადება მიეცათ, რა გუნებაზე დადგებოდა?

შაინც რა მოხდა? ტვინმა თავის გავლენაში მოაქცია რამაზ კორინთელის სხეული და გენი თუ პირიქით, კორინთელის გენმა შეცვალა დავით გიორგაძის ბუნება? იქნებ განათლება და ინტელექტი კი არა, რალაც შინაგანი იმპულსები განაგებენ ადამიანს და გააკეთებინებენ ისეთ საქმეებს, თვი-

თონვე რომ მიაჩნია დანაშაულებად იქნებ სწორედ ეს იმპულსებია ადამიანი და არა მხოლოდ ტვინი?

ან იქნებ ორთავე ერთად ქმნიან ერთ რთულ, მოაზროვნე და ემოციურ ისტემას?

რა მელის მომავალში? კიდევ შევიცვლები? ჯერ კიდევ არ დაბალანსირებულია დავით გიორგაძის გონება და რამაზ კორინთელის გენი?

ფიქრიდან გამოერკვა და გაღიზიანებულია მასპინძელა შეხედა.

„ნეტავ რომელი კალიბრის ტყვია გაუხვერეტს ჯავშნოსან შუბლს?“ — დაინტერესდა უცებ რამაზ კორინთელი.

თავი მეცხრე

რამაზ კორინთელმა კიბე ნელა აიარა. არ ჩქარობდა, უნდოდა, მღელვარება დაეოკებინა. დროდადრო ისვენებდა. სიგარეტს ნერვიულად ქაჩავდა. ერთხელ ისიც კი გადაწყვიტა, უკან გავბრუნდებო. რასაკვირველია, წინასწარ იცოდა, რომ ნერვიულობა შეიპყრობდა და განცდები მოეძალებოდა. შეგუებულიც იყო, მაგრამ არ ეგონა, თუ დავით გიორგაძის სახლში სტუმრობა ასე მძიმე იქნებოდა.

აკადემიკოსის ქვრივს ორი დღის წინ დაურეკა. კორეაპონდენტი გახლავართ, განსვენებულ მეცნიერზე წერილი უნდა დავწეროთ. ჯერ ნომრის აკრეფა გაუძნელდა, მეუღლის ხმის გავონებამ კი სუნთქვა შეუკრა და დაამუნჯა.

— გისმენთ, ალო, გისმენთ! — რამდენჯერმე გაიმეორა ქალბატონმა ანამ და ყურმილის მემბრანასაც რამდენიმეჯერ ჩაბერა.

როგორც იქნა, მღელვარება დაიოკა და ხმა ამოიღო.

უკვე შეექვსე თვე იყო, ანას ხმა აღარ გაეგონა. შეთანხმდნენ, რამაზ კორინთელი ორი დღის შემდეგ, საღამოს ხუთ საათზე უნდა სტუმრებოდა მეცნიერის ქვრივს.

ყურმილი რომ დაკიდა, ეგონა, თავისუფლად ამოსუნთქავდა, მაგრამ მოტ-

ყუვდა. ნერვიულობა, რომელიც ჯერ კიდევ მაშინ დაეუფლა, მეუღლესთან დარეკვა რომ გადაწყვიტა, თანდათან უძლიერდებოდა. მთელი ღამე გაურკვეველ სიზმრებში გაატარა, ბორბავდა, ლოგინში წაღმა-უკულმა ტრიალებდა. რამდენჯერმე წამოიყვირა კიდევც, ლოგინზე წამოჯდა და სივრცეში თვალეებს უაზროდ აცეცებდა.

ღილით ადრე ადგა, მზე ჯერ არ ამოსულიყო, მაგრამ უკვე გულის შემაღონებლად ცხელოდა. ერთი კვირის წინ ვიდაც მუსიკოსისაგან ნაყიდი „ფიგული“ გარეცხა. სოსო შადურმა ურჩია, ჯობია მანქანა ვინმე წესიერი კაცისგან იყიდოო. მუსიკოსიც თვითონ მოუყვანა. საქვს რომ პირველად მიუჯდა, ძალიან ღელავდა. ჩვიდმეტი წელი მაინც იყო, მანქანა არ უტარებია. თავის დროზე კარგად მართავდა მანქანას, მაგრამ ჩვიდმეტი წელი პატარა დრო არ იყო, რომ რეაქცია მოსდუნებოდა და ბევრი წვრილმანი დავიწყნოდა. თვითონვე გაუკვირდა, ისე სწრაფად მოერგო საქვს და ისე ოსტატურად გასრიგლდა მანქანებით გადატვირთულ ქუჩებში.

კრიალა წითელ „ფიგულს“ სიამოვნებით შეავლო თვალი და სახლში დალილი ავიდა.



მანქანა ჩაკეტა და ლიფტს მიაშურა. მაგიდაზე დადებულ საათს დახედა, თავი უკმაყოფილოდ გაიქინა. დრო ნელა გადიოდა. უმაღლეს აბაზანა მიაშურა. ჩვეულებრივზე მეტხანს იდგა შხაპის ქვეშ. ცხელოდა, მაგრამ რატომღაც მაინც სიამოვნებდა ცხელი წყალი. აბაზანაში კარგად აღწევდა ტელეფონის ზარის წყრიალი. ყურმილის აღება აზრად მაშინაც არ მოსვლია, როცა ნაბანაეები კვლავ ლოგინში ჩაწვა. ამოდ ცდილობდა დამინებას. ვერ დაიძინა. ნერვებაშლილსა და უჩვეულოდ აღზნებულს, ეგონა, ძილი სამუდამოდ დამიფრთხაო.

ოთხის ნახევარზე მოიღრუბლა და წვიმა წამოვიდა. ჯერ თითქოს ნელა წვიმდა, შემდეგ ერთბაშად დაუშვალია ფანჯრებიდან წვიმა ოთახში ასხამდა, არ წამომდგარა, ფანჯრები არ დაუკეტავს. ეგონა, ახლა მაინც ავრილდებაო. ოთახში მაინც ცხელოდა, თითქოს ღვარივით წამოსული წვიმის კედელი სითბოს ოთახიდან გარეთ არ უშვებდა.

საათს დახედა. ხუთის ათი წუთი იყო. აკადემიკოსის სახლამდე, ბევრი-ბევრი, ოცი წუთის სავალი იყო მანქანით. „მანამდე, ალბათ, გადაიღებს, — გაიფიქრა რამაზ კორინთელმა, — არ გადაიღებს და მით უკეთესი“.

ხუთის ნახევარი გახდა. ისევ წვიმდა. ოთახში დამწყვდეული სითბო ღია ფანჯრებიდან გაქრას ლამობდა, მაგრამ წვიმის კედელი ძველებურად არ უშვებდა.

რამაზ კორინთელმა გადაწყვიტა, კოსტიუმი ჩაეცვა, იცოდა, ქალბატონი ანა ჩაცმულობას როგორ ყურადღებას აქცევდა.

უკანასკნელად ჩაიხედა სარკეში, თმაზე ხელი გადაისვა და წიგნების კარდასთან მივიდა. წიგნებს უკან დამალული ხის ყუთი გადმოიღო და მაგიდაზე დადო. ერთ წუთს დაფიქრდა, შემდეგ ყუთი ენერჯიულად გახსნა, ორ საგანგებოდ დაწებებულ კონვერტს შორის ერთ-ერთი შეარჩია, პიჯაკის შიდა

ჯიბეში ჩაიღო. ყუთი დახურა, ისევ თავის ადგილზე მოათავსა წიგნებს უკან, ერთი ღრმად ამოისუნთქა და სახლიდან გავიდა.

დაბლა რომ ჩამოვიდა, გაცდა. წვიმას უკვე გადაეღო. დაფლეთილ ღრუბლებს შორის მზის სხივები ჩანჩქერივით იღვრებოდა. წვიმა ქალაქის თავზე გაქუქყიანებული ჰაერი თითქოს საგანგებოდ ჩამოერეცხა და გაეკრიალეზინა.

აკადემიკოსის სახლთან რომ მივიდა მანქანის იქვე დაყენება რატომღაც ვერ გაბედა თუ არ მოისურვა. ძრავა ისევ ჩართო და მომდევნო შენობის ბოლო სადარბაზოსთან გააჩერა.

მლეღარებამ აკადემიკოსის სადარბაზოში შესვლის პირველივე ნაბიჯიდან შეიპყრო.

ყველაფერი ზუსტად ისე დახვდა, როგორც ახსოვდა, მაგრამ იქაურობა მაინც სხვანაირი მოეჩვენა, უცხო და ცივი.

ლიფტთან მივიდა, ლილას თითი დააჭირა. კაბინის ჩამოსვლას არ დაელოდა, ლიფტით ასვლა ერთბაშად გადაიფიქრა და კიბეს დინჯი ნაბიჯებით აუყვა. აკადემიკოსი დავით გიორგაძე ლიფტში თითქმის არ შედიოდა. იაედაც სულ კაბინეტში ვზივარ, ამ ოთხი სართულის ავლა ჩემი ვარჯიშიაო, ამბობდა ხოლმე. ლიფტით მხოლოდ მაშინ თუ ისარგებლებდა, როცა ძალიან დაღლილი იყო.

აკადემიკოსის ბინის წინ კარვა ხანს გაჩერდა რამაზ კორინთელი. დაელოდა, სანამ ყელში ამოჩრილი გული ნელ-ნელა დაიწვედა და თავის ადგილზე ჩავიდოდა. მერამდენედ წაიკითხა ლითონის აბრაზე ამოკვეთილი ორად ორი სიტყვა „დავით გიორგაძე“.

ბოლოს, როგორც იქნა, გაბედა და ლილას თითი დააჭირა. ზარის უსიამო წყრიალმა, თვითონაც რომ კარგად გაიგონა, შეაკრთო და გამოაფხიზლა. კარის გაღების მოლოდინში პიჯაკი გაისწორა, თმაზე ხელი გადაისვა და ჯიბეში კონვერტი მოსინჯა.

ფების ხმა ზარის წკრილთან ერთად გაიგონა. მიხვდა, განსვენებულის ქვრივი მოუთმენლად ელოდა.

ჯაჭვმა გაიფარუნა და კარებში ქალბატონი ანა გამოჩნდა.

რამაზ კორინთელი შეერთა, ნაბიჯი წინ ველარ წადგა. მისალმებაც კი დაავიწყდა. აქ რამ მომიყვანაო, გაიფიქრა უცებ. საშინელი სურვილი მოეძალა, შებრუნებულყო და გაქცეულიყო, მაგრამ თითქოს ფეხებიც აღარ ემორჩილებოდა.

აკადემიკოსის ქვრივი გააოცა სტუმრის ჩაფერფლილმა სახემ, ოდნავ მოცახცახე ყბამ და გამომშრალმა თვალებმა. იქნებ ჩემი დამწუხრებული სახე არ ესაიშონაო, გაიფიქრა ანამ და შეეცადა ბაგეზე როგორმე სევდიანი ღიმილი მანც გამოესახა.

— თქვენ ბრძანდებით კორესპონდენტი?

— დიახ! — სუნთქვაშეკრულს თითქოს ეს სიტყვა ჰქონდა ყელში გაჩხერილი. მისი ამოთქმისთანავე ფილტვებმა იგრძნო ჟანგბადის მაცოცხლებელი ძალა.

— მობრძანდით.

რამაზ კორინთელი ჰოლში შევიდა და გაჩერდა, არ იცოდა, საით წასულიყო, კაბინეტში თუ სასადილო ოთახში.

აკადემიკოსის ქვრივმა კარი დაკეტა. შებრუნდა და სტუმარს კაბინეტისაკენ გაუძღვა.

დავით გიორგაძის ბინაში, ერთი შეხედვით, ყველაფერი უცვლელად იყო. ოღონდ კაბინეტში, საწერი მაგიდის თავზე აკადემიკოსის გადიდებული სურათი ეკიდა. ზუსტად ის სურათი, თვითონ რომ მოსწონდა და გადიდებული პირველად ინსტიტუტის ვესტიბიულში რომ ნახა დავით გიორგაძის გაცვენების დღეს.

— დაბრძანდით, — მიანიშნა ანამ კუთხეში მიდგმულ მწვანე სავარძელზე. თვითონ კი მოპირდაპირე მხარეს მოთავსებულ ასეთსავე მწვანე სავარძელში ჩაჯდა.

სავარძლებს შორის ყავისფერი ფინური პატარა მაგიდა იდგა. დავით გიორგაძე სიგარეტს არ ეწეოდა. თურალაც საზეიმო წვეულება არ ჰქონდა, არც სტუმრებს ანებებდა მოწვევას, მაგრამ პატარა მაგიდას მოზრდილი, ფერადი მინის აბსტრაქტული ფორმის საფერფლე ყოველთვის ამშვენებდა.

— რომელი გაზეთიდან ბრძანდებით? — ჰკითხა ანამ.

— ახალი ამბების სააგენტოდან გახლავართ! — მიუგო რამაზ კორინთელმა და უცებ ის ქერათმიანი და დამტამულებულიანი კორესპონდენტი გაახსენდა, აკადემიკოს დავით გიორგაძეს რომ ჩამოართვა ინტერვიუ. — ჩვენი მასალა საქართველოს და საქავშირო პრესაში გამოქვეყნდება სულ სხვადასხვა ტიპის გაზეთებში...

რამაზ კორინთელს გულში გაელიმა. მიხვდა, მისი ტვინი იმდღევანდელი ინტერვიუს აპოკალიფს ირეკლავდა. მღელვარებამ თითქოს გაუარა. სამაგიეროდ, გული დაუძიმდა, სევდა შეეყარა და ერთი სული ჰქონდა, საქმე მალე მოეთავებინა. უნებურად ჯიბეში ისევ მოსინჯა საგულდაგულოდ დაწებებული კონვერტი.

— შეგიძლიათ მეცნიერების საკითხებზე წერა?

— ალბათ, შემიძლია. სხვანაირად აქ არ გამომგზავნიდნენ.

— ჟურნალისტი ბრძანდებით თუ რაიმე ტექნიკური დარგი გაქვთ დამთავრებული?

— არა, ქალბატონო, სამწუხაროდ არა. მე ჟურნალისტი ვახლავართ, მაგრამ ხშირად ეწერ მეცნიერულ პრობლემებზე.

— საინტერესოა, — თქვა ანამ.

რამაზ კორინთელი ვერ მიხვდა, მის ნათქვამში რა იყო საინტერესო და რატომ, თან უხაროდა, აკადემიკოსის ქვრივმა სახელი და გვარი რომ არ ჰკითხა.

უნებურად გადაწყვიტა, თუ ვინაობას მკითხავს, ყოველი შემთხვევისათვის სხვა სახელსა და გვარს ვეტყვიო. ელ-



ვის სიწრაფით სახელი და გვარიც კი შეარჩია. — გოგი მინდელი.

— რას აპირებთ, რა უნდა დაწეროთ ჩემს მეუღლეზე?

რამაზ კორინთელს კიდევ უფრო მოეძალა უსიამო გრძნობა.

— გულწრფელად რომ ვითხრათ, ჯერჯერობით წერილის სტრუქტურა მთლიანად და ნათლად არც კი მაქვს მოფიქრებული. ჯერ მინდა საფუძვლიანად შევიწყვლო ბატონ დაეითის ცხოვრების ზოგიერთი ისეთი ეპიზოდი. საზოგადოებისათვის რომ არ არის ცნობილი, მაგრამ თავისთავად საინტერესო რომ არის და ღირებული. შემდეგ აკადემიკოსის დიდი მეცნიერული შემოქმედება მინდა გავამდიდრო მისი პიროვნული თვისებებით, რომ მთლიანობაში დავხატო მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის მეცნიერულ-მოქალაქეობრივი, ფსიქოლოგიური პორტრეტი.

— მე რით შემიძლია დაგეხმაროთ?

— შეიძლება დავათვალიერო თქვენი ბიზნა? ჩემთვის ახლა ყველა წვრილმანს მნიშვნელობა აქვს.

— დიდი სიამოვნებით.

— მაშ მოდი, კაბინეტიდან დავიწყებ. მინდა ყველაფერი აღვუხსნო გონებაში. თქვენ წარმოიდგინეთ, მეცნიერის ფსიქოლოგიური პორტრეტის შესაქმნელად იმ ერთი შეხედვით უმნიშვნელო დეტალსაც კი აქვს მნიშვნელობა, როგორ და რა პრინციპითა აქვს წიგნები თაროებზე მოთავსებული, რომელი ლიტერატურა აქვს უშუალოდ საწერი მაგიდის ახლოს. რომელს უნდა მიწვდეს მაგიდიდან წამოუდგომლად.

— საინტერესოა! — თქვა ისევ ანამ.

„როდის აქეთ აიკვიატა ეს სიტყვა?“ გაცოფდა უცებ რამაზ კორინთელი.

როცა დავით გიორგაძის ბინაში მისვლა გადაწყვიტა, თავდაპირველად ის გაიფიქრა, ანას როგორ შეხვედროდა, ეშინოდა, ვაითუ ცუდად გავზღე, მღელვარება ვერ დავიოკო და თავი გავცეო. ცდილობდა წარმოედგინა, როგორი იქნებოდა მასთან შეხვედრა, გონებამ ათასგვარი ვარიანტი მართავდა. ვალა და წარმოიდგინა, სულ სიტყვილად! რეალური შეხვედრა სრულიად განსხვავებული და მოულოდნელი აღმოჩნდა. აკადემიკოსის საყვარელი მეუღლის ნახვამ თითქმის გაახარა კიდევ. თან შეეცოდა მარტოდმარტო დარჩენილი ანა. ააშინებოთ სევდა დაეუფლა. რა იყო ახლა ამ ქალის ცხოვრება? ქმარი მოუყვდა, შვილი უჯზოუყვლოდ გადაიკარგა. დარჩა მარტო, სრულიად მარტო. მეცნიერებაში მთელი არსებით ჩაფლული მეუღლის ცხოვრების წესმა წლების მანძილზე ახლობლებიც კი ჩამოაშორა. დავით გიორგაძეს არავისთვის არ ეცალა მეცნიერული კვლევა და ინატიტუტის მოვლა-პატრონობა — აი, რას მიჰქონდა აკადემიკოსის დრონი ბიუჯეტის უღიფხურო ნაწილი.

„მეუღლის გარდაცვალების შემდეგ ნათესაეები, ალბათ, ზრდილობი გულისთვის თუ მოაკითხავენ ხანდახან!“

„აკადემიკოსის ოჯახსაც არავისთვის მოუკლავს თავი. სხვისგან რატომ უნდა მოითხოვდნენ ყურადღებას?“

„დრო აღარ ყოფნიდა დავით გიორგაძეს ახლობლებთან ურთიერთობისათვის, სტუმარმასპინძლობისა და ცერემონიებისათვის. ბევრი, ალბათ, ამიტომაც იქნება განაწყენებული.“

გული კიდევ უფრო დაუმძიმდა.

„რა მემართება? — უკვირდა რამაზ კორინთელს, — სისუსტეს არ ვგრძნობ, მღელვარებამაც გაიარა. აბა, რატომ მომეწამლა გუნება?“

ერთბაშად მიხვდა, აკადემიკოსის ქვრივი აღიზიანებდა. რაკი აზრმა სწორი კალაპოტი იპოვა, მაშინვე მიხვდა, რომ ანა, მისი თეთრი თმა, მომკვანარი, სახე, ბებრულად ფენა-ფენა ჩამოკიდებული ღაბაბი და ვენებდაგანიერებული ფეხები ზიზღს ჰკვირდა. ჯერ არ უნდოდა სიტყვა „ზიზღი“ ეხმარა, მაგრამ სიმართლეს თვალი ვერ დაუხუჭა. ვერ წარმოიდგინა; რომ ამ ქალთან დავით გიორგაძე ოდესღაც სარეცელს იყოფდა.

— თუ შეიძლება, ერთი წუთით დაგ-

ტოვებთ! — თქვა უცებ ანამ, კორეს-
პონდენტის თანხმობას აღარ დაელოდა
და სასადილო ოთახს მიაშურა.

რამაზ კორინთელმა ერთბაშად მოი-
შორა გულის დამამძიმებელი ფიჭრი.
წიგნის თაროებთან მივიდა, ერთ-ერთი
თაროდან ასტრონომიული ენციკლო-
პედიის მეორე ტომი გადმოიღო და გა-
დაშალა. უმაღვე სასადილო ოთახის
კარებს გახედა. ანა ჯერ შემოსვლას არ
აპირებდა. ჯიბიდან კონვერტი ამოაცუ-
რა და სააწრაფოდ წიგნში ჩადო. მე-
რე, ვითომ აქ არაფერიაო, სქელი
მწვანეუდიანი წიგნი თავის ადგილზე
მოათავსა და საწინააღმდეგო მხარეს
მიღვმულ კარადასთან მივიდა.

„მეგონა, უფრო ამაღლეებდა აკადე-
მიკოსია კაბინეტის ნახვა“, — სინანულ-
ლით გაიქნია თავი რამაზ კორინთელმა.

— უკაცრავად, რომ მიგატოვებ.

— როგორ გეკადრებათ, ქალბატონო
ანა! — სწრაფად შემობრუნდა დავით
გორგაძის ქვრივისაკენ.

— იქნებ მარტო გირჩევნიათ ყოფ-
ნა, ხელა ხომ არ გიშლით?

— პირიქით, ქალბატონო ანა, პირი-
ქით. ნება მიბოძეთ რამდენიმე შეკით-
ხვა მოგცეთ და ამჯერად ამით და-
კმაყოფილდეთ.

— გისმენთ.

— ინსტიტუტიდან თუ მოდიან თქვე-
ნი მეუღლის კოლეგები? რაიმე დახმა-
რება თუ შემოგთავაზეს? ან იქნებ უკ-
ვე დაგეხმარნენ კიდეც?

— დახმარებით რას უნდა დამხმა-
რებოდნენ. ჩემი მეუღლე სახელმწიფომ
დაასაფლავა. კაცმა რომ თქვას, არც
მინდოდა არავითარი დახმარება. არც
მინდა და არც მჭირდება ოღონდ, მთა-
ვარია, მომიწესრიგონ ჩემი მეუღლის
მეცნიერული მემკვიდრეობა და იზრუ-
ნონ მისი შრომების გამოცემისათვის.

— კერძოდ, ხომ არ მეტყვიოთ, ვინ
იყო თქვენთან.

— სამჯერ მინახულა ოთარ კახი-
შვილმა, ინსტიტუტის ახალმა დირექ-
ტორმა, მეოთხედ თანამშრომლებთან
ერთად მესტუმრა. ერთხელ ერთმა

ახალგაზრდა მეცნიერმა, მგონი, რომ
კავშირული ორგანიზაციის მდივანთან
ინსტიტუტიდან ჩემი მეუღლის წიგნები
და რაღაც ნივთები მომიტანა.

— რაო, მაინც რა თქვა ოთარ კახი-
შვილმა?

— შეწუხებული იყო. დავითს რა-
ღაც საიდუმლო დოკუმენტები ჰქონია
სეიფში შენახული.

— მერე? — აღელდა რამაზ კორინ-
თელი.

— სეიფის შიფრი ხომ არ იცითო.
აბა, საიდან მეცოდინება.

„ნაძირალა!“ — იყვირა გულში რა-
მაზ კორინთელმა. უმაღვე მიხვდა, ოთ-
არ კახიშვილს რა საიდუმლო ქალღდე-
ბის ბედიც აწუხებდა.

— შიფრი რომ ვერ ვუთხარი, ძალზე
შეწუხდა და მითხრა, იქნებ სულაც ში-
ნა აქვს ის დოკუმენტები წამოღებუ-
ლიო. მთელი კაბინეტი გადააქოთა.

— იპოვა რამე?

— ვერაფერი. სასოწარკვეთილი წა-
ვიდა. ერთი კვირის მანძილზე კიდეც
ორჯერ მესტუმრა. მაინც ვერაფერი
აღმოაჩინა. დიდი საყვედური შემხვე-
ბო, მითხრა გამომშვიდობებისას.

„მათხოვარი!“ — ისევ მთელი ხმით
იყვირა კორინთელმა ვონებაში. თავი
ძლივს შეიკავა, რომ სიბრაზისაგან არ
აცახცახებულყო.

— სხვა ხომ არაფერი უთქვამს?

— არაფერი.

— ლაპარაკი ხომ არ ჩამოუგდია
თქვენი მეუღლის ბოლო გამოკვლე-
ვაზე?

— არაფერი უთქვამს. მხოლოდ ის
თქვა, მალე შევიკრიბებით და თქვენი
მეუღლის უკვდავსაყოფ ღონისძიებებს
დაესახავთო.

— ამის შემდეგ მოვიდა სხვებთან
ერთად?

— დიას!

— კიდეც გკითხათ რამე?

— იგივე შეკითხვა გამიმეორა, ხომ
არაფერი გიპოვიათ, დოკუმენტებს ან
მეუღლის მეცნიერულ ნაშრომს ხომ არ
წაწყდომიხართო.



— სხვების გაააგონად ვითხრათ, არა?

— დიახ, — შეცბა ქალი, — თქვენ როგორ გგონიათ, არ უნდა ეკითხა?

— არა, ქალბატონო ანა, ბუნებრივად მიმაჩნია, რომ სხვების გაააგონად ეკითხა, — გაღიმება სცადა რამაზ კორინთელმა, — თქვენ რა უპასუხეთ?

— რა უნდა შეპასუხა. არაფერს არ წავწყდომივარ-მეთქი.

— შვილის ამბავი ხომ არაფერი ვაგიგიათ? — შეცვალა კორინთელმა თემა მოულოდნელად.

— შვილის? — ანამ ამოიოხრა და თვალზე მომდგარი ცრემლი მოიწმინდა, — არაფერი.

— ვილაცემ თქვა, თითქოს მამის გაყვენებაზე ჩამოვიდა და პარიკით გადასხვაფერებული ხალხში იყო მიმალული.

— ვინ თქვა? — გამოცოცხლდა ქალი.

— არ ვიცი, ვინ იყო. არ ვიცნობ, თქვენი მეუღლის გაყვენებაზე ვნახე. აღარც მახსოვს, როგორი სახე ჰქონდა. უბრალოდ მოგვარი ყური, მეგობარს რომ უთხრა, შეიძლება ჩამოსულია და სადმე აქვეა ხალხში მიმალული.

— არა მგონია. ისე არ წავიდოდა, რაღაცნაირად ტელეფონით რომ არ დამლაპარაკებოდა ან ჩემს დააამშვიდებლად რომელიმე მეგობარი მაინც არ მოეგზავნა.

— სულ არაფრისთვის მოგიკრავთ ყური?

— ანამ ისევ მწარედ ამოიოხრა და ხმა მალლა აქეთინდა.

— მაპატიეთ, ქალბატონო ანა, მაპატიეთ, რომ გული უნებურად გატკინეთ.

— რიდასთვის ვცოცხლობ, არ ვიცი. ადამიანი ძალი ყოფილა, იოლად არ კვდება, მაინც მაქვს იმედი, რომ სადღაც იმალება და როცა იქნება გამოჩნდება. — ქალმა ღრმად ამოიოხრა, — ოღონდ ვიცოდე, რომ ცოცხალია და თუ უნდა, სულაც ნუ გამოჩნდება.

— მილიცია? ნუთუ მილიცია დუმა?

არ მოსულან თქვენთან დააკეთებდნენ რაღაც ცნობები არ მოუწყვლიათ?

— როგორ არა, ბევრჯერ დამკითხეს. ჩაეწერინე, კისტან მეგობრობდა, როგორი ხასიათი ჰქონდა. ერთი სიტყვით, რაც ვიცოდი, ყველაფერი ჩაეწერინე.

— მაინც რა დასკვნამდე მივიდნენ?

— ექვიც აღარ ეპარებათ, რომ ის საცოდავი ჩემმა შვილმა გაიტანა. შეშინებულმა მანქანა მიატოვა და სადღაც გადაიკარგა.

აკადემიკოსის ქვრივმა ცრემლები ველარ შეიკავა, ჯიბიდან პატარა შავი ცხვირსახოცი ამოიღო და თვალები შეიმშრალა.

— თქვენ რატომ გაინტერესებთ ჩემი შვილის ამბავი? — გამოერკვა უცებ ანა და რამაზ კორინთელი ექვიანად შეათვლიერა, — შემთხვევით, ხომ არ იცნობდით?

— მაპატიეთ, ქალბატონო ანა, უბრალოდ დამაინტერესა მისმა ამბავმა, ვიცი, რომ ბატონ დავითა ინფარქტი შეიღია თაობაზე დაემართა. ბოდიშს გიხდით, რომ უნებურად ჭრილობა გაგილიზიანეთ.

ფეხზე წამოდგა, მაგრამ მიხვდა, რომ ახლავე წასვლა არ ივარგებდა, რამაზ კორინთელი ქალს კიდევ უფრო დააეჭვებდა და კვლავ წიგნის თაროებთან მივიდა.

— რამდენადაც ვიცი, მეცნიერული მუშაობით დაღლილ ბატონ დავითს ძალიან უყვარდა პიანინოზე დაკვრა.

— დიახ, თქვენ ეგ საიდან იცით? ჩემი მეუღლე შესანიშნავად უკრავდა. არცაა გასაკვირი. დავითი მუსიკოსების შვილი იყო. მშობლებმა თურმე დიდი სურვილი ჰქონდათ, შვილიც მათ კვალს გაჰყოლოდა.

— მე ისიც ვიცი, რომ ბატონ დავითს ამ დროს ძალიან უყვარდა უშაქრო ყავა.

— საინტერესოა!

„საინტერესოა!“ — ისევ გააფრიალა ტანში რამაზ კორინთელა, — ეტყობა. ახალი ამოჩემებული აქვა ეს სიტყვა“.

— ახლა კი წავალ. ქალბატონო ანა. აკადემიკოსის ქვრივი ფეხზე წამოდგა.



— მე ჯერ ბევრი უნდა ვიფიქრო. დიდი სურვილი მაქვს, საინტერესო წერილი გამომივიდეს. ჩემთვის უკვე ნათელია ის შინაურული გარემო და ატმოსფერო, სადაც ბატონ დავითს უხდებოდა მუშაობა. თუ რამ ისეთი საკითხი წამოიჭრა, რომელსაც უთქვენოდ ვერ გადავჭრი, ვიტოვებ უფლებას, კიდევ ერთხელ შეგაწუხო.

— რამდენჯერაც გნებაუთ, იმდენჯერ მობრძანდით.

ანამ სტუმარი სადარბაზომდე მიაცილა.

— ლიფტით ჩაბრძანდით.

— ფეხით მირჩევენია, ქალბატონო ანა. მიღებისა და გულისხმიერებისათვის დიდ მადლობას მოგახსენებთ. კარგად ბრძანდებოდეთ!

რამაზ კორინთელმა კიბე ჩაირბინა უნდოდა, რაც შეიძლება სწრაფად მოშორებოდა შენობას, რომლის შეძლებაც უკვე მოააწრო რაღაც ოციოდე წუთში.

ქუჩაში რომ გავიდა, თავისუფლად ამოისუნთქა, გუნება ერთბაშად გამოუკეთდა და ჩქარი ნაბიჯით მანქანისკენ გაემართა. შორიდანვე მოჰკრა თვალი ახლად ნაყიდ წითელ „ჟიგულს“, ქუჩაში რომ მეგობარივით ელოდებოდა. ორ წუთში მანქანასთან იყო. სიყვარულით შეაგლო თვალი გაკრიალებულ „ჟიგულს“ და კარი გამოადო.

ერთი სული ჰქონდა, სხვა ქუჩაზე როდის გავიდოდა. არ სიაშოვნებდა იმ ქუჩაზე გავლა, სადაც ყოველი ხე, ყოველი შენობა მისთვის უკვე უსიაშოვნო წარსულს აგონებდა.

აჰა, დააღწია კიდევ თავი ემ. ქუჩაშია საც და იმ უბანსაც. გულს ერთბაშად დაეუფლა უზომო სიხარული. ისეთი განცდა ჰქონდა, თითქოს სხვა სამყაროდან და წარსულიდან, სადაც შორს, შორს, მოგონებათა ბინდბუნდში რომ იძირებოდა, ერთბაშად ამოხტა მომავალში და სრულიად ახალ სამყაროში ამოჰყო თავი.

უცებ სარკეში ნაცრისფერ „ვოლგას“ მოჰქანა თვალი.

მანქანა ნაცნობი ეჩვენა.

ახლალა გააცნობიერა, დავით გიორგაძის სადარბაზოდან რომ გამოვიდა, მაშინ დალანდა იქვე, სადარბაზოდან ოცდაათიოდე მეტრის მოშორებით.

„მგონი, მე მომდევს!“ — დაასკვნა უნებურად.

ნაცრისფერი „ვოლგა“ ოცი-ოცდახუთი მეტრის დაშორებით მოდიოდა.

რამაზ კორინთელმა სიჩქარეს უკლო. ნაცრისფერმა მანქანამ ინტერვალი შეინარჩუნა.

საეჭვო აღარაფერი იყო.

„ვინ უნდა იყოს?!“ — გაიფიქრა კორინთელმა და წიგნების მაღაზიის წინ მანქანა მკვეთრად დაამუხრუჭა.

„ვოლგამ“ გვერდი აუქცია და გზა განაგრძო.

რამაზ კორინთელმა წამიერად მოჰკრა თვალი საქვსთან მჯდომ, ავადმყოფურად გამხდარ, საფეთქლებშეჰალარავებულ ახალგაზრდა კაცს.

მეტი მანქანაში არავინ იყო.

„ვითომ მე მომდევდა?!“ — მხრები აიჩეჩა რამაზ კორინთელმა და ძრავა ისევ ჩართო.

თავი მეთე

ატროფიზიკის კვლევითი ინსტიტუტი.

აკადემიკოს დავით გიორგაძის კაბინეტი.

უზარმაზარ, პომპეზურ, სვეტებიან კაბინეტში ყველაფერი უცვლელად იყო შენარჩუნებული. კედლებზე კვლავინდებურად ეკიდა აინშტაინის, ნიუტონის,

ბორისა და ეილერის სურათები, ძველებური, დათვისფეხებიანი საწერი მაგიდა, რბილი, ძველებური სკამები, ერთ კუთხეში ტყავის დივანი, საწერ მაგიდაზე მიდგმული ახალი, მაგრამ ძველ ავეჯს მიმსგავსებული გრძელი მაგიდა ძველებურად იყო განლაგებული ინსტიტუტი. დირექტორის კაბინეტში.



იყო მხოლოდ ერთი, მაგრამ ძალზე მნიშვნელოვანი ცვლილება. დირექტორის სავარძელში, მბრუნავ, მძიმე, შავი ტყავის სავარძელში აკადემიკოს დავით გიორგაძის ნაცვლად იჯდა პროფესორი ოთარ კახიშვილი.

ახალ დირექტორს სავარძელი უკან დაეწია, რბილ სახურავს დიდკაცურად მიყრდნობილს ფეხი ფეხზე შემოედო. ხელში სათვალე ეჭირა და კარებში შეჩერებულ ახალგაზრდა კაცს ოდნავ დაბნეული შესცქეროდა.

ახალგაზრდა კაცი, სახეზე რომ თავხედური ღიმილი დასათამაშებდა, რამაზ კორინთელი გახლდათ.

ოთარ კახიშვილია ყურადღება უმაღლვე მიიპყრო ჭაბუკის უძვირფასესმა თეთრმა კოსტიუმმა.

„ნეტავ, რა საქმე უნდა ჰქონდეს?“ — გაივლო გულში.

უცნობ ჭაბუკთან შეხვედრას ორი დღის მანძილზე ელოდა, მაგრამ კაბინეტში რომ დაინახა, მინც დაიბნა და აღელდა. თვითონაც ვერ მიმხვდარიყო, რა ემართებოდა.

ინტიუციას აძლევდა სიგნალი, რომ რაღაც მნიშვნელოვანი ამბავი უნდა მომხდარიყო?

რამაზ კორინთელი არ დალოდებია დირექტორის მიწვევას, ჭიჭურ მივიდა მაგიდასთან, რბილი სკამი გამოაწია, სკამს კარგად მოერგო და მხოლოდ ამის შემდეგ თქვა:

— გამარჯობათ!
დირექტორმა მისალმების ნიშნად თავი დაუქნია.

რამაზ კორინთელი პირველად სამი დღის წინ ესტუმრა ინსტიტუტის ახალ დირექტორს, თვალში იავე მოხვდა დირექტორის პირადი მდივნის მარინე დვალის საესე მკერდი. ახალგაზრდა ქალს კვლავ შავი, გულმოდელი კაბა ეცვა. მშვენივრად იცოდა, შავი კაბის ფონზე კრიალა თეთრი მკერდი უფრო ენებიანად რომ იკვეთებოდა.

ქმარს გაშორებული პატროსანი ახა-

ლგაზრდა ქალი სიამოვნებას მისცემდა. ბის ვნებიან მზერაში პოულობდა. რამდენი შემოდოდა მისადებში სრულიად უსაქმოდ, რომ მისი მკერდისათვის ერთხელ კიდევ ხარბად შეეკლოთ თვალი. მათი აციმციმებული თვალებიდან გადმოფრქვეული ვნება მკერდს ნახად ელაციცებოდა, ვაჟკაცია ხელივით ვნებიანად ეალერსებოდა.

— დირექტორი მოსულია? — ცოტა თავხედურად იკითხა ჭაბუკმა.

ქალს გაუკვირდა მისი უყურადღებობა. მიჩვეული იყო, რაც არ უნდა საქმიანი კაცი შემოსულიყო კაბინეტში ან რაც არ უნდა გაბრაზებული ყოფილიყო ვინმე, მისი მკერდის შემხედვარეს ბაგეზე აუცილებლად ღიმილი გადაეკერებოდა.

— დღეს მიღება არ არის!
— მე ეგ არ მიკითხავს. მე გკითხვით, დირექტორი თუ მოვიდა-მეთქი!

— დირექტორი მოსულია, მაგრამ ვერ მიგიღებთ, ჩაკეტლია.

— თქვენ ჩაკეტეთ?
— ხუმრობისთვის არ მცალია!

რამაზ კორინთელი მიხვდა, მარინე მისმა თავხედობამ კი არა, უყურადღებობამ გააცოფა.

— მე თქვენ დიდი ხანია გიცნობთ.
— არა მგონია.

— იაიც ვიცი, საწოლთან რა სურათი გიკვლიათ.

— სურათი?! — გაოცდა მარინე.

— დიახ, სურათი, დეგას ბალერინები. ყვეთელკომპლებიანი ტორშერი კიდევ გაქვთ?

— თქვენ ეგ საიდან იცით? — მღელვარებისაგან ქალის ჯიშინი მკერდი შავი ძვირფასი კაბის ჭრილიდან ამოვარდნას ლამობდა.

— მე ყველაფერი ვიცი. შემისვებთ დირექტორთან?

მარინე ფეხზე წამოდგა, ვაჟს მრავალმნიშვნელოვნად გადახედა, თავი გაოცებულმა გაიქნია და დირექტორის კაბინეტში შევიდა.

რამაზ კორინთელმა ჰალსტუხი შეისწორა.



მდივანი მალე გამობრუნდა.

— შედით! — უთხრა ეკეს და გოგნებულის მაგიდას მიუჯდა.

რამაზ კორინთელმა კაბინეტს რომ თვალი მოავლო, მღელვარებამ შეიპყრო, სახე აელეწა, გულზე უზარმაზარი ტკიპა დააჯდა და სისხლი ხარბად გამოსწოვა.

ოთარ კახიშვილი ჭაბუკს მოთმინებით მიაჩერებოდა.

რამაზ კორინთელს თითქოს დაავიწყდა. დირექტორთან რისთვის შევიდა. კაბინეტი ხარბად მოათვალიერა და მზერა სეიფზე შეაჩერა. იქ, მუხის ფიცრებით მოპირკეთებულ ნიშში ჩასმულ უძველეს და უზარმაზარ გერმანულ სეიფში იღო მისი გამოკვლევა — „რადიოაქტიური გამოსხივების მეხუთე ტიპი“.

ფიქრმა ისე გაიტაცა, დირექტორი სულ გადავიწყდა.

— რა გნებავთ, ყმაწვილო! — მოესმა უცებ ოთარ კახიშვილის ხმა.

კვლევითი ინსტიტუტის ახალმა დირექტორმა წინადადების ბოლოს კითხვის ნიშნის ნაცვლად ძახილის ნიშანი დასვა, რითაც ჭაბუკის თავხედური საქციელით გამოწვეული გაბრაზება გამოხატა.

რამაზ კორინთელი გამოერკვა და მზერა ერთბაშად დირექტორზე გადაიტანა. თავი მოთოკა, დაწყნარდა. თუმცა აღგზნებული თვალები მაინც უბრწყინავდა.

„ვინ ზის აკადემიკოსის სავარძელში?!“ — ბრაზი მოერია უცებ.

— რა გნებავთ, ახალგაზრდავ. მე ამდენი დრო არ მაქვს!

— ძალზე სერიოზულ საქმეზე გეახელით, ბატონო ოთარ! — „ბატონო“ ხაზგასმული ირონიით წარმოთქვა რამაზ კორინთელმა. — თუ დღეს არ გცალიათ, ხვალ გეახლებით, თუნდაც ზეგოლონდ, როცა მიმიღებთ, ნახევარი საათი უნდა დამითმოდ.

ოთარ კახიშვილმა არაფერი უპასუხა. არ იცოდა, რა ეთქვა. ალბათ, რომელიმე მორიგი გიჟია, პერპენტუმ მობილუ

რომ გამოიგონაო, გაიფიქრა გულში და დააწყვიტა, უცნობი დღესვე შერეობინა თავიდან.

— მაინც რა საქმე გაქვთ, ორ წუთში რომ არ ითქმება?

— როდესაც მიმიღებთ, მაშინ მოგახსენებთ.

— ეტყობა, კარგად ვერ გამიგეთ, — დაბალ ტონალობაზე ჩამოვიდა დირექტორი, იმდენად დათრგუნა რამაზ კორინთელის თვალებმა, — მე მაინტერესებს საუბრის თემა. იქნებ საჭიროა წინასწარ მოვემზადო?

— იმედი მაქვს, ახალგაზრდა კაცთან სასაუბროდ თქვენი რანგის მეცნიერს წინასწარ მომზადება არ დასჭირდება.

— ჰმ! — თავი უკმაყოფილოდ გაიქნია ოთარ კახიშვილმა, კალენდარს ჩახედდა და მცირეოდენი ფიქრის შემდეგ თქვა, — ზეგ მობრძანდით, საღამოს ექვს საათზე.

— ბატონი! ბრძანდებით! — რამაზ კორინთელი მკვირცხლად წამოიჭრა და წავიდა.

დირექტორმა მხრები აიჩეჩა. როცა ჭაბუკმა კარი გაიხურა, ნელა წამოდგა და ფანჯარასთან მივიდა.

ქუჩაში წითელი „უიგული“ იდგა. მანქანას ქერა, თმაგაშლილი ლამაზი გოგონა მიყრდნობოდა. შორიდან ეროვნების გარჩევა გაუჭირდა ოთარ კახიშვილს.

„ალბათ, რუსია, შეიძლება ბალტისპირეთიდანაა ჩამოსული, იქნებ სულაც ქართველია, — ფიქრობდა იგი, — განა ჩვენში ცოტანი არიან ცისფერთვალება და ქერა გოგონები?“

დირექტორმა მხოლოდ ორი რამ დაასკვნა: ქალს, მართალია, შარვალი ეცვა, მაგრამ აშკარად ეტყობოდა, ძალზე ლამაზი ფეხები ჰქონდა და იგი იმ ჭაბუკს ელოდებოდა, წელან რომ დატოვა კაბინეტი. არც შემცდარა. მალე ჭაბუკიც გამოჩნდა. მანქანაზე მიყრდნობილი ქალიშვილი შეირხა, ოთარ კახიშვილს ისეე მოხვდა თვალში შარვალში გამოკვართული ლამაზი ფეხები, მანქანას მეორე მხრიდან მოუარა, კარი გამოაღო და

საქმე მიუჯდა. ჰაბუკ მანქანის კარი ხე-
რიანადაც არ ჰქონდა მიხურული, რომ
„ჟიგული“ ადგილიდანვე სწრაფად და-
იძრა.

ოთარ კახიშვილმა წითელ ვაკრიალე-
ბულ მანქანას თვალი გააყოლა. ჰაბუკმა
აშკარად დაინტერესა. ნეტავ დღესვე
დამეგდო ყური, ვინ იცის, რაა მეტყო-
დაო. თუმცა უმალვე მიხვდა, ჰაბუკისა-
დმი ინტერესი მას მერე გაუჩნდა, ლა-
მაზი, ქერა ქალიშვილი რომ დაინახა.
რატომღაც სევდით ამოიოხრა და სავა-
რძელს მიაშურა. თვალი კვლავ სეი-
ფისაკენ გააპარა, იმ უზარმაზარი, ძვე-
ლებური სეიფისაკენ, სადაც აკადემი-
კოს დავით გიორგაძის ნაშრომი ეგუ-
ლებოდა. უმალვე გადაავიწყდა ის უც-
ნაური ჰაბუკიც, ქერა, მაღალფეხებიანი
ქალიშვილიც, პროფკავშირული კრე-
ბაც, სიტყვით რომ უნდა გამოსულიყო,
აკადემიის პრეზიდენტის სახელზე დასა-
წერი მოხსენებითი ბარათიც, სადაც ინ-
სტიტუტის სარემონტო თანხია გამო-
ყოფისა და ახალი კორპუსის მშენებ-
ლობის საკითხი უნდა დაეყენებინა.

ოთარ კახიშვილმა იცოდა, ახლად და-
ნიშნული დირექტორის თხოვნას დასა-
წყისში უფრო გაუწყვედნენ ანგარიშს.

აი, ამდენი საზრუნავი გადაავიწყა
მუხის ფიცრებით მოპირკეთებულ ნიშ-
ში შედგმულმა უძველესმა გერმანულ-
მა სეიფმა. ისეთი განცდა ჰქონდა, თით-
ქოს თვითონ დაემსგავსა უზარმაზარ
სეიფს.

ახალი დირექტორი გონებაგახსნილი
კაცი იყო და მოვლენებს რეალურად აღ-
იქვამდა. იცოდა, მისი რანგის მეცნიე-
რები, და იქნებ ცოტა უკეთესებიც, აქვე
იყვნენ, ინსტიტუტში. ორი ღირსეული
ქართველი მკვლევარიც გაიხსენა, მო-
სკოვსა და ნოვოსიბირსკში რომ მოღვა-
წეობდნენ. კახიშვილმა იცოდა, მათ
რომ ინსტიტუტის დირექტორობა მოე-
ნდომებინათ, წინ ვერაფერი დაუდგე-
ბოდათ. გაუმართლა, დირექტორობა
ხელში ჩაიგდო, მაგრამ ავტორიტეტი...

ოთარ კახიშვილს საღი განსჯის უნარი
ჰქონდა. ადამიანებშიც კარგად ერკვეო-

და და იცოდა, კვლევით ინსტიტუტში
დირექტორობა დიდ ვერაფერში უმართო-
ტესობას ნიშნავდა, თუ მეცნიერებაში
თანამშრომელთა თანაბარი შიშაც არ
იქნებოდა. როცა ამ სითანაბრეს დირე-
ქტორობაც მიემატებოდა, მაშინ მისი
მეცნიერული კვლევაც მეტ ფასს დაი-
ღებდა. გაცილებით მეტს, ვიდრე სინა-
მდვილეში ერგებოდა. ეს ძალიან კარ-
გად იცოდა პროფესორმა ოთარ კახი-
შვილმა.

და აი, იქ, იმ მუქყავისფრად შეღე-
ბილ გერმანულ სეიფში იდო ისეთი გა-
მოკვლევა, რითაც თავის კოლეგებზე
ათი თავით ამალღებოდა და მსოფლი-
ოსაც აალაპარაკებდა.

ოთარ კახიშვილს არც ის ავიწყდებო-
და, ინსტიტუტის თანამშრომლებმა და-
ახლოებით რომ იცოდნენ, რა შეიძლე-
ბა ყოფილიყო დირექტორის სეიფში.
აკადემიკოს დავით გიორგაძის მემკვიდ-
რეობია შემსწავლელი კომისიის შედ-
გენასაც იმიტომ არ ჩქარობდა.

დავით გიორგაძე მოკვდა და სამარე-
ში ჩაიტანა შიფრი, რომლითაც სეიფის
გახსნა შეიძლებოდა. ოთარ კახიშვილი
უძლეური იყო, სეიფის ხუთნიშნისანი მი-
ლიონობით თუ მილიარდობით კომბი-
ნაციიდან გამოეცნო ის ერთადერთი, სე-
იფს რომ უჩუმრად გაახსენებოდა. თუ-
კი მოსკოვიდან ოსტატს გამოიძახებდა,
მაშინ ყველაფერი იკარგებოდა. სეიფის
გახსნას მთელი კომისია დაესწრებოდა.

რამდენჯერმე ესტუმრა შინ აკადემი-
კოსის ქვრივს. პირველსავე შეხვედრა-
ზე თავი ვერ მოთოკა და სეიფის შიფ-
რზე ჩამოუვლო საუბარი. თქვენს გარ-
დაცვლილ მეუღლეს და ჩვენს დიდად
საყვარელ მეცნიერს სეიფში რამდენიმე
საიდუმლო დოკუმენტი დარჩა ჩაკეტი-
ლიო. თუ ეს დოკუმენტები სასწრაფოდ
არ წარვადგინეთ სათანადო ორგანოებ-
ში, მთელი დირექცია დავისჯებითო. იქ-
ნებ თავს ძალა დაატანოთ და როგორმე
გაიხსენოთ, ხომ არსად ექნება დატოვე-
ბული სეიფის შიფრიო.

ვერაფერი დაადგინა. მიხვდა. აკადე-



მიკოსია მეუღლემ აეიფის შიფრისა არაფერი იცოდა.

უცებ კახიშვილს გონება გაუნათდა.

„იქნებ სეიფში არც კი აქვს ნაშრომი შენახული?“

„იქნებ აქ, შინ, რომელიმე უჭრაშია საქალაქდღეში მოთავსებული?“

ციემა ოფლმა დაასხა, ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო, ოდნავ შემელოტებული თავი მოიწმინდა, სათვალე მოიხსნა, ჯერ დაორთქლა, მერე გულდამით გაწმინდა. მთელი ამ პროცედურის მანძილზე ფიქრობდა, მღელვარება როგორ დაეოკებინა და საუბარი როგორ დაეწყო.

— ქალბატონო ანნა! — ამოღერღა ბოლოს, ორი „ნ“-ით, ცხვირსახოცი ისევ ამოიღო და ამჯერად ლოყები შეიმშრალა.

დამწუხრებულმა ქალმა სევდიანი თვალები მიაპყრო ინსტიტუტის ახალ დირექტორს.

— ქალბატონო ანნა, — ისევ ამოილულულა ოთარ კახიშვილმა, — ძალიან მიჭირს ამის თქმა, მაგრამ რას იზამთ, თავს ზევით ძალა არაა. იქნებ ის საიდუმლო დოკუმენტები შინა აქვს მოტანილი ბატონ დავითს? ბუნებრივია, თქვენ გიძნელდებათ ქმრის ნივთების შეხებაც კი, მით უმეტეს, ამ ნივთებთან დაკავშირებული ამბების გახსენება. უნდა მომიტევეთ, ქალბატონო ანნა, უნდა მომიტევეთ. იმედი მაქვს თქვენი მოწყალე გულიაა. რას იზამ კაცი, სამსახური სამსახურია, საიდუმლო დოკუმენტი კი — საიდუმლო დოკუმენტი. ისედაც ძალზე დაგვაგვიანდა მათი დანიშნულებრიამებრ ჩაბარება. მინდა შეგეშველოთ ამ მძიმე წუთებში და თუ ნებას დამრთავთ, მე თვით დავათვალეგრებ საწერი მაგილის უჭრებსა და წიგნის თაროებს, მით უმეტეს, ვიცო, რა დოკუმენტებიცაა მოსაძებნი.

აკადემიკოსის ქვრივმა ღრმად ამოიოხრა, თვალზე მომდგარი ცრემლი შეიწმინდა და კახიშვილს ანიშნა, თანახმა ვარო.

— მე მუდამ მჯეროდა თქვენი ღიღი

ინტელიგენტობისა. ქალბატონო ანნა, ფეხზე სასაცილოდ წამოიჭრა ინსტიტუტის ახალი დირექტორი და აკადემიკოსის ქვრივის ხელს მხურვალედ ეამბორა. თანაც ამბორი გაცილებით ხანგრძლივი გამოუვიდა, ვიდრე წესით იყო მიღებული.

როგორ არ ჰგავდა ამ წუთში თავის თავს ჯმუხი შეახედაობის მეცნიერი. ოთარ კახიშვილის უხეშ, უნიჭო მოქანდაკის საჭრეთლით გამოკვეთილ ბლაგვ სახეზე ერთადერთი ინტელექტუალური დეტალი სათვალე იყო. მთელი მიაი ნაზი ფრაზები და უჩვეულო, სასაცილო მოძრაობა წყლის ზედაპირზე მოტივტივე ბენზინს ჰგავდა. ახალი დირექტორის დღევანდელი უჩვეულო მანერები უფრო იმიტომ იყო სასაცილო, რომ მიაი გამომეტყველებიდან უხვად იღვრებოდა დედაქალაქში ჩამოსული და გზაგაყვული პროვინციელის ენერგია და სითავხედე.

ოთარ კახიშვილი საწერ მაგიდასთან დადგმულ ტყავის საეარძელში ჩაჯდა. აკადემიკოსის ქვრივს გული შეეკუმშა. მეუღლის სიკვდილის შემდეგ დევით გიორგაძის საეარძელში პირველად ჩაჯდა სხვა ადამიანი. ქალბატონმა ანამ თვალზე მომდგარი ცრემლი მოიწმინდა და სასადილო ოთახში გავიდა.

ოთარ კახიშვილმა შვებით ამოისუნთქა და უჭრება გაშმაგებული ეცა. დამთავრებული ნაშრომი თუ სეიფში აქვს მოთავსებული, აქ იქნებ შავი პირი მაინც ვიპოვო, ფიქრობდა და ელვისებურად მუშაობდა. გული იცე გამალებით უცემდა, ეშინოდა, მიაი ბაგაბუგი აკადემიკოსის მეუღლემ მეორე ოთახში არ გაიგონოსო. სახეზე ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა. ცხვირსახოცია ამოღებაზე დროს არ კარგავდა, შუბლს პირდაპირ ხელით იწმენდა.

ორი საათის მანძილზე ყველაფერი გადააქოთა, ხელნაწერს წიგნებს შორისაც კი დაეძებდა. ვერაფერი იპოვა. იმედ-

გურამ ფანჯიანიძე
საირალი

გაცრუებული და საოწარკვეთილი კვლავ აავარძელში ჩაეშვა. უცებ იგრძნო, სატიკად წყუროდა.

აკადემიკოსის ქვრივი მალე უკან შემობრუნდა. ოთარ კახიშვილის საოწარკვეთილი სახე რომ დაინახა, შეშინდა.

— რა მოხდა, ბატონო ოთარ, ცუდად ხომ არა ხართ?

— იქნებ წყალი დამალევივით, ქალბატონო ანნა!

შეშფოთებულმა ქალმა თავისი ასაკისათვის უჩვეულო სისწრაფით მოუტანა წყალი.

— ნუთუ აეთი საჩქაროა ის დოკუმენტები? — წარმოთქვა შეწუხებულმა, როცა ოთარ კახიშვილმა წყალი მოსვა.

— ასწრაფთა და მერე როგორი, თუ არ შეგაწუხებთ, კიდევ მოვალ და უფრო გულიაყურით დავძებნი.

— ბატონი ბრძანდებით.

ოთარ კახიშვილი კიდევ ორჯერ ესტუმრა აკადემიკოსის ქვრივს. კიდევ ორჯერ გადააქოთა იქაურობა. სეიფის შიფრს ვინღა დაეძებდა, ნაშრომის არამცთუ შავი პირი, ერთი ქვეთავიც კი ვერაად იპოვა.

სასოწარკვეთილმა ოთარ კახიშვილმა სამდღიანი უშედეგო ძიების შემდეგ ერთი დასკვნა გამოიტანა, აკადემიკოს დავით გიორგაძეს საბოლოოდ ჩამოყალიბებული და გადათეთრებული ნაშრომი სეიფში ჰქონდა მოთავსებული, სეიფში, რომლის საიდუმლო გახსნასაც, ჯერ კიდევ არ იცოდა, როგორ მოახერხებდა.

მას შემდეგ, სადაც არ უნდა ყოფილიყო, სულ ძველებურ გერმანულ სეიფზე ფიქრობდა, მისი გახსნის გზებს ეძებდა. ხშირად, ტელევიზორს რომ უყურებდა, გვიან ხვდებოდა, რომ ეკრანზე გადაცემას კი არა, უზარმაზარ ყავიაფერ, მძიმე სეიფს ხედავდა.

შესვენების დროს ყავას რომ სვამდა, თითქმის ყოველთვის სეიფთან იდგა და ხან საცოდავი, ხან კი გაშმაგებული თვლებით ლითონის ხუთ რგოლს მიაჩერებოდა, რომლებითაც შეიძლებოდა მილიარდი საშიფრო კომბინაცია გაკეთებულიყო.

კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერთა დიდი საბჭოა ახლომაზე რამდენიმე დღე გამოითქვა აზრი, აკადემიკოსის შემკვიდრობის შემსწავლელი კომისია შედგენა ხომ არ გვიანდებაო.

ოთარ კახიშვილს კოლეგათა სამარლიან წინადადებაზე აული ემღვრეოდა და გაღიზიანებული ამბობდა, ვაცალოთ კაცს საფლაფში ვაკიებო.

მშვენივრად მიხვდა, თანამშრომლებს არ გამოპარვიათ ახალი დირექტორის უჩვეულო ნერვიულობა. სახლშიც უცნაურად იქცეოდა. ძილგატეხილი თითქმის ყოველ შუადამეს დგებოდა, კაბინეტში ვადიოდა და აავარძელში მოკალათებული სიგარეტს სიგარეტზე ეწეოდა. შეშფოთებულმა მეუღლემ რამდენჯერმე უსაყვედურა, რად გინდა თანამდებობა, თუ ასე დამუწდები და ვანერვიულდებიო.

პასუხი ყოველთვის ერთი ჰქონდა, მაცალე, შევეგუო ახალ გარემოს, ამოდენა დატვირთვაა და პასუხისმგებლობასო.

ქაბუკის ელევანტურმა ჩაცმულობამ ჯერ კიდევ წინა სტუმრობის დროს მიიპყრო ოთარ კახიშვილის ყურადღება, თეთრმა ფრანგულმა კოსტიუმმა, რომლის მსგავსი დირექტორს ჯერ არსად ენახა, რატომღაც კიდევ უფრო გაუძლიერა ცნობისმოყვარეობა.

„მარტოა თუ იავე ახლავს ქერათმზიანი და მალაღფეხებიანი ქალიშვილი?“ — გაუელვა თავში. სავარძლიდან დინჯად წამოდგა, ფანჯარასთან ნელი ნაბიჯებით მივიდა და ქუჩაში გადაიხედა.

წითელი „ფიგული“ ზუპტად იმავე ადგილზე იდგა, თითქოს მაშინდელი ადგილიდან არც დაეძრათ და ინსტიტუტის წინ მიეტოვებინათ. ქერათმზიანი ქალიშვილი ახლა მანქანაზე კი არ იყო მიყრდნობილი, გულხელდაკრეფილი იქვე ბოლთასა სცემდა. ამჯერად თეთრი, მოკლე ქვედატანი და მოცისფრო სპორტული მისიური ეცვა. ოთარ კახიშვილი არ მოტყუებულა, ქალიშვილს



მართლაც კარგი ფეხები ჰქონდა. გაკრი-
ალებული წითელი მანქანის ფონზე
მისი ქერა თმები კიდევ უფრო
ლამაზად იკვეთებოდა.

ინსტიტუტის დირექტორი, ვითომც
აქ არაფერიაო, დინჯად შემობრუნდა.

— დიდი არაფერი! ჩვეულებრივი,
სტანდარტული გოგოა! — დამცინავად
წარმოთქვა რამაზ კორინთელმა.

ოთარ კახიშვილი გაწითლდა. არ ეგო-
ნა, ჰაბუკი თუ მიუხვდებოდა, ფანჯრი-
დან რატომ გადაიხედა.

არტიპტობა არ შეეძლო, არც იუმო-
რის გრძნობა ჰქონდა, რომ სიტუაცია
განემუხტა და უხერხული მდგომარეო-
ბიდან გამომძვრალიყო. მიხვდა, უცნო-
ბმა სტუმარმა კედელთან მიიმწყვდია.
დუმბილი ამჯობინა. ვითომ ვერ გაიგო,
ჰაბუკმა რა თქვა, სავარძელთან დაფიქ-
რებული სახით მივიდა, ოდნავ უკან და-
სწია და დალილი კაცის იერით დაჯდა.

— გისმენთ! — თქვა ხმადაბლა, ფეხი
ფეხზე შემოიდო და სავარძლის საზურ-
გეს მიაწვა.

— თქვენი სიტყვა იმედს მძღვეს
დავააკენა, რომ მზად ხართ ნახევარი სა-
თი ვიასაუბროთ.

— დიახ!

ოთარ კახიშვილი ფიქრობდა, რომ სა-
ვარძელში მიღებული საქმიანი პოზა და
მოკლე, თითოსიტყვიანი ფრაზები უფ-
რო მკაცრ და აკადემიურ იერს აძლევ-
და.

— ამავე დროს, იმედი მაქვს, საუბა-
რში ხელს არავინ შეგვიშლის. — რა-
მაზ კორინთელმა ჯიბიდან სიგარეტი
ამოიღო, — შეიძლება?

— მოსწიეთ. — დირექტორმა თვა-
ლით მიანიშნა, საფერფლე აგერ დგასო.

— მართალია, თქვენ „კოსმოსი“ გიყ-
ვართ, მაგრამ იქნებ ამჯერად „ვინსტონი“
ინებოთ? — რამაზ კორინთელმა მა-
სპინძელს მრავალმნიშვნელოვანი ღი-
მილით შესთავაზა სიგარეტი.

„საიდან იცია, რომ „კოსმოსი“ მიყ-
ვარს?“ — გაცოცხლმა ოთარ კახიშვი-
ლმა მაგიდა მოათვალიერა, ალბათ, „კო-
სმოსი“ კოლოფი შენიშნა, თორემ უც-

ნობი კაცი ასეთ დასკვნას საიდანე გაიფიქრებო
იტანდაო.

მაგიდაზე მსგავსი ვერაფერი დაინახა.
საფერფლეც კი სუფთა იყო.

— მე ბევრი რამ ვიცი. მაგრამ, მო-
დით, ჯერ ერთმანეთი გავიცნოთ. უფ-
რო სწორად, მე თქვენ, პროფესორ ოთ-
არ კახიშვილა, ამჟამად აატროფიო-
კის ინსტიტუტის დირექტორს კა-
რგად გიცნობთ. თქვენ კი წარმოდგენა
არ გაქვთ, ვინ ვარ მე.

ოთარ კახიშვილს არ მოეწონა ჰაბუ-
კის ბაგეზე უღვაშებით აპრენილი
დამცინავი ღიმილი.

— მე ვახლავართ რამაზ კორინთელი,
რამაზ მიხეილის ძე კორინთელი. უნივე-
რსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულ-
ტეტის დაუსწრებელი ფაკულტეტის მე-
სამე კურსის სტუდენტი.

— ძალიან სააიაოვანოა, რით შემოი-
ღია გემსახუროთ?

— თქვენ კუჭის მომატებული მკა-
ვიანობა გაწუხებთ, არა?

— ვთქვით, მართალი ბრძანდებით, —
გაცოცხდა და გაბრაზდა კახიშვილი, —
ვითომ ჩემი ჯანმრთელობის ამბავი
აე გადარდებთ?! მჯერა, მარტო ამის
სათქმელად თქვენ აქ არ მოხვიდოდით.

— გამოცანა გერგებათ! პირდაპირ გე-
ტყვით. სამსახურში უნდა მიმიღოთ.

— სამსახურში?! — ოთარ კახიშვი-
ლი კიდევ უფრო აღაშფოთა რამაზ კო-
რინთელის მიერ ულტიმატუმით წარ-
მოთქმულმა მოთხოვნამ.

— დიახ, სამსახურში!

— სამსახურში როგორ მიგიღოთ?!
ჯერ ერთი, თქვენი ცოდნის შესაფერისი
ადგილი საერთოდ აქ ძალზე ცოტაა, მე-
ორეც ის, რომ ყველა შტატი დაკავებუ-
ლია და თავისუფალი ადგილი არ გაგვა-
ჩნია.

— თქვენ ამოდენა კვლევითი ინსტი-
ტუტის დირექტორი ბრძანდებით. თუ-
კი მოინდომებთ, რა არის პროფესორ
ოთარ კახიშვილისათვის ერთი შტატის
გაკეთება?! სამაგიეროდ, ჩვენი ერთობ-
ლივი მუშაობა თქვენთვის ძალზე სააარ-
გებლო იქნება.



ოთარ კახიშვილს ნერვები დაწყვეტამდე დაეჭიმა, უნდოდა წამოეარდნილიყო და ჭაბუკი კინწიაკვრით გაეგდო გარეთ, მაგრამ თავს მოერია, სიბრაზე გულში ჩაიკლა. ცოტა რომ დაშშვიდდა, ცალი თვალი მოქუტა და თავხედ სტუმარს ირონიულად ჰკითხა:

— ჩვენი ერთობლივი მუშაობა ჩემთვის იქნება აასარგებლო?

— დიახ, თქვენთვის! რააკვირველია, ჩემთვისაც. მჯერა, არ ინანებთ, არამცთუ არ ინანებთ, მერე მიხვდებით, თქვენს თავს რა სიკეთეს გაუკეთეთ!

— მაინც რა აიკეთეს გაუჟიკეთებ ჩემს თავს, არ შეიძლება წინააწარ ვიცოდე? — კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი შეეცადა, წარმოთქმულ ფრაზაში და ინტონაციაში ათჯერ მეტი ირონია ჩაეტია, ვიდრე მათი მოცულობა იძლეოდა საშუალებას.

რამაზ კორინთელმა არად ჩააგდო კახიშვილის ხაზგააშული ირონია. წინააწარ იცოდა, რამდენიმე წუთში გამოიგნებელ გამარჯვებას იხეიმიბდა. აიამოვნებდა კიდევ ყოფილი მთადგილის დამამცირებელი გამოხედვა. იცოდა, რაც მეტად აივლებდა აბუჩად კახიშვილი, რაც უფრო მეტად დაამცირებდა და გაამასხრებდა, მით უფრო შთამბეჭდავი და ტრიუმფული იქნებოდა საბოლოო გამარჯვება, მით უფრო დაატყბობდა შურიაძიება.

— მე არა ერთი და ორი აიკეთე შემიძლია მოგიტანოთ. ყველა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. თქვენ ხომ მხოლოდ ნახევარი საათი გამომიყავით.

— ამ სიკეთეთაგან მითხარით თუნდაც ერთი. ხომ ხედავთ, სიხარულისაგან შეიძლება გული დამფრთხალი ჩიტვიით ამომიხტეს!

— ოჰო, თქვენ გქონიათ იუმორის გრძნობა, — გულწრფელად გაცოდა რამაზ კორინთელი, — ეს კი ნამდვილად არ ვიცოდი!

— ააიდან უნდა იცოდეთ, თქვენ ხომ არ მიცნობდით?!

— მე ყველაფერი უნდა ვიცოდე. უფრო აწორად, ვალდებული ვარ თქვენს

ირგვლივ ყველაფერი ვიცოდე. მე ხომ ნათელმხილველი გახლავართ?

— ნათელმხილველი? — ოთარ კახიშვილმა ჭერ გაიღიმა, მერე გადაიხარხარა.

— დიახ, ნათელმხილველი! — რამაზ კორინთელის აახეზე ნერვიც არ შერხეულა.

— დრო რომ ბევრი გვქონდეს დარჩენილი, რომელიმე აინტერესო ამბავს, თქვენმა ნათელმხილველობამ რომ დაგანახათ, ალბათ, მიამბობდით კიდევ, არა?

კვლევითი ინსტიტუტის დირექტორმა დაასკვნა, ჩემს წინაშე მორიგი გოგიაო და თავს უფლება მისცა უკანააქნელი ფრაზა ავდებულად წარმოეთქვა, უცნობიაადმი ინტერესი ერთბაშად დაკარგა. დროს, ეს სულელური დიალოგი ახლავე აღკვეთოთ, გადაწყვიტა უცებ და საათს დახედა.

— დრო ჭერ კიდევ ბევრი დაგვრჩა, ხუთი წუთიც არ გააულა, რაც თქვენთან შემოვდი! — კვლავ აუღელვებლად წარმოთქვა რამაზ კორინთელმა.

ოთარ კახიშვილი გააცოფა ჭაბუკის უცნაურმა სიმშვიდემ და ხმადაბლა. მაგრამ მტკიცედ წარმოთქმულმა ფრაზამ განრისხებულმა კორინთელს თვალი თვალში გაუყარა. უნდოდა ეყვირა, ახლავე გაეთრიე აქედანო, მაგრამ ისევე სწრაფად დაცხრა, როგორც აფეთქდა. რამაზ კორინთელმა გაბოროტებულ თვალეები ორლულიანი თოფივით დაუმინხა და ოთარ კახიშვილი ადგილზე გააშეშა.

— მე უკვე ვითხარით, დრო აკმარისზე მეტი გვაქვამეთქი დარჩენილი! — კვლავ მშვიდად წარმოთქვა კორინთელმა.

ინსტიტუტის დირექტორი მიხვდა, ჭაბუკს თავიდან იოლად ვერ მოიშორებდა და ბედს შეურიგდა.

რამაზ კორინთელის ბაგეზე უღვაშებივით ისევე აიწკიპა დამცინავი ლიმილი.

— რაკი სურვილი გამოთქვით, აიამო-



ენებით გიამბობენ ერთ ამბავს. ინებეთ სიგარეტი.

— მე ისევ ჩემს „კოსმოსს“ მოვწევ! — ღირექტორმა მაგიდის უკრა გამოსწია და სიგარეტს კოლოფი ამოიღო. — მართალი ბრძანდებით, „კოსმოსი“ ყველა სიგარეტს მიჩვენია გულახდილად რომ გითხრათ, უკვე დავიჭერე თქვენი ნათელმხილველობა და გულწრფელად მაინტერესებს, ნამდვილად თქვენი ნათელმხილველობით გაქვთ მოპოვებული ესოდენ ღირებული ინფორმაცია?

— ირონიისგან თავი შეიკავეთ, ბატონო პროფესორო. თქვენთან რომ მოვდიოდი, გონება მაქსიმალურად დავძაბე და თქვენი სულია ყველაზე ბნელ კუნძულებშიც ჩავიხედე.

— მერე? დანახეთ რამე სააიკეთო? — კიდევ ერთხელ გაფრთხილებთ, ყურადღებით მომისმინოთ, არ მინდა თქვენი ნაჩქარევი ირონიები სამუდამოდ გაგიხდეთ სანანებლად!

— როგორ მიხედავთ! — მაგიდას მუშტი დაჰკრა კახიშვილმა და გაცოფებული ფეხზე წამოიჭრა.

რამაზ კორინთელა წარბი არ შეუხზრია. ნესტოებიდან ბოლი გამოუშვა და ინსტიტუტის დირექტორა თვალი თვალში გაუყარა.

— მე მხოლოდ კეთილი სურვილი მაძიძრავება, ბატონო პროფესორო, და მეტი არაფერი. ამიტომაც არ მინდა, სულ რამდენიმე წუთში ინანოთ თქვენი ირონიაც და სიფიცხეც.

— ხომ არ დაგვემთავრებინა საუბარი? — თთარ კახიშვილი უკვე მეორედ მიხვდა, გაბრაზება არ გამოადგებოდა. გაგულიყებას შეიძლება სკანდალი მოჰყოლოდა. კარიერის დასაწყისშივე სკანდალი კი, იცოცხლე, ბარე ორა გაახარებდა.

— ჩემს სათქმელს ორ წუთში მოგახსენებთ! — დაიწყო მშვიდად რამაზ კორინთელმა, როცა დირექტორი უმწეოდ ჩაეშვა სავარძელში. — ოღონდ, ახლაც მინდა გაგაფრთხილოთ, მერე თქვენ თვითონ მოინდომებთ საუბრის გაგრძე-

ლებას. წინასწარ ვერ დაგპირდებით, რომ სურვილს შეგაიარულებთ.

— ბრძანეთ და დააარულოთ! — უმწეო კაცის სიბრაზით წარმოთქვა კახიშვილმა.

— იმ დღიდან მოყოლებული, რაც აკადემიკოსი დავით გიორგაძე გარდაიცვალა, განსაკუთრებით კი იმ წუთებიდან, დირექტორის კაბინეტი რომ ჩაიბარეთ, თქვენს სულაა და გონებას კლავს მხოლოდ ერთი სურვილი, საშინელი სურვილი. სურვილი, რომელიც დამით არ გაძინებთ. დღისით კი მოსვენებას გიყარავთ. — რამაზ კორინთელმა ნათვანი დაარტყა და ბოლი ინსტიტუტის დირექტორისკენ გაუშვა.

თთარ კახიშვილი ახალგაზრდა კაცის სიტყვებმა იცე დათრგუნა, მისკენ რგოლებად გაშვებული ბოლი ვერც კი შენიშნა.

— დიახ, თქვენ საშინელი სურვილი გკლავთ, ვაიგოთ სეიფის შიფრი.

უხილავემა მხატვარმა თთარ კახიშვილის სახეზე წითლად გამოსახული სიბრაზე ერთბაშად გაანაცრისფრა. ახლა დირექტორის თვალებიდან ერთდროულად შიშიც იღვრებოდა, ცნობიანოყვარებოაც და დაბნეულობაც.

— იქ, — რამაზ კორინთელმა მარცხენა ხელია ცერით უკან მოუხედავად მიანიშნა სეიფისაკენ, — მეორე თარიღზე, ნაცრისფერ საქალაღღეშია მოთავსებული ორ ცალად გადაბეჭდილი შრომა, ასე რომ ააფორიაქა თქვენი გონება.

რამაზ კორინთელი ერთბაშად გაიუმდა. ინსტიტუტის დირექტორს ყურადღებით შეხედა. უნდოდა გამოეცნო, მიამა სიტყვებმა რა შთაბეჭდილება მოახდინა.

თთარ კახიშვილი ქაბუკს დაბნეული მისჩერებოდა.

— დიახ, — კიდევ უფრო მშვიდად და კიდევ უფრო დამცინავად გააგრძელა რამაზ კორინთელმა, — თეორიულად მშვენივრად გადაწყვეტილი და ჩამოყალიბებული შრომა ექსპერიმენტოაც კიდევ უფრო მშვენივრად არია დასაბუთებული. ადვილი შეესაძლებელია იცო-



დეთ, რომ გამოკვლევა სათაურია „რადიოაქტიურობის მეხუთე ტიპი“. დიახ. აკადემიკოსმა დავით გორგაძემ აღმოაჩინა რადიოაქტიურობის მეხუთე ტიპი. მეცნიერია უკანასკნელი შრომა პირველხარისხიანი გამოკვლევა მსოფლიო მასშტაბით, რომელიც აუცილებლად იმსახურებს მინიმუმ სახელმწიფო პრემიას. და თქვენ, ოთარ კახიშვილს, — ერთი ოქტავით მაღლა ავიდა რამაზ კორინთელი, — არ გაქვთ საშუალება აკადემიკოსის გამოკვლევა იგდოთ ხელთ, რომელიც აქვეა, სეიფში, თქვენგან რაღაც ხუთიოდე ნაბიჯზე!

რამაზ კორინთელი მცირე პაუზით შემდეგ ერთი ტონალობით ისევ დაბლა ჩამოვიდა.

— როცა მარტო ხართ, მე ვხედავ, როგორ მიდიხართ სეიფთან, როგორი სიბრაზით დასცქერით მის ხუთ მონიკლებულ რგოლს. იმ მილიარდი კომბინაციიდან, რომლის შედგენის საშუალებასაც სეიფის რგოლები იძლევიან, რომელია ის ერთი, თქვენ რომ უზრუნველად მოგიტანთ მეცნიერულ დიდებას? აი, რა გტანჯავთ და რა გიფორიაქებთ სულ!

დუმილი, ხანმოკლე, მაგრამ დამუხტული დუმილი ჩამოწვა ასტროფიზიკის კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის კაბინეტში.

— სულ ეგ არის თქვენი ნათელმხილველობა? ეგ ხომ ცილისწამებაა, შანტაჟია! — ოთარ კახიშვილმა დანაშაულზე დაჭერილი კაცია უმწეობით სცადა გაბრძოლება.

— არა, ბატონო ოთარ, — აიტყვა „ბატონო“ ჩურჩხელაავით ამოავლო ირონიისი, — თქვენც მშვენივრად იცით, ფიქრადაც არ მომსვლია შანტაჟი და ცილისწამება! ჩემი ნათქვამი ცილისწამება რომ ყოფილიყო, ფეხზე წამოვარდებოდი, გაცოფებული გარეთ გამავდებოდი. თქვენი ხმა კი გაიბზარა, გატყდა, უმწეობა შეეპარა იგი ისე შორიდან მემამის, თითქოს საღდაც შეკუჭული დ. შემაღული მელაპარაკებით. თქვენს თვალებში და სახეზე შიშმა დაისადგურა. ეს კარგი ნიშანია. მაინც პატიოსანი ბუ-

ნება გქონიათ დიახ, რაც მე გეფხარით, აულაც არაა ცილისწამება. იგი ფაქტობრივად ერთში ნამდვილად ვეთანხმებით. შეიძლება მე ვადასკვნა ლოგიკურად გამომეტანა, ყოველგვარი ნათელმხილველობის გარეშე, ადამიანური სისუსტეების გათვალისწინებით. მით უმეტეს, რომ არც ის იყო საიდუმლო, რა პრობლემის გადასაჭრელად მუშაობდა აკადემიკოსი დავით გორგაძე. ამჯერად, თუ ნებას დამრთავთ, ბატონო პროფესორო, და თუ არ დაგიკარგავთ ჩემი საუბრის მოსმენის სურვილი, შევეცდები დაგარწმუნოთ, რომ მე არც მანიაკი ვარ. არც შექანებული და არც შანტაჟისტი. დიდი სურვილი მაქვს დაიჭიროთ, თქვენი მონა-მორჩილი ნამდვილად გახლავთ ნათელმხილველი. ნება მომეცით, აქვე ჩავიტაროთ ერთი აენსი და აქვე, ამ წუთში აღვადგინო თქვენი ცხოვრების ერთი დღე, ერთი ეპიზოდი. არჩევანი თქვენ გააკეთეთ, გნებავთ შარშანდელი დღე, გნებავთ შარშანწინდელი.

რამაზ კორინთელმა სიგარეტი ისევ გააბოლა.

ოთარ კახიშვილი დუმდა. არ იცოდა, რა ეთქვა ან რა მოემოქმედა.

— გელოდებით! — თქვა კორინთელმა ღიმილით.

— არჩევანი თქვენთვის მომინდვია, — მორჩილად მიუგო ინსტიტუტის დირექტორმა.

— კარგით, იყოს ნება თქვენი, მოდით, ავიღოთ ორი წლია წინანდელი რომელიმე დღე...

რამაზ კორინთელმა თავი ხელებში ჩარგო. კაბინეტში გამეფებულ დუმილში მხოლოდ სიჩუმის იდუმალი ხმა ისმოდა.

ჭაბუკმა ერთბაშად ასწია თავი და ოთარ კახიშვილს თვალი გაუწვორა. კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი შეაერთო რამაზ კორინთელის უცნაურად ანთებულმა, მბრწყინავმა თვალებმა, მონუსხა, სავარძელს მიაჯაჭვა, პროტესტის ყოველგვარი სურვილი დაუკარგა.

— მე ვხედავ... დიახ, მე ვხედავ...



ოთარ კახიშვილი შეაჯრთო ახალგაზრდა კაცის ნერვიულმა ხმამ.

რამაზ კორინთელმა თავი მაღლა ასწია და თვალები ახერხეს გაუშტერა.

— დიახ, დიახ, მოსკოვი... საატუმრო „ბუდაპეშტის“ ლუქაი. შემოდგომაა. ოქტომბრის მშვენიერი, თბილი და მზიანი დღე... ოთახში ორნი ხართ, თქვენ და აკადემიკოსი დავით გიორგაძე... თქვენ სავარძელში ზიხართ... — კორინთელმა მარჯვენა ხელი კუთხიკენ გაიშვირა, — გაცვიათ მუქი ლურჯი ფინური კოსტიუმი... მია ქვეშ ნაცრისფერ პულოვერს ვხედავ... დავით გიორგაძე სარკესთან დგას და ჰალსტუხს იაწორებს...

რამაზ კორინთელი ფეხზე წამოდგა. თვალი კვლავ მაღლა აღაპყრო და სიერცვა გაუშტერა. ორი ნაბიჯით უკან დაიწია და გაშეშდა.

გაოცებისაგან თავზარდაცემული ოთარ კახიშვილი ჰაბუკის დაძაბულ, დაელექტრობებულ სახეს თვალს ველარ აშორებდა.

— მას... მას აცვია... — დაიწყო უცებ რამაზ კორინთელმა, — ნაცრისფერი შარვალი... მისივე ეილეტი... თეთრი პერანგის მანეტებზე ბრწყინავს თქვენს ნაჩუქარი ალექსანდრიტისთვლიანი საკინძები. თუ არ ვცდები, იგი უცხოეთში, კერძოდ, სტამბოლში გაქვთ შეძენილი...

ოთარ კახიშვილი შიშის ოფლში ცურავდა, კორინთელს თვალებგადმოკაკლული მისჩერებოდა, ცდილობდა ჰაბუკია არამცთუ აიტყვა, სახის არც ერთი გრიძასი არ გამორჩენოდა.

— ოთახში ვხედავ სუფრას. უფრო სწორად, წინა საღამოა სუფრის ნარჩენება. სუფრას ეტყობა, ოთხ კაცზეა გაშლილი. მაგიდაზე დევს გახსნილი კონიაკი, არაყი, ბორჯომია ცარიელი ბოთლი. სავსე ბოთლი მაცივარშია მოთავსებული... თქვენ კმაყოფილი, უფრო მეტიც, ბედნიერი კაცის იერი ვადევთ. გუშინ აკადემიკოსთან მიწვეული სტუმრებიდან ერთი ქალი უნდა ყოფილიყო... დიახ, ქალია, მაღალი, ძალზე გამხდარი, მაგრამ მიმზიდველი, აჲ, ორმოცამდე

წლია... ლარისა ვლადიმიროვნა, არ ვცდები! — რამაზ კორინთელი ახლებულმა თვალებმა უცებ მონახა ინსტიტუტის, დირექტორის გაოცებისა და შიშისაგან პირთამდე აესებული თვალები.

— ლარისა ვლადიმიროვნა, — არ დაელოდა პასუხს რამაზ კორინთელი, — თითზე თქვენს მიერ წინა დღით ნაჩუქარი იაპონური მარგალიტისთვლიანი ბეჭედი უკეთია...

— კმარა! — იყვირა უცებ ოთარ კახიშვილმა და ფეხზე წამოიჭრა.

— ხელს ნუ მიშლით! — საიდუმლო ჩურჩულით წარმოთქვა რამაზ კორინთელმა, თან მარცხენა ხელით ანიშნა, დაბრძანდითო და ისევ ჰერს მიაპყრო თვალები.

ოთარ კახიშვილი ჰაბუკა მონუახულივით დაემორჩილა და კვლავ სავარძელში ჩაჯდა. ახალაა შენიშნა, მართალია, ჰაბუკი ჰერს მისჩერებოდა, მაგრამ თვალები დახუტული ჰქონდა, შუბლზე ოფლის მსხვილი წვეთები აახდა და სახე უთრთოდა.

— დიახ, თქვენ კმაყოფილი ხართ. რადგან ლარისა ვლადიმიროვნა აკადემიკოსსაც ძალიან მოეწონა. აი, ვხედავ... დავით გიორგაძემ, როგორც იქნა, მოირგო ჰალსტუხი... ახალგაპარულ ლოყებზე ხელი ჩამოისვა, გარდობობთან მივიდა და ჰიჯაკი ჩამოღო. „დაახით“, — გუუბნებათ იაე, რომ თქვენაქენ არც იხედება... უმაღლვე ფეხზე დგებით და ხელში კონიაკია ბოთლა იღებთ. კონიაკი კი არა, ბორჯომიო, გუუბნებათ აკადემიკოსი. ბოთლს ისევ მაგიდაზე დგამთ და მაცივრისკენ მიემართებით. გარკვევით ვხედავ, ფეხი გავისრიალდათ და იატაკზე ზურგით ვარდებით... გაწითლებული ფეხზე დგებით. არაფერიაო, იქით ამშვიდებთ აკადემიკოსს, აი, ყურში ჩამესმის აკადემიკოსის ხუმრობაშერეული ხმა, ასაკისაგან ოღნავ გახიბებულ ბარიტონი, მართლაც არაფერია, ნუ ღელავთ, უარესიც ხდება. ბედი ჰქონიათ, რომ წუხელი ლარისა ვლადიმიროვნას თვალწინ არ წაიქეციოთ. ხომ არ



ვცდები? ხომ თქვა აკადემიკოსმა ეს ფრაზა?

— დიიხა, თქვა! — ამოილულულა ოთარ კახიშვილმა.

— დავილაღე, — თქვა უცებ რამაზ კორინთელმა და სკამზე დაჯდა. დაცვარული შუბლი ცხვირსახოცით მოიწმინდა, სახე უმაღვე დაუმშვიდდა. მალაღლი ძაბვის დენი ერთბაშად გამოირთო და შუბლა უკან მბრუნავმა ლილეებმაც თანდათან შეწყვიტეს ბრუნვა.

— ვინ ხართ და რა გნებავთ! — საწყალობლად ჰკითხა კვლევეთი ინსტიტუტის დირექტორმა.

— ვინ ვარ, უკვე იცით, ახლა გეტყვით, რა მინდა! — კორინთელმა სიგარეტს მოუკიდა.

ოთარ კახიშვილის წინ კვლავ ჩვეულებრივი ყმაწვილი იჯდა, უდარდელი და თავხედი. ღრუბლის ქულასავით მთება იქით გადაიკარგა რამაზ კორინთელის დაელექტრობული, იდუმალი გამომეტყველება, წედან რომ საშინლად დათრგუნა ინსტიტუტის დირექტორი. ახლა იგი ბირჟაზე მოლაზღანდარე ბიქს უფრო ჰგავდა, ვიდრე ზებუნებრივი ნიჭით დაჯილდოებულ ადამიანს.

— თქვენ მე ამიყვანთ ლაბორანტად. ჯერჯერობით მეტ თანამდებობას არ გთხოვთ. მართალია, მესამე კურსზე ვარ, მაგრამ წელსვე იანვარში ჩავბარებ დარჩენილი სამი კურსის საგნებს და დავიცავ დიპლომს. უფრო მეტიც, უკვე მოვამზადე საკანდიდატო დისერტაცია. დისერტაციის დონე ნუ დაგაფიქრებთ! თავისუფლად შეიძლება, ჩემი გამოკვლევისათვის დოქტორობაც კი მომანიჭონ. კატეგორიულად მოვითხოვ, ყველა ტექნიკური საკითხი მომიგვაროთ თქვენ. სამაგიეროდ შევეცდები, ათმაგად ავანაზღაურო ახალგაზრდობისათვის მზრუნველი პროფესორის ღვაწლი. თქვენ გახდებით ჩემი შემდგომი შრომის თანაავტორი. ჩემი აღმოჩენის თანაავტორობა, ბატონო პროფესორო, ელვისებურად მოგიტანთ მსოფლიო სახელს და დაგიმკვიდრებთ იმ ავტორი-

ტეტს, რაც ახლა, როგორც დირექტორს, არ გაგაჩნიათ კოლეგებს შორის.

— როგორ, მეორე ნაშრომიც დაწერილი გაქვთ? — დაცინვა ველარ გაბედა კახიშვილმა.

— ნაშრომს დაწერა აღარ სჭირდება. იგი დაწერილია და სეიფში დევს. — რამაზ კორინთელმა მარცხენა ხელის ცერი კვლავ უკან მიუხედავად გაიშვირა სეიფისაკენ.

— მერე?
— რა მერე?!
— სხვისი ნაშრომი გინდათ მიითვისოთ?

— ისევე, როგორც თქვენ. თანაც მე გაცილებით კეთილშობილი ვჩანვარ კვლევეთი ინსტიტუტის დირექტორის ფონზე. თქვენ გინდათ ნაშრომი ავტორი მხოლოდ თქვენ იყოთ. მე კი თანაავტორობას გთავაზობთ.

— მე არაფერი არ მინდა!
— ბატონო დირექტორო, — „ბატონო“ წედანდელივით ისევე ამოავლო ირონიაში. — მგონი უკვე დაგავიწყდათ, ვინა ვარ მე. ძალიან გთხოვთ, ძველ სკივრში ჩანაფტალინებულ ტანსაცმელს მზეზე ნუ გამომაფენინებთ!
— სამაგიეროდ, მე შემიძლია მილიციას გამოვუძახო!

— არ შეგიძლიათ, თქვენდა სამწუხაროდ, არ შეგიძლიათ. უფრო სწორად, თქვენ მილიციას არ გამოუძახებთ ორი სრულიად უბრალო მიზეზის გამო. ნუ ლელავთ, დამშვიდდით, მე თქვენთან საჩხუბრად არ მოვსულვარ, — რამაზ კორინთელმა თვალი თვალში გაუყარა ინსტიტუტის დირექტორს და მრავალმნიშვნელოვნად გააგრძელა, — აქმეს გთავაზობთ, სარფიან საქმეს, რომელიც მეცნიერებაში მსოფლიო სახელს მოგიტანთ. მილიციას კი ვერ დაუძახებთ, როგორც უკვე გითხარით, ორი მიზეზია გამო. პირველი: ვთქვით, დაუძახეთ მილიციას. რას ეტყვით? შანტაჟს დამბარალებთ? არ გამოგივათ, მოწმე არავინ გყავთ. ბრალდების დამტკიცება ძალიან გაგიჭირდებათ. თანაც, არ დაგავიწყდეთ, ენა მეცა მაქვს. თან, ღმერთმა ნუ



ქნას, რომ პირი მოვხსნა: ახლა მეორე: თუ თქვენ მილიციას გამოიძახებთ, კატეგორიულად მოვითხოვ სეიფის სასწრაფოდ გახსნას. მაშინ მეხუთე კატეგორიის რადიოაქტიურობის აღმოჩენის გეორგვინი მთლიანად გარდაცვლილ აკადემიკოსს დარჩება.

რამაზ კორინთელი ფეხზე წამოდგა. სიგარეტის ნამწვი ააფერფლვებზე დააგლო და პიჯაკი შეისწორა.

— იფიქრეთ, არ გაჩქარებთ. დავით გეორგაძემ აკამაოდ დიდი სახელი ჩაიტანა საფლავში. ჩვენ ჯერ ყველაფერი წინა ვეაქვს. თქვენ ხომ ჯერ ორმოცდათოთხმეტი წლისაც არ ბრძანდებით. იმედი მაქვს, ოცდაშვიდ იანვარს, თქვენი დაბადების დღეს, ჩვენ უკვე აერიოზული საქმეებით დაკავშირებული მეგობრები ვიქნებით და მეც მომიწივს თქვენი სახელობის ასმისით, ძველებური ტუჩჩამოტეხილი ჯამით, თქვენი სააღდეგრძელოს დაღვევა. აი, ჩემი სავიზიტო ბარათიც. სამი დღის შემდეგ ველი ტელეფონის ზარს. სადაც იაურვებთ, იქ შეგვხვდეთ ერთმანეთს. უმჯობესად მაინც თქვენი კაბინეტი ან ჩემი ბინა მიმანია. კარგად ბრძანდებოდეთ, ბატონო დირექტორო!

რამაზ კორინთელმა სავიზიტო ბარათი დაუდევრად დაუგდო წინ და გასასვლელიაკენ გაემართა.

ოთარ კახიშვილი არ წამომდგარა. სავარძელში კვლავ გაქვავებული იჯდა და მიმავალ ჭაბუკს მისჩერებოდა.

რამაზ კორინთელმა ხელი მძიმე მუხის კარის სახელურა ჩაავლო, მაგრამ თითქოა გაღება გადაიფიქრაო, კვლევითი ინსტიტუტის დირექტორისკენ შემობრუნდა.

— როგორ მიდის თქვენი გერმანულის საქმე? — ჰკითხა უცებ გერმანულად. — თუ არ ვცდები, თქვენ სასტიკად გიჟირთ სიტყვა „ცუფერზიხტლიხის“ წარმოთქმა. მაგრამ ეს არაა მთავარი. ბოლოს და ბოლოს, შეგიძლიათ უამსიტყვოდაც იოლად გახვიდეთ. მთავარი ისაა, რომ თქვენ ცდილობთ, უაქცენტო გამოთქმა გქონდეთ, რაც, სამ-

წუხაროდ, არ გამოგდით. თქვენი სურვილი, ილაპარაკოთ უაქცენტოდ, პრინციპულია, თანაც უიმედო და, აქედან გამომდინარე, სასაცილო. ეს კარგად დაიმახსოვრეთ, ყმაწვილო!

„ყმაწვილო!“ — შეკრთა ოთარ კახიშვილი. ისეთი ვანცდა დაეუფლა, თითქოა კაბინეტის კარი აკადემიკოსმა დავით გეორგაძემ გაიხურა.



— რა დაგემართა, ოთარ? — ჰკითხა შემინებულმა მეუღლემ, კარის გაღებისთანავე ქმრის გაფთვრებული და გატანჯული სახე რომ დაინახა.

— არაფერია, გადავიღალე, — უხალისოდ მიუგო ოთარ კახიშვილმა და პორთფელი გაუწოდა.

კვლევითი ინსტიტუტის ახალი დირექტორის მეუღლე ლია გოგოლაშვილი თბილისში ცნობილი ექიმი იყო. მისმა გამოცდილმა თვალმა უმაღლეს იგრძნო მეუღლია არსებაში რაღაც დიდი ვნებათაღელვა ბობოქრობდა. შეწუხებულმა პორთფელი კაბინეტში შეიტანა. მეუღლე ფეხდაფეხ მიჰყვა, საწერ მაგიდასთან მივიდა და სავარძელში მძიმედ ჩაეშვა.

ლიამ კარგად იცოდა, ანამ ოთარის ტანსაცმელს არ გამოიცვლიდა და ხელპირს არ დაიბანდა, არავითარ შემთხვევაში კაბინეტში არ შევიდოდა და არც სასადილო ოთახში დაჯდებოდა.

— მაჯა მომეცი!
— თუ ქალი ხარ, შემეშვი!
— არ მომწონს შენი ფერი და გამოხედვა. მომეცი მაჯა!

ოთარს აღარ ჰქონდა წინააღმდეგობის თავი და მეუღლეს მაჯა მორჩილად გაუწოდა.

ლია დამშვიდდა, ოთარს მაჯა ნორმალურად უცემდა. ხელი შუბლზე მიადო, შეკრთა, ისეთი ცივი ჰქონდა.

— ფეხები ახლავ ცხელ წყალში ჩაყავი და ლოგინში ჩაწეკი. საქმელს საწოლთან მოგიტან!

— არა მშოია, ინსტიტუტში ვისადილე.



სტყუოდა. არ უსადილია. შიმშილით
კი ნამდვილად არ შიოდა.

— გაწყენინა ვინმემ?

— არავის არ უწყენინებია. არც ცუ-
დად ვარ. უბრალოდ. გადავიღალე. ესაა
და ეს!

— შენ ცუდად ხარ. ოთარ. რაღაც ამ-
ბავია შენს თავს. დირექტორად დანიშვ-
ნის პირველი დღიდანვე ხარ აფორიაქე-
ბული. რატომ არაფერს მეუბნები, გულს
ჩემთან რატომ არ იოხებ? ბევრი ლაპა-
რაკი არაადროს არ გიყვარდა, მაგრამ
გულწრფელი ყოველთვის იყავი.

— გადავიღალე. დილიდან ექსპერი-
მენტა ვატარებდი. არ ჩამიმუხლავს.
ყველაფერმა უშედეგოდ ჩაიარა. ბუნე-
ბრივი არ გეჩვენება, რომ ამ დროს
კაცს გუნება გაუფუჭდეს? თან ძალზე
დავიღალე. დავიღალე გონებრივადაც
და ფიზიკურადაც. ლოგინში კი სიამოვნ-
ებით ჩავწვები. ერთ საათს დავიძინებ.
თუ შევძელი.

— ეგ ავადმყოფობა ადვილი მოსარ-
ჩენია, ოთარ! შენ ავად არ ხარ. რაღაც
სევდა გიდრღნის გულს. მე რატომ მი-
მაღავ? იქნებ გულის გახსნამ შეგიმაუ-
ბუქოს კიდევ დარდი!

— გთხოვ, შენ მაინც ნუ ამიშლი ნერ-
ვებს, ჩემი სადარდებელიც მეყოფა!

— კარგი, დაწყნარდი. გავალ, ცხელ
წყალს გაგიმზადებ!

„რაც მოხდა, აიზმარი იყო თუ ცხა-
დი?“ — ფიქრობდა ოთარ კახიშვილი
ლოგინში.

ცხელმა წყალმა ოდნავ დაამშვიდა.
მეუღლემ რამდენჯერმე შემოაკითხა. კა-
რი ფრთხილად შემოაღო და ფეხის წვე-
რებზე შემოვიდა. ოთარ კახიშვილს
თვალები დახუჭული ჰქონდა. ასე უფ-
რო ეიოლებოდა ფიქრი. კარის შემოღე-
ბაზე რეაქცია არ აკეთებდა. უძრავად
იწვა, ვითომ ეძინა.

დამშვიდებული ღია კარს ფრთხილად
კეტავდა და ოთახიდან ფეხაკრეფით გა-
დიოდა.

„ვინ იყო? მოჩვენება? ვამპირი? ცო-
ცხალი ადამიანი?“

ოთარ კახიშვილს საერთოდ არ სჯე-

როდა ადამიანთა ზებუნებრივი თვისე-
ბებისა. სხვა დროს, კოლეგებისაგან ან
ნაცნობ-მეგობრებისგან რომ მოისმენდა
ნათელმზილველთა ან ტელეპატთა გაა-
ოცარ, თითქმის დაუჯერებელ ამბებს,
მხოლოდ ირონიულად ელიმებოდა. კა-
მათში ჩაბმაც კი სისულელედ, არასერი-
ოზულობად ეჩვენებოდა.

კაცმა რომ ბჭქაა, არც ცდებოდა.

„მაშ, ვინ არის რამაზ კორინთელი?
ნათელმზილველი თუ აფერისტი? ზებუ-
ნებრივი ნიჭით დაჯილდოებული ადა-
მიანი თუ გაქნილი შანტაჟიტი?“

„იქნებ რაც მითხრა, ყველაფერი წი-
ნასწარ და კარგად მომზადებული მახეა?
იქნებ რაც მან მიაშბო, ყველაფერი წი-
ნასწარ შეკრიბა საგანგებოდ? ვთქვათ,
იმდღევანდელი ამბები დაწვრილებით
იცოდა, მაგრამ ვისგან?! როგორ შეიძ-
ლებოდა სცოდნოდა, ორი წლია წინათ
მოსკოვში ფინური კოსტიუმი მეცვა თუ
ინგლისური? იქნებ თვით დავით გიორ-
გაძემ უამბო ყველაფერი. როგორ, აად
და როდია?“

ოთარ კახიშვილმა მხარი იცვალა.

„წარმოუდგენელი! დავით გიორგაძე
საერთოდ არ იყო მოლაპარაკე კაცი.
აკადემიკოსა მათთვისაც კი არასდროს
უამბნია არაფერი, ვისთანაც ყოველ-
ღიურად ტრიალებდა. აად უნდა შეხ-
ვედროდა, როდის ან რატომ უნდა მოე-
თხრო ვიღაც ახალგაზრდა კაცისათვის
ორი წლია წინანდელი მოსკოვური ამ-
ბები? ოცი წლია ინსტიტუტში ვმუშა-
ობ. ოცი წლის მანძილზე თითქმის ყო-
ველდღე ერთად ვიყავით მე და დავით
გიორგაძე. არასდროს არ მინახავს მას-
თან რამაზ კორინთელი. არც აკადემი-
კოსისგან გამიგონია ოდესმე ამ ახალ-
გაზრდის სახელი და გვარი. ნათესაობა-
ზე ლაპარაკიც ხომ ზედმეტია! მაშ, საი-
დან იცოდა ყველაფერი ასე დაწვრილე-
ბით?“

„ვთქვათ, სადღაც შეხვდნენ ერთმა-
ნეთს. ვთქვათ, აუფრახე გაიცნო დავით
გიორგაძე“, — აკადემიკოსისგან უჩვეუ-
ლოდ ეჩვენებოდა, მაგრამ თეორიულად
მაინც იყო შესაძლებელი, დიახ, მხო-

ლოდ თეორიულად, რომ ჭყინტი ახალ-გაზრდიანათვის ეამბნა მისი ცხოვრების ზოგიერთი ეპიზოდი. — „მაგრამ ასე ზუსტად, ასე დეტალურად, რომ არ გამოჩინდეს პერანგისა და ჰალსტუხის ფერები?! წარმოუდგენელია!“

ოთარმა შორიდანვე გაიგონა მეუღლის ფეხის ხმა. ლიამ კარი ისევ ფრთხილად შემოაღო, საწოლს ფეხაკრეფით მიუახლოვდა და კედლისკენ შებრუნებულ მეუღლეს ყურადღებით დააკვირდა. კახიშვილი არ მობრუნებულა. გულდამშვიდებული ლია კვლავ ფრთხილად გავიდა ოთახიდან.

„ვთქვით, დავით გიორგაძემ უამბო თავია თეორიული ვარაუდები და ექსპერიმენტის შედეგები. წარმოუდგენელი, დაუჯერებელი, უფრო მეტიც, არასერიოზულობაა ამის გაფიქრებაც კი, მაგრამ ვთქვით, აკადემიკოსმა მართლა უთხრა ოცი თუ ოცდაათი წლის ლაწირაკს, ჩემი გამოკვლევა აეიფში მაქვს ჩაკეტილიო. ვთქვით, ისიც უამბო, ნომერში როგორ წავიჭეცი ან ლარისა ვლადიმეროვნაა ბეჭედი როგორ ვუყიდე. აიდან იცოდა ბეჭედი ყიდვის ამბავი, მე ხომ ამის თაობაზე აკადემიკოსთან კრინტიც არ დამიძრავა?! იქნებ ლარისა ვლადიმეროვნაა წამოცდა? კი ბატონო, ვთქვით წამოცდა. ვთქვით, აკადემიკოსმა ჩემი გერმანულის ამბავიც ჩაუყავლა, ასაცილოდ რომ უღერს ჩემი „უაქცენტო“ გამოთქმა. ვთქვით, ისიც ვილაციანგან გაიგო, რომ ჩემი სახელობის უძველეს თიხის თასს ტუჩი აქვს ჩამოტეხილი, ვთქვით, ყველაფერი ააგანგებო შეკრიბა და ჩემთან შესახვედრად, ჩემს მახეში გასაბმელად მთელი სერიოზულობით მოემზადა, მაგრამ თვითონ რომ შეაანიშნავი გერმანული სკოდნია?! დაუსწრებელი ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი მთლიანად არის საქმის კურსში, რა პრობლემებზე მუშაობდა განსვენებული აკადემიკოსი. ამავე დროს, უნაკლოდ ფლობს გერმანულ ენას! იშვიათი შემთხვევაა, მაგრამ მაინც დასაშვები, შესაძლებელი...“

ოთარ კახიშვილმა ფრთხილად თქვა ვალა მხარი.

„დეტალებს რა ვუყოთ? იმ საოცარ დეტალებს, რომელიც ნამბობა არ ჰგავს? როგორი სიზუსტით აღწერა ტანსაცმელი. ახლა სუფრა? თითქოს მართლა ხედავდა, ან იღვა გახანული კონიაკი და სად დაცლილი ბორჯომის ბოთლები. როგორი სიზუსტით დახატა სარკესთან მდგომი დავით გიორგაძე. წარმოუდგენელია, იმ დღის ამბავი აკადემიკოსს ასე დაწერილებით ეამბნა ვინმეთვის. ღმერთო ჩემო! მერე როგორი სიზუსტით, როგორი ღინამიკით დახატა ყველაფერი, როგორ იაწორებდა აკადემიკოსი ჰალსტუხს, როგორ ვიჭეცი სავარძელში, როგორ მითხრა, დაასხიო, როგორ წავევლე კონიაკის ბოთლს ხელი და უკან მოუხედავად როგორ მომამახა, კონიაკი კი არა, მაკივარში ბორჯომი დგას და ის დაასხიო. ისეთი შთაბეჭდილება მქონდა, თითქოა მას შემდეგ განვლილი ორი წელი ვიდეოკასეტის ფირივით გადაახვია უკან და ზუსტად იმ დღეზე დააყენა“.

„რა ექნა?“

„რა ექნა?“

„იქნებ ჯობია ახლავე დავურეკო და ხვალ ჩემს კაბინეტში ველაპარაკო?“

„იქნებ ჯობს, შინ მივიკითხო? იქნებ მიამა სახლმა მომცეს რაიმე ინფორმაცია, იქნებ რაიმეს მიმახვედროს და გზაზე დამაყენოს!“

„იქნებ ქალაქგარეთ გასეირნება აჯობს? იქნებ ბუნების წიაღში ან მანქანაში უფრო სწრაფად ვიფანტოს ბურთი, უფრო გამოვიცნო, ვინ არის და რა კაცია რამაზ კორინთელი?“

„იქნებ...“

„იქნებ...“

„ღმერთო, გავვიფდები!“

მესამრიდზე დაცემული და მიწაში განმუხტული მეხვივით, ოთარ კახიშვილის თავში გაელვებული ფრაზები პირდაპირ გულში განიმუხტებოდა. ელექტრონის ნაპერწყლებში გახვეული გულის ტაკუნის და შიშინი ტკივილთან

ერთად მთელს ნერვულ სიატემა უბურლავდა.

„ხვალე უნდა დავურეკო. ხვალე უნდა ვნახო. ლოდინი არ შეიძლება. მერე გვიან იქნება. ვერც გული გადაიტანს! ამოდენა ნერვიულობა!“

„იქნებ კორინთელმა იცის კიდევ სეიფის შიფრი? — მოულოდნელად გაუელვა თავში ოთარ კახიშვილს. — აქამდე როგორ ვერ მოვიფიქრე! რასაკვირველია, ეცოდინება კიდევ, თუ იგი მართლა ნათელმხილველია!“

„და თუ არ იცია, მაშინ საეჭვო აღარაფერია, საგანგებოდ შეკრებილი ამბებით გადაუწყვეტია ჩემთვის ხაფანგია დაგება.“

„ახლავე უნდა მოვნახო, ახლავე უნდა დავურეკო!“ — ოთარ კახიშვილი ფიცხლად წამოჭდა ლოგინზე.

„არა, არ ივარგებს. თავი უნდა მოვთოკო. აღელვება და ცნობისმოყვარეობა, დიახ... თუნდაც შიში, — გამოუტყუდა კახიშვილი თავის თავს, — არ უნდა დამეტყოს, თორემ სულ გათამამდება

და გათავზედდება, მაშინ მთლიანად მოინდომებს ჩემს შებოკებასა და ხელში ჩაგდებას, მაშინ ეს შეკარანახებს თავის პირობებს!“

ლოგინზე წამოძვარდა თავი კვლავ ნელა წაიღო ბალიშისაკენ. თვალები ჭერს მიაპყრო და შეეცადა დამშვიდებულიყო.

„თავს უნდა მოვერიო!“

„თავს უნდა მოვერიო!“

„თავს უნდა მოვერიო!“

„მხოლოდ ორი დღია შემდეგ დავურეკავ, ორი დღია შემდეგ!“

ერთი საათითაც არ აეჩქარდები. აჩქარება აუცილებლად დაღუპავს საქმეს!“

საბოლოო გადაწყვეტილებამ თითქოს ცოტა დაამშვიდა. შიმშილიც იგრძნო. ესამოვნა. მიხვდა, ვნებათაღელვას მოერია, ნერვები მოთოკა და სხეულმაც, ჩვეულებრივ, თავი გაახსენა. ლოგინზე დინჯად წამოჭდა და იქვე, სკამზე გადადებულ სპორტულ პიჯამას წაეტანა.

თავი მეთერთმეტე

ნაცრიფერ „ეიგულში“ ორნი იახდნენ, რამაზ კორინთელი და სოკო შადური. ისინი ხობია ქუჩის კუთხეში შეჩერდნენ ორი წუთით, ლადოგის ქუჩის პარალელურად და ოთხი კვარტლის მოშორებით. ზუსტად გეგმით გათვალისწინებულ დროს მოვიდნენ, ოთხს ხუთი წუთი უკლდა. ორ-სამ წუთში „კამაზის“ უნდა გამოჩენილიყო, რომლია საკვებთან სერგო ხაზარაძე იქნებოდა. მანამდე „ეიგულით“ ლადოგის ქუჩაზე გამოიარეა, იქაურობა კარგად დახვედრეს. საეჭვო არაფერი იყო. ცოტა მოშორებით ნოდარ მიმინოშვილი გადმოსვებს თუ რაიმე გაუთვალისწინებელი საფრთხე გამორჩნდებოდა, ლადოგის ქუჩაზე „კამაზის“ მომავალ სერგოს ანიშნებდა და მანქანა გზას გააგრძელებდა. თვითონ „კამაზის“ კვლდაკვალ მიმავალ „ეიგულში“ ჩაჯდებოდა. მანქანები იქ-

აურობას სხვადასხვა ქუჩებით გაეცლებოდნენ.

ღრუბლიანი, ჩახუთული ღამე იდგა. დღე ცაზე ღრუბლის ნაფლეთიც კი არ ჩანდა, მზე უმოწყალოდ აჭერდა, საღამოა ერთბაშად მოჩირუბლა. გახურებული აფალტიდან ამომავალმა სითბომ კიდევ უფრო ჩახუთა ქალაქი.

რამაზ კორინთელმა ოფლი მიიწმინდა.

„ვითომ ვღელავ? სიმწრის ოფლი ხომ არ მასხამს? თუ ვღელავ, თავს რატომ ვგრძნობ თავისუფლად და ხალი-სიანად?“

რამაზ კორინთელს ვერ გაეგო, მია არაებაში რა ხდებოდა. ერთი აშკარა იყო, დაწყებული ოპერაცია და მიაი სირთულე ნამდვილად ანიჭებდა სიამოვნებას!

შეიძლება მთლად ზუსტი არ იყო აპა-

რალელი, მაგრამ ისეთი მღელვარება და შიშვარეული ნეტარება დაუფლებოდა, პაემანზე ახლად გაცნობილ ულამაზეს ქალს რომ ელოდები და მოლოდინით გულაფართხალებულს სიხარულთან ერთად შიშიც რომ შეგპარვია, ვითუ არ მოვიდესო.

უცებ „კამაზის“ ხმა შემოესმათ. ასო შადურის მანქანიდან გადავიდა და „თიგულის“ ნომრებზე მავთულით მუყაოს აქელი ფურცლები მიაშვრა, რომლებზეც სრულიად ახვა ნომრები იყო გამოსახული: ნომრები რომ საიმედოდ დაფარა, მანქანაში ჩაჯდა, ძრავა ჩართო, წამოწეული „კამაზი“ წინ გაუშვა და ოცდაათმეტრიანი ინტერვალით მიჰყვა უკან.

რამაზ კორინთელს გულმა ბაგაბუგი დაუწყო. თუმცა გუნება არ შეეცვლია, პირიქით, საშინელმა სურვილმა შეიპყრო, ოპერაცია მალე დაწყებულიყო.

ორი კვარტლის შემდეგ ლადოგის ქუჩაზე გავიდნენ. რამაზ კორინთელმა შორიდანვე დაინახა ნოდარ მიმინოშვილი. ქუჩა არ იყო კარგად განათებული, მაგრამ ისიც კარგად გაარჩია, მიმინოშვილმა სერგოს როგორ ანიშნა, ყველაფერი რიგზეაო.

უნებურად, ხელი რევოლვერისკენ წაიღო და ფეხზე შეაყენა.

— დამცველით ჩაგკეტე და ფრთხილად იყავი, მაშინდელივით უმიზნოდ არ ატეხო სროლა! — შიშნარევი ჩურჩულით გააფრთხილა სოსო შადურმა.

— ნუ ლელავ! ეს ისე, ყოველი შემთხვევისათვის. მჯერა, დღეს სროლა არ დაგვჭირდება! — ხმდაბლა ჩაიციხნა რამაზ კორინთელმა.

ყველაფერი რამდენიმე დღის წინ დაიწყო. სოსო შადურმა მანქანა გააჩერა და სივარეტის საყიდლად გადავიდა. რომ დაბრუნდა, მანქანაში ვიღაც უცნობი, გამხდარი, უსიამო სახის ბიჭი დახვდა, აე ოცი-ოცდაროი წლისა.

— მე რომბერტი მჭვია! — თქვა ბიჭ-

მა ჯერ კიდევ მანამ, სანამ შადურმა მანქანაში ჩაჯდებოდა.

— მერე?

— საქმე მინდა მოგცე!

— შენ? — შადურმა დამცინავად ჩათვალიერა გამხდარი, გაფითრებული, გამოციებულთვალებიანი ჭაბუკი.

— ჰო, მე!

— ვინ ხარ. მე შენ არ გიცნობ!

— საიდან გეცოდინებ, სექციონერი ვარ.

— სად? — დაინტერესდა შადური. ინტუიციით მიხვდა, საქმე არ უნდა ყოფილიყო ურიგო.

— რადიოტექნიკის მაღაზიაში. ლადოგის ქუჩაზე. დღეს ვიდეომაგნიტოფონების და პატარა, ყველაზე მოდური მაგნიტოფონების პარტია მივიღეთ იაპონიიდან.

ასო შადურისათვის ყველაფერი ნათელი გახდა.

— ჩემი სახლი იცი?

— ვიცი!

— ყოჩაღ! — გაუკვირდა გულწრფელად.

— მე შენ დიდი ხანია გიცნობ. ორჯერ მინდოდა საქმის მოცემა, ვერ გავბედე.

— საღამოს რვა საათზე მოდი. შეეცადე, არავინ დაგინახოს.

ზუსტად რვა საათზე მაღაზიის სექციონერი სოსო შადურის სასადილო ოთახში იჯდა, მაგიდასთან.

მოპირდაპირე მხარეს, კედელთან მიდგმულ რბილ სავარძელში შადური მოკეცილიყო, სივარეტს აბოლებდა და გაფითრებულ, თვალეზამოციებულ ჭაბუკს ყურადღებით აკვირდებოდა.

ნოდარი და სერგოც მაგიდიდან მოშორებით ისხდნენ კედელთან მიდგმულ სკამებზე.

— რა არის საჭირო ოპერაციისათვის? — ჰკითხა შადურმა.

— დიდი მანქანა.

— რისთვის? — შეეითხვებს მარტო შადური იძლეოდა.

— ოპერაციის ერთადერთი ვარიან-

ტი არსებობს, საბარგო მანქანამ ვიტრინა უნდა შეამტკრიოს.

— ვიტრინია ჩასატეხად ქვა არ იკმარება?

— ქვა მხოლოდ მინა ჩაამსხვრევს, მინის უკან კი ლითონია ვისთაებია.

— გასაგებია.

შადღურმა მეგობრებმა გადახედა. არც ერთი ხმას არ იღებდა.

ნოდარ მიმინოშვილი არ იყო დიდი ფანტაზიის პატრონი: სამაგიეროდ, დავალების იდეალურ შემსრულებლად ითვლებოდა. რკინის ნერვები ჰქონდა და შიში არ იკოდა. თვით უმნიშვნელო წვრილმანებიც კი არ ავიწყებოდა. ამიტომაც გეგმის შედგენისას საქმეში არ ერეოდა. თუმცა უკვე შემუშავებული გეგმის ირგვლივ ძალზე საფუძვლიან შენიშვნებს გამოთქვამდა ხოლმე.

სერგო საერთოდ არ ერეოდა საქმეში. არც გეგმას ეცნობოდა ხოლმე ბოლომდე. იგი ყოველთვის ეპიზოდის კაცი იყო და ეპიზოდის მსახიობივით მხოლოდ თავის როლს იზეპირებდა. სხვა ნაკლიც ჰქონდა. სახე კაცისმკვლელს მიუგავდა. კარგად რომ გაიპარებოდა, რატომღაც მაინც წვერმოშვებულს ჰგავდა. უზარმაზარი, ძროხასავით დიდი ენა პირში არ ეტეოდა და ყოველთვის ტუჩებში ჰქონდა გამოჩრდილი. სამაგიეროდ, უღმობელი იყო. შეეძლო კაცისათვის ცხვარივით გამოეჭრა ყელი.

— დიდ მანქანას იშოვი? — ჰკითხა შადღურმა სერგოს.

— ვიშოვი. ჩემი მეგობარი „მეტრომშენში“ მუშაობს. ის მათხოვებს.

— სანდოა?

— ვინც ფულს იღებს, ყველა სანდოა.

— მე სხვა რამეს გეკითხები. მილიცია, ხომ იცი, ყოველი მხრიდან დაუწყებს ჰიჯენას, მანქანა სახლში რატომ გყავდაო. დაბნევას მოუწოდებენ. გაუძლებს?

— გაუძლებს, მაგისა ნუ გედარდება!

— თანახმა იქნება?

— ვითხარი, მაგისა ნუ გედარდება მეთქი.

— კარგი! — თქვა დინჯად სოსო შადღურმა და ახალგაზრდა კაცს მიუბრუნდა.

— აბა, აგვიხსენი, რა უნდა გავაკეთოთ.

რობერტმა დაწვრილებით გააცნო მალაზიის ვატევის გეგმა.

სოსო შადღური დიდხანს დუმდა. ბოლოს სიგარეტი გააბოლა და დაფქვრებულმა თქვა.

— ხვალ მალაზიაში მოვალთ. რამეს შეგევაჭრებით. ყველაფერი საკუთარი თვალით უნდა ვნახოთ.

— რომელ საათზე მოხვალთ?

— როცა გვეტყვი.

— თორმეტზე ჯობია, ამ დროს ყველაზე მეტი ხალხი ირევა მალაზიაში.

— კარგი. თორმეტზე მოვალთ.

— ჯობია, ცალ-ცალკე შემოხვიდეთ. რობერტი წავიდა.

— კარგი საქმე ჩანს! — უდარდელად ჩაილაპარაკა ნოდარ მიმინოშვილმა.

— წადი, რამაზ კორინთელი მოიყვანე! — მიუბრუნდა მეგობარს შადღური.

— ჯერ დავურეკოთ. ახლა შინ იქნება. — თქვა უდარდელად ნოდარმა.

— მერე, რას უყურებ, მიდი და დაურეკე! — გაბრაზდა შადღური. არ ესიამოვნა, რომ თვითონ ვერ მოისახრა სრულიად უბრალო რამ.

ნოდარ მიმინოშვილმა ნომერი აკრიფა და ყურმილი შადღურს გაუწოდა.

— რამაზ! რამაზი ხარ?

— დიახ!

— სოსო ვარ, შადღური.

— გისმენ!

— უნდა შევხვდეთ.

— როდის?

— ახლავე!

— რატომ?



— ტელეფონში ვერ გეტყვი. უნდა მოხვიდე ჩემთან.

— შენ თვითონ მოდი. მე ერთხელ უკვე ვიყავი შენთან.

სოსო შეტბა.

ნოდარ მიმინოშვილი მიხვდა, შადურს რაღაც არ მოეწონა და უდარდელი, ცარიელი სახე ერთბაშად ინტერესით აევსო.

— კარგი, მე მოვალ! — შადური შეეცადა ხმაში სიბრაზე არ შემჩნეოდა.

თხუთმეტ წუთში რამაზ კორინთელის სახლთან იყვნენ.

— თქვენ მანქანაში დარჩით, აქ დამელოდეთ!

კიბეზე სწრაფად აირბინა და ზარს თითი დააჭირა.

ოთახიდან ყრუდ მოისმოდა პიანინოს ხმა.

ისევ დააჭირა ზარის ღილაკს თითი.

— მოვდივარ! — შემოესმა რამაზ კორინთელის ხმა და დამშვიდდა.

მასპინძელმა ვალო თუ არა კარი, შადურს იმავე წუთში ეცა შამპანურის სუნი.

სუნიც არ იყო საჭირო. რამაზ კორინთელს ხელში სანახევროდ დაცლილი ჭიქა ეჭირა და ალკოჰოლით არეული თვალები უცნაურად უბრწყინავდა.

— კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!

სოსო შადურს არ გამოპარვია მასპინძლის დამცინავი კილო, მაგრამ არაფერი შეიმჩნია და ოთახში შევიდა. ჭიქის დანახვისთანავე მიხვდა, რამაზ კორინთელი მარტო არ იყო. სავარძელში მოკალათებული და ფეხიფეხზე შემოდებული ქერა ქალიშვილი რომ დაინახა, დაიბნა.

— მგონი, უდროოდ დროს მოვედი, არა?

— ნუ ღელავთ, ბატონო სოსო. ჯერ გაიცანით — ქალბატონი მაკა.

სოსო შადურმა ქალიშვილს თავი მოკრძალებით დაუქნია.

— ეს კი სოსო შადური გახლავთ,

იოსებ ელადიმერის ძე შადური, ჩემი ძველი მეგობარი და კოლეგა.

მაკა ადგილიდან არ განძრეულა, ცალ ხელში სიგარეტი ეჭირა, მეორეში კი საფერფლე, შადურის მისალმებაზე სახეზე ღიმილი გამოეხატა. სოსო შადური მიხვდა, ფერმკრთალი, წამიერი ღიმილი მისალმებას და გაცნობას ნიშნავდა.

— ნამდვილად ცუდ დროს მოვედი. — ცივად თქვა კორინთელის დამცინავი ტონით განაწყენებულმა შადურმა, — წავალ, ხვალ დილით გამოვივლი.

— არავითარი „წავალ“! მაკა უკვე მიდის. ვიცი, მარტო არ მოხვიდოდ! — კორინთელი ახალგაზრდა ქალს მიუბრუნდა, — მაკა, ქვემოთ მანქანა დაგხვდება, ნაცრისფერი „უიგული“. იქ ორ ინტელექტუალურ სახეს დაინახავ. ჩვენი სახელით ეტყვი, რომ შინ მიგიყვანონ. გასაგებია?

— გასაგებია.

— მართალია, ერთი მათგანი კაცისმკვლელს ჩამოჰგავს, მაგრამ ნურაფრისა შეგეშინდება. ფორმა ყოველთვის როდი შეესატყვისება შინაარსს, ასე არ არის, ბატონო სოსო?

შადურმა კოპები შეიკრა. რამაზ კორინთელის სითამამემ და ირონიამ გააცოფა, მაგრამ თავი მაინც შეიკავა.

მაკა მიხვდა, უნდა წასულიყო. წელანდელი ღიმილი ისევ ტუჩებზე ჰქონდა უნიჭოდ მიხატული. სიგარეტის ნამწვი საფერფლეზე დააგდო და ფეხზე წამოდგა.

რამაზ კორინთელმა კარებამდე მიაცილა, ლოყაზე აკოცა, ხვალ დილითვე დაგირეკავო, უთბრა და კარი მანამ არ დაკეტა, სანამ ქალიშვილი ქვედა სართულზე არ გაუჩინარდა.

ოთახში რომ შემობრუნდა, შადური უკვე სავარძელში იჯდა და სიგარეტს აბოლებდა.

— დავლიოთ?

— მე საქმეზე ვარ მოსული.

— საქმე მოიცდის.

— ვერ მოიცდის. ვადი, პირი ცივი წყლით დაიბანე.

— ნუ გეშინია. არც ისე მთვრალი ვარ, ვერ მოვისმინო. პირს მაინც დავიბან. ძალიან ცხელა. არ ვიცი, დღეს მერამდენედ ვიბან პირს. დაისხი, დალიე და სულ მალე ერთ ჭკუაზე ვიქნებით.

რამაზ კორინთელი აბაზანაში შევიდა. შადურმა შამპანური დაისხა და მოსვა. ცივი შამპანური ესიამოვნა, ერთი სული ჰქონდა, ჭიქა დაეცალა, მაგრამ თავი შეიკავა.

— დალიე, დალიე, კიდევ მაქვს მაცივარში! — ოთახში შემობრუნებულ კორინთელს ხელში პირსახოცი ეჭირა და თავ-პირს იწმენდდა, — შენი ხატრით ცივ წყალს შევეუშვირე თავი, დალიე!

— საქმეზე ლაპარაკის წინ არ მიყვარს დაღევა. ერთი ჭიქაც კი გამოუსწორებელ სითამამეს მატებს ადამიანს! — შადურმა სავსე ჭიქა მაგიდაზე დადგა.

— ეტყობა, მართლა სერიოზული საქმე გქონია.

სოსო შადურმა დაკვირვებით შეხედა მასპინძელს. რამაზ კორინთელს თვალები დაწმენდოდა. სიმთვრალე თითქმის აღარ ეტყობოდა.

— ნუ გეშინია, ერთი ბოთლიც არ მაქვს დალეული. — მიუხედა კორინთელი.

— ძალიან კარგი! — შადურმა სიგარეტი საფერფლეზე დაავდო და სავარძლის საზურგეს მიწოლილმა წინ გადმოიწია, — მშვენიერი პიანინო გიყილია.

— დიახ, „როინიშია“.

— წელან შენ უკრავდი?

— ჰო, მე ვუკრავდი. უმუხივოდ ცხოვრება, ჩემო სოსო, არ შემიძლია.

— აღრე შეგეძლო.

— აღრე სხვა იყო. იცვლება დრო, იცვლება მიზნები, მისწრაფებები, სურვილები, შეხედულებანი...

— კიბეზე რომ ამოვდიოდი, პია-

ნინოს ხმა შემომესმა. რას წარმოვიდგენდი, თუ შენ უკრავდი.

— მგონი, ერთხელ უკვე გითხარი, ვუკრავ-მეთქი. გამოდის, რომ ჩემი არ გჯერა.

— მჯერა, მაგრამ არ მეგონა, თუ ასე კარგად უკრავდი.

— მიხარია, რომ ჭეშმარიტი შემფასებელი ბრძანებულხარ, — ირონიულად ჩაიცინა რამაზ კორინთელმა, — გულწრფელად გეტყვი, საავადმყოფოდან გამოსვლის შემდეგ თითები არ მემორჩილებოდა. ძლივს მოვარჯულე, თუმცა ისე მაინც ვერ ვუკრავ, როგორც შემიძლია.

— გავა დრო და თითებს საბოლოოდ დაიმორჩილებ, მაგრამ ეგ არაა მთავარი.

— მაინც რა არის მთავარი?

მასპინძელმა პირსახოცი საწოლზე მოისროლა და მოსასმენად მოეშადა. მიხედა, შადურს რაღაც მნიშვნელოვანი უნდა ეთქვა.

— ჩვენს საქმეში მთავარია გულწრფელობა! — დაიწყო ხმადაბლა სოსომ.

— ეგ უკვე ვიცი.

— მე, როგორც მეგობრებთან ბოლომდე გულწრფელი კაცი, ახლაც გულწრფელად გეუბნები, რომ არ მჯერა შენი.

— რა არ გჯერა? — გაიღიმა კორინთელმა.

— არ მჯერა, რომ შენ შენ ხარ!

რამაზ კორინთელმა პასუხად ხმამალლა გაიციანა.

— და თუ შენ შენ ხარ, ესე იგი, რამაზ კორინთელი ხარ, რატომღაც მჯერა, ჩაფიქრებული გაქვს საბოლოოდ გაწყვიტო კავშირი ჩვენთან. რასაკვირველია, ჩვენ უფლება არ გვაქვს რაიმე გაიძულოთ, მაგრამ მხოლოდ მას შემდეგ დაგანებებთ თავს, როცა ერთ საქმეში კიდევ მიიღებ მონაწილეობას.

— ამ ერთ საქმეს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს?

— გადამწყვეტი. ტრავმის შემდეგ, როცა ყველაფერი დაგვიწყდა და გამოჯანმრთელების შემდეგ საერთოდ გაწყვიტე კავშირი ძველ ცხოვრებასთან, ძველ ბიოგრაფიასთან, საქმეებიდან, შეიძლება ითქვას, სუფთად ხარ დაძვრენილი.

„ყველაფერი დაგვიწყდა... სუფთად ხარ დაძვრენილი!“ — დააფიქსირა ტვენის რომელიღაც უჯრედში რამაზ კორინთელმა.

— განსაკუთრებით ბოლო საქმეს ვგულისხმობ. გარანტია არა გვაქვს, რომ ხვალ-ზეგ არ გაიხსნება. ლალატს არ ვაპატიებთ, არც მე და არც ბიჭები. არ გემუქრები. კარგად იცი, ეს ჩვენი კანონია!

— ვისმენთ! — თქვა რამაზ კორინთელმა.

შადურს მიხვდა, მასპინძელი მთელი სერიოზულობით უსმენდა.

— ჯერ დაჯექი!

კორინთელი მორჩილად ჩაჯდა მოპირდაპირე სავარძელში.

— რამდენიმე დღეში ერთ საქმეს ავიღებთ! — დაიწყო კორინთელის მორჩილებით ნასიამოვნებმა სოსო შადურმა, — შენ აუცილებლად მიიღებ მონაწილეობას ამ ოპერაციაში. ალბათ, მიხვდი, რასაც გუბუნები. ჩვენ ერთად ვიყავით შენი მეხსიერების დაკარგვამდე და ერთად ვართ ახლაც, შენი მეხსიერების აღდგენის შემდეგ.

— წელან გულწრფელობა ახსენე. მეც. გიტყვი გულწრფელად, არ მეგონა, თუ ასეთი ჭკვიანი იყავი!

— ახლა არ არის დამცინავი კომპლიმენტების დრო. ოპერაციის შემდეგ შეგიძლია დარჩე ჩვენთან, შეგიძლია სამუდამოდაც დაგვემშვიდობო.

რამაზ კორინთელმა გამომცდელად შეხედა სტუმარს თვალებში. მიხვდა, უარი არ გაუვიდოდა. უარი ერთ-ერთის სიკვდილს ნიშნავდა, მაგრამ სოსო შადური მარტო არ იყო. უბი-

რატესობა აშკარად შადურისადაა. სი ხალხის მხარეს იჭნებოდა.

— მერე და საიდან დაასკვენი, რომ მინდა ხელი ავიღო ჩემს ძველ ხელობაზე? აბა, ერთი ჩამოყაჭე, რა გადამწყვეტიათ?

სოსო შადურმა დაკვირვებით შეხედა. უნდოდა გამოეცნო, რამაზ კორინთელი ხუმრობდა თუ მართალს ამბობდა. თან უკვირდა, როგორ გამოთამამდა, რა თავხედურად მელაპარაკებო. გაოცებული ვერ მიმხვდარიყო, შეიძლებოდა ტრავმის შემდეგ კაცს ხასიათი ასე შეცვლოდა?

დღედაღამ ფიქრობდა, ცდილობდა, გარკვეულიყო, რა მოხდა, რა ჯადოსნური კვერთხი შეეხო რამაზ კორინთელს, რამ გადააქცია უვიცი და გონებაშეზღუდული კაცი უგანათლებულეს ადამიანად. ბოლოს ერთ დასკვნამდე მივიდა. რამაზ კორინთელი თავიდანვე იყო ასეთი. როცა გაუქირდა და ფული დაჭირდა, შადურს მიაკითხა. კორინთელს, ალბათ, თავიდანვე ჰქონდა განზრახული, რომ გარკვეული დროის შემდეგ, უფრო სწორად, გარკვეული თანხის დაგროვების შემდეგ ცხოვრების სხვა გზას დადგომოდა. ამიტომაც თამაშობდა უბირი ახალგაზრდის როლს. უკანასკნელ ოპერაციაზე რამაზ კორინთელს კაცი შემოაკვდა, ალბათ, შეშინდა. გადამწყვეტა. ტრავმით, მეხსიერების დაკარგვით ესარგებლა და ბიჭებისაგან საბოლოოდ დაეძვრინა თავი. სოსო შადური უკეთეს შემთხვევას ვერ იპოვიდა. თუ რამაზ კორინთელი შეთავაზებულ ოპერაციაში მონაწილეობაზე უარს იტყვოდა, ყველაფერი ნათელი იჭნებოდა, მაშინ კი... მაშინ შადურს წინ ველაფერი დაუდგებოდა.

— მიდი, ამოყაჭე, რაღას ელოდები? — გაუმეორა რამაზ კორინთელმა.

— ხუმრობას შეეშვი. საქმე ძალზე

გურამ შანუკიძე
საირალი



როულია და სეროიზული. დიდ რისკს მოითხოვს. ამიტომ ყური კარგად დამიგდე, რომ ყველაფერი ავწონ-დავწონოთ. ერთი უმნიშვნელო დეტალიც რომ გამოგვრჩეს, შეიძლება დავიწვათ.

— მით უფრო დიდი სიამოვნებით გისმენ.

— ძალიან კარგი! — შადური მაგიდაზე დაგდებულ სიგარეტს დასწვდა, მოუყიდა და ბოლი ხელით გაფანტა, — ლადოგის ქუჩაზე არის რადიოტექნიკის მაღაზია. იცი, არა?

— ვიცი!

— ორი დღის წინ მიიღეს უკანასკნელი მარკის პატარა იაპონური მაგნიტოფონები და ვიდეომაგნიტოფონები. საქმე სექციონერმა მოგვცა.

— კარგი საქმე ჩანს. შემდეგ?

— საქმე ნამდვილად კარგია. მაგრამ ოპერაციის ძალზე სუსტი ადგილია ვიტრინის აბარგო მანქანით ჩამტვრევა.

— საბარგო მანქანა გვყავს?

— სერგო მოიყვანს. მისი მეგობარი მეტრომშენში მუშაობს. ღამის ოთხ საათზე სერგო მანქანით მაღაზიის ვიტრინას შეამტვრევს. ხუთის ნახევარზე კი მანქანის პატრონი მილიციას შეატყობინებს, რომ მანქანა ვიღაცამ გაიტაცა.

— მანქანის პატრონი საიშეღოა?

— სერგო ამბობს, რომ საიშეღოა.

— სერგოს ვერ ვენდობი, ის კაცი უნდა ვნახოთ და ველაპარაკოთ. გამოხედვაზე შევატყობ, გაუძღვებს თუ არა მილიციის შემოტევას. გამოძიებელი პირველ რიგში დაინტერესდება, რატომ ჰყავდა მანქანა სახლთან შოფერს, როცა წესით გარაჟში უნდა გაეჩერებინა. და მეორე, რაღა მანცდამაინც გატაცებიდან ნახევარი საათის შემდეგ დარეკა მილიციაში?

— არაა ძნელი საქმე. თავის მართლება არ უნდა გაუპირდეს, თუ ყოჩალი და გამოცდილი ბიჭია! — არ დაეთანხმა სოსო შადური.

— ვნახავთ, დაველაპარაკებთ. უნდა მოვურიგდეთ კიდევ.

— რასაკვირველია, მარტო სერგოს ვერ დავეყრდნობით.

— ჩამტვრეული ვიტრინის შემდეგ, როცა საუწყებო დაცვაში სიგნალიზაცია ჩაირთვება, რამდენ წუთში მოდის მილიცია?

— თხუთმეტ წუთში.

— შემოწმებული გაქვთ?

— არა. სექციონერმა გვითხრა.

— ცუდია!

— რა არის ცუდი?

— სექციონერმა შეიძლება არ იცოდეს ზუსტი დრო, ამიტომ აუცილებლად უნდა შევამოწმოთ და, მეორეც, არ ვარგა, საბარგო მანქანის შოფერი რომ ნახევარ საათში დარეკავს მილიციაში.

— რატომ?

— ვიმსჯელოთ ლოგიკურად. უკვე თეთრი ძაფით ჩანს ნაკერი, რომ შოფერმა დაარღვია შინაგანაწესი და მანქანა გარაჟის ნაცვლად სახლის წინ დააყენა. რასაკვირველია, ასეთი დარღვევები ხდება. მაგრამ ჩვენს შემთხვევაში საქმე გაცილებით რთულადაა. ღამის ოთხი საათისათვის, უფრო ზუსტად, ოთხს რომ თხუთმეტი წუთი აკლია, ვიღაც მანქანას იტაცებს. ზუსტად ოთხ საათზე გამტაცებელი მანქანით შეანგრევს ვიტრინას. გატაცებიდან ნახევარი საათის შემდეგ კი შოფერი რეკავს მილიციაში, მანქანა მომტაცესო. მას ან მაშინვე უნდა გაეგო მანქანის გატაცება, როცა უზარმაზარი სატვირთო მანქანის მობრთვით ჩართეს, ან დილით აღრე, როცა გაიღვიძებდა და მანქანა ქუჩაში აღარ „დახვდებოდა“. გაცილებით ჯობია, შოფერმა „ვერ გაიგოს“ მანქანის გატაცება, რადგან მას, საერთოდ, ღრმადილით „ძინავს“ ხოლმე. მილიცია მალე დაადგენს მანქანის პატრონს, მიაკითხავენ შინ და გაადგილებენ. უნდა დამეთანხმო, რომ ჩემი ვარიანტი უკეთესია.



— გეთანხმები! — გაცემას ვერ მალავდა სოსო შადური.

— ძალიან კარგი, მაშ, სექციონერი ამბობს, რომ მილიცია მხოლოდ თხუთმეტ წუთში მოვა?

— დიახ.

— ბევრია! წარმოუდგენელია! უნდა შევამოწმოთ. ზუსტად უნდა ვიცოდეთ მილიციის მოსვლის დრო. თხუთმეტი წუთი დიდი შუალედიანია. რა ვქნა, ეჭვი მეპარება!

— როგორ უნდა შევამოწმოთ?

— გეტყვი! — რამაზ კორინთელმა სიგარეტის კოლოფს წაავლო ხელი. — მანამდე შენ გაავრძელე, რას ვაკეთებთ ვიტრინის შენგრევის შემდეგ.

— ჩვენ ეჭვე ვდგავართ „ჟიგულით“ — მე, შენ და სექციონერი. შემოგვიერთდება სერგოც, რომელიც „კამაზიდან“ პირდაპირ მაღაზიაში შევარდება. საქონელს უმალვე ჩავტვირთავთ მანქანაში და, ეჭვი რომ არავინ აიღოს, მთავარი მაგისტრალით დავიძვრებით გლდანისაკენ.

— სად უნდა გავყიდოთ ამდენი საქონელი ან როგორ უნდა გავყიდოთ?

— ერთი კაცი იყიდის მთლიანად. ჩვენ ხომ არ დავიწყებთ ვაჭრობას!

— ძალიან კარგი! — მოწონების ნიშნად თავი დაიქნია რამაზ კორინთელმა.

— თქვი. რაც შეგაეჭვებს, ყველაფერი უნდა ავწონ-დავწონოთ.

— დიახ, კიდევ მაქვს ორი შენიშვნა! — რამაზ კორინთელი გრძნობდა, ოპერაციის დეტალების მოფიქრება და დაზუსტება სიამოვნებას ანიჭებდა. უხაროდა, რომ მოვლენებს სოსო შადურზე უკეთ აფასებდა. — ორი, თანაც არსებითი შენიშვნა.

— ნუ გადამაყოლე, თქვი, რა არ გიჭდება ჭკუაში. კიდევ გიმეორებ, აქ იმიტომ ვარ, რომ ყოველგვარი წვრილმანი წინასწარ გავითვალისწინოთ.

— პირველი: სექციონერს რა უნდა ჩვენთან?

— როგორ თუ რა უნდა. მარტო

იდეაში მივცეთ ფული? პასუხს ამდენად უნდა გავნიშნავოთ.

— დაწყნარდი. ნერვები დაიოკე. შენი ნერვიულობა არ შეიძლება. თუ სექციონერი მართალია, რომ მილიცია მაღაზიაში თხუთმეტ წუთში მოვა, ხუთ წუთში ისინი ტელეფონით გამოიძახებენ მაღაზიის ყველა თანამშრომელს. რა ჰქვია ჩვენს სექციონერს?

— რობერტი!

— უხერხული სიტუაცია. ხომ არ შეიქმნება, როცა ბატონი რობერტი შინ არ აღმოჩნდება? მე მგონი, დამეთანხმები, რომ მილიცია პირდაპირ დაადგება სწორ კვალს!

— სოსო შადურმა აღტაცება ვერ დამალა.

— ყოჩაღ, სავსებით სწორი ხარ. ამ ბოლო დროს გაცემას გადამაჩვიე, მაგრამ, გულწრფელად რომ გითხრა, შენგან მაინც არ ველოდი ასეთ გამჭრიახობას!

— ნუ ღელავ, კიდევ ბევრჯერ მოგიწევს აღტაცების გამოხატვა. — რამაზ კორინთელმა სიგარეტის ნამწვი საფერფლეზე დააგდო, შამპანური დაისხა და მოსვა, — გამთბარა. ახლავე ყინულს მოვიტან.

— არაა მაგის დრო!

— ნუ გეშინია, ყველაფერს მოვასწრებთ. ჩვენს საქმეში სიჩქარე არ გამოგვადგება!

კორინთელმა მაცივარი გამოაღო და ჭიქაში ყინული ჩააგდო.

— გინდა?

— რა მეშამპანურება. ჯერ მოდი, საქმე მოვათავოთ!

— ერთი სიტყვით, სოსო... თუ არ ვცდები, ვლადიმეროვიჩი, არა? ერთი სიტყვით, იოსებ ვლადიმეროვიჩი. „კამაზის“ შოფრის მსგავსად, ჩვენ რომ ცეცხლს დავუწყებთ თამაშს, ბატონი რობერტიც ლოგინში უნდა ნებევრობდეს. სექციონერმა სულ სხვა სამსახური უნდა გაგვიწიოს. წინა

დლით, ხველა ჩვენთავანი ცალ-ცალკე შევეალთ მალაზიაში. სექციონერმა ოსტატურად უნდა დაგვანახოს, სად, საწყობის რომელ კუთხეში იქნება საქონელი, რომელი ყუთები უნდა ჩავტვირთოთ მანქანაში. იქნებ საწყობის ან რომელიმე ოთახის ბოქლომიცაა მოსაგლეჯი? აი, რა უნდა გვიჩვენოს ამხანაგმა რობერტმა. მეთანხმები?

— გეთანხმები. ბარემ მეორე შენიშვნაც მითხარი.

— ხალხი? ოპერაციის დროს თქვენ თუ გაითვალისწინეთ ხალხი და, საერთოდ, მასების როლი ჩვენს ცხოვრებაში?

— ვერ გავიგე შენი ხუმრობა.

— მე არ ვხუმრობ. მალაზიის ვიტრინის ჩამსხვრევის ხმა ბომბის აფეთქების ტოლფასი იქნება. ჩვენ კანონიერი და დამსახურებული ძილი უნდა დავუფრთხოთ მთელი დღის ნაჯაფარ მშრომელ ადამიანებს, რომლებიც უმაღვე ფანჯრებს მოაწყდებიან. დარწმუნებული ხართ, რომ ლადოგის ქუჩის იმ მონაკვეთში, სადაც რადიოტექნიკის მალაზიაა, არ ცხოვრობენ მილიციის მუშაკები ან ფანატისკოპი პენსიონერები? ამიტომ ამხანაგი სერგო, ჩვენ რომ მალაზიაში შევეარღვებით, იარაღით ხელში გარეთ უნდა დარჩეს ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად. საქონლის ჩატვირთვა მოგვიწევს მე, შენ და ნოდარ მიმინოშვილს. ლადოგის ქუჩა დაემსგავსება უპარტერო თეატრს. მაყურებლები თირითადად იარუსებზე იქნებიან გაბნეულნი. „უიგულის“ ფერს და მარკას აუცილებლად დამახსოვრებენ, მაგრამ სულაც არაა სავალდებულო, დამახსოვრონ მანქანის ნომერიც.

— ნომერს შევეცლით.

— არავითარ შემთხვევაში. ერთი ნომრის მოხსნა და მეორის დაყენება, ხოლო შემდეგ საწინააღმდეგო ოპერაციის ჩატარება დროს მოითხოვს.

ნომერზე მავთულით მიამაგრეთ ნომრიანი კარდონი, რომლის მოხსნა ხელის ერთი მოჭნევით იქნება შესაძლებელი. სად მიგვაქვს საქონელი? — ჰკითხა უცებ კორინთელმა.

— ნოდარ მიმინოშვილთან, გლდანში.

— კეთილი და პატიოსანი. ახლა ეს მითხარით: რა უნდა გავიტაცოთ და რამდენის იმედი უნდა ვიქონიო პირადად მე?

— თხუთმეტი ვიდრე და ოცდახუთი მოდური, პატარა, მაგრამ ძლიერი მაგნიტოფონი. ოპერაციი. ხუთივე მონაწილეს, სექციონერის ჩათვლით, ყველა ხარჯის შემდეგ სუფთად უნდა დაგვრჩეს ერთი ლიმონი.

— ღირს რისკად! — თქვა გულწრფელად რამაზ კორინთელმა, — მოდი, ახლა ის საკითხი გავშიფროთ, თავში რომ ვთქვი. მილიციის თხუთმეტ წუთში მოსვლა არა მგონია მართალი იყოს. ძალიან დიდი დროა. იქნებ არ იცის სექციონერმა და მხოლოდ ხუთ ან ათ წუთშია მილიციის გამოჩენა სავარაუდო? ხომ იცი, სიფრთხილეს თავი არ სტკივა.

— როგორ შევამოწმოთ?

— შემოწმება ადვილია. ოპერაციამდე ორი დღით ადრე ვიტრინა ქვით უნდა ჩავამტვრიოთ. მხოლოდ ამ გზით გავიგებთ ზუსტად, რამდენ წუთში მოვა მილიცია.

— უფრო ხომ არ გამოვაფხიზლებთ მილიციას და მალაზიის დირექციას?

— პირიქით. უფრო მოვადუნებთ მათ ყურადღებას და აი, რატომ. ხვალვე აიღებთ ქვას, რომლის მსგავსიც ხშირად გვინახავს თბილისის ქუჩებში. ჯობია რიყის ქვა, რომელიც ხშირად ეჭიდება საბარგო მანქანებს საბურავებს შორის. ოპერაცია სერგომ უნდა აიღოს თავის თავზე. წვრილმან საქმეზე არც მე უნდა გამაცდინო და არც შენ უნდა გაცდე.

„არც მე უნდა გამაცდინო და არც შენ უნდა გაცდე.“ — არ მოეწონა

შადურს კორინთელის მიერ ბანდის უფროსივეთ დადმოსროლილი ფრაზა.

— ხვალვე იშოვოს სერგომ იმ ზომის რიყის ქვა, საბარგო მანქანის წყვილ საბურავს. შორის რომ იქედება, რეზინის ხელთათმინანი ხელებით კარგად გარეცხოს, რომ თითებიან ანაბეჭდების ნასახიც არ დატოვოს. შემდეგ ქვაზე რომელიმე საბარგო მანქანა გადაატაროს. ქვას კარგად უნდა დააჩნდეს საბურავის ანაბეჭდები. ღამის ამ ან ოთხ საათზე ნოდართან ერთად „ქიგულით“ გაიაროს ლადოგის ქუჩაზე და ქვა კვლავ ხელთათმინანი ხელით ესროლოს მაღაზიის ვიტრინას. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ „ექსპერტი“ ზუსტად დაადგენს მომხდარი ფაქტის შემთხვევეითობას. ქვაზე ვერ აღმოაჩენენ ადანაშაუნი თითის ანაბეჭდებს. საშაგეროდ, მასზე აღბეჭდილი საბურავის კვალი ნათლად დაადანტურება, რომ ქვა რომელიღაც მანქანამ აიახლიტა. შოფერს ვიტრინის ჩამტვრევის ხმა არ გაუგონია. კიდევაც რომ გაეგონა, ბუნებრივია, გაქცევით უშველიდა თავს. გასაგებია!

— გასაგებია.

— მეოლე დღეს ამხანაგი სექციონერი დაწვრილებით მოგვიყვება, რა მოხდა, როგორ მოხდა, რამდენ წუთში მოვიდა მილიცია, რა ღონისძიებები ჩაატარეს... ერთი სიტყვით, გვიამბობს ყოველგვარ წვრილმანს და მსხვილმანს, რომ ოპერაციის დროს ყველა მოსალოდნელი გართულება გავითვალისწინოთ.

— შენი ნათქვამი ახლოს არის ჭკუასთან, მაგრამ, კიდევ გიმეორებ, რა გარანტია გვაქვს, რომ ვიტრინის ჩამტვრევის ამბავი უფრო არ გამოაფხიზლებს მაღაზიის დირექციას?

— არა მგონია. თუმცა არც ეგაა გამოორიციხული.

— ხომ არ ჯობია, ოპერაცია იაე ჩატაროთ, რომ მაქსიმუმ ათ წუთში ჩავეტიოთ. ბოლოს და ბოლოს, რა გვაქვს

გამოსატანი? ორმოცი ყუთი. პატარა მაგნიტოფონებს თითოეული ხუთ-ყუთს გამოვიტანთ ერთ გზობაზე. ვფიქრობ, ათ წუთში მოვასწრებთ საჭონლის გამოტანას და მანქანაში ჩატვირთვას.

— არავითარ შემთხვევაში! მაშინ ვერაფრით ვერ მოვასწრებთ მაღაზიის გატეხვას. მილიციის გამოცხადებამდე ხუთი წუთის წააულები მაინც უნდა ვიყოთ, რომ წინ არ შემოგვეფეთონ და ჩვენს კვალს არ დაადგენ. თანაც დარწმუნებული ხარ, რომ საუწყებო დაცვაში ჩართული სიგნალიზაციის გარდა სხვა ხელსაწყოები არა აქვთ დამონტაჟებული? მაგალითად, ფარული კინოკამერა, სიგნალიზაციათან ერთად რომ ჩართვება და ჩვენს შთაგონებულ სიფათებს რომ შემოუნახავს მილიციას და შთამომავლება? ენდობით ამხანაგ რობერტს? თუ ენდობით და წინ მხოლოდ სიგნალიზაცია გველობება, მზად ვარ, ხვალვე ჩავატაროთ ოპერაცია.

— არ ვიცი. შენმა მოსაზრებამ დამაეჭვა.

— მაშ, პაუზი ხვალ დილას მითხარი. ამხანაგი რობერტიც და „კამაზის“ შოფერიც უნდა შემახვედროთ. მაღაზიაც ხვალვე დაეზვეროთ. გახსოვდეს, ცალ-ცალკე უნდა შევიდეთ. ყველა წვრილმანი კარგად უნდა დავიმახსოვროთ. ამ ჭიქით შენ და შენს მომავალ წარმატებებს გაუმარჯოს! — რამაზ კორინთელმა ჭიქა ბოლომდე გამოცალა.

— ჯერჯერობით მე ვარ თქვენი უფროსი! — მუქარაშერეული წყენით წარმოთქვა სოსო შადურმა. — ხვალ დილით შენ მოხვალ ჩემთან და საბოლოო გეგმასაც იქ შევადგენთ.

— ნუ ბრაზობ, იოსებ ვლადიმეროვიჩ. თუ გსურს, შენ იყავი უფროსი. არავითარი სურვილი არა მაქვს. პირველობაში შეგეცილო. ერთი კი გახსოვდეს, საერთოდ უფროსი ის



უნდა იყოს, ვინც უფრო ჰქვიანია, დაკვირვებულნი და გაბედულები. საქმისთვის ჯობია ასე!

სერგომ „კამაზი“ უკანა ავლით დაძრა ვიტრინიაკენ. „ეიგულმა“ სვლა შეანელა.

მართალი აღმოჩნდა ჩამაზ კორინთელი.

ორი დღი. წინ, როცა ვიტრინა ჩამსხვრიეს, მილიცია ათ წუთში გაჩნდა მაღაზიასთან. მეორე დღეს რობერტმა ამბავი მოიტანა, ეჭვი ვერავინ აიღო, ექსპერტმა ქვაზე მხოლოდ საბურავის კვალი აღმოაჩინა და დაასკვნეს, ქვა მანქანამ აისხლიტაო. ძნელიც იყო ეჭვის მიტანა, რა აზრი ჰქონდა ვიტრინის მინის ჩამსხვრევას, როცა მინის უკან რკინის გისოსები იყო ჩასმული. ათმა წუთმა კი დააფიქრათ. ახალი გეგმით, რადაც არ უნდა დაჯდომოდით, სამ წუთში უნდა ჩატეულიყვნენ, რომ აიგნალიზაციის ჩართვის შემდეგ მაღაზიისაკენ მომავალ მილიციის მანქანება არ გადაყროდნენ. თანაც მილიცია გამოჩენისას იქაურობას რვა წუთის სავალზე მინც უნდა ყოფილიყვნენ მოშორებულნი. ცარიელ ქუჩებში სწრაფი სიარულით ნოდარ მიმინოშვილის ეზოიან აახლამდე ოცდაათი წუთის ვაზა იყო. ათი წუთის შემდეგ კი სულ თავისუფლად შეიძლებოდა მილიციის მანქანას გადაჰყროდნენ, რომელსაც რადიოგრამა უკვე მიღებული ექნებოდა. რისკი დიდი იყო, მაგრამ უკან არც ერთს არ დაუხევია.

„კამაზი“ ნელ-ნელა უახლოვდებოდა ვიტრინას.

„ეიგულმა“ სვლა კიდევ უფრო შეანელა და მაღაზიიდან თხუთმეტობდემეტრის დაშორებით გაჩერდა.

სოსო შადურს ძრავა არ გამოურ-

თავს. მუხრუჭზე ფეხდაყრდნობით ცალთვალმობულად მისჩერებოდა „კამაზს“ და ცდილობდა მღელვარება როგორმე დაეოკებინა.

ვიტრინასა და მანქანას შორის მანძილი თანდათან მოკლდებოდა.

ჩამაზ კორინთელმა საათს დახედა. ზუსტად ოთხი იყო.

— მოვემზადდით! — გადაუჩურჩულა სოსოს.

— ჩუმად! — ტუჩებზე ხელი მიიღო სიმღვივით დაწყვეტამდე დაქიმულმა შადურმა.

„ჩქარა, ჩქარა!“ — ყვიროდა გულში კორინთელი. იცოდა, მის ძახილს ვერავინ გაიგონებდა, მაგრამ მინც რცხვენოდა გაეფიქრებინა, მეტი აღარ შემიძლიაო.

ვიტრინამდე ერთი მეტრიც აღარ რჩებოდა.

ნოდარ მიმინოშვილი იქვე იდგა და სერგოს რაღაც მითითებას აძლევდა.

ჩამაზ კორინთელმა იცოდა, ყველაზე დიდ ატრესს ვიტრინის ჩამსხვრევის ხმა გამოიწვევდა.

წამიც და, გაისმა უზარმაზარი მინის მსხვრევის თავზარდამცემი ხმა.

მინია ზრიალს თან დაერთო სასიგნალო საყვირების ღმუილი და წივილი.

„კამაზმა“ რკინის გისოსები იოლად შეანგრია და გაჩერდა. სერგო უშაღვე გადმობტა, რევოლვერი იძრო და მანქანის წინ დადგა. თვალებით სართულზე დარბოდა, სადაც აქა-იქ უკვე ანთებულყო სინათლე. გაჩირაღდებული ფანჯრების რიცხვი ნელ-ნელა მატულობდა:

გამაყრუებელ ზრიალზე კორინთელს მოეჩვენა, რომ მანქანის თავზე ბომბისაგან დანგრეული უზარმაზარი თალი ჩამოიქცა. უნებურად თვალი დახუჭა. პიროვლი, რაც თვალია გახელის შემდეგ დაინახა, ვიტრინაში სანახევროდ შერქობილი „კამაზი“ იყო.

სოსო შადურმა „ეიგული“ საბარგულთ მიაგდო ჩამსხვრეულ ვიტრინას-



თან. ორთავენი აწრავად გადმოხტნენ და მალაზიაში შევარდნენ.

წინ ნოდარ მიმინოშვილი შემოეფეთათ. ხელში ოთხი ყუთი ეჭირა, ყუთებს ზემოთ მხოლოდ თვალები, შუბლი და ქოჩორი მოუჩანდა.

— აბა ჩქარა! — იყვირა სოსომ და ყუთებს მივარდა.

მესამე გზობაზე კორინთელმა საათს დახედა. კიდევ ერთი წუთი რჩებოდათ. იგრძნო, გული ერეოდა.

„რას ჯანდაბა მემართება, შიშით თითქოს არ მეშინია“.

მიხვდა, მილიციის გამოჩენა ისე არ შეაშინებდა, როგორც სასიგნალო საყვირების ღმუილი და წივილი ზარავდა.

— ჩქარა, ჩქარა! — ყვიროდა სოსო შადური.

ნოდარ მიმინოშვილმა საბარგული დაკეტა და ყუთებით ამოვარდნულ „ქვიშულში“ ძლივს შეძვრა.

სოსო შადური საჭეს მიუჯდა და ძრავა ჩართო. ოფლში გაწურული კორინთელი გვერდით მიუჯდა. გული ისევ ერეოდა. თავს ნებისყოფის საშინელი დამაბვის ფასად იკავებდა. ხმის ამოღებისა ეშინოდა, იცოდა, პირს თუ დააღებდა, უმალვე ამოარწყევდა.

მანქანასთან სულ ბოლოს სერგო მოჭარდა. უწესრიგოდ ჩაყრილ ყუთებს შორის ადგილი აღარაად იყო და მაგნიტოფონებს ზემოდან გადააწვა.

— წავედით! — სოსომ ადგილიდანვე დიდი აიასწრაფით დაძრა მანქანა.

სასიგნალო საყვირების ღმუილი და წივილი ერთხანს კიდევ მოადევდათ უკან.

ბოლოს, როცა მათი შემადარწუნებელი და თავზარდამცემი ხმა სრულიად მიწყდა, რამაზ კორინთელი ერთბაშად გამოკეთდა.

ხუთი წუთის შემდეგ რვა კილომეტრით იყვნენ იქაურობას მოცილებული.

— რეკოლეერი გააწიე. არარეკოლეერი ყარდეს! — უყვირა ნოდარ მიმინოშვილმა მაგნიტოფონია ყუთებზე გადაწოლილ სერგოს.

— ყვირილა გირჩენია, ყუთები მისწი-მოსწიო, იქნებ როგორმე ჩავჯდეთ.

რამაზ კორინთელმა საათს დახედა.

— ხუთ წუთში მილიცია მალაზიათან იქნება.

— ხუთი წუთი კიდევ არ გველია ააფრთხე. ხუთი წუთია შემდეგ კი გადასცემენ რადიოგრამას და მთელ ქალაქში დაგვიწყებენ ძებნას.

— მაყურებელი ბევრი გვყავდა? — მიუბრუნდა კორინთელი ყუთებში ააცოდავად ჩაკვეტებულ სერგოს.

— რა მაყურებელი? — დაიბნა ხაზარაძე.

— ბევრმა ხალხმა გაიღვიძა?

— ბევრმა. ყველანი მიხვდნენ, რასაც ვაკეთებდით.

— დაბლა არავინ ჩამოსულა?

— ვინ გაბედავდა! — უსიამოვნოდ ჩაიციხა სერგომ.

— რეკოლეერი შეინახე. — რამაზ კორინთელმა ისევ დახედა საათს, — მილიცია უკვე მალაზიათანაა.

— ახლა კი მიხვდებიან, ჭკით ვინ და რა მიზნით ჩამსხვრია ვიტრინა, — ირონიულად ჩაიციხა სოსო შადურმა.

— ნელა იარე, ეჭვი არავის აღუძვრათ, თბილისისა ქუჩებს უკვე სერავენ რადიოგრამები, — მიუბრუნდა კორინთელი სოსო შადურს.

უხაროდა, ნერვიულობა რომ ვერ შენიშნეს. იცოდა, მეთაურობის მოსაბოვებლად პირველი ნაბიჯი ღონიერად და ეფექტურად გადადგა.

მალაზიაში ან მანქანაში გული რომ არეოდა, მეთაურობაზე აღარც უნდა ეოცნება. მეთაურობას ვინ დაეძებდა. სოსო შადურისა და მისი მეგობრების დასაცინი გახდებოდა, კაცმა რომ თქვას, მეთაურობა არც უნდოდა. უბრალოდ, ვერ იტანდა, სოსო შადური რომ ეუფროსებოდა.

მანქანა უკვე გლდანის ვიწრო ქუჩებში მიჰქროდა.

— აქ ღამე კი არა, დღისით არ დღის ინსპექცია. — თქვა სერგომ, — სანამ ისინი აქამდე მოაღწევენ, ჩვენ უკვე სამშვიდობოს ვიქნებით.

კიდევ რამდენიმე წუთი და მანქანა

ჩაბნელებულ, ვიწრო ქუჩაზე გაჩერდა. ანუ ანი სახლის კიშკართან გაჩერდა. იქ უკვე ელოდნენ, რკინის კიშკარი უშალცე ! გაიღო. ნაცრისფერი „ქიჯული“ ეზოში შესრიალდა. მასიური რკინის ლურჯად შეღებილი კიშკარი ფრთხილად, უხმაუროდ დაიკეტა.

თავი მეოთხრმეტე

— ცუდად ხომ არ ბრძანდებით? — მისალმებისთანავე ჰკითხა ოთარ კახიშვილს პირადმა მდივანმა.

— მეტყობა რამე? — გაღიმება სცადა კვლევითი ინსტიტუტის დირექტორმა.

— ცუდი ფერი გადევთ! — დაიბნა მდივანი.

— წუხელ გვიან დავიძინე. ეტყობა, გადავიღალე. — კვლავ გაიღიმა კახიშვილმა.

დირექტორის ღმილმა კიდევ უფრო დააეჭვა მარინე დვალს. ოთარ კახიშვილს მხოლოდ ტუჩები უღიმოდა, სახე კი ჩამოსტიროდა. თვალები ჩაქრობოდა. ჯმუხი და ჯანმრთელი შესახედაობის კაცს მოშავო-მომწვანო ფერი გადაჰკრავდა, უბებში თითქოს სითხე ამოშრობოდა და თვალები ხრჭიალით მოძრაობდა.

ოთარ კახიშვილმა მოსაცდელი ოთახი სწრაფად გადაჰკრა, კაბინეტში შევიდა, კარი შეიგნიდან ჩაკეტა, პორტფელი გვერდით, პატარა მაგიდაზე დადო, სავარძელში მძიმედ ჩაეშვა და დაფიქრა. წუხელ თვალდახუჭულმა რომ სამოქმედო გეგმები დააწყო, კაბინეტში, დღის სინათლეზე, თითქმის მთლიანად დაენგრა.

რამდენიმე წუთს უძრავად იჯდა ცდილობდა, გაფანტული აზრები ისევ მოეკრიბა, გეგმა კვლავ შეეკოწიწებინა, სანახევროდ მაინც აღედგინა, ანდა, სულაც ახალი რამ მოესაზრებინა თითქოს უცებ გამოერკვაო, შებრუნდა და სელექტორის კლავიშს თითი დააჭარა.

— გისმენთ! — მოესმა მდივანი ქალის ხმა.

— შემოდით! — თქვა მოკლედ. წამოდგა და კაბინეტის შეიგნიდან ჩაკეტილი კარი გააღო.

— ჩემთვის ხომ არავის დაურეკავს? — ჰკითხა შემოსვლისთანავე და სავარძელს მიაშურა.

— არავის.

— სულ არავის?

— სულ არავის!

ოთარ კახიშვილი, აერთოდ, როცა მდივანს ეკითხებოდა, ხომ არავის დაურეკავსო, მხოლოდ ზემდგომ ორგანოებს გულისხმობდა. ამიტომაც გაუმეორა შეკითხვა — სულ არავისო?

დირექტორმა თავი დახარა, თვალი მაგიდას გაუშტერა. უაზრო ფიქრებმა შეიპყრო, არც თავი რომ არ ჰქონდა და არც ბოლო. კარგა ხანს იჯდა თავჩაქინდრული.

მდივანმა არ იცოდა, რა ექნა. წასვლა ვერ გადაეწყვიტა. ახალ დირექტორს ვერც შეკითხვა შეჰბედა, ხომ არ გავიდვო.

— მარინე! — თქვა უცებ დირექტორმა.

— გისმენთ.

— შეიძლება დამირეკოს ერთმა ახალგაზრდა კაცმა, რამაზ კორინთელმა.

— რამაზ კორინთელმა! — ისე გაიმეორა მარინემ, თითქოს იმასხოვრებსო, უფრო კი იმიტომ გაიმეორა, ოთარ კახიშვილმა მეტი აღარაფერი თქვა და დუმილი, უბრალოდ, უხერხული ხდებოდა.



— ჰო, რამაზ კორინთელია, აი, იმ წარმოსადგემა, ლამაზმა ყმაწვილმა, გუშინ რომ იყო ჩემთან. გახსოვთ?

— მანსოვს, — დაბნეულად უპასუხა მარინემ.

„რამაზ კორინთელი“. აღელვებულმა ქალმა ამჯერად სხვანაირად გაიმეორა გულში იმ უცნაური ჭაბუკის სახელი და გვარი, გუშინ რომ სული და გონება აუფორიაჰა.

— ყურადღებით მოუსმინეთ და რასაც გეტყვით, კარგად დაიმახსოვრეთ. ჩვეულებისამებრ, ნუ ჩაიწერთ.

— ბატონი ბრძანდებით.

— არ აგრძნობინოთ, რომ იცანით. არც ის უთხრათ, მე რომ მოვიკითხე. გასაგებია?

— მე მას არ ვიცნობ, ბატონო ოთარ.

— მე ნაცნობობაზე კი არა, ადამიანის ცნობაზე ვლაპარაკობ. ვითომ ვერ მიხვდით, ვის ელაპარაკებით. სახელი და გვარი განმეორებით ჰკითხეთ. ისეთი ტონით ელაპარაკეთ, თითქოს მისმა სახელმა და გვარმა არაფერი არ გითხრათ და ვერ მიგახვედრათ, ვის ესაუბრებით. როდესაც მოვა, ისეთი სახე მიიღეთ, თითქოს არც კი იცით, თუ ისაა რამაზ კორინთელი. მიმიხვდით?

— მივიხვდით. — დირექტორის უცნაურმა დავალებამ მარინე კიდევ უფრო დააინტერესა კორინთელის პიროვნებით.

— აბა, ახლა ჩემს მოადგილეებს, პარტიული კომიტეტის მდივანს და ადგილკომის თავმჯდომარეს დაუძახეთ.

— ბატონი ბრძანდებით.

ოთარ კახიშვილმა მდივანს თვალი ზისე გააყოლა, თითქოს პირველად ხედავდა. კარის გაჯახუნების ხმამ სხვა, მაგრამ ძალიან ნაცნობ ტალღაზე გადართო ინსტიტუტის დირექტორი. თვალი უმალვე სეიფისაკენ გაექცა. მაღალი, ერთი მეტრის სიგანის მძიმე, პირქუში სეიფი მუხის ფიკრებით მოპირკეთებული ნიშიდან ზვიადად იცქირებოდა. არანაკლებ ზვიადად გა-

მოიყურებოდა მრგვალი, მარჯვენა ბული აახელური და მის ქვეშ მოთავსებული ხუთი ბორბალი. საჭირო იყო მხოლოდ თითო ციფრის ცოდნა, თითო რგოლზე თითო ციფრის გამოცნობა, მხოლოდ თითო ციფრისა და...

ოთარ კახიშვილი წამოდგა, ფანჯარასთან დინჯად მივიდა და გადაიხედა. რატომღაც ეგონა, კიდევ დაინახავდა წითელ „უიგულს“ და მანქანაზე მიყრდნობილ ქერა, გრძელფეხება ქალიშვილს. მხოლოდ ნაცნობი მეგზოვე დაინახა, ქუჩას რომ ჰვეიდა.

ვაშლოვანის ქუჩა, სადაც ასტროფიზიკის კვლევითი ინსტიტუტის შენობა მდებარეობდა, ქალაქის განაპირას, მთის ძირში იყო გაჭრილი. მოკლე, საკმაოდ განიერი ქუჩა ხალხმრავალი და ტრანსპორტით გადატვირთული არასდროს ყოფილა, მაგრამ არც ასეთი უკაცრიელი უნახავს როდისმე ოთარ კახიშვილს.

ისევ მაგიდასთან მოვიდა, სავარძელში ჩაჯდა, თვალი ერთხელ კიდევ შეავლო სეიფს და შუბლით ხელებს დაეყრდნო. ისევ წარმოუდგა თვალწინ რამაზ კორინთელი. ისევ აეშალა ძველი ფიქრები, ისევ შეაბობლდა ძველი ექვები.

„უნდა ვნახო. აუცილებლად უნდა ვნახო. ოღონდ დღეს არა. თავი უნდა მოვთოკო, ცნობისმოყვარეობა უნდა დავიმორჩილო. სხვანაირად ვერ გავიმარჯვებ, ვერ ვაიძულებ, ჩემს ჭკუაზე იაროს და მხოლოდ მე დამემორჩილოს. ზვალ დაეურეკავ. ჯობია, აქ მოვიდეს. მასთან შინ მისვლა ან ქალაქგარეთ გასეირნება გაცილებით მეტ ინფორმაციას მომცემდა. მისი ოჯახური ვარემო, წიგნები, ცხოვრების სტილი ან მანქანაში საუბარი უფრო მეტს მეტყოდა რამაზ კორინთელის პიროვნებაზე, ვიდრე კაბინეტში ჯდომა, მაგრამ მაინც აქ მიორჩევნია შეხვედრა. სრულიად ახალგაზრდა ყმაწვილთან ამოდენა კაცის, თანაც ასტროფიზიკის კვლევითი ინსტიტუტის დირექტო-



რის შინ მისვლა უკვე თავის გაყადრებასა და გატოლებას ნიშნავს. — ოთარ კახიშვილმა მაგიდას მუშტი დაჰკრა და ფეხზე წამოდგა, — დიხ, შემდგომი ურთიერთობისათვის გაცილებით ჯობია, აქ მობრძანდეს, ჩემია აზრით, მე არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავურეკო! მისი გამოწვევა არაფრად არ უნდა ჩავაგდო მით უმეტეს, ხვალ დარეკვა და კორინთელის აქ მოწვევა ნაადრევი იქნება. და, საერთოდ, ჯობია თვითონ მომნახოს. ცთუნებას უნდა გავუძლო, ნერვები უნდა მოვთოკო!”

„ეტქვათ, არ დამირეკა, მაშინ?“

„მაშინ...“

ოთარ კახიშვილი ისევ შეიპყრო სასოწარკვეთად.

„მაშინ მე თვითონ უნდა დავურეკო...“

„მე თვითონ...“

სელექტორზე მდივნის ნათურა აინთო. ოთარ კახიშვილმა კლავისზე თითი დააპირა.

— გისმენთ.

— ყველანი აქ არიან. შემოვიდნენ?.

— შემოვიდნენ.

კარი გაიღო. შემოსულებს წინ დირექტორის ახლად დანიშნული მოადგილე არჩილ თევდორაძე მოუძღოდა.

დირექტორი ყველას ღიმილით მიესალმა.

უნებურად თვალი არჩილ თევდორაძე დაასო, მსუქან, სათვალთან, ჭადრა და სიმპათიურ კაცს. ერთი შეხედვით თევდორაძე არც კი ჰგავდა მეცნიერს, თუმცა მისი გამოკვლევები უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე ოთარ კახიშვილისა. არჩილ თევდორაძეს მთელ კავშირში კარგი ექსპერიმენტატორის სახელი ჰქონდა გავარდნილი, და თუ ისე არ იყო დაფასებული როგორც სხვა მისი რანგის კოლეგები, მხოლოდ მეცნიერის მოკრძალებული ხასიათით აიხსნებოდა.

„ღალატით არასდროს მიღალატებს. უღალატო და პატიოსანი კაცია, მაგ-

რამ ბრძოლაში გამომყვება?“ ^{არჩილ თევდორაძე} ფიქრა უცებ ოთარ კახიშვილმა.

— დანარჩენები სად არიან? — იკითხა უცებ დირექტორმა.

ყველამ მხრები აიჩეჩა.

სელექტორის კლავისზე ისევ დააპირა თითი.

— დანარჩენები სად არიან? — გაუმეორა კითხვა მდივანს.

— ვინც მითხარით, ყველა დავუძახე! — გაისმა კაბინეტში მარინეს ხმა.

— მომიყვანეთ განყოფილების გამგეები და კომკავშირის ბიუროს მდივანი.

დანარჩენების მოლოდინში კაბინეტში დუმილი ჩამოწვა.

„რატომ მოვიწვიე თათბირო? განა მე გულში გადავწყვიტე თათბირის ჩატარება? ან რაზე უნდა ვილაპარაკო?“

ოთარ კახიშვილი მიხვდა, მის ორგანიზმში მეორე ოთარ კახიშვილი ან ვილაც სხვა ამოქმედდა. მან უკარნახა, თათბირი ჩატარეო, მანვე გამოაძახებინა ხალხი. განკარგულება ისე გასცა, არც კი გაუაზრებია, რა უნდოდა.

თავი უკმაყოფილოდ გაიქნია.

ყველანი ჩუმად იყვნენ. სხვა დროს ასე არ ხდებოდა ხოლმე. სანამ თათბირი დაიწყებოდა, ერთმანეთთან საუბრობდნენ, მართალია, ხმადაბლა, ყველა ეტიკეტის დაცვით, მაგრამ მაინც საუბრობდნენ, რაღაცას ხუმრობდნენ. ხმადაბლა რცინოდნენ. ასე იყო აკადემიკოს დავით გიორგაძის სიცოცხლეში, ასე არის ახლაც. მაშ, დღეს რა მოხდა? ყველანი რატომ სდუმან? აქაურობას რატომ დაუფლებია სამგლოვიარო განწყობილება?

„იქნებ ჩემს სახეზე უკლებლივ ყველამ ამოიკითხა, რა უბედურებაც მჭირს? ამ დილით მდივანიც ხომ შეკრთა ჩემს დანახვაზე?! ნუთუ ასეთი ტრაგიკული და ავადმყოფური გამოხედვა მაქვს, რომ ხალხს გადაჩურჩულების სურვილიც დავუკარგე!“

ინსტიტუტის დირექტორს საშინლად მოუნდა, სარკეში ჩაეხედა. დუმილი ისე-

დაც აუტანელი ხდებოდა. ფეხზე წამოდგა. სანამ განყოფილების გამგეები მოვიდოდნენ, დასასვენებელ ოთახში გავიდა. კარი შეიკეტა თუ არა, სათვალე მოიხსნა, მინის თაროზე დადო და სარკეს ეცა. სარკიდან მოღლილი, მოტეხილი კაცი დაეინებით შემოსცქეროდა. კახიშვილმა საკუთარ ანარეკლსაც ვერ გაუსწორა თვალი და მზერა გალურჯებულ ტუჩებზე გადაიტანა.

„რა მემართება? კაცმა რომ თქვას, რა მაქვს სანერვიულო? ბოლოს და ბოლოს, რა მითხრა შესაფოთებელი რამა ზკორინთელმა? საქმოსნების ტერმინი რომ ვიხმართ, წილში გაყვანა მთხოვა, მეტი ხომ არაფერი?! განა ამ ყმაწვილის გამოჩენამდე არ ვნერვიულობდი? რა მანერვიულებდა? რასაკვირველია, გამოკვლევა, აკადემიკოს დავით გიორგაძის გამოკვლევა. უმნიშვნელოვანესი მეცნიერული ნაშრომი, რომელიც აუცილებლად უნდა ჩავიგდო ხელში“.

ოთარ კახიშვილმა მოსკოვში დავალა კიდევ მეგობარს, ეპოვა სეიფი გახანის ოსტატი. რასაკვირველია, მეგობარს როდი გაუმხილა ჩანაფიქრი, რომ ჯერ ოსტატთან საიდუმლო მოლაპარაკებას აპირებდა სეიფის ჩუმად გასახსნელად! როცა აკადემიკოსის შრომა ახალი დირექტორის საწერი მაგიდის უჯრაში გადაინაცვლებდა, აი, მერე კი, ერთი თვის შემდეგ, ოსტატს ხელახლა ჩამოიყვანდა თბილისში და გაიმართებოდა სეიფის გახანის საზეიმო ცერემონიალი.

„შეიძლება კი ვენდო ვიღაც უცნობ ოსტატს?“ — შეეპარა ეჭვი ოთარ კახიშვილს.

„რასაკვირველია, ჩემი ჩანაფიქრი დიდ რისკთან არის დაკავშირებული. ერთიც ვნახოთ და, რამაზ კორინთელი მართლაც არის ზებუნებრივი ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდა?! იგი ხომ წინასწარ მიხედება ჩემს განზრახულს? მაშინ ხომ წერტილი დაესმება ჩემს ცხოვრებას?!“

კახიშვილმა წყალი მოუშვა. ცივი

წყლით ჯერ თვალები ამოიწმინდა, შემდეგ პირი დაიბანა და პირსახოცს მიწვდა.

„ქუეასთან ახლოაა, მივიღო სამსახურში, კარგად დავაჯივრდე. თუ მართლა ნათელმზილველია, შიფრიც ეცოდინება. თუ არ არის, მალე გამომქადენდება და როგორც შანტაჟისტს, ისე გავაგდებ სამსახურიდან. მთავარია, გაუთვალისწინებელი და გაუაზრებელი არაფერი წამომცდეს, რასაც პროვოკაციულად გამოიყენებს მომავალში. როცა ნაშრომი ჩემს ხელთ იქნება, განმეორებით ჩავატარებ აკადემიკოსის მიერ უკვე ჩატარებულ და წარმატებულ ექსპერიმენტებს. მერე კი, ვნახოთ. ალბათ, არ გამიჭირდება კორინთელის თავიდან მოშორება. ბოლოს და ბოლოს, თუ ვერაფერი მოვუხერხებ, მივაშავებ თანაავტორობას. მეცნიერთა შორის მაინც ჩემი გვარი იტრიალებს. პრესაში, რადიო თუ ტელეგადაცემებში და ინტერვიუებში მე და მხოლოდ მე ვიქნები მთავარი გმირი. სრულიად უცნობი ახალგაზრდა ფიზიკოსის გვარი არავის გაახსენდება“.

თითქოს მძიმე ტვირთი მოიშორაო, ინსტიტუტის დირექტორი მხრებში გაიმართა. გუნება ხელად გამოუკეთდა და ხელმეორედ დაასკვნა:

„ჯანდაბას, სხვა თუ ვერაფერი მრავახერხე, იყოს თანაავტორი. ყველას თვალში ნამდვილი ავტორი მაინც მე ვიქნები. ასტროფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი ოთარ კახიშვილი და არა გუშინდელი სტუდენტი და ჩემივე აღზრდილი, ფეხზე დაყენებული და სამეცნიერო ასპარეზზე გამოყვანილი ახალგაზრდა ლაბორანტი რამაზ კორინთელი. ბოლოს და ბოლოა. მისი აღზრდითა და მეცნიერების დიდ გზაზე გაყვანითაც შემოიძლია ქულები მოვაგროვო როგორც აღმზრდელმა ტალანტების მაძებარმა, ჩვენი მეცნიერული მომავლისათვის მზრუნველმა და უშურველმა ადამიანმა, ჰეშმარტიმა მამულიშვილმა, მეცნიერმა და მოღვაწემ, რომელმაც ჩემს მოწაფესა და ასი-

სტენტს გავუზიარე დაფნის გვირგვინი“
 ინსტიტუტის დირექტორმა იგრძნო, ძარღვებში სისხლმა ლალად დაიწყო დენა. კვლავ სარკვეში ჩაიხედა. სიხარულით შენიშნა, თვალბეჭე სხივი ჩასდგომოდა. მინის თაროზე დადებული სათვალე გაწმინდა, ყურებზე კარგად მოირგო და ის იყო, კაბინეტში გამოსვლა დააპირა, რომ ისევ შეეკუმშა გული, ისევ გამოჩნდა ცაზე შავი ღრუბელი.

„მაგრამ... მაგრამ წმინდა სულია რამაზ კორინთელი? შეიძლება ეშმაკთან შეეკავშირება?“

„აღბათ შეიძლება, რადგან არც ჩემი გზაა ღმერთისაკენ მიმავალი“.

ოთარ კახიშვილმა თმაზე ხელი გადაისვა, კარი ენერგიულად გამოაღო და კაბინეტში შეაბიჯა.

ცენტრალური ლაბორატორიის გამგის თამაზ ჭელიძის გარდა ყველანი ისხდნენ და შეთანხმებულებივით დუმდნენ. ჭელიძე ფანჯარასთან იდგა და სიგარეტს ეწეოდა. დირექტორის დანახვაზე მაგიდასთან მივიდა. სიგარეტი საფერფლეზე მოსრისა და ფანჯარასთან მიდგმულ სკამზე დაჯდა.

— მგონი, გალოდინეთ, არა? ბოდიშს გიხდით! — გაღიმება სცადა ოთარ კახიშვილმა, სავარძელში ჩაჭდა და ყველას თვალი მოავლო. თათბირის დაწყებას არ ჩქარობდა. გრძობდა, მაინც ღელავდა. არ უნდოდა ლაპარაკისას თავი გაეცა.

— აღბათ, გავიკვირდათ. დღევანდელ დღეს ხომ საერთოდ არ ვიწვევთ ხოლმე, თათბირებს.

დირექტორი შეჩერდა. თითქოს ელოდა, ხომ არაფერს იტყვიანო. შეკითხვის ან აზრის გამოთქმის სურვილი არავის გასჩენია. ინსტიტუტის რჩეულ წარმომადგენლებს თავისი ტოლფასი მეცნიერის უფროსობა მაინცდამაინც გულზე არ ეხატებოდათ. ამიტომაც თათბირზე აღარ იგრძნობოდა ის გაცხოველებული, შემოქმედებითი ატმოსფერო, აკადემიკოს დავით გიორგაძის დროს რომ სუფევდა ხოლმე. ოთარ

კახიშვილის კაბინეტში თათბირებზე ისევე შემოდდიოდნენ, თითქოს აუცილებელ და, ამავე დროს, სრულიად უაზრო რიტუალს ასრულებდნენ.

— დღეს აქ არ გვექნება საუბარი მეცნიერულ ან მიმდინარე საორგანიზაციო საკითხებზე. აგერ თითქმის ერთი თვე გადის დავით გიორგაძის გარდაცვალებიდან. სამწუხაროდ, ინსტიტუტის გადაბარების გამო აკადემიკოსის ხსოვნისათვის ვეღარ მოვიცალეთ. თუმცა, თამამად უნდა ვთქვა, ყურადღება არ მოგვიკლია არც განსვენებულის საფლავისათვის, არც ოჯახისათვის. ყველამ მშვენივრად იცით, რა სირთულეებთანაა დაკავშირებული ამოდენა კვლევითი ინსტიტუტის ჩაბარება. ჯერ თავად საქმეა უამრავი და შრომატევადი. შემდეგ ბევრი ფორმალური მხარეცაა მოსაგვარებელი. თითქოს კარგად ვიცნობდი ჩვენი ინსტიტუტის სტრუქტურას, თავისებურებებს, პრობლემებს, მაგრამ როცა საქმესთან პირისპირ დავდექი, იმდენი რამ არ მცოდნია, გაცხებული დავრჩი. ბუნებრივია, ათასგვარ წვრილმანში სწრაფად უნდა გავრკვეულიყავი. სამწუხაროდ, ვერ ვიტყვი, რომ ყველაფერში გავერკვიე. ბევრი საკითხია ჯერ ღრმად შესასწავლი და გასაანალიზებელი. მაგრამ, ასეა თუ ისე, ძირითადი სამუშაო უკვე ჩატარებულია და დღეს უკვე შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რა უნდა გავაკეთოთ დავით გიორგაძის სახელის უკვდავსაყოფად, მართალია, აგვისტოა, ბევრი ჩვენი კოლეგა შვებულებაშია, მაგრამ ვინცა ვართ, მოდიოთ, ყველამ ვთქვათ ჩვენი სათქმელი. ერთმანეთს გულწრფელად ვუთჩიოთ, რა გავაკეთოთ, რა მოვიმოქმედოთ. შემოთავაზებული წინადადებები ყურადღებით ავწონ-დავწონოთ და საკითხები ისე გადავჭრათ.

ოთარ კახიშვილმა იგრძნო, მღელვარებამ მთლიანად გაუარა. მისი ღიმილი უკვე აღარ იყო ნაძალადევი და ხელოვნური. თავი ლალად იგრძნო, აიგა-

რეტს მოუვიდა, სავარძლის საზურგეს გადააწვა და გემრიელად გააბოლა.

სიტუმე ჩამოვარდა, ხმის ამოდებას არავენ ჩქარობდა.

— გამოთქვით თქვენი აზრი. შეიძლება წინასწარ არ გიფიქრიათ ამ საკითხზე, არც მე მიფიქრია. აი ახლა, იმპროვიზებულ საუბარში იქნებ უფრო დაბადოს ცოცხალი და პრაქტიკული წინადადებანი.

ოთარ კახიშვილი არ ტყუოდა. მან ხომ მართლაც არ იცოდა და ვერც მიმხედარიყო, თათბირის მოწვევა როდის გადაწყვიტა. თავდაპირველად არც ის იცოდა, რა საკითხებზე, რა პრობლემებზე უნდა ელაპარაკა. იმ წუთში, როცა ხალხს დაუძახა, მართლა მოეჩვენა, რომ „ვილაცამ“, დიახ, მის არსებაში ჩაბუდებულმა „ვილაცამ“ უკარნახა, თათბირი ჩაატარეო. მდივან ქალს ისე მოახმობინა ხალხი, წარმოდგენა არ ჰქონდა, რაზე უნდა ელაპარაკა და ეთათბირა, ახლაც, ამ წუთშიც, გარდაცვლილ აკადემიკოსზე არულიად მოულოდნელად დაიწყო საუბარი, მოულოდნელად, დაუფიქრებლად და გაუანალიზებლად. ეტყობა, ასე ყოფილა საჭიროო, დაასკვნა ავესებით დამშვიდებულმა. კმაყოფილების გრძნობაც კი დაეუფლა. მიხვდა, რომ პირველი პრაქტიკული ნაბიჯი უკვე გადადგა თავისი ჩანაფიქრის განსახორციელებლად. გადადგა თუ რამაზ კორინთელის გუშინდელმა საუბარმა გადაადგმევინა? ახლა ამ ფაქტს აღარავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა. მთავარია, რომ პირველი ნაბიჯი გადაიდგა. გადაიდგა საკმაოდ ენერგიულად, მიზანწრაფულად.

სეიფს გახედა, ყავისფერ, მოჩუქურთმებულ, მაგრამ მაინც პირქუშ სეიფს. მოეჩვენა, რომ უძველესი გერმანული სეიფი სასამართლოზე მოყვანილი პატიმარივით იდგა კუთხეში, მუხის ფიცრებით მოპირკეთებულ ნიშში. იდგა მორჩილად, მაგრამ ამაყად და ღირსეულად.

— რატომ ადუმხართ. სათქმელი არაფერი გაქვთ?

ბევრმა მხრები აიჩეჩა.

ლაპარაკის სურვილი მართლ თამაზ ჭელიძემ გამოთქვა და ფეხზე წამოდგა.

— რა უნდა ვთქვათ? გულწრფელად რომ გითხრათ, ამ საკითხზე არც კი მიფიქრია. ჩემის აზრით, დავით გიორგაძე პირველ რიგში საკუთარმა მეცნიერთულმა გამოკვლევებმა უნდა უკვდავყონ. დანარჩენი ყველაფერი გაცეთებულია, რაც, პირველ რიგში, მთავრობისა და მეცნიერებათა აკადემიის დამახტურებაა. თბილისია ერთ-ერთ ქუჩას დაერქმევა აკადემიკოსის სახელი, თბილისის რომელიმე საშუალო სკოლა გახდება დავით გიორგაძის სახელობის. მოეწყობა საკავშირო მეცნიერული სიმპოზიუმი, რომელიც დამთხვევა მისი გარდაცვალების პირველსავე წლისთავს. აკადემიის პრეზიდიუმმა აკადემიკოსის მეცნიერულ მემკვიდრეობაზეც იფიქრა. სხვა რაღა უნდა მოვიმოქმედოთ?

— მართალი ბრძანდებით, — დირექტორს აშკარად არ მოეწონა თამაზ ჭელიძის სიტყვა, — მაგრამ კონკრეტულად ვინ უნდა იზრუნოს დავით გიორგაძის მეცნიერული მემკვიდრეობის მოსაწესრიგებლად? რასაკვირველია, ჩვენს აკადემიკოსია ვაჟი უგზო-უკვლოდ დაიკარგა. დავით გიორგაძის ქერივი, ქალბატონი ანა, ისეა დასუსტებული და დამწუხრებული, საეჭვოა, რამეში გამოგვადგეს. ჩვენ უნდა მივხედოთ მეცნიერის არქივს, შევიწყვლოთ, მოვაწესრიგოთ, პუბლიკაციისათვის მოვამზადოთ. დამეთანხმებით, აუცილებელი და აშური საქმეა დავით გიორგაძის მრავალტომეულის გამოცემა.

— არქივი მოიცდის. პირველ რიგში აკადემიკოსის ბოლო გამოკვლევა მოსანახი და გამოსამხუტრებელი. — წამოიძახა ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკის განყოფილების გამგემ ნოდარ ოდიშარიამ. თან თამაზ ჭელიძეს ისე შეხედა, თითქოს უთხრა, თუ დაამთავრე, ახლა მე ვილაპარაკებო.

თანხმობის ნიშნად ცენტრალური

ლაბორატორიის უფროსი სკამზე დაჯდა და ფეხი ფეხზე შემოიდო.

ნოდარ ოდიშარია დინჯად წამოიძარ-თა.

— არ გინდათ ფეხზე წამოდგომა, დაბრძანდით და ისე ილაპარაკეთ.

— ბატონი ბრძანდებით, — ოდიშარია კვლავ სკამზე დაჯდა, — რამდენადც ვიცი, დავით გიორგაძემ თავისი სიცოცხლის უკანასკნელი ხუთი წელი ახალი ტიპის რადიოაქტიური გამოსხივების ვარაუდსა და დამტკიცებას შესწირა, ვფიქრობ, არავინ არ ვიცი, რა ეტაპზე დატოვა მან გამოკვლევა. თუ აკადემიკოსის საუბრის ფრაგმენტებს გავიხსენებთ, უნდა ვივარაუდოთ, რომ პრობლემა საბოლოოდ ჰქონდა გადაჭრილი. თუ საქმე ბოლომდე არ ჰქონდა მიყვანილი, ჩემის აზრით, მიზანთან მაინც ძალიან ახლოს იყო. მსგავსი დასკვნების გამოტანა, ალბათ, ყველას შეგვიძლია. იცოცხლის უკანასკნელ წელიწადს დავით გიორგაძის თვალში მხოლოდ სინარული ციმციმებდა. თითქოს უფრო ენერგიული გახდა, უფრო ტემპერამენტიანიც. გულსაც იოლად გვიშლიდა, რაც ადრე არ ჩვეოდა. ვფიქრობ, ამნაირი გამოცოცხლება შედეგი იყო დიდი მეცნიერული გამარჯვებისა. მე არ ვარ ამ დარგის სპეციალისტი, რადიოაქტიურობა არ არის ჩემი კვლევის სფერო, იგი უშუალოდ თქვენი სპეციალობაა. ბატონო ოთარ, მაგრამ მეც უზარმაზარი ინტერესით ველი დავით გიორგაძის ნაშრომის გამომზეურებას. სად არის ამჟამად აკადემიკოსის ბოლო გამოკვლევა? სად არის მისი თეორიული მოსაზრებანი და ხუთი წლის მანძილზე ჩატარებული უწყვეტი სექსპერიმენტო მასალები?

ოთარ კახიშვილს საფეთქლები დაე-ბერა. სისხლი ტვინს მიაწვა. აფეთქებ-ბას აღარაფერი უკლდა. მიხვდა, ნოდარ ოდიშარია სადაც უკაჟუნებდა. რადიოაქტიური გამოსხივების სპეციალისტი თვითონ ოთარ კახიშვილი გახ-ლდათ, თუმცა ახალ დირექტორს წარ-

მოდგენა არ ჰქონდა არც აკადემიკოსის თეორიულ მოსაზრებებზე, არც ექსპერიმენტის შედეგებზე. თუ ძალზე ზოგად და არაფრისმთქმელ სათაურს არ ჩაეთვლით — „რადიოაქტიური გამოსხივების მეხუთე ტიპი,“ — ოთარ კახიშვილმა სხვა არაფერი იცოდა, რა ბუნებისა იყო მეხუთე ტიპის გამოსხი-ვება და რა მიმართულებით აწარმოებ-და კვლევას ყოფილი დირექტორი. ოთარ კახიშვილს შეეშინდა, კონტრო-ლის გრძნობა არ დაკვარგო; გა-ლიმება სცადა და ნაძალადევი სიმშვი-დით თამაზ ჭელიძეს მიუბრუნდა.

— როგორც ხედავთ, მართალი ვყო-ფილვარ, მთავარი საქმე ჩვენ გვექონია მოსაგვარებელი, — შემდეგ ყველას გადახედა, — როგორ ფიქრობთ, სად უნდა იყოს დავით გიორგაძის ახალი გამოკვლევა?

— სად უნდა იყოს? — გამომწვევად გაიმეორა შეკითხვა ნოდარ ოდიშარი-ამ, თან ფეხზე წამოდგა, — ან ლაბო-რატორიაში, სადაც აკადემიკოსი ხუთი წლის მანძილზე საიდუმლოდ მუშაობ-და, ან ამ კაბინეტში, ან სახლში.

— წელან ხომ გთხოვეთ, დამს-ხდრებმა ვილაპარაკოთ-მეთქი. საწარ-მოო თათბირზე როდი ვიმყოფებით, არც დიდი საბჭო გვაქვს. მოდით, წყნარად, ყოველგვარი ენებათაღელვის გარეშე ვისაუბროთ და ჩვენი დიდი მე-გობრისა და კოლეგის საპატივცემ-ლოდ რაღაც პრაქტიკული და სასარ-გებლო გადაწყვეტილებანი მივიღოთ!

ყველანი მიხვდნენ, ოთარ კახიშვი-ლის მიერ წყნარად წარმოთქმულ ფრა-ზეტში სიბრაზე გამოსჭვიოდა.

— ბატონი ბრძანდებით! — ოდი-შარია გამომწვევად დაჯდა, საზურგეს მიაწვა და სკამი უკანა ფეხებზე შეა-ყენა. — თქვენ, თუ არ ვცდები, რამ-დენჯერმე უკვე იყავით აკადემიკოსის ლაბორატორიაში. ხომ არ გინახავთ იქ ნაშრომის თუნდაც ფრაგმენტები ან ექ-სპერიმენტის შედეგების გარკვეული ნაწილი?

— გულწრფელად რომ გითხრათ,



ლაბორატორიაში სამჯერ ვიყავი არჩილ თევდორაძესთან და პარტიული კომიტეტის მდივანთან ერთად. თანაც ვიყავი ჩემი დირექტორად დანიშვნის შემდეგ. მანამდე, აკადემიკოსის ავადმყოფობის პერიოდში, კარგად მოგეხსენებათ, ლაბორატორია დალუქული იყო კომისიის მიერ. ალბათ, დამეთანხმებიან არჩილ თევდორაძეცა და პარტორგანიზაციის მდივანიც, რომ ხელი არაფრისთვის გვიხლია, ლაბორატორია მხოლოდ დავათვალიერეთ. ეს იყო და ეს.

— აბა, იქნებ არცა გაქვს საძებრად საქმე, — თქვა მხიარულად ნოდარ ოდიშარიამ, — იქნებ მართლაც ლაბორატორიაშია სადმე აკადემიკოსის გამოკვლევა.

— ადვილი შესაძლებელია! — დამახა ვილაცამ.

ოთარ კახიშვილმა ირონიულად ჩაიციხა და თითებით კალმისტარს დაუწყო წვალება.

— არა მგონია, მეგობრებო, და აი, რატომ. დავით გიორგაძეს ინფარქტი დაემართა თოთხმეტ იანვარს, ცნობიერება კი დაკარგა (უნდოდა ეთქვა, ქუთუხე შეცდომა, მაგრამ დროზე მიხვდა, უტაქტოდ გამოუვიდოდა) მარტის ბოლოა. ორი თვის მანძილზე, მართალია, ხშირად ვერ ვნახულობდით, მაგრამ ვისაც მასთან შეხვედრა გეწევდა, დამეთანხმებიან, რომ აკადემიკოსი ძველებურად საღად აზროვნებდა. როცა ვუთხარი, თქვენი ლაბორატორია დავლუქეთ-მეთქი, ამ საუბრის შემსწრე არჩილ თევდორაძე დამემოწმება და მგონი, მაშინ საჯაროდაც განვაცხადე, აკადემიკოსმა გაიღიმა და მითხრა, რა საჭირო იყო. მართალი ვარ? — მიუბრუნდა დირექტორი თავის მოადგიულს.

არჩილ თევდორაძემ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

„ამოიღე ხმა!“ — იყვირა გულში გაცოფებულმა კახიშვილმა.

— თეორიული შრომა ან ექსპერიმენტის მასალები ლაბორატორიაში რომ ჰქონოდა, — განაგრძო ინსტიტუ-

ტის დირექტორმა, — აკადემიკოსის დაიბარებდა თავის ლაბორანტებს ან ჩვენ და დაგვეავლებდა ყველაფერი შეგვეკრიბა, მოგვეწესრიგებინა და დირექტორის კაბინეტში ან სახლში დაგვებინავებინა. ათასგვარ დავალებებს გვაძლევდა დავით გიორგაძე სავადმყოფოდან, ათასგვარი მსხვილმანი თუ წვრილმანი პრობლემით ინტერესდებოდა, თავისი გამოკვლევა კი თითქოს არც ახსოვდა. აქედან ხომ არ შეგვიძლია გამოვიტანოთ ერთი უბრალო დასკვნა, — დირექტორის ხმას თანდათან შეეპარა სიმტკიცე, — რომ მას, დავით გიორგაძეს, თავისი გამოკვლევა და ექსპერიმენტული მასალები უკვე საიმედოდ ჰქონდა დაბინავებული და მხოლოდ გამოჩანმართელებას ელოდა?

თანხმობის ნიშნად ყველამ თავი დაიქნია.

მხოლოდ ნოდარ ოდიშარიამ თქვა ხმამაღლა:

— გამოდის, რომ აკადემიკოსს გამოკვლევა ან კაბინეტში აქვს შენახული, ან შინ!

— სამწუხაროდ, შინაც ვერაფერი აღმოვაჩინეთ. ყოველმხრივ შეგვიწყო ხელი ქალბატონმა ანნამ, მაგრამ, დამეთანხმებიან არჩილ თევდორაძე და პარტორგანიზაციის მდივანი ბატონი როსტომი, რომ, სამწუხაროდ, ნაშრომის ერთი პატარა პარაგრაფიც ვერ ვიპოვეთ! რაც შეეხება კაბინეტს, კაბინეტში ოთხ კაცთან ერთად შევედი. ესენი იყვნენ არჩილ თევდორაძე, ბატონი როსტომი, ადგილკომის თავმჯდომარე, დირექტორის პირადი მდივანი და მე. ყველაფერი აღვეწერეთ, ოქმი შევადგინეთ, პირადი ნივთები მარინე დვალის ხელით ქალბატონ ანას გავუგზავნეთ. დავით გიორგაძის გამოკვლევა რომ სადმე გვენახა, ბუნებრივია, ყველას გვეცოდინებოდა.

— მაშ, სად უნდა იყოს? — წამოიძახა ჯამდენიმე კაცმა ერთად.

ოთარ კახიშვილი ლაპარაკის გავრძელებას არ ჩქარობდა და თანამშრომლებს ყურადღებით ათვალიერებდა,

თითქოს უნდოდა გამოეცნო, რას ფიქრობდნენ, ეპვი ხომ არაფერზე ებადებოდათ.

„სეიფს რატომ არავინ ასხენებს?“

„იქნებ იციან კიდევ, რომ დავით გიორგაძეს სეიფში აქვს ნაშრომი შენახული და ჩემი გამოცდა სურთ?“

„არ გამოგივით, ვაჟბატონებო!“ — დაემუქრა ყველას გულში და უცებ საზეიმოდ წამოიწყო:

— ბატონებო, ხომ არ დაგავიწყდათ, რომ კაბინეტში დგას მსოფლიოში სახელგანთქმული ფირმის „კრუპი და კომპანიის“ მიერ დამზადებული უზარმაზარი ძველი, გერმანული სეიფი?!

ღირექტორი მრავალმნიშვნელოვნად გაჩუმდა და თანამშრომლებს ღიმილით გადახედა.

სეიფის ხსენებამ მართლაც დიდი ეფექტი მოახდინა. უცებ ყველამ ნიშისაკენ გაიხედა და მონიკლებულ მრგვალ სახელურს დაასო მზერა. ისინიც, ვინც ზურგით ისხდნენ სეიფისაკენ, სკამებიანად სანახევროდ შემობრუნდნენ და შიფრის ასაკრფეი ხუთი რგოლი ისე შეათვალიერეს, თითქოს პირველად ხედავდნენ.

— რატომ არ უნდა ვივარაუდოთ, რომ დავით გიორგაძის ნაშრომი ამ სეიფშია მოთავსებული? ამიტომაც ხომ არ იყო მშვიდად მოხუცი აკადემიკოსი? ჩვენს ყოფილ ღირექტორს ცნობიერების დაკარგვამდე ერთხელაც არ შეპარვია ეპვი, რომ გამოჯანმრთელებოდა და ინსტიტუტს დაუბრუნდებოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში ბატონი დავითი აუცილებლად დაწერდა ანდერძს, საავადმყოფოშივე მოითხოვდა გამოკვლევის გამომზეურებას და რეგისტრაციას. გამოიძახებდა პრესის წარმომადგენლებს. მგონი, მართალი ვარ, არა?

— რასაკვირველია, მართალი ბრძანდებით! — პირველად ამოიღო ხმა არჩილ თევდორაძემ.

— ნამდვილად მართალი ბრძანდებით! — თავი დაუქნია ნოდარ ოდიშორიაძე.

— გულწრფელად რომ გითხრათ, ეპვიც არ მეპარება, რომ გამოკვლევისეიფშია, იქ, რომელიმე თაროზეა მოთავსებული, აკურატულად გადაბეჭდილი და გამოზადებული, ისე, როგორც ბატონ დავითს სჩვეოდა. მაგრამ რაკვნათ? როგორ გავხსნათ სეიფი? — ღიმილით გააგრძელა ოთარ კახიშვილმა. მიხვდა, მიზანში მოახვედრა და უკვე საბოლოოდ დამშვიდდა. ღირექტორის სავარძელსაც უფრო თავისუფლად მოერგო, უდარდელად შეატრიალ-შემოატრიალა და უხერხულობის ტვირთიც საბოლოოდ მოიხსნა.

— დიახ, ჩვენ ვდგავართ დილეგის წინაშე, როგორ გავხსნათ სეიფი? ხუთნიშნა შიფრი აკადემიკოსმა დავით გიორგაძემ საფლავში ჩაიტანა. მილიარდი კომბინაციიდან ვინ გამოიცნობს ყოფილი ღირექტორის მიერ აკრფეილციფრებს? დამეთანხმებით, მამახეციერიც კი ვერ გაართმევდა თავს ამ პრობლემას. საქართველოში მსგავსი სეიფის გამხსნელი ოსტატი არ მეგულებია. სპეციალისტები მოსკოვსა და ლენინგრადში უნდა ვეძებოთ. მოდით, მივწეროთ სათანადო ორგანიზაციას, გამოგვინახოს ვინმე სპეციალისტი. ვფიქრობ, მათი მოძებნა და ჩამოყვანა არ გავვიჭირდება. სეიფის გახსნის წინ შევადგინოთ კომისია, ჩვენი ინსტიტუტის თანამშრომლებს ვარდა კომისიაში უნდა მოვიწვიოთ აკადემიის ორი თუ არა, ერთი წარმომადგენელი მაინც. როცა ყველა ტექნიკური საქმე მოგვარდება, საზეიმოდ დავნიშნოთ სეიფის გახსნის დღე, მოვიწვიოთ პრესის, ტელევიზიის მუშაკები, საჯაროდ აღვუსხხოთ სეიფში მოთავსებული გამოკვლევები, საბუთები და, საერთოდ, ყველაფერი, უმნიშვნელო ჩანაწერები და ნივთებიც კი.

ოთარ კახიშვილმა ისევ გადახედა თანამშრომლებს. ისევ წაიკითხა მათ სახეებზე თანხმობა და მოწონება. კიდევ უფრო დაეუფლა გამარჯვების განმტკიცებით გამოწვეული სიხარული.

— მაშ, თუ თქვენ თანახმა იქნებით,



მე და არჩილ თევდორაძე დაუეკავშირდებით მოსკოვს.

— და, რაც შეიძლება მალე! — წამოდგა ფეხზე ნოდარ ოდიშარია. — ვინ იცის, იქნებ სულ მალე სხვა მეცნიერმაც გადაჭრას ის პრობლემა, რის გამოკვლევასაც დავით გიორგაძემ ხუთი წელი შესწირა. რატომ უნდა დავეარგოთ პრიორიტეტი?

— მართალი ბრძანდებით. ჩათვალეთ, რომ დღეს თუ ვერ მოვასწარით, ხვალ დილის ათ საათამდე მოსკოვს ვაცნობებთ ჩვენს თხოვნას. ახლა კი, თუ აზრის გამოთქმა არავის სურს, დავითავერით დღევანდელი თათბირი.

კაბინეტი სწრაფად დაიცალა.

ოთარ კახიშვილი სავარძელში უძრავად იჯდა. სახეზე კმაყოფილება და სიამაყე ერთმანეთს შერწყმოდა. როცა კაბინეტი უკანასკნელმა კაცმა დატოვა, სელექტორის კლავიშს თითი დააჭირა და მდივანს უთხრა, სანამ მე არ მეტყვი, კაბინეტში არავინ შემოუშვავო.

„ნუთუ მარტო მე მიხვდები, რომ დავით გიორგაძის გამოკვლევა სეიფშია? დავიჯერო, არც ერთს არ მოსვლიათავში იგივე აზრი? და თუ მოუვიდათ, ხმას რატომ არ იღებდნენ? არჩილ თევდორაძემ მაინც რატომ არ გამოთქვა თავისი მოსაზრება, როცა კაბინეტი დავითვალეერეთ და აკადემიკოსის ნივთები ქალბატონ ანნას აუტანეთ? იქნებ ყველანი მცდიდნენ? იქნებ ელოდნენ, როგორ მოვიქცეოდი, რას მოვიმოქმედებდი? მით უფრო ჩავარდნით დღეს კოვზი ნაცარში. მით უფრო მიმიყენებია მათთვის აკადრისი დარტყმა!“

სიხარულით და კმაყოფილებით აღტაცებულმა დირექტორმა სელექტორის კლავიშს ისევ დააჭირა თითი.

- გიჰმენთ! — მოესმა მარინეს ხმა.
- ხომ არავის დაურეკავს?
- არავის.
- სულ არავის?
- სულ არავის.

ოთარ კახიშვილი ვერ დაინახავდა, მარინე დვალს ბაგეებზე ირონიული

ღიმილი როგორ გამოეხატა. ადამიანების ფსიქოლოგიაში კარგად ცნობიერებულმა პირადმა მდივანმა შევენიერად იცოდა, ინსტიტუტის ახალი დირექტორი როგორ ელოდა რამაზ კორინთელის ზარს. თუმცა, არანაკლები ინტერესით ელოდა თვითონ, როდის დარეკავდა ან როდის მოვიდოდა თაფლისფერ თვალებიანი, მაღალი, ათლეტური და ძალზე უცნაური ჭაბუკი.

„ხომ გაიგებს ჩვენი დღევანდელი თათბირის ამბავს? ნეტავ რა დასკვნას გამოიტანს? ხომ მიხვდება, რომ ფეხებზე დავიციდე მისი ნათელმზილველობა და პროვოკაციული თუ მაკულნებელი წინადადება? ვითომ არც იმას დაიჯერებს, რომ არ ვაპირებ მივითვისო აკადემიკოსის გამოკვლევა და ვცდილობ, რაც შეიძლება მალე გავხსნა სეიფი, რომ დროზე გამოვამზებო ყოფილი დირექტორის ნაშრომი?“

ოთარ კახიშვილი ფეხზე წამოდგა და საწერ მაგიდაზე მიდგმული გრძელი მაგიდის გასწვრივ ბოლოს ცემას მოკყვა.

„ოსტატი რაც შეიძლება მალე უნდა ჩამოვიყვანო, რომ სეიფი ჩუმად გავხსნა. როცა ჩემს საქმეს მოვაგვარებ, შევეუთანხმდები, რომ ორი თვის შემდეგ ოფიციალურად ჩამოვიდეს. მიზნის მისაღწევად არაფერი არ უნდა დავიშურო, მაგრამ შეიძლება კი უცნობ ოსტატზე ნდობა? იქნებ შეშინდეს ან შეთქმულის გასამრჯელო იუკადრისოს! იქნებ კაცი, რომელსაც ასეთ საქმეს ანდობენ, სულელური პატიოსნებით არის შეპყრობილი და დაავადებული?“

ოთარ კახიშვილის სხეულში ძაბვის ისარი სასტიკად მერყეობდა.

„მოლაპარაკება საიდუმლოდ უნდა მოხდეს. არც კი უნდა იცოდეს, კონკრეტულად ვინ ვარ და რომელი დაწესებულების სეიფის გახსნას მოვითხოვ. თუ საიმედო კაცი შემჩრა, მხოლოდ მერე გავეცნობი და მერე მივცემ ნამდ-

ზურაბ შანგიჩიძე
საირალი



ვილ მისამართს. თუ ვერ დავებთანხმე, სხვა ვინმე უნდა მოვძებნო. ოსტატის ოფიციალურ მოწვევას ორ თვემდე თავისუფლად გავაჭიანურებ, მაგრამ ამ დროში თუ ვერავის მოველაპარაკე, ხომ დაიღუპა ყველაფერი?" — კახიშვილის სხეულში ძაბვის ისარი თითქმის ნოლზე დავარდა.

„რა მოხდება მაშინ?“

„რა მოხდება მაშინ?“

„რამაზ კორინთელი?“

„იქნებ რამაზ კორინთელმა იცის კიდრეც შიფრი?“

„თუ მართლა ნათელმხილველია, ისედაც ხომ გამოიცნობს ჩემს ჩანაფიქრს, ხომ გაიგებს ჩემს საიდუმლო მოლაპარაკებას!“

„რამაზ კორინთელი!“

„ღმერთო, შენ დამიფარე!“

„ხვალე უნდა მივიღო სამსახურში, ხვალე! თუ მართლა ნათელმხილველია, ხვალე უნდა გამოიცნოს სეიფის შიფრი. თუ არა და მეცოდინება, რომ შანტაჟისტია და მშვიდად ვიქნები, რომ ვერავითარ ჩემს ჩანაფიქრს და საიდუმლო მოლაპარაკებათა შინაარსს ვერ გაიგებს!“

„და თუ მართლა ნათელმხილველია, მაშინ?“

„მაშინ...“

„მაშინ ერთის მხრივ საქმე გაიოლდება, სეიფს უმტკივნეულოდ გავხსნით, მაგრამ, მეორე მხრივ, კორინთელის თანავეტორობას ვეღარ ავიცილებ?“

„თუმცა...“

„თუმცა, ნუ ვიჩქარებთ...“

„ახლა მთავარია, გადავჭრა ორი პრობლემა. პირველი, რაც შეიძლება გავაჭიანურო მოსკოვიდან ოსტატის ოფიციალური ჩამოფრენა, ხოლო მანამდე თვითონ მოვასწრო სეიფის გახსნა. მეორე, სასწრაფოდ გამოვარკვიო, ნამდვილად ნათელმხილველია თუ არა რამაზ კორინთელი. თუ მხოლოდ შანტაჟს მიწყობს, კინწისკვრით გავაგდე გარეთ. დღევანდელი თათბირის შემდეგ ვეღარავის დააჭერებს, რომ მე განსვენებული აკადემიკოსის ნაშ-

რომის მითვისებას ვაპირებ. მაინც რა ბედზე მოვიწვევ დღევანდელი თათბირი. ვინ მიკარნახა, ვინ მიბიძგა მისი ჩატარება? ღმერთმა? განგებამ? ფაქტია, რომ ათიანში მოვახვედრე! — თთარ კახიშვილმა კმაყოფილებით მოიფშენიჭა ხელები, — მეორე პრობლემა ხვალე ან უახლოეს დღეებში უნდა გადავჭრა. რამაზ კორინთელს შტატს გავუშვანდებ, თავს ისე მოვაჩვენებ, თითქოს შეეთანხმდით. ამასობაში საბოლოოდ გავარკვევ მისი ზებუნებრივი ნიჭის ამბავს“.

თთარ კახიშვილი ენერგიული ნაბიჯებით მივიდა მაგიდასთან, სავარძელში ჩაჭდა და სელექტორის კლავიშს თითი დააჭირა.

— გისმენთ! — მოესმა არჩილ თევდორაძის ხმა.

— არჩილ, ჩვენ მგონი ლაბორანტის ადგილი უნდა გვქონდეს თავისუფალი.

— ლაბორანტის ადგილზე ხომ ის გოგონა ავიყვანეთ...

— რომელი გოგონა! — გაბრაზდა დირექტორი.

— აი, ის, აკადემიიდან რომ დარეკეს.

— ჰოო! — გაახსენდა ოთარ კახიშვილს და დაფიქრდა.

— პრეპარატორის ადგილი გვაქვს თავისუფალი! — მოესმა თევდორაძის ხმა.

— ძალიან კარგი! — გახალისდა კახიშვილი, — ახლავე მოელაპარაკეთ ბუღალტერს და პრეპარატორის შტატი ლაბორანტის შტატად გადააქეთ. ხვალ ან ამ კვირაში ერთი ძალიან ნიჭიერი კაცი უნდა მივიღოთ, ფიზიკმათემატიკის დაუსწრებელი ფაკულტეტის სტუდენტი. ვინც მისი მიღება მთხოვა, ძალიან მიქო, უნიჭიერესი ყმაწვილიაო. ნიჭიერ ხალხს, მით უმეტეს ახალგაზრდობას, მხარი უნდა დავუჭიროთ. თუ არ ვცდები, მისი სახელი და გვარია რამაზ კორინთელი. დიახ, რამაზ მიხეილის ძე კორინთელი.

— რამაზ მიხეილის ძე კორინთელი! — გაიმეორა დირექტორის მოად-

ვილემ. ინტონაციაზე ეტყობოდა, ჭაბუკის სახელი და გვარი საგანგებოდ ჩაიწერა.

— კარგი იქნება, თუ ხვალ დღის ბოლომდე მოაგვარებთ შტატის გადაკეთების საქმეს.

— ბატონი ბრძანდებით.

სელექტორის კლავისის ქვეშ ნათურა ჩაქრა.

— რამაზ მიხეილის ძე კორინთელი! — ჩაილაპარაკა, დირექტორმა, — ერთი ცენახოთ და მართლა აღმოჩნდა ნათელმხილველი. მაშინ?

ოთარ კახიშვილი დაფიქრებულად წამოდგა, ფანჯარასთან მივიდა და დაბლა გადაიხედა.

შეერთა, ცივმა ოფლმა დაასხა.

ზუსტად იმავე ადგილზე, როგორც გუშინ და ამ ოთხი დღის წინ, წითელი „ეივული“ დაინახა, მანქანის წინა კარს მიყრდნობილი ქერა, გრძელფეხებიანი ქალიშვილი უღარდელად აკვირდებოდა გამვლელ-გამოვლელთ.

„ნეტავ როდის მოვიდა?“ — გაფიქრებაც ვერ მოასწრო ოთარ კახიშვილმა, რომ მოჩვენება სადღაც გაქრა.

თავი მეცამეტე

რამაზ კორინთელმა კაბინეტის კარი ჭიქურ გამოაღო. მდივანი ქალი შეერთა და უნებურად ფეხზე წამოვარდა.

ჭაბუკს თვალები უცნაურად უბრწყინავდა.

— შედი, ცუდად არის! — სხვათა შორის ჩაილაპარაკა კორინთელმა და მოსაცდელი ოთახიდან სწრაფად გავიდა.

„შედი“ — არ მოეწონა მარინეს. გახედა, განსჯის დრო არ იყო და დირექტორის კაბინეტში შევარდა.

სავარძელზე გადაწოლილ ოთარ კახიშვილს თვალები ჭერისთვის მიეპყრო. ფერებდა აპრელებული სახე აპლიკაციას მიუგავდა. ღრმად და მძიმედ სუნთქავდა. სუნთქვასა და სუნთქვას შორის იმოდენა პაუზებს აკეთებდა, მარინე დვალი შიშმა აიტანა, ხელში არ ჩამაკვდესო.

— რა დაგემართათ? — შეშინებულმა და შეშფოთებულმა მდივანმა დირექტორს შუბლზე ხელი დაადო. შეერთა, კახიშვილს შუბლი ისე უხურდა, ქალს ეგონა, ხელისგული ცხელ უთოს დავადეო.

— რა ვქნა? — თითქმის ტირილით ჰკითხა კახიშვილს.

— კაბინეტი დაკეტეთ, არავინ შემოვიდეს! — ძლივს ამოთქვა დირექტორმა.

უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილ მარინეს ოთარ კახიშვილის დავალება ხსნად მოეჩვენა. უმაღვე კარისაკენ გაიქცა, ორთავე კარი სწრაფად დაკეტა და ისევ დირექტორთან გაჩნდა.

— ექიმს ხომ არ გამოვუძახხო?

ოთარ კახიშვილმა უარის ნიშნად თავი გაიქნია.

მარინე უაზროდ იდგა, აღარ იცოდა, რა ექნა. ახალი ბრძანების მოლოდინში დირექტორს გაფაციცებული შესჩერებოდა.

— იქნებ ყავა მოგიდუღოთ?

— არ მინდა! — კახიშვილი მაგიდას იდაყვებით დაეყრდნო და თავი ხელებში ჩარგო.

„სიზმარი იყო თუ ცხადი?“

„რასაკვირველია, ყველაფერი ცხადში მოხდა!“

„ვინ არის რამაზ კორინთელი? ადამიანი? სატანა?“

კორინთელი ნათელმხილველი იყო. კახიშვილს იოტისოდენა ეჭვიც აღარ ეპარებოდა, მაგრამ რატომ უწყევდა სახეს ჭაბუკის ადგზნებული თვალებიდან გადმოფრქვეული სხივები?



ოთარ კახიშვილი დილით აღრენილი მოვიდა სამსახურში, უძილარი და



თავგასიებელი. მთელი ღამე სიზმრებ-
მა არ მოასვენა. უფრო სწორად, ერ-
თმა გრძელმა და წყვეტილმა სიზმარ-
მა. საიდანღაც ბინაში კოდალა მოფ-
რინავდა, შავი, უზარმაზარი კოდალა,
და საფეთქლებში უკაჟუნებდა გრძელ
ნიკარტს, ტკივილებიაგან ფეხზე წა-
მოიჭრებოდა, კოდალას დაჭერას ცდი-
ლობდა, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა.
კოდალა ერთ წამში გაქანდებოდა და
ქუჩაში ხია ტოტზე ჯდებოდა. საგანგე-
ზოდ კეტავდა ყველა ფანჯარას, მაგრამ
ამაოდ, დაიძინებდა თუ არა, კოდალა
ისევ ჯიუტად უხვრეტდა საფეთქლებს.

გამოიღვიძებდა, ლოგინზე წამოჯდე-
ბოდა, თვალებს უაზროდ აცეცებდა.
ბოლოს, როცა დარწმუნდებოდა, სიზმა-
რი საბოლოოდ გავფანტეო, კვლავ და-
ძინებას ცდილობდა. თხუთმეტი-ოცი
წუთის წრიალის შემდეგ ისევ ჩაეძინე-
ბოდა, მაგრამ სიზმარიც ისევ გრძელ-
დებოდა. უზარმაზარი შავი კოდალა ჯი-
უტად ცდილობდა ოთარ კახიშვილის
საფეთქლების გახვრეტას.

უკანასკნელად ექვს საათზე გაიღვიძა.
გაცოფებული წამოდგა, ხელ-პირი დაი-
ბანა, წვერი გაიპარსა და სამუშაოს მი-
უჯდა. თავი ისე ჰქონდა დამძიმებული
და გახურებული, ისე ღუნედ და მძი-
მედ აზროვნებდა, ეგონა, ტვინის მა-
გივრად თავში მდულარე ტყვია ჩამას-
ხესო.

— ოთარ! — უთხრა საუზმეზე მეუ-
ღლემ, — სერიოზულად მაფიქრებს შე-
ნი ფსიქიური მდგომარეობა. ეტყობა
არაა ინსტიტუტის დირექტორობა შენი
საქმე. ხომ არ ჯობია, ახლავე დაწერო
განცხადება და შენს ძველ ადგილს
დაუბრუნდე?

— შენ მაინც ნულარ მიშლი. ნერ-
ვებს! — დაუღრჭიალა კბილები მეუღ-
ლეს და სავსე ჭიქას ხელი ჰკრა. ჭიქა
გატყდა, ადუღებული წყალი მაგიდი-
დან იატაკზე გადმოიღვარა.

ოთარ კახიშვილი წამოდგა, პორთ-
ფელი მონახა და სამსახურში წავიდა.
ღია გაუნძირველად იჯდა. ვერ გავგო,
ქმრის თავს რა ამბავი ტრიალებდა.

— დარეკა ვინმემ? — შესვლისთანავე
ვე ჰკითხა მდივან ქალს.

— არავის არ დაურეკავს.

— სულ არავის?

— სულ არავის.

ოთარ კახიშვილი კაბინეტში შევი-
და, პორთფელი, ჩვეულებისამებრ,
გვერდით პატარა მაგიდაზე დადო და
სიგარეტი ამოიღო.

საქალაღდეში რამაზ კორინთელის
სავიზიტო ბარათს მოჰკრა თვალი. ამო-
იღო და წინ დაიდო.

მეექვსე დღე იყო, რამაზ კორინთე-
ლი არ გამოჩენილა. ოთხი დღის წინ
გადაწყვიტა თვითონვე დაერეკა უცნაუ-
რი ჰაბუქისათვის. დიდი ენერჯის ფა-
სად დაუჯდა თავის შეკავება. თავს იშშ-
ვიდებდა, აუცილებლად თვითონ დამი-
რეკავსო, მაგრამ კორინთელი დუმდა.

„იქნებ მანიაკი ან გიჟი იყო და სა-
ერთოდ შემეშვა?“ — გაიფიქრა უცებ.

„არა, რამაზ კორინთელი არ ჰგავდა
არც მანიაკსა და არც გოყს“, — დაასკე-
ნა თვითონვე და უმაღლვე წითელ „უი-
გულზე“ მიყრდნობილი მაღალი, ქერა,
გრძელფეხებიანი ქალიშვილი დაუდგა
თვალწინ.

დამძიმებულ თავში ძლივს ჩამოყა-
ლიბდა მარტივი გადაწყვეტილება, მო-
დი, მე თვითონ დავურეკავო. თითქოს
შეება იგრძნო, ტელეფონი გადმოიყვანა
და ნომრის აკრეფა დაიწყო. უცებ გა-
დაიფიქრა. მდივანს დავარეკინებ, ლა-
წირაკს თავი რატომ გავუტოლოო,
გადაწყვიტა კახიშვილმა და სელექტო-
რის კლავიშს თითი დააჭირა.

— გისმენთ!

— რამაზ კორინთელს დამაკავშირეთ!

— ნომერი რომ არ ვიცი?

— ახლავე გეტყვით.

ინსტიტუტის დირექტორმა სავიზიტო
ბარათს დახედა და მარინეს კორინთე-
ლის ტელეფონის ნომერი უპარნახა.

კაბინეტში სიჩუმე ჩამოწვა.

რამაზ კორინთელთან დალაპარაკების
მოლოდინში ნერვები დაწყვეტამდე
დაეჭიმა.

ერთი წუთიც არ იყო გასული, რომ

აელექტორის კლავის ქვეშ სინათლე
ანთო.

ოთარ კახიშვილმა კლავის თითი და-
აჭირა.

— გისმენთ.

— რამაშ კორინთელია ტელეფონ-
თან! — მოესმა მარინეს ხმა.

ხელაკანკალეტულმა ყურმილი აიღო
და ტელეფონი გადმოიყვანა.

— გისმენთ! — თქვა ხმადაბლა და
დინჯად. არ უნდოდა მდღეღარება და-
ტყობოდა.

— მე გისმენთ, ბატონო ოთარ, თუ
არ ვცდები, თქვენ დამირეკეთ, არა?

— ჰო, მე დავარეკინე! — დაიბნა დი-
რექტორი.

— სხვათა შორის, თქვენს ზარს ჯერ
კიდევ რამდენიმე დღის წინ ველოდი.

— საერთოდ არ ვაპირებდი დარეკ-
ვას, მაგრამ მდივანმა მითხრა, ვილაც
ახალგაზრდამ დაგირეკათო. ვიფიქრე,
რომ თქვენ იყავით.

ტყუილად გიფიქრიათ. მე მგონი,
გარკვევით გითხარით, რომ თუ ჩემი
წინადადება კვლავში დაგიჯდებოდათ,
თქვენ უნდა დაგერეკათ. თქვენ არ და-
რეკეთ. თანაც მეორე დღესვე თათბი-
რი ჩაატარეთ და დაადგინეთ, მოსკო-
ვიდან სეიფის გამხსნელი ოსტატი მო-
იწვიოთ. ბატონო დირექტორო, მე
თქვენს თანამშრომლებივით გულუბ-
რყვილო არ გეგონოთ. ვიცი, ჯერ ოს-
ტატს მოელაპარაკებით, რომ აეიფი ჩუ-
მად გახსნათ. როცა აკადემიკოსისა შრო-
მას ხელთ იგდებთ და საიმედოდ გადა-
მალავთ, მხოლოდ ამის შემდეგ გახსნით
სეიფს ოფიციალურად. ნუ გიკვირთ,
ბატონო დირექტორო, გააკვირი არა-
ფერია. — კორინთელმა იაევ უხვად
და გულდასმით ამოავლო ირონიული
სიტყვა „ბატონო“, — სხვათა შორის,
მინდა მოგახსენოთ, რომ არავითარი ნა-
თელმზილველობა არ დამპირებიათ თქვე-
ნი არცთუ რთული ეშმაკობის გასაშიფ-
რად. ცოტა ინფორმაცია, ცოტა ანა-
ლიზი და თქვენი არცთუ მთლად პა-

ტიოანი გეგმები ჩემთვის დღესვე
ნათელი გახდა.

— ერთ წუთს მომიამინეთ... — ოთარ
კახიშვილი შეეცადა, როგორმე სიტყვა
გაეწყვეტინებინა, ჰაბუკის ნათქვამმა
ისე ააღლევა, საკუთარი ნერვების ბა-
დეში გაბმული თევზივით აფართხალ-
და.

— ჯერ მე მომიამინეთ ბოლომდე.
მერე რამდენიც გნებავთ, იმდენი ილა-
პარაკეთ. გულწრფელად რომ გითხრათ,
უფრო ჰკვიანი მეგონეთ. ჩემი ჯენ-
ტლმენური წინადადება არ მიიღეთ.
სამწუხაროა, ძალიან სამწუხარო! თუ
ჩემს ათასჯერ გაანალიზებულ წინა-
დადებას მიიღებდით, ყველა პრობლემა
უბრძოლველად, იოლად და უკვალოდ
გადაწყდებოდა. სამწუხაროდ, თქვენ
საშინლად ხარბი აღმოჩნდით, ბატონო
დირექტორო, საშინლად ხარბი. ნუ
გეწყინებთ, საკუთარ გულში ჩაიხე-
დეთ, თვითონაც ხომ გჯერათ, რომ სი-
მართლეს გეუბნებით. ჩემი ფასდაუდე-
ბელი სამახურის სანაცვლოდ თანაავ-
ტორობაც კი ვერ გამოიმეტეთ. თანაც
ვის ნაშრომზე, თქვენი საკუთარი მა-
ინც იყოს! რა გაეწყობა. დღეიდან
ვიწყებ დამოუკიდებელ მოქმედებას.
ვლიარებ, რთულ საქმეთან მარტოღო-
რტო შექიდება ძალიან გამიჭირდება,
მაგრამ ახვა გზა არ დამრჩენია, ჩემას
მაინც მივალწევ. თქვენ კი, ბატონო დი-
რექტორო, პირობას ვერ მოგცემთ, რომ
თქვენი სიხარბე საერთოდ არ დაგტო-
ვებთ მშრალზე!

— შეიძლება ჩემთან მობრძან-
დეთ? — ხმა გაეზზარა ოთარ კახი-
შვილს.

— აქვა კი აზრი?!

— მობრძანდით, ერთხელ კიდევ მო-
ვილაპარაკოთ და კარგად ავეწონ-დაე-
წონოთ მოვლენები.

მცირე დუმილი.

— ალო, გემით?

— მშვენივრად მესმის, ნუ ღელავთ.
მე მხოლოდ ვფიქრობ, ღირს კიდევ
თქვენთან შეხვედრა? თქვენ ჩემი შე-
საძლებლობანი არ დაიჯერეთ, ალბათ,



იმიტოს, რომ ვერ ჩაწვდით და ვერ შეიგრძენით. მეექვსება, რომ ახლა მანც გამიგებთ.

— მობრძანდით, აქ ვილაპარაკოთ პირდაპირ წამოდით.

— იქნებით კი გულახდილი?

— გულახდილი ვიქნები თუნდაც ამ წუთიდან, მე უკვე მაქვს თქვენთვის ლაბორანტის შტატი. თუ მოლაპარაკება კარგად ჩაივლის, დღესვე გაგაფორმებთ.

— ოჰო! ესე იგი, თქვენ არც ისეთი გულუბრყვილო ყოფილხართ, თავდაპირველად რომ მომეჩვენა!

— მაშ, მოხვალთ?

— მოვდივარ.

ოთარ კახიშვილმა ყურმილი დადო და თავიუფლად ამოიუხუნთა. სელექტორის კლავისს თითი დააჭირა და მდივანი გააფრთხილა, დღეს ვერავის მივიღებ, აკადემიის პრეზიდენტი სახელზე მოხსენებითი ბარათი მაქვს დასაწერი. რამაზ კორინთელი კი, როგორც მოვა, იმავე წუთში შემოუშვითო.

მეორედ უფრო მოეწონა რამაზ კორინთელი. კიდევ უფრო ათლეტური და უფრო კეთილი ეჩვენა. წაბლისფერი თმა, ოღნავ კეხიანი ცხვირი, მსხვილი ტუჩები და თავლიაფერი თვალები მშვიდ, ოთარ კახიშვილის გასაოცრად, გულუბრყვილო იერსაც კი აძლევდა.

კაბინეტში შემოსულს ფეხზე წამომდგარი შეეგება და სკამი შესთავაზა. შემდეგ თვითონაც საუარძელში მოკალათდა და ქაბუკს თვალებში შეხედა.

ერთხანს დუმილი ჩამოვარდა. თითქოს არც ერთს არ უნდოდა, პირველადეწყო ლაპარაკი.

რამაზ კორინთელის თვალებში მოულოდნელად გაიღვა მრისხანებამ. კახიშვილი შეკრთა. მიხვდა, ძნელი და დაძაბული ლაპარაკი ელოდა. ახალგაზრდა კაცის გამომეტყველებაში წელან დანახული სიმშვიდე და გულუბრყვილობა მხოლოდ მისი სურვილის ანარეკლი იყო.

— კარგია, რომ მოხვედით. — პირ-

ველმა კახიშვილმა დაარღვია უნერული დუმილი.

— ცუდია, რომ დღეები დავკარგეთ.

— რაც დაიკარგა, არაფერი ეშველება. თუმცა ტყუილად არ დაკარგულა. პრეპარატორის შტატი ლაბორანტის შტატად გადავაკეთეთ.

— „შტატი!“ — ჩაიციხა რამაზ კორინთელმა, — კარგია, რომ შტატის საკითხი მოგიგვარებიათ. თუმცა ამ წუთში ჯობია მთავარზე და უმთავრესზე ვილაპარაკოთ. ჩვენს საქმეში აუცილებელია გულახდილობა, გულწრფელობა. სხვანაირად ვერაფერს გავხდებით.

„ჩვენს საქმეში!“ — არ ესიამოვნა ოთარ კახიშვილს.

— თქვენ კი გულწრფელი არ ბრძანდებით. ერთი სული გქონდათ, მოლაპარაკება დაგეწყოთ, მაგრამ ნებიუსოფის უკიდურესობამდე დაძაბვის ფასად თავი შეიკავეთ. გინდათ დამარწმუნოთ, რომ ჩემი წინადადება არ გაელეკვბთ. აი, რა არის არაგულწრფელობა. თუ მომავალშიც ასე გაგრძელდა, აღარავითარი სურვილი არ მექნება, საქმე ერთად გავაგრძელოთ. შეიძლება არც მე დავერჩე მოგებულნი, მაგრამ თქვენც უნდა შეეგებოდნენ, რომ სამუდამოდ მოგიწყვთ აკადემიკოსის გამოკვლევასთან გამოთხოვება.

— გულწრფელი მაშინ ვიქნები, როცა ბოლომდე დამაჯერებთ. აი, გისმენთ, ხელს არავინ შეგვიშლის. დამაჯერეთ, დამარწმუნეთ და სიტყვა გაძლევთ, ჩვენს შორის ერთი ნაბიჯიც არ იქნება დამალული.

რამაზ კორინთელს აჯეროდა, რომ ამ წუთში ინტიტუტის დირექტორი მართლაც გულწრფელი იყო. თუმცა ისიც კარგად იცოდა, მხოლოდ ამ წუთში! რამაზ კორინთელმა მცირე პაუზა გააკეთა, აღზნებულად წარმოთქმული სიტყვებისათვის რომ მეტი მნიშვნელობა მიეცა და შემდეგ ძალზე დინჯად გააგრძელა:

— საქმე რომ თავიდანვე ნათელი იყოს, კიდევ ერთხელ ჩამოგიყალიბებთ ჩემს მოთხოვნებებს. სხვათა შორის,

ძალიან ნორმალურ და მისაღებ მოთხოვნებილებს.

— ბრძანეთ.

— პირველი, მიმიღებთ შტატში ლაბორანტია თანამდებობაზე. როგორც წესად ბრძანეთ, ეს პრობლემა უკვე გადავიჭრით, არა?

— დიახ, ჩათვალეთ, რომ გადაჭრილია.

— მეორე: თქვენ პირველ სექტემბრამდე მოხვალთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორთან და ეტყვიან, რომ მე ვარ უნივერსიტეტის ნიჭით დაჯილდოებული ფიზიკოსი, რომ მზად მაქვს არამარტო სადიპლომო შრომა, არამედ საკანდიდატო დისერტაცია.

— უკვე?!

— დიახ, უკვე! ეტყობა, წინა შეხვედრაზე ჩემთვის ყური კარგად არ დაგიგიათ, ან ჩემი ნათქვამისათვის არავითარი მნიშვნელობა არ მიგიციათ. რექტორმა უფლება უნდა მომცეს, იანვრამდე დავხურო დარჩენილი სამივე კურსი და თან, რაც მთავარია, დიპლომთან ერთად დამაცვევინოს საკანდიდატო დისერტაცია. იანვრამდე მე მოვასწრებ საკანდიდატოს მივცე საბოლოო სახე და თქვენის ხელშეწყობით, გამოვაქვეყნო კიდეც ინსტიტუტის შრომებში. ხედავთ, არც მეორე პირობაა რთული და შეუსრულებელი.

— კი მაგრამ, როგორ შესძლებთ სამი კურსის ერთდროულად დახურვას ან ხომ უნდა ვიცნობდე თქვენს შრომებს?! მე მეცნიერი ვარ. მართალია, ისეთი არა, როგორიც აკადემიკოსი დავით გიორგაძე იყო, მაგრამ საკმაოდ ცნობილი მეცნიერი გახლავართ. ხომ არ შემიძლია, ბრმად ვაგვიწოთ რეკომენდაცია?!

— შრომებს ახლა, ამ წუთში ვერ გაცნობთ. არცაა საჭირო. და თუ როგორ ვიცი მე ფიზიკა ან მათემატიკა, თეორიული მექანიკა თუ სხვა საგნები, პირველსავე დღეს, თუნდაც ახლავე, ამ წუთში დავიმტკიცებთ. მე კარგად ვიცნობ თქვენს წიგნს „ნეიტრონუ-

ლი ვარსკვლავის პოლარული ვარსკვლავის გახსოვთ, მისი საბოლოო ვარიანტი აი აქ, ამ კაბინეტში წაიკითხეთ თქვენ და აწ განსვენებულმა დავითი გიორგაძემ. მან წითელი მეღვინით ავიჭრელათ ნაშრომი, გახსოვთ, არა?

— თქვენ... თქვენ ეს საიდან იცით? — ლამის სკამიდან გადმოვარდა ოთარ კახიშვილი.

— მაცალეთ, და იმედი მაქვს, ყველაფერს გაიგებთ... თუ არ ვცდები, ნეიტრონულ ვარსკვლავზე მილიარდობით ტონა მასის ერთდროულად ვარდნის დროს დამუხრუჭების შედეგად წარმოქმნილ ტემპერატურაზე ეჭვი გამოითქვა. უფრო სწორად, ეჭვი გამოითქვა ვარდნის ფართობზე. თქვენ გაითვალისწინეთ აკადემიკოსის მითითება და დააზუსტეთ სავარაუდო მოსაზრება: წამში ასი მილიარდი ტონა მატერიის ნაკადი ერთ კვადრატულ კილომეტრზე — მართალი ვარ?

— მართალი ბრძანდებით!

— გნებავთ ვარდნა სიჩქარეც გავიხსენო? წამში 150 ათასი კილომეტრი... გახსოვთ, არა? აი, აქ იჯექით. ნომებერი იყო. მუქი ლურჯი კოსტიუმი გეცვათ. როცა აკადემიკოსის შენიშვნებმა ჩინში მოგაქციათ, განერვიულებულმა და ოფლში გაწურულმა დავით გიორგაძეს ბოდიში მოუხადეთ და პალატუხი შეიხსენით. გახსოვთ?

— მახსოვს, — ამოიხრიალა თავზარდაცემულმა ოთარ კახიშვილმა.

— ვფიქრობ, უკვე გვჩაბთ, რომ შემიძლია იანვრამდე დავხურო დარჩენილი სამი კურსი. ნუ შეგეშინდებათ, ბატონო დირექტორო, თამამად მიღით უნივერსიტეტის რექტორთან. ნებას გაძლევთ, ჩამთვალეთ თქვენს მიერ აღმოჩენილ ტალანტად. შემდგომში ჩემი გზის გამკვალავ მეცნიერად მოგიხსენიებთ, ამავს არ დავიკარგავთ. ისიც უთხარით რექტორს, კარგად ლაპარაკობს გერმანულ, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე—თქო. გერმანული რომ კარგად ვიცი, მგონი, ეჭვი არ გე-



პარებათ. ინგლისურში და ფრანგულში თქვენ ვერ შემამოწმებთ. კარგი კი იქნებოდა გავეგრძელებინათ ინგლისურის სწავლა, ამ ათიოდე წლის წინ რომ დაიწყეთ და სულ ორიოდე თვეში რომ შეწყვიტეთ. ვახსოვთ, რა ენთუზიაზმით დაიწყეთ? კვინდოდათ მთელი შვებულება ინგლისურის შესწავლისათვის გამოგვეყენებინათ, მაგრამ ბიჭვინთაში ერთ ქალს გადაეყარეთ და...

— ეპარა! — იყვირა მთელი ხმით ოთარ კახიშვილმა.

— განა ასე გლიზიანებთ თქვენი წარსულის გახსენება?

— ნუ იღიმებით. ასე დამცინავდნენ იღიმებით! მე ჩემი წარსული კი არა, თქვენი ლაპარაკი მღიზიანებს. საიდან იცით ასე დაწვრილებით ჩემი ცხოვრების ეპიზოდები? ვინ ვითხრათ, ვინ გაამბოთ ჩემი ცხოვრების უმნიშვნელო წვრილმანებიც კი?!

— ნუ ღელავთ, დაწყნარდით. წყალი დალიეთ. ნერვები დაიმშვიდეთ. ბოლოს და ბოლოს, სამეგობროდ და სათანამშრომლოდ ვარ თქვენთან მოსული, მე ბევრი რამ ვიცი, ძალიან ბევრი. დაწყნარდით, დაიოკეთ მღელვარება!

— მე მხოლოდ მაშინ დავწყნარდები, როცა გავიგებ, საიდან იცით ჩემი ცხოვრების თვით უმნიშვნელო წვრილმანებიც კი. თანაც იცით არა მარტო შინაარსობრივად, არამედ ვიზუალურადაც?! თითქოს მთელი ჩემი ცხოვრება სლაიდებზე გქონდეთ აღბეჭდილი და რომელიც მოგესურვებათ, იმ სლაიდს აშუქებთ დიდ ეკრანზე.

— დაწყნარდით, ბატონო დირექტორო, დაწყნარდით და კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ცნობის მოსაშენებლად მოემზადეთ!

ოთარ კახიშვილი ჩაჩუმდა და რამაზ კორინთელს გაბეცებულმა შეხედა. ტანმა უგრძნო, ჭაბუკს მართლაც რაღაც ძალზე მნიშვნელოვანი უნდა ეთქვა. ინსტიტუტის დირექტორს გაფართოებულ

და გადმოკაკულულ თვალებში მტკნალი დინი და შიში ჩაუდგა.

— გისმენთ! — აღმოხდა თითქმის ჩურჩულით.

რამაზ კორინთელი ფეხზე წამოდგა, ხელებით დირექტორის საწერ მაგიდას დაეყრდნო, თავი წინ წასწია და მანაც ჩურჩულით, ოთარ კახიშვილს რომ გველის სისინად ჩაესმა, გარკვევით თქვა:

— მე შემძლია გავხსნა სეიფი.

— რა ბრძანეთ? — შიშისაგან სავარძელი უკან დასწია ოთარ კახიშვილმა.

— მე ვიცი შიფრი და შემძლია სეიფი გავხსნა ახლაც, აი, ამ წუთში! — რამაზ კორინთელი წელში გაიმართა, სკამზე აღარ დამჯდარა, სკამი შესწია და კახიშვილს მრავალმნიშვნელოვნად გაუღიმა.

რამდენი რამ იყო ამ ღიმილში, ნიშნის მოგება, ზიზი, დაცინვა, მუქარა.

— არა გჯერათ?

ინსტიტუტის დირექტორი გაოგნებულნი იჯდა და ხმას ვერ იღებდა.

— ცუდად ხომ არა ხართ? — მზრუნველი ხმით ჰკითხა უცებ რამაზ კორინთელმა.

ოთარ კახიშვილი არ შერხეულა, კვლავ გაქვავებულივით იჯდა.

— წყალი ხომ არ მოგაწოდოთ? — გულწრფელად შეწუხდა კორინთელი.

— მართლა შეგიძლიათ სეიფი გაალოთ? მართლა იცით შიფრი? — გაოცებული, შეშინებული და საწყალობელი ინტონაციით აღმოხდა ოთარ კახიშვილს.

— დიახ, შემძლია! — კორინთელმა სივარეტი გააბოლა. — იცით, რა ენერჯის დახარჯვის ფასად გამოვიცანი აკადემიკოსის მიერ შერჩეული შიფრი? იცით, რა ძნელია მილიარდობით ვარიანტში დაინახო, დიახ, ვიზუალურად დაინახო ციფრების ერთადერთი კომბინაცია, რომელიც სეიფს გააღებს? ამ ურთულესი ხილვის შემდეგ ორი კვირა ვიყავი ენერჯისაგან დაწრტი-

ლი. ყოველ ხილვას, თვით უბრალოააც კი, ენერჯის ვარკვეული ნაწილი მი-აქვს, რომელთა აღდგენას შემდგომ დრო სჭირდება. აკადემიკოსის შიფრის ამოცნობის შემდეგ ორი კვირა ლოგინი-დან ვერ ავდექი. კომბინაციის გამოცნობას დავით კორგაძის დასაფ-ლავების მეორე დღიდანვე შევუდექი. მეორე დღესვე დამებადა იდეა, გან-მეხორციელებინა ის გეგმა, რომელიც თქვენ შემოგთავაზეთ.

— მერე? აქამდე რატომ არ გამო-ჩნდით?

— ჯერ შიფრი უნდა გამომეცნო. მერე, მგონი უკვე ვითხარით, ორი კვირა ვიწექი. შემდგომი პერიოდი თქვენს ვაშიფრვას, ნუ შეგეშინდებთ ამ სიტყვისა, დიახ, თქვენს ვაშიფრვას და შესწავლას მოვანდომე. როცა ყვე-ლაფერი შევისწავლე და გეგმა სათანა-დოდ ვაეანალიზე, მოგაკითხეთ კიდევ.

— დარწმუნებული ხართ, რომ შიფ-რი ნამდვილად ამოხსენით?

— ეჭვიც არ მეპარება.

— და თქვენ შეგიძლიათ ამ წუთში გაალოთ სეიფი?!

— რასაკვირველია, შემიძლია!

— არა მჯერა, რომ მომკლათ, ვერ დავიჯერებ!

— მოკვლა რა საჭიროა, ღია სეიფი რომ დაგანახოთ, მაშინაც არ დაიჭე-რებთ?

— ღმერთო, რა მემართება. თავი სიზმარში მგონია!

— ჩაკეტეთ კარები შიგნიდან! — საიდუმლო ბრძანებასავით გაისმა კო-რინთელის ხმა.

ოთარ კახიშვილს ისევ ჩაუვარდა ენა, ისევ დაემსგავსა სტერეოფონტოს. შემდეგ წამოდგა, კაბინეტის კართან მიძუნძულდა, ვასალები ორჯერ გადა-ატრიალა და პირდაპირ სეიფს მივარ-და.

რამაზ კორინთელი ნელა მიუახლოე-და ნიშში შედგმულ უზარმაზარ მო-ყავისფრო სეიფს.

— გთხოვთ, ხუთი მეტრით უკან და-

იწიოთ! — მიმართა კვლევითი ნისტი ტუტის დირექტორს და სახელურა ხელი მოავლო.

ოთარ კახიშვილი მონუსხულივით და-ემორჩილა კორინთელის ბრძანებას. ორი ნაბიჯი უკან გადადგა, სკამი მონა-ხა და ცალი ხელით დაეყრდნო. მუხ-ლები უცნაურად უკანკალებდა, ეშინო-და, არ ჩაკეცილიყო.

რამაზ კორინთელმა ფრთხილად, ძა-ლიან ფრთხილად შეაბრუნა პირველი ბორბალი და საჭირო ციფრი ისართან დააყენა.

კახიშვილმა კისერი წაიგბრძელა, უნ-დოდა შორიდან დაენახა, რამაზ კორინ-თელმა რა ციფრი გაუსწორა ისარს, მაგრამ ამოდ. ხუთი მეტრის მანძილი-დან წარმოუდგენელი იყო ბორბლებზე გამოაახული ციფრების გარჩევა.

რამაზ კორინთელმა ხელი ნახად შე-ავლო მეორე რგოლს., თითქოს უფე-რებსო, ნელა, ძალიან ნელა, თითქმის შეუძმჩნევლად გადაატრიალა და მეორე ციფრიც ისარს გაუსწორა. მცირეოდენი პაუზის შემდეგ მესამე რგოლს შე-ახო თითები.

ოთარ კახიშვილი ვიტრინის მანეკე-ნივით უხერხულ და სასაცილო პოზაში იყო გაქვავებული. წამწამებსაც კი არ ახამამებდა. მხოლოდ გულის გამალე-ბულ დაგადუგზე, ხუთი მეტრით დაშო-რებულ რამაზ კორინთელსაც რომ კარ-გად ესმოდა, მიხვდებოდი, რომ მანე-კენი კი არა, ცოცხალი ადამიანი იყო.

რამაზ კორინთელმა მესამე ბორბალს შეავლო ხელი. უცებ შეინძრა სქელი, ჯმუხი მანეკენი. შეშინებულმა ორთავე ხელი გულზე მიიჭირა, უნდოდა და-გადუგის ხმა ჩაეხშო. არაფერი გამოუ-ვიდა. შეშფოთებულს ეგონა, რომ მი-სი გულისცემის ხმა მართო რამაზ კო-რინთელს კი არა, საიმედოდ ჩაკეტილ კარს იქით მდივან ქალსაც ესმოდა.

რამაზ კორინთელმა დირექტორს მრავალმნიშვნელოვნად გამოხედა და მესამე ციფრიც ისარს გაუსწორა. დარჩა ორი ბორბალი. ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოი-



დო. ვერ გაოფლილი შუბლი მოიწმინდა, მერე პიანისტივით თითები გაიმზარალა, ცხვირსახოცი ჯიბეში ჩაიღო და ხელი მეოთხე ბორბალს შეახო. ნელა, ძალიან ნელა გადაატრიალა და რომელიღაც ციფრი ისარს გაუსწორა.

დარჩა ერთი ბორბალი, ერთადერთი ბორბალი, თუ კორინთელმა მართლა ამოიცილა შიფრი, მეხუთე ბორბლის ერთი შემობრუნება და...

ოთახში თითქოს ჩამობნეღდა, თითქოს ვიღაცის უხილავმა ხელმა კაბინეტის ფანჯრებს შავი, სქელი ფარდები ჩამოაფარა. უზარმაზარ ყავისფერ სეიფს მხოლოდ მათი თვალებიდან გამომდინარე ორი წყვილი სხივიღა ანათებდა. და აი, მცირე შესვენების შემდეგ, კვლევითი ინსტიტუტის დირექტორს რომ საუკუნედ მოეჩვენა, რამაზ კორინთელმა ხელი მეხუთე ბორბლისავე წაიღო. რატომღაც შეყოყმანდა, თვლები სანახევროდ მოხუჭა, შუბლი შეიჭმუხნა, მარცხენა ხელი სეიფზე ზემოდან შემოდო, ხოლო ლოყით ლითონია ცივ კედელს მიეხვინა. ბორბლის შემობრუნებას არ ჩქარობდა.

„დაავიწყდა?“ — შეშინდა კახიშვილი.

„ვაითუ დაავიწყდა, ან ვერ გამოიცნო მეხუთე ციფრი!“

„აბა, რატომ აგვიანებს?“

ჭაბუკმა გრძელი თითები ისე შეავლო რგოლს, თითქოს ეალერსებო. ბორბალი ნელ-ნელა შებრუნდა. შიფრის მეხუთე ციფრიც ისარს გაუსწორდა.

რამაზ კორინთელმა ინსტიტუტის დირექტორს გახედა. მისი აცახცახებული ყბა რომ დაინახა, მის უბადრუკ და პატარა სულში რომ ჩაიხედა, ბოროტად გაელღმა.

— სეიფი ღიაა! — თქვა რატომღაც ჩურჩულით, მაგრამ გამოკვეთილი, სუფთა დიქციით. წელში გაიმართა, მძიმე სახელურს ხელი შეავლო, მარჯვნივ შეატრიალა და სეიფის მძიმე, ყავისფრად შეღებილი კარი გამოაღო.

— ღმერთო ჩემო! — აღმოხდა ინსტიტუტის დირექტორს და თვალი უმაღვე

იმ თაროსკენ გააპარა, სადაც ფერადი საქალაქლები იყო ჩაორგებული. გული, წელან რომ საშინელი დაგადუგი გაჰქონდა, ახლა თითქოს ახლ გაუჩერდა. ნაბიჯი წინ წადგა, უნდოდა სეიფს მიეარდნოდა და ყველა თარო გადმოექოთებინა, სანამ საოცნებო ხელნაწერს არ იპოვიდა, მაგრამ მუხლმა უმტყუნა, ცოტაც და წაიქცეოდა. შეშინებული იავე სკამის სახელურს ჩაებლაუჭა. ისეთი განცდა ჰქონდა, თითქოს სხეულში ძვლები ჩაეშალა, ჩაუნდა და ცარიელი ხორცია მასად იქცა.

რამაზ კორინთელი კმაყოფილებით აკვირდებოდა კახიშვილია ენებათაღელვებს, თვალნათლივ ხედავდა, ამოდენა ინსტიტუტის დირექტორის პატარა, უბადრუკი სული ხაფანგში გაბმული თავივით კედლებს რომ ეხეთქებოდა. ცოტაც და, ალბათ, იატაკზე გაიშლათებოდა.

რამაზ კორინთელი მოულოდნელად შებრუნდა და სეიფის კარი დაკეტა.

ოთარ კახიშვილს ელდა ეცა. უნდოდა რაღაც ეყვირა, მაგრამ ვერ მოახერხა. თითქოს ხმა წაერთვა. ხელები უმწეოდ გაშალა. სცადა, მაგრამ ნაბიჯის გადადგმა ვერ მოახერხა.

რამაზ კორინთელმა მშვენივრად დაინახა, მუხლმოკვეთილი ინსტიტუტის დირექტორი რა ცეცხლშიც იწვოდა. იცოდა, თითოეული ბორბლის გადაბრუნება გულს როგორ უფლეთდა, ალბათ, იმიტომ გადაატრიალა ხუთივე ბორბალი ნელ-ნელა. თითქოს უნდოდა, ოთარ კახიშვილის წამება გაეხანგრძლივებინა. მეხუთე ბორბლის გადატრიალების შემდეგ რამაზ კორინთელი შურისძიებით დამტკბარი კაცის ღიმილით მოშორდა სეიფს.

მთელი ამდენი ხნის მანძილზე სუნთვაშეკრული ინსტიტუტის დირექტორის ფილტვებში ერთბაშად შეიჭრა ჰაერი.

— ეგ რა ქენით, რატომ დაკეტეთ! — იყვირა სასაოწარკვეთილმა მთელი ხმით.

ინსტიტუტის დირექტორი მიხვდა, რამაზ კორინთელი, სანამ თვითონ არ



მოსურვებდა, სეიფს აღარ გააღებდა.

— რატომ დაკეტეთ, რატომ!

ამჯერად ველარ იყვირა ოთარ კახი-
შვილმა. სამად სამი სიტყვა ძლივს ამო-
სრიალა და იქვე ჩაიკეცა.

რამაზ კორინთელი დამცინავი ღმი-
ლით მკვიდა ინსტიტუტის დირექ-
ტორთან, იდუბლებში ხელუბი ღონივრად
ჩაავლო და სავარძლამდე უდიერად მი-
ათრია.

— რატომ დაკეტეთ-მეთქი! — იხევ
მოახერხა დაყვირება ინსტიტუტის დი-
რექტორმა. თითქოა ერთბაშად დაუბ-
რუნდა ძალა, სავარძლიდან წამოიჭრა,
ჭაბუკს ძლიერ მხრებში ხელი სასაცი-
ლოდ ჩაავლო და ნჯღრევა დაუწყო, —
რატომ დაკეტეთ, რატომ, რატომ! ახ-
ლავე გააღეთ, მე გიბრძანებთ, ახლავე
გააღოთ, გესმით, ახლავე!

რამაზ კორინთელმა ხმამალა გაიცი-
ნა, დირექტორის მკლავები ხელის ერ-
თი მოძრაობით მოიშორა, თავისი
გრძელთითებიანი ტორები მხრებში ჩა-
ავლო და პატარა ბავშვივით სკამს მია-
ჯაჭვა.

— დაწყნარდით, დაწყნარდით და მო-
მავალ გეგმებზე დინჯად მოვილაპარა-
კოთ. მართალია, სეიფი საიმედოდ და-
კეტე, მაგრამ შიფრი კი არ დამვიწყე-
ბია! დაწყნარდით და გონება მოიკრი-
ბეთ!

ოთარ კახიშვილი ვერ დაწყნარდა,
ვერ გაერკვა, რა მოხდა. მისი სუ-
ლი ადუღებულ რძესავით მალა მი-
იწვედა და სადაც იყო, გადმოვიდოდა.

— მე მგონი, — დაიწყო ისევ რამაზ
კორინთელმა, — საბოლოოდ დარწმუნ-
დით ჩემს შესაძლებლობებში. ალბათ,
იმასაც მიხვდით, რომ ჩემს იქით გზა
არა გაქვთ. რასაკვირველია, არის ერთი
გამოსავალი, რომ ოსტატი ოფიციალუ-
რად მოიწვიოთ, სეიფი გაახსნევირით
და დავით გიორგაძის ნაშრომი გამოამ-
ხეუროთ. თქვენ, ბუნებრივია, ასეთ ნა-
ბიჯს არ გადადგამთ. არ გადადგამთ თუ-
ნდაც იმტომ, რომ აზრი აღარა აქვს.
დაგვიანებული დიდება გარდაცვილი
აქადემიკოსს ბედნიერებას ველარ მია-

ნიჭებს, თქვენ კი ბევრი რამ ფეხაკლ-
დებათ. თქვენ და მე! ბატონო დარწმუნ-
ტორო, როგორც ხედავთ, ახლა ყველა
კარტი გახსნილია, ამოცანა ნათელია და
არცთუ ძნელად ამოსახსნელი, თუკი
ჩვენ შორის ნამდვილი; გულწრფელი,
მხურვალე და ჭეშმარიტი მეგობრობა
დამყარდება! თუ გულს ვერ დამიძრჩი-
ლებთ და მეგობრობაზე უარს იტყვი-
თ, საქმიან ურთიერთობას რაღა უდგას
წინ. აკადემიკოსის ნაშრომი ჩვენ ხელ-
თაა. უკანასკნელად მინდა გაგახსენოთ
და გაგაფრთხილოთ, დღეიდან, ამ სა-
ათიდან, ამ წუთიდან ყველაფერი თქვე-
ნზეა დამოკიდებული, მხოლოდ თქვენ-
ზე, ასტროფიზიკის ინსტიტუტის დი-
რექტორზე, პროფესორ ოთარ კახიშვი-
ლზე!

— რა არის ჩემზე დამოკიდებული?
ვილაცამ ცეცხლი გამორთო და ადუ-
ღებულ რძესავით სხეულიდან გადმო-
სასვლელად მალა გაქეუელმა სულმა
ნელ-ნელა დაბლა დაიწია, თუხთუხი
შეწყვიტა, დაცხრა, თავისი ადგილი და-
იჭირა.

— ბევრი რამ, ძალიან ბევრი რამ.
ოღონდ, კიდევ ვიმეორებ, პირველ რიგ-
ში საჭიროა გულწრფელობა და შეთან-
ხმებული მოქმედება.

— როგორ, დღესვე არ გამოვიღებთ
ნაშრომს?

— არავითარ შემთხვევაში, ბატონო
ოთარ, არავითარ შემთხვევაში!

ო, როგორი დაცინვით ჟღერდა „ბა-
ტონო ოთარ“, როგორი ზიზღით ჰქონ-
და თვალები სავსე რამაზ კორინთელს.
ოთარ კახიშვილმა ისიც იგრძნო, უკვე
ზემოდან რომ დასცქეროდა ქედმაღალი
ჭაბუკი, უკვე ხაფანგში გაბმულად რომ
თვლიდა ასტროფიზიკის კვლევითი ინ-
სტიტუტის დირექტორს.

— ნება მიბოძეთ ვიკითხო, რატომ?
— ოთარ კახიშვილი მიხვდა, სხვა გზა
არ ჰქონდა, ბედს შეეგუა და გადაწყვი-
ტა თავისი სულსწრაფობა როგორმე
მიეჩქმალა. ფრაზა მთლად მტკიცედ
ვერა, მაგრამ წელანდელთან შედარებით
მშვიდად წარმოთქვა.

— რატომ? განა თქვენ ვერ ხედ-
ბით, რატომ?

— მკითხაობის დრო არ არის, პირ-
დაპირ მოთხარით თქვენი პირობები! —
გამოცოცხლდა ოთარ კახიშვილი!

— ოჰო! — დამცინავად გაეღიმა რა-
მაზ კორინთელს. — აი, ეს მომწონს.
რა ვაქცაის საქმეა სასოწარკვეთა და
დადამბლავება. გამხნევდით, ძალა მო-
იკრიბეთ. გულის გატეხვისათვის სადა
გვცალა! ინებეთ სიგარეტი, ამ დავი-
დარბაში სულ გადაგვავიწყდა თამბა-
ქოს მაცოცხლებელი იიაფერი ბოლი!

ინსტიტუტის დირექტორს აღარ მო-
უძებნია „კოამოაი“, რამაზ კორინთე-
ლის „ვინსტონი“ ისე ხარბად მოჰაჩა,
თითქოს წელიწადს გაეველოს, სიგარე-
ტი არ მოეწიოს.

— მე რომ სეიფი ხელახლა გავხსნა
და აკადემიკოს დავით გიორგაძის ნაშ-
რომი თქვენ ჩაგაბაროთ, რა გარანტია
მაქვს, რომ გამოკვლევას მთლიანად
თქვენ არ მიისაკუთრებთ? განა ლოგი-
კური და გონივრული იქნება ვიქონიო
იმედი, რომ თქვენ, ასტროფიზიკის
ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი
ოთარ კახიშვილი თანაავტორად გამი-
ყვანთ თბილისის სახელმწიფო უნი-
ვერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის და-
უსწრებელი ფაკულტეტის მესამე კურ-
სის სტუდენტს? უფრო მეტიც. თქვენს
კეთილ სურვილებში, პატიოსნებასა და
რანდობაში ეჭვი რომ არც შემეპაროს,
ინსტიტუტში დღევანდელი დღიდან და-
ნიშნული ლაბორანტი, მანამდე რომ
წარმოდგენაც არ გქონდათ რამაზ
კორინთელიც თუ დააბიჯებდა ამ კოდ-
ვულ დედამიწაზე, როგორ გავხდებოდი
თქვენი თანაავტორი. განა ხალხი ბრმაა?
ხომ მიხვდებიან, რომ სადაც ძალის
თავი უნდა იყოს დამარხული. დაახლო-
ებით ისიც ხომ იციან, რა პრობლემას
იყო შეჭიდებული ინსტიტუტის ყოფი-
ლი დირექტორი?!

— მაშ, როგორ მოვიქცეთ? მე მზად
ვარ, მივიღე უნივერსიტეტის რექტორ-
თან, მზად ვარ, მთლიანად შევასრულო
თქვენი მოთხოვნები მეროე პუნქ-

ტი, ნახევარ წელიწადში დაგაბარებთ
სამი კურსი, დაგაცვეინოთ დიპლომი
და იქვე დავაყენოთ საკითხი სადიპლო-
მო ნაშრომისათვის საკანდიდატო ხა-
რისხის მინიჭების თაობაზე. მე მჯერა,
რომ თქვენი სადიპლომო ნაშრომი
დამაახტურებს საკანდიდატო ხარისხს,
არ გავცნობივარ, მაგრამ გეფი-
ციებით სინდისს, გულწრფელად მჯერა.
არ მოვაკლდებათ ჩემი რეცენზია და
სარეკლამო წერილები პრესაში. მაგრამ
თქვენც ხომ მშვენიერად იცით, რომ ამ
დღემდე გაუგონარ ბატალიებს იანვრის
ბოლომდე ვერ მოვრჩებით. მე კი, ბე-
ვრი-ბევრი, მხოლოდ ორი თვე შემიძ-
ლია დავაყოვნო სეიფის გახსნა. ვინ
მოგვცემს მეტი გაჭიანურების უფლე-
ბას?

— ვიცი, მშვენიერად ვიცი, რომ
ორი თვის შემდეგ სეიფს აუცილებლად
გახსნიან!

— მერე, თუ იცით, ხომ დაიღუპება
ყველაფერი? თუმცა, იცით რა, ერთი
აზრი მომივიდა თავში. არ შეიძლება,
სეიფის ოფიციალურად გახსნამდე ორი,
თუნდაც ერთი დღით ადრე, ნაშრომი
გამოვიღოთ, შევინახოთ. შემდეგ, როცა
სეიფს ოფიციალურად გავხსნით, როცა
იქ დარჩენილ მასალებს აღვუხსავთ
და აქტივ გავაფორმებთ, გამოკვლევა
№ 13 სეიფში ჩავეკეთოთ. რას იტყვით
ამ გეგმაზე? — ოთარ კახიშვილს თვა-
ლები სიხარულით უბრწყინავდა. დარწ-
მუნებული იყო, იპოვა ერთადერთი და
უნაკლო გამოსავალი.

— სამწუხაროდ, ვერ გავიზიარებ
თქვენს აღტაცებას! — რამაზ კორინ-
თელმა სიგარეტის ნაწივი. საფერფლე-
ზე დააგდო.

— ვთქვათ, აკადემიკოს დავით გიორ-
გაძის ნაშრომი სეიფიდან გამოვიღეთ
არა ორი ან ერთი დღით, არამედ თუნ-
დაც ერთი საათით ადრე. სად წავიღებთ
საქალაქელებს, სადაც მსოფლიო მნიშ-
ვნელობის გამოკვლევაა მოთავსებული?
სად წავიღებთ უამრავ საექსპერიმენტო
მონაცემებს? ვინ შეინახავს ნაშრომს,
თქვენ თუ მე?



— ვინ? — დაიბნა ინსტიტუტის დირექტორი.

— ჰო, ვინ? მე პირველი წუთებიდანვე მოგახსენებ, რომ ჩვენს ურთიერთობაში მთავარია გულწრფელობა. ამიტომაც გეტუბნებით გულწრფელად, მე თქვენ ვერ გენდობით, ვერ განდობთ შესაძლებლად აწ განსვენებული აკადემიკოსის გამოკვლევას. თქვენ? თქვენ კი მენდობით? თუ მენდობით, დიდი სიამოვნებით. მე წავიღებ ნაშრომს, მე შევინახავ და იმავე წუთში დავაბრუნებ სეიფში, როგორც კი ყოფილი დირექტორის დოკუმენტებისა და ნივთების ოფიციალური აღწერა დამთავრდება. მენდობით?

ოთარ კახიშვილმა უმწეოდ შეხედა კორინთელს. მერე დარცხვენილმა თავი დახარა და თვალი მაგიდას გაუშტერა.

— აი, ხომ ხედავთ, არ მენდობით, არც გამტყუნებთ. მეტსაც გეტყვით, რომ მენდოთ კიდევ, ბოდიშა გიხდით და, ნამდვილად ვერ ჩავთვლიდით სერიოზულ პიროვნებად!

— მაშ, რა ექნათ? კიდევ ვიმეორებ, სეიფის გახსნა შეიძლება გავაქიანუროთ კიდევ ორი თვე... ხუთ ოქტომბერს აკადემიკოსის დაბადების სამოცდათხუთმეტი წლისთავია. ჩათვალეთ, რომ ხუთი ოქტომბერი უკანასკნელი დღეა. ხედავთ რამე გამოსავალს?

- ვხედავ!
- კერძოდ?
- სეიფი უნდა დაილუქოს.
- დალუქვა საქმეს რას უშველის?

დაადგენს გახსნის დღეს. მეცნიერებათა აკადემია, შედგება კომისია, მოსკოვიდან ჩამოიყვანენ ოსტატს და სეიფიც გაიხსნება. ვერ გვიშველის ჩვენი დაღებული ლუქი.

— სეიფს ვერ გახსნიან კიდევ ორ წელიწადს. უფრო ზუსტად, ორ წელიწადსა და ორ თვეს.

— რატომ ვერ გახსნიან?

— არ იფიქროთ, რასაც გეტყვით, ახლა და ამ წუთში მოვისაზრე. მე ყველაფერი წინასწარ მაქვს მოფიქრებულ.

ლი. აწონილ-დაწონილი და გაღწეული ტილი.

რამაზ კორინთელის მშვიდმა და დარწმუნებულმა გამოხედვამ ინსტიტუტის დირექტორს იმედი ჩაუსახა.

— ბრძანეთ.

— სეიფი გაიხსნება მხოლოდ ორი წლისა და ორი თვის შემდეგ, აკადემიკოსის დაბადების სამოცდამეჩვიდმეტე წლისთავზე, ზუსტად ხუთი ოქტომბრის თორმეტ საათზე და ნოლ-ნოლ წუთზე!

სამწუხაროდ, რამაზ კორინთელის პათეტიკურმა ფრაზამ იმედი გაუცრუა ოთარ კახიშვილს.

— რატომ ვერ გახსნიან?

— იმიტომ რომ, მოხუცმა აკადემიკოსმა ანდერძი დატოვა. ანდერძში კი ერთ-ერთ პუნქტად წერია, სეიფი გახსენით ჩემი სიკვდილიდან. ორი წლის თავზე, ჩემი დაბადების დღეს, ზუსტად თორმეტ საათზეო.

— ანდერძი? მერედა, სად არის ანდერძი?

— მე ვიცი, სადაც არის.

— ნამდვილად იცით?

— ტყუილს რა აზრი აქვს? — გაციონა რამაზ კორინთელმა.

— ხილვა გქონდათ? — ისევ შიშმა შეიპყრო ინსტიტუტის დირექტორი.

— დიახ!

— მჯერა, ყველაფერი მჯერა, მაგრამ...

— კიდევ მაგრამ? ვერ იქნა და ველარ მოვიპოვე თქვენი ნდობა?

— არა, ჩემო ბატონო! როგორ გეკადრებათ, მაპატიეთ! უბრალოდ, დაბნეული ვარ, იმდენად მოულოდნელი იყო ჩემთვის დღევანდელი დღია განცდები. მაგრამ...

— მაინც მაგრამ? — წამოენთო რამაზ კორინთელი.

ინსტიტუტის დირექტორი დაიბნა. რამაზ კორინთელი მას როგორც ქვეშევრდომს, იაე ელაპარაკებოდა, მიხვდა, ენერგია და ნებისყოფა აღარ ჰყოფნიდა, უნარი აღარ შესწევდა თავისი უფროსობა ეგრძობინებინა, მიხვდა, პირ-

ველობია ადავეები უკვე კორინთელა ეპურა ხელთ.

— არა, თქვენ ვერ გამოივით. მე, უბრალოდ, მინდოდა მეკითხა, სად არის-მეთქი ანდერძი.

— მოგახსენებთ. ოლონდ ვერ ერთ ამბავზე უნდა შეეთანხმდეთ. ანდერძის წამოსაღებად უნდა წახვიდეთ თქვენ, არჩილ თევდორაძე და პარტიული კომიტეტის მდივანი.

— მერე? რა ვთქვა, რატომ მივიღვართ-მეთქი ასე კოლექტიურად და თანაც, თითქმის ოფიციალურად?

— ნუ ღელავთ. მოთმინება მოიკრიბეთ და ყურადღებით დამიდგეთ ყური. თქვენ ხვალვე დაიწყეთ წუხილი, რომ დაგვიკვირდათ აკადემიკოსის ქვრივის ნახვა. ითამაშეთ კეთილი და ყურადღებანი, წინამორბედის მადლიერი და დამფასებელი კაცის როლი. კარგი იქნება, თუ ადგილკომის თავმჯდომარეააც თან წაიყვანთ. მიზეზიც გაქვთ. თქვენი რამდენიმე დღის წინანდელი თათბირის შედეგები, აკადემიკოსის უკვდავსაყოფ ღონისძიებებს რომ მიუძღვენით, ხომ უნდა გააცნოთ განსვენებულის ქვრივს?

— დიახ! — პირდაღებული შესჩერებოდა ჭაბუკს ოთარ კახიშვილი.

— გობია. კაბინეტში ისაუბროთ. მოიკითხეთ ქალბატონი ანა ან, როგორც თქვენ უწოდებთ, ქალბატონი ანა! დამშვიდეთ, თათბირის ამბებიც წვრილად აღუხანით, საუბრისას ბუნებრივ მოძრაობით თაროდან ასტრონომიული ენციკლოპედიის მეორე ტომი გადმოიღეთ.

— მერე! — ისტერიულად შესძახა ინსტიტუტის დირექტორმა, იმდენად აუტანელი ეჩვენა კორინთელის მცირეოდენი პაუზა.

— მერე არაფერი. ასტრონომიული ენციკლოპედიის მეორე ტომში იპოვით დალუქულ კონვერტს.

— ვთქვათ, ვიპოვე, შემდეგ!

— არავითარი „ვთქვათ!“ — ისევ წამოჩნთო თვალები რამაზ კორინთელს, — იმავე წუთში გაითამაშებთ სიხარულით აღტაცებული კაცის როლს,

წერილს ვერ ქალბატონ ანას დასაცემ სცემთ. შემდეგ, როცა საცოდავი ქვრივი ტირილით გულს მოიჯერებს, დინჯად ეტყვი: „ქალბატონო ანა, იქნებ გირჩევნიათ ანდერძი მარტოდმარტომ წაიკითხოთ? თუ თქვენი სურვილი იქნება, ახლავე მარტო დაგტოვებთ“.

— ერთიც ვნახოთ და გამოთქვა ანდერძის მარტო წაიკითხვის სურვილი,

— ნუ ღელავთ. მარტო წაიკითხვის სურვილს არ გამოთქვამს ერთი უბრალო მიზეზის გამო. კონვერტს აწერია, „თბილისის ასტროფიზიკის ინსტიტუტის დირექციას“. და თუ მაინც გამოთქვამს წერილის ცალკე წაიკითხვის სურვილს, კიდევ უკეთესი, წერილი ისეა დაწერილი, რომ წაიკითხვის შემდეგ აუცილებლად დაგიძახებთ და პირადად თქვენ გადმოგცემთ. თუ მეორედ მოგიწიოთ წასვლამ, რაც არ მჯერა, არავითარ შემთხვევაში მარტო არ წახვიდეთ. იგივე ხალხი წაიყვანეთ, ვინც მე გითხარით.

— დარწმუნებული ვარ, ისიც გეცოდინებათ, ანდერძში თუ წერილში რა წერია.

— ანდერძში შავით თეთრზე, მსხვილი ასოებით, როგორც აკადემიკოს დავით გიორგაძეს აჩვენოდა, წერია: „ჩემი სიკვდილის შემთხვევაში, გარკვეული მეცნიერული მოსაზრებების გამო, სეიფი გაიხსნას ორი წლის შემდეგ, ჩემი დაბადების სამოცდამეჩვიდმეტე წლისთავზე, ხუთ ოქტომბერს, დღის 12 საათზე“. ანდერძში კიდევ რამდენიმე პუნქტია, მაგრამ ჩვენთვის ესაა მთავარი. გასაგებია?

— გასაგებია, მაგრამ არ მესმის, ჩვენ რა სარგებელი გვექნება ამ ანდერძიდან. ორი წელი მთელი საუკუნეა დღევანდელ მეცნიერებაში. რა ფასი ექნება დავით გიორგაძის გამოკვლევებს ორი წლის შემდეგ?

— სულსწრაფიც ბრძანებულხართ, ბატონო დირექტორო. გთხოვთ, ნებისყოფა მოიკრიბოთ და სამომავლო გეგმებს დინჯად გადავხედოთ, რომელთა შესასრულებლად ამ წუთიდანვე უნდა



ვიბრძოლოთ. ბორჯომს ხომ არ ინებებთ?

— არა. უფრო სწორად, ჰო!

რამაზ კორინთელი დინჯად წამოდგა, მაცვიართან მივიდა, ბორჯომი გამოიღო, ჭიქაში ჩაასხა და ინსტიტუტის დირექტორს გაუწოდა.

— თქვენ არ დალევთ?

— მე ბოთლიდან გვახლებით.

ოთარ კახიშვილმა ჭიქა ხარბად გამოსცალა.

— დამთავრეთ სათქმელი, გვედრებით. მეტის მოთმენა აღარ შემიძლია.

— მერე, საყვარელო, დავით გიორგაძის ანდერძს ინსტიტუტში წამოიღებთ, გაფართოებულ თათბირს მოიწვევთ და წაიკითხავთ.

— მერე? — კახიშვილმა იოლად გადაყლაპა დაცინვით ნათქვამი „საყვარელო“, მიხვდა, წინააღმდეგობას ახრი აღარ ჰქონდა. ჭაობში კარგა ხანია ჩადგა ფეხი და რაც დრო გადიოდა, უფრო და უფრო ეფლობოდა.

— მერე მოითხოვთ, რომ აუცილებლად შესრულდეს აკადემიკოს დავით გიორგაძის ანდერძი. თქვენვე მოითხოვთ, რომ სეიფი საიმედოდ დაილუქოს.

— მაინც ვერ გავიგე, რა სარგებლობას მოგვიტანს სეიფის დალუქვა. ხომ არ ჯობია, ანდერძი საერთოდ გავანადგუროთ?

— მაპატიეთ, მაგრამ მე თქვენ უფრო მოქნილი ჭკუის მეგონეთ. კარგად დამიგდეთ ყური. ლაპარაკს ნუ შემაწყვეტინებთ. მოთმინება რომ გყოფნდეთ, აქამდე მიხვდებოდით, რისი თქმაც მინდა. დიახ, სეიფი ორი წლის მანძილზე იქნება დალუქული და ხელშეუხებელი, ოღონდ არა ჩვენთვის.

— ეგ როგორ?

— ჩვეულებრივად, საყვარელო, ძალიან ჩვეულებრივად. მე მგონი, გარკვევით ვთხოვეთ, ლაპარაკს ნუ შემაწყვეტინებთ-მეთქი. სეიფის ლუქს ისე შეეგუებიან თქვენს კაბინეტში შემო-

მსვლელნი, რომ დროთა განმავლობაში ლუქის კი არა, თვით სეიფის არსებობა დაავიწყდებათ. იანერის ბოლოს მე და თქვენ გავხსნით სეიფს. ამოვიღებთ ყველაფერს, რაც გვჭირდება, ხოლო უკლებლად ჩავტოვებთ ყველაფერს, რაც არ გვჭირდება. ლუქის ხელმეორედ დადების საკითხი ჩემთვის ისევე იოლად გადასაჭრელი პრობლემაა, როგორც მალაზიაში კონიაკის ყიდვა. ორი წლის შემდეგ, როცა სეიფი გაიხსნება, იქ აღარაფერი არ იქნება მერეხარისხოვანი გამოკვლევებისა და უშედეგო საქსპერიმენტო მასალებს გარდა, ჩვენ იმ დროს უკვე სახელოვანი ხალხი ვიქნებით. ხოლო ორი წლის მანძილზე ბევრი ვნებათაღელვა, დღეს რომ ბობოქრობს, სამუდამოდ იქნება დაშოშმინებული და მივიწყებული. გასაგებია?

— გასაგებია, — ამოიბუტბუტა ინსტიტუტის დირექტორმა.

— ძალიან კარგი. — ფეხზე წამოდგა რამაზ კორინთელი...

— თითქმის გასაგებია! — დააზუსტა ოთარ კახიშვილმა.

— ღმერთო ჩემო! — აღშფოთდა რამაზ კორინთელი. — ამალამ კარგად იფიქრეთ, საქმის ვითარება დინჯად გაიანალიზეთ და ხვალ დილისათვის ყველაფერი დღესავით იქნება ნათელი. ახლა კი წავალ, ხელს აღარ შეგიშლით დიდ მეცნიერულ და ადმინისტრაციულ მუშაობაში.

რამაზ კორინთელი ფეხზე წამოდგა და ინსტიტუტის დირექტორის თანხმობას დაელოდა.

მცირეოდენი დუმილის შემდეგ ოთარ კახიშვილმა თავი ასწია, კორინთელს თვალი გაუსწორა და უთხრა:

— ხვალ დილით უნივერსიტეტიდან ცნობა და განცხადება მოიტანეთ. რამაზ კორინთელმა პიჯაკის შიდა ჯიბეში ხელი ჩაიყო.

— ახლავე მოგარზომევეთ ცნობასაც და განცხადებასაც.

გაოცების და მოწონების ნიშნად

ინსტიტუტის დირექტორმა თავი ჩაიქნია.

უცებ თვალთ დაუბნელდა, კაბინეტი გადატრიალდა და თავის მძიმე მაგიდინად ჭერზე მოექცა.

— რა გემართებათ? — მივარდა რამაზ კორინთელი.

— არაფერია. თქვენ წადით. მარინეს უთხარით, სასწრაფოდ ჩემთან შემოვიდეს. ხვალ დილიდან შეგიძლიათ შეუდგეთ ლაბორანტის მოვალეობის შესრულებას.

— ფერი სულ დაგეკარგათ!

— არაფერია. მარინეს დაუძახეთ. თქვენ კი რაც მალე დატოვებთ ინსტიტუტის შენობას, უკეთესია, ალბათ, სასწრაფოს გამოძახება მოუწევთ. არ მინდა, ჩემი ცუდად გახდომა თქვენთან საუბარს დაუკავშირონ. გასაგებია?

— გასაგებია! — თქვა რამაზ კორინთელმა და თითქმის სირბილით გადაქრა კაბინეტი.



ტელეფონმა უთენია დარეკა.

რამაზ კორინთელმა თვალი გაახილა და უმაღვე ფანჯრისკენ გაიხედა.

მზე ჭერ არ ამოსულიყო.

„ვინ რეკავს ასე უთენია?“

იატაკზე დადგმული ტელეფონისაკენ ხელი წაიღო და ყურმილი მძიმედ მიიტანა ყურთან.

— გისმენთ.

— გაგაღვიძე?

რამაზ კორინთელმა იცნო ინგას ხმა და ერთბაშად გამოფხიზლდა.

— გისმენ, ინგა!

— სასწრაფოდ უნდა გნახო.

— რა იყო, მოხდა რამე? — შეშინდა კორინთელი.

— ისეთი არაფერი. უბრალოდ, რაღაც მინდა გიამბო. ახლავე წამოვალ და სახლსაც დაგილაგებ. ამდენი ხანია აღარც შენ მირეკავ, ვეღარც მე მოვედი.

— აქ მოსვლა არ გინდა. ნუ ლელავ. ყველაფერი მოწესრიგებული მაქვს.

დილით საქმეზე უნდა გავიქცეოდა, თორემ მეტზე შეეხვდეთ სპორტის სასახლესთან ან ზოოპარკის წინ.

— თორმეტზე? — დაფიქრდა ინგა.

— არ შეგიძლია?

— როგორ არა. ზუსტად თორმეტზე ზოოპარკის წინ დაგხვდები.

ნახევარი საათით ადრე მივიდა. მანქანა ტელევიზიის წინ გააჩერა და ზოოპარკთან ფეხით ჩავიდა. რაც უფრო ახლოვდებოდა პაემანის დრო, მღელვარება უფრო და უფრო იპყრობდა. არ იცოდა, ინგა რომელი მხრიდან მოვიდოდა. ამიტომ ისეთი ადგილი შეარჩია, ქუჩის ორთავე მხარე რომ მხედველობის არეში მოექცია.

შორიდანვე მოჰკრა ტელევიზიის მხრიდან მომავალ ინგას თვალი. ქალიშვილი აქეთ-იქით გაფაციცებული იყურებოდა და ძმას დაეძებდა. ბოლოს, როცა მათი თვალები ერთმანეთს შეხვდნენ, სიხარულისაგან ლამის შეპკივლა, ძმასთან მიიბრინა და კისერზე ჩამოეკიდა.

რამაზ კორინთელს ისევ დაუარა ელექტრონის ნაკადმა დის მკერდზე შეხებისას. თვალთ დაუბნელდა და ერთბაშად გულზე საშინელი სევდა შემოაწვა.

— რა იყო, უსიამოვნება ხომ არ შეგემთხვა! — ჰკითხა შეშინებულმა ინგამ და ძმას თვალებში შეხედა.

— არავითარი! — გალიმება სცადა რამაზ კორინთელმა, — წამო, მანქანაში ჩავსდეთ. სადმე გავისეირნოთ. თუ გინდა, ფუნიკულორზე ავიდეთ.

— ამდენი დრო რომ არ მაქვს?! — სინანულით თქვა ინგამ.

რა ლამაზი იყო ამ სიტყვების წარმოთქმისას, რა გულუბრყვილო, ნაზი და სუფთა. რამაზ კორინთელს საშინელმა სურვილმა მოუარა, ქალიშვილი პატარა ბავშვივით ხელში აეტაცა და გულში ჩაეკრა. ჭაბუკისთვის აღარ არსებობდა აღარც ქუჩა, აღარც ავტომანქანები, აღარც ხალხი... ისევ დაინახა ლურჯი ცის ფონზე მზის შარავანდედი



ვახვეული ინგა, ისევ ჩაესმა მისი გრძელი თეთრი კაბის შრიალი...

— სამწუხაროდ, არ მცალია. სამსახურში უნდა მივბრუნდე. — გამოაფხიზლა უცებ ინგას ხმამ.

- სამსახურში?
- ჰო, სამსახურში.
- წამოდი, წაგიყვან.

მანქანამ გმირთა მოედანი გადაჭრა და სანაპიროზე გავიდა.

სიონს რომ გაუსწორდნენ, რამაზ კორინთელმა მანქანა დაამუხრუჭა. ინგა სიონის გვერდით მუშაობდა, ეთნოგრაფიულ მუზეუმში.

— მოვედით! — გაულიმა ინგამ, ძმას აკოცა და მანქანის კარი გააღო.

— მოიცა, ნუ ჩქარობ, პატარა საჩუქარი მინდა ვაღმოგვცე, — კორინთელმა ჯიბიდან პატარა კოლოფი ამოიღო და დას გაუწოდა.

ინგამ კოლოფი სიხარულით ჩამოართვა. გახსნა და ბრილიანტისთვლიანი ბეჭედი ამოიღო.

— ნამდვილია? — თვლები გაუფართოვდა ქალიშვილს.

— აბა, თქვენს ბრწყინვალეებს უბრალო ბეჭედს ვაკადრებდი? — გაიღიმა რამაზ კორინთელმა. ინგამ ბეჭედი ისევ ხავერდის ბუდეში ჩადო, კოლოფი დახურა და შეშინებულმა ძმას შეხედა.

კორინთელმა მკერდში საშინელი ტკივილი იგრძნო, როცა დაინახა, ინგას როგორ ჩამოუგორდა ლოყებზე ცრემლები.

- რა დაგეშართა, ინგა?
- საიდან იყიდე ასეთი ძვირფასი ბეჭედი?
- ინგა!
- გაჩერდი, რამაზ, მეშინია, ძალიან მეშინია!

— რისი გეშინია? — ღიმილით სცადა დის დამშვიდება კორინთელმა.

— ან ეს მანქანა საიდან იყიდე? ვინ მოგცა შენ ამდენი ფული?

— მანქანა ჩემი არ არის, —

თელმა ჯიბიდან საბუთები ამოიღო და ერთი ფურცელი დას გაუწოდა. — აი, მინდობილობა. ნაცნობი კაცია და რამდენიმე თვით მათხოვა მანქანა. თვითონ მივლინებაში წავიდა საზღვარგარეთ.

— ნუ მატყუებ, რამაზ, მე ხომ ვიცი, როგორ კეთდება ეგ მინდობილობები.

— არ გატყუებ, ინგა, მინდა, რომ დამიჯერო! ჰო, მართლა, რა იყო, რატომ მირეკავდი ასეთი შეშფოთებული ხმით?

— ღმერთო ჩემო, სულ მაგიწყებოდა, — შეწუხდა ინგა, — გუშინ ამხანაგთან ვიყავი. დაბადების დღე ჰქონდა. სტუმრებში ერთი კაცი ერია. ოცდაათი წლის მაინც იქნებოდა. შევატყუე, რომ ჩემს გვერდით დავდომა უნდოდა. არ მესიამოვნა. შევეცადე, მის ახლოსაც კი არ დავმჯდარიყავი. არ ვიცი, როგორ მოახერხა, როცა მოვიხედე, ჩემ გვერდით იჯდა. რამაზი როგორ არისო, მკითხა.

— სახელი და გვარი გახსოვს? — შეაწყვეტინა რამაზ კორინთელმა.

— როგორ არა, საგანგებოდ ვკითხე ჩემს მეგობარს, სწორედ მაგან შემაშინა, მილიციის გამომძიებელი ყოფილა, ლერი დოლიძე.

მილიციის ხსენებაზე კორინთელს ელდა ეცა, მაგრამ არ შეიმჩნია.

— ლერი დოლიძე! — თქვა ხმაოდლა, — არ ვიცნობ, არც გამიგონია.

— მე კი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ იცნობდი.

— შეიძლება ვიცნობ კიდევ. არ მაგონდება. შენ ხომ მაინც იცი, რამდენი რამ დამავიწყდა, მაინც რა მინდაო?

— რა შესანიშნავად იცის შენმა ძმამ უცხო ენებო.

— მერე შენ რა უთხარი?

გურამ ფაფჩიკიძე
სპირალი



რატომ დასცინით-მეთქი. როგორ გეკადრებათო, განა თქვენ არ იცით, რომ რამაში მშვენივრად ლაპარაკობს ფრანგულად, გერმანულად და ინგლისურადო?! მე გავბრაზდი და ჰმა აღარ გავეცი.

— მერე?
— არ მომასვენა, იქნებ ისიც არ იცით, პიანინოზე რომ შესანიშნავად უკრავსო. მაშინ კი გავმწარდი და მკვებელ ვუთხარი, ჩემი ძმა თქვენი დასაქინი არ არის-მეთქი. სხვათა შორისო, თქვა მან, ავადმყოფობამდე არავინ არ ვიცოდით, რამაში თუ აეთი განათლებული იყოო. აღმოჩნდა, რომ არც თქვენ გცოდნიათო. მერე ზავი გაიქნია და თქვა, საინტერესოაო!

— რა უპასუხე?
— მეტი აღარაფერი. კიდევ ერთ საათს ვიჭეჭი სუფრასთან. მისკენ არც გამიხედავს. შინ რომ მოვდიოდი, მაშინ ვკითხე ჩემს მეგობარს, ვინ არის-მეთქი ლერი დოლიძე, ჩემი ძმის ნაცნობია, მილიციაში მუშაობსო, მითხრა მან. შემეშინდა. მოვედი თუ არა, დაგირეკე. პირველ საათზე კიდევ არ მიპასუხე. მთელი ღამე ფიქრში გავათენე.

— რა გაფიქრებდა?
— ბევრი რამე! რატომ დაგცინოდა?
— რატომ გგონია, რომ დამცინოდა? იქნებ მართლა ვიცი უცხო ენები და იქნებ მართლა შესანიშნავად უუკრავ პიანინოზე?

— შენც დამცინი? — გაუფართოვდა თვალები ინგას.

ისევ დაეხევა თავბრუ კორინთელს, ისევ შეიპყრო საშინელმა სურვილმა, გულში ჩაეკრა გაოცებული ქალიშვილი.

ო, რა სიამოვნებით ამოუკოცნიდა გაოცებულ თვალებს, ამობურცულ ტუჩებს, ნატიფ ხელის თითებს...

— ცოტ-ცოტა ვიცი კიდევ უცხო ენები. შენ წარმოიდგინე, პიანინოზეც ვუკრავ!

— სერიოზულად მეუბნები? — კი-

დევ უფრო გაოცებულმა ჰკითხა.

— სერიოზულად!

ქალიშვილი კარგა ხანს მისჩერებოდა ძმას თვალებში.

— რა იყო, არა გჯერა? — გაიღიმა რამაზ კორინთელმა.

— როდის ისწავლე ან უცხო ენები, ან დაკვრა?

— რაც ცალკე გადავედი, ჩემად ვსწავლობდი. შენ ხომ მაინც იცი ჩემი ხასიათი, არ მიყვარს ტრახბი და მეტიჩრული თავის გამოჩენა.

— მართალს ამბობ?

— სრულ სიმართლეს გეუბნები.

— აბა, დამიფიციე!

„აბა, დამიფიციე!“ — როგორ გაუთბო მთელი სხეული ამ ორმა სიტყვამ!

— შენს თავს ვფიცავარ!

— მეშინია, რამაზ!

— რისა გეშინია?

— არ გეწყინოა და, შენი მეშინია.

— ჩემი?!

— ჰო, შენი.

— რატომ?

— თვითონ არ ვიცი. უფრო სწორად, ვიცი, იმ უბედურ შემთხვევამდე სულ სხვანაირი იყავი.

— მაინც რანაირი?

— უხეში, ნერვიული. არასდროს არ გამოგიტყვამს სურვილი, რამე წაგეკითხა ან გესწავლა. აიყვარულს ვინ დაეძებდა, სულ მეგონა, რომ გეზიზღებოდი, მე კი შენს მეტი არავინ გამაჩნია ამ ქვეყანაზე. ახლა კი... ახლა შენს ყოველ შემთხედვაზე ვგრძნობ შენს სიყვარულს. ვერ გამიგია, რა მოხდა.

— არაფერიც არ მომხდარა, ჩემს ტვინში კბილანები კარგად არ მუშაობდა, ამწე ხიდის კაუჭი რომ მომხვდა, ყველაფერი რიტმულად ამუშავდა. ეს არის და ეს! — კორინთელმა სცადა სათქმელი ხუმრობით მიეფუჩეჩებინა.

— მე მაინც მეშინია, რამაზ. ძალიან გთხოვ, მანქანა პატრონს დაუბრუნო.

— მანქანის პატრონი ალყირში წავიდა სამუშაოდ. ჩამოვა და დაეუბრუნებ.



— ბეჰედიც დააბრუნე მალაზიაში.
 — ბეჰედი რატომ? — განაწყენდა კორინთელი.

— იმიტომ.
 — ინგა!

— თუ გიყვარვარ, თხოვნას შემისრულებ! — ინგამ მანქანის კარი გამოაღო.

— როგორი ბიჭი იყო? — ჰკითხა უცებ კორინთელმა.

— ვინ?
 — აი ის, ლერი დოლიძე.

— მაღალი, ავადმყოფურად გამხდარი. — დაფიქრდა ინგა, — ჰო, საფეთქლები ასაკთან შედარებით უჩვეულოდ აქვს გაჭალარავეებული.

„მაღალი, ავადმყოფურად გამხდარი...“

— იცნობ? — ჰკითხა ინგამ.

უარის ნიშნად კორინთელმა თავი გაიქნია.

— წავედი. სალამოს ისევ დავირეკავ.

ინგა მანქანიდან გადავიდა და სიონისაკენ გაემართა.

რამაზ კორინთელმა დას თვალი გააყოლა. სიონის მოყვითალო ფონზე უფრო მოხდენილი გამოჩნდა ქალიშვილის ფიგურა. ტაძართან რომ მივიდა, უკან შემობრუნდა. მანქანაში ძმას ვერ ხედავდა, მაგრამ ღიმილით ხელი მაინც დაუქნია.

რამაზ კორინთელს უზარმაზარმა სურვილმა მოუარა, მანქანიდან გადმომხტარიყო, ინგასთან ერთად ეკლესიაში შესულიყო, სანთლები დაეთო.

ელოცა, მერე ქალიშვილი კვლავ მანქანაში ჩაესვა და წასულიყო შორს, ძალიან შორს.

ცოტაც და ინგა თვალს მიეფარა.

რამაზ კორინთელს ვიღაცამ გულზე ისევ ჩამოჰკიდა უზარმაზარი რკინის გირა. იდაყუებით მანქანის საჭეს დაეყრდნო და თავი ჩაჰკიდა.

„მილიციის გამომძიებელი ლერი დოლიძე!“ — გაახანდა უცებ.

„მაღალი, ავადმყოფურად გამხდარი...“

„საფეთქლები ასაკთან შედარებით უჩვეულოდ აქვს გაჭალარავეებული...“

„სად მინახავს ასეთი კაცი?“

„არადა, მინახავს, ნამდვილად მინახავს.“

რამაზ კორინთელმა ერთხელ კიდევ გახედა ეკლესიას.

— მოწყალებას ხომ არ ვაიღებ, შეილო?

ჩაესმა უცებ ყურში.

მიიხედა, შავებში გაბვეულ ქალს ხელში პატარა ბავშვი ეჭირა. მექანიკურად ხელი ჯიბისკენ წაიღო, ქალს ფული ანგარიშმიუცემლად გაუწოდა და მანქანა ადგილიდან დაძრა.

„მაღალი, ავადმყოფურად გამხდარი კაცი...“

„საფეთქლები ასაკთან შედარებით უჩვეულოდ აქვს გაჭალარავეებული...“

„სად მინახავს ასეთი კაცი?“

„არადა, მინახავს, ნამდვილად მინახავს!“

თავი მეთოთხმეტე

ასტროფიზიკის ინსტიტუტის დირექტორის კაბინეტი ნელ-ნელა შეივსო ხალხით. ოთარ კახიშვილი მოთმინებით იჯდა. ხმას არ იღებდა. შემოაულებს სკამამდე თვალით მიაცილებდა, თან სიგარეტს ეწეოდა.

— ყველანი აქა ვართ? — იკითხა ბოლოს დინჯად და შემოსულებს თვა-

ლი მოავლო. ისე, სხვათა შორის იკითხა, თორემ კარგად იცოდა, ვისაც დაუძახა, ყველანი სკამებზე ისხდნენ.

თანამშრომლებმა მაინც მიიხედ-მოიხედეს, თითქოს ერთხელ კიდევ შეამოწმეს, გვაკლია თუ არა ვინმეო.

ბეგრმა ხმამაღლაც დაიძახა, ყველანი აქა ვართო.

ოთარ კახიშვილმა ჩაახველა და ფეხზე წამოტვა. ლაპარაკის დაწყებას არ ჩქარობდა, ჯიუტად მისჩერებოდა ერთ-ერთი განყოფილების გამგეს, რომელიც ვერ იქნა და ვერ მოერგო სკამს.

— მოგესხენებათ, თვეზე მეტი გავიდა ბატონ დავით გიორგაძის გარდაცვალებიდან, — დაიწყო ხმადაბლა და ღინჯად, როცა კაბინეტში აბსოლუტური სიჩუმე ჩამოვარდა, — კაცმა რომ თქვაა, ზემდგომი ორგანოების და მეცნიერებათა აკადემიის დახმარებით მისი ხსოვნისათვის თითქმის ყველაფერი გაქაყეთეთ. დარჩა მხოლოდ რამდენიმე საკითხი, რომლის გადაჭრაც დროსთან იყო და არის კიდევ დაკავშირებული. მოგესხენებათ, განსვენებული აკადემიკოსი ძალზე რთული პრობლემის გამოკვლევას ცდილობდა. იგი ვარაუდობდა, რომ რადიოაქტიური გამოსხივების დღემდე ცნობილი ოთხი სახეობის გარდა არსებობდა მეხუთე ტიპის გამოსხივებაც. ჩვენ არ ვიცით, რა ეტაპზე დარჩა აკადემიკოსის სამუშაო. არც ადრე და არც ავადმყოფობის დროს არავისთან სიტყვა არ დასცდენია თავისი კვლევის შედეგებზე. ხუთი წელი იბრძოდა იგი თეორიულად გაანჩრებული პრობლემის გადასაჭრელად. მიიყვანა საქმე ბოლომდე? ექსპერიმენტით დასაბუთდა მეცნიერის თეორიული მოსაზრებანი? იქნებ მცდარი გამოდგა ბატონ დავითის ჰიპოთეზა და ვარაუდი? არ ვიცით. ვერც მეცნიერის სახლში, ვერც ლაბორატორიასა და კაბინეტში ერთ ფურცელსაც კი ვერ მივაკვლიეთ, რაიმე დასკვნა რომ გამოგვეტანა. სრულიად ბუნებრივია დაიბადოს ასეთი აზრიც. აკადემიკოსმა დაასრულა თავისი გამოკვლევა და ახლა იგი, აკადემიაში მოხსენებისა და პუბლიკაციისათვის გამზადებული, აქ უზარმაზარ გერმანულ სეიფში ინახება, რომლის გახსნა, ძალიანაც რომ გვინდოდეს, არ შეგვიძლია. აკადემიკოსმა საფლავში ჩაიტანა შიფრი, ხუთციფრიანი კომბინაცია. ამასწინათ დი-

რექციამ ითათბირა დავით გიორგაძის უკვდავყოფის ღონისძიებებზე და შევთანხმდით, რომ მოსკოვიდან გამოგვიძახა ასეთი უძველესი და უნიკალური სეიფის გამხსნელი ოსტატი. გადაწყვეტილი გვეონდა, შეგვედგინა კომისია, გაგვეხსნა სეიფი, აღგვერიცხა ყველა დოკუმენტი, სრულიად უბრალო და უმნიშვნელო ჩანაწერები და ნივთებიც კი... ბუნებრივია, თუ სეიფში აღმოჩნდებოდა დავით გიორგაძის უკანასკნელი გამოკვლევა, უმაღლესი განვიხილავდით დიდ საბჭოზე აკადემიის წარმომადგენლებისა და თვით პრეზიდენტის თანდასწრებით. მაგრამ მოხდა სრულიად გაუთვალისწინებელი რამ...

ოთარ კახიშვილმა ბოლო ფრაზა საკმაოდ მძალადი ტონალობით წარმოთქვა და კაბინეტში მსხდომთ თვალი მოავლო. აინტერესებდა, რა რეაქცია გამოიწვევა საქმის მოულოდნელად შებრუნებამ.

განსაკუთრებული გამოცოცხლება ვერ დაინახა. ინსტიტუტში უკვე ყველამ იცოდა ანდერძის აღმოჩენის ამბავიც და მისი დაწვრილებითი შინაარსიც. მიუხედავად დირექტორის თხოვნისა და თითქმის ბრძანებისა, ვიღაცამ საიდუმლო მანც ვასცა.

— გუშინ მე, ჩემი მოადგილე, პარტიული და პროფკავშირული ხელმძღვანელები ვესტუმრეთ განსვენებულის ოჯახს. ჩვეულებრივ მოვიკითხეთ აკადემიკოსის ქვრივი. ბუნებრივია, მამავალშიც დიდი ყურადღება უნდა გამოვიჩინოთ ქალბატონ ანას მიმართ („ანაზე“ ოდნავ გაეღიმა ნოდარ ოდიშარიას). ეს ჩვენი მეცნიერული და ადამიანური ვალია. და აი, როცა დავით გიორგაძის კაბინეტში ვიჭექით, შუა საუბრის დროს ქალბატონ ანას ცრემლები წასკდა. უხერხული განწყობილების განსატვირთავად თაროდან ასტრონომიული ენციკლოპედიის მეორე ტომი გადმოვიღე. მოხდა საოცრება! ტომში აღმოჩნდა კონვერტი, რომელზეც ეწერა: „თბილისის ასტროფი-



ზიკის ინსტიტუტის დირექციას“. აი, ეს კონვერტიც.

ოთარ კახიშვილმა კონვერტიანი მარჯვენა ხელი მალლა ასწია.

ყველამ კონვერტს მიაპყრო დანტერესებული მზერა.

ოთარ კახიშვილი გაამხნევა მათმა გამოცოცხლებამ.

— ქალბატონი ანნა ძალზე ააღელვა კონვერტის დანახვამ. ბუნებრივია, სურვილი განაცხადა, კონვერტი იქვე გაგვეხსნა. ასე შემთხვევით აღმოჩნდა ჩვენს ხელში დავით გიორგაძის ანდერძი. აქ ჩვენი ინსტიტუტის აქტივი იმიტომ მოვიყარეთ თავი, რომ წაგიკითხოთ აკადემიკოსის ანდერძი, შემდეგ კი ტექსტს გავაცნობთ აკადემიის პრეზიდიუმს.

ოთარ კახიშვილმა კონვერტიდან წერილი ფრთხილად ამოიღო და კითხვას შეუდგა. კითხულობდა დინჯად, მკაფიოდ. ყოველი მნიშვნელოვანი ფრაზის შემდეგ პაუზას აკეთებდა, რომ მსმენელებს უკეთ აღექვათ აკადემიკოსის სურვილები. ბოლოს იმ აბზაცს მიუახლოვდა, სადაც განსვენებულის მთავარი და ინსტიტუტის თანამშრომლებისათვის ყველაზე საინტერესო სურვილი იყო გამოთქმული. ოთარ კახიშვილის ხმამ სიმტკიცე დაკარგა, ნერვიული თრთოლვა შეეპარა.

— „ჩემი გარდაცვალების შემთხვევაში კატეგორიულად მოვიტხოვ, სეიფი დალუქოთ და გახსნათ ორი წლის შემდეგ, ჩემი დაბადების სამოცდამეჩვიდმეტე წლისთავე, ხუთ ოქტომბერს, დღის 12 საათზე“.

შემდეგ რამდენიმე უმნიშვნელო ფრაზა ჩაიკითხა და ანდერძიც დამთავრდა.

— ეს არის და ეს! — ოთარ კახიშვილმა ანდერძიც წელანდელივით მალლა ასწია, უნდოდა ყველა დარწმუნებულიყო, რომ ფურცელზე სხვა რამ მართლაც აღარ ეწერა.

ყველამ წინასწარ იცოდა ანდერძის შინაარსი, მაგრამ წაკითხვამ და ხელ-

ნაწერის დანახვამ მაინც ვაჟაფშაველას დამსწრეთა ინტერესი. ეტყობა, უფრო სარწმუნო და რეალური ვახდა განსვენებული აკადემიკოსის ანდერძი. დავით გიორგაძის ყველა სურვილი განსაგები იყო, ვარდა ერთისა, რატომ უნდა გახსნილიყო აეიფი ორი წლის შემდეგ?

კაბინეტი ერთბაშად აზუზუნდა სკასავით. ყველანი ერთმანეთს ეჩურჩულეობდნენ, შიგადაშიგ ძალზე ხმამალლა და ტემპერამენტინად კამათობდნენ, თანდათანობით ლამის ყვირილზე გადავიდნენ.

ოთარ კახიშვილს არც უცდია ხალხის დაწყნარება. მიხვდა, რომ ანდერძმა ეფექტი მოახდინა. ახლა მთავარი ეს იყო. სავარძლის საზურგეზე მიწოლილი და ცალთვალმოკუტული ძლივს შესამჩნევი დამცინავი ღიმილით ავლებდა მზერას აღელვებულ, კამათით გახურებულ და სახეაწითლებულ თანამშრომლებს.

რამდენიმე წუთის შემდეგ, როცა, დირექტორის აზრით, მოკამათებმა საკუთარი მოსაზრებების გამოთქმით ნაწილობრივ მაინც იჯერეს გული, ოთარ კახიშვილმა მაგიდაზე დააკაუნა და ხალხს წესრიგისაკენ მოუწოდა.

კაკუნის ხმა და დირექტორის მოწოდება არავის გაუგონია. კაცმა არ იცოდა, კიდევ რამდენ ხანს გაგრძელდებოდა თანამშრომელთა კამათი, უცებ ნოდარ ოდიშარიას რომ არ ეკითხა:

— რომელი რიცხვით არის ანდერძი დათარიღებული?

მართლაც და, რომელი რიცხვით იყო დათარიღებული? თუ ანდერძი საავადმყოფოში დაწერა, ვინ წაიღო და ვინ ჩაღო ასტრონომიული ენციკლოპედიის მეორე ტომში?

ოთარ კახიშვილი ფეხზე წამოდგა, კონვერტიდან ანდერძი ისევ ფრთხილად ამოიღო, თარიღი ჯერ წაკითხა, მერე ხალხს დაანახა. აღმოჩნდა, რომ ანდერძი ინფარქტამდე ათი დღით ადრე იყო დაწერილი.



ამ ფაქტმა კიდევ უფრო აღაგზნო მოკამათენი.

„რატომ?“

„იციოდა, რომ ინფარქტი დაემართებოდა?“

„უბრალო დამთხვევა იყო თუ წინათგრძნობა?“

— დაწყნარდით, მეგობრებო, დაწყნარდით! — ოთარ კახიშვილი ფეხზე წამოდგა და საფერფლე რამდენჯერმე ენერგიულად დაჰკრა მაგიდას.

ხალხი ნელ-ნელა დამოშშინდა.

— გუშინ ჩვენც ბევრი ვიმსჯელებთ წერილის თარიღზე. რა დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ? წინათგრძნობამ დააწერინა აკადემიკოსს ანდერძი თუ, უბრალოდ, საოცარი დამთხვევა მოხდა? ამ საკითხს ჩვენ ვერ გავარკვევთ და საქმისათვის არცა აქვს არსებითი მნიშვნელობა. ამ წუთში უფრო დიდი პრობლემა გვაქვს გადასაჭრელი. რას იტყვით, როგორ მოვიქცეთ?

— ეგ რა პრობლემაა ან რა საკითხავია. რასაკვირველია, ისე უნდა მოვიქცეთ, როგორც აკადემიკოს დავით გიორგაძეს სურდა. თუკი, რასაკვირველია, ანდერძი ნამდვილად მისი დაწერილია. — როგორც ყოველთვის, სათქმელი ახლაც გამომწვევად თქვა ნოდარ ოდიშარიამ.

— ვინც აკადემიკოსის ხელს იცნობს, იოტისოდენა ეჭვიც არ შეეპარება, რომ ანდერძი ნამდვილად დავით გიორგაძის დაწერილია. რასაკვირველია, ყოველგვარი ეჭვის გასაფანტავად, ანდერძი აუცილებლად გადაეცემა ექსპერტს.

— მე ეგ არ მომიტხოვია! — ფეხზე წამოდგარმა განაცხადა პროტესტი ნოდარ ოდიშარიამ.

— არ იფიქროთ, რომ ანდერძი თქვენს მიერ გამოთქმული წინადადების გამო გადაეგზავნება საექსპერტო კომისიას. წესია ასეთი. ჯერ კიდევ გუშინ, აკადემიკოსის ბინაზე ქალბატონ ანნასთან შეთანხმებით გადავწყვიტეთ, რომ ანდერძი აუცი-

ლებლად გადავცეთ ექსპერტს. ანდერძი კი, ყველას შეგიძლიათ ანდერძს დახედოთ და ხელახლა წაიკითხოთ. სასურველია, კიდევ ერთხელ დარწმუნდეთ, რომ ანდერძი ნამდვილად ბატონ დავითის მიერაა დაწერილი.

ოთარ კახიშვილმა წერილი იქვე, ხელმარჯვნივ მჯდომ არჩილ თევდორაძეს გადააწოდა და ანიშნა, შენი მხრიდან ჩამოატარეო. არჩილს ანდერძი ჯერ კიდევ გუშინ ჰქონდა ათჯერ მაინც წაიკითხული, ამჯერად ზედაც არ დაუხედავს, ისე გადააწოდა გვერდით მჯდომ ხანშიშესულ დოცენტს.

ანდერძი ხელიდან ხელში გადადიოდა, ყველა დაკვირვებით დასჩერებოდა და ხელახლა კითხულობდა.

— ფრთხილად, მეგობრებო, ფრთხილად, არ დაჭმუჭნოთ და არ დასვართოთ! — შეშინებული აფრთხილებდა ხალხს ინსტიტუტის დირექტორი.

ნოდარ ოდიშარიას რივიც დადგა. მან ყურადღებით დახედა ნაწერს, სხვებივით ტექსტიც ჩაიკითხა, ანდერძი გვერდით მჯდომ კოლეგას გადააწოდა და უცნაურად ჩაიცინა.

— რა გაცინებთ? — გაბრაზდა კახიშვილი.

— პირდაპირ საოცარია! — თქვა ნოდარ ოდიშარიამ და ფეხზე წამოდგა.

კახიშვილმა სიჩუმე ჩამოვარდა.

— რა არის საოცარი? — კვლავ გაბრაზებულმა ჰკითხა ინსტიტუტის დირექტორმა.

— არ იფიქროთ, ანდერძის რეალობაში მეპარებოდეს ეჭვი. მე კარგად ვიცნობდი აკადემიკოსის ხელს. ანდერძი ნამდვილად მისი დაწერილია. ოღონდ ერთი რამ მიკვირს, ძალიან გთხოვთ, ნუ დამძრახავთ და კირკიტა კაცის სახელს ნუ შემარქმევთ. ძალიან მიკვირს, ბატონმა დავითმა რატომ ჩადო ანდერძი ასტრონომიული ეციკლოპედიის მეორე ტომში და რატომ არ ჩადო საწერი მაგიდის რომელიმე უჯრაში, სადაც აკადემიკოსის სიკვდილის შემდეგ კონვერტს ვაცი-

ლებით იოლად იპოვიდა კაცი! ქალბატონ ანასთეის (აშკარად გასცინა ახალ დირექტორს), რამდენადაც მე ვიცი, ასტრონომიული ენციკლოპედია არ არსებობს. არც გიორგაძის ვაჟი, კიდევაც რომ დაბრუნდეს შინ და ღმერთმა დააბრუნოს, არ მოიკლავს თავს ასტრონომიული წიგნებით. ბედნიერი შემთხვევა რომ არა, ხომ შეიძლებოდა აკადემიკოსის ანდერძი მთელი საუკუნე არ აღმოჩენილიყო, — აიჩნა ოდიშარიამ მხრები. — და მეორე, რატომ არ დატოვა დავით გიორგაძემ სეიფის შიფრი?

— თქვენი მეორე მოსაზრება ძალიან იოლად შეგვიძლია ავხსნათ, — წამოდგა ფეხზე არჩილ თევდორაძე. იგი, რაც ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე გახდა, ასე ვრცლად პირველად ამბობდა სიტყვას და უნდოდა ნათქვამისათვის მეტი მნიშვნელობა მიენიჭებინა. — აკადემიკოსმა, ალბათ, ივარაუდა, რომ წერილი შემთხვევით შეიძლებოდა მხოლოდ ერთ კაცს ჩავარდნოდა ხელში. ან თუნდაც კოლექტიურად რომ გაგვეხსნა, სეიფის შიფრი რამდენიმე კაცს გვეცოდინებოდა ერთდროულად. ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად ანდერძში თუ ამ პატარა წერილში შიფრი არ ჩაწერა. ბატონმა დავითმა მშვენივრად იცოდა, რომ მოსკოვში არიან სეიფის გახსნის დიდებული ოსტატები. რატომ უნდა წასულიყო თუნდაც ელემენტარულ რისკზე? მგონი, სწორ მოსაზრებას გამოვთქვამ, არა?

— სავსებით სწორი ბრძანებებით! — პირველმა ოთარ კახიშვილმა დაუჭრა კვერი.

თანხმობის ნიშნად ბევრმა დააქნია თავი.

— რაც შეეხება მეორე საკითხს, აქ უფრო რთულადაა საქმე, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, რა მნიშვნელობა აქვს, სად იყო წერილი? — გაცხარდა უცებ არჩილ თევდორაძე, — თქვენი ვარაუდი საყურადღებოა. მართლაც

გასაოცარია, რატომ ჩადო ბატონმა დავითმა ანდერძი ასტრონომიული ენციკლოპედიის მეორე ტომში და არა, ვთქვათ, პირველში. ან თუნდაც მაგიდის უჯრაში. მაგრამ საერთოდ აქვს აზრი ამ პრობლემის გადაჭრას?! მთავარია, რომ ანდერძი არსებობს და იგი ჩვენს ხელთაა. პირადად მე მოვითხოვე, ხვალვე დაილუქოს სეიფი.

— ხვალვე კი არა, დღესვე! — ჩაუჭრა სიტყვა ოთარ კახიშვილმა, — ამ დილით აკადემიის პრეზიდენტს ველაპარაკე. მათი წარმომადგენელი, კერძოდ, აკადემიის ვიცეპრეზიდენტი ალექსანდრე ჩიქოვანი გვესტუმრება ოთხ საათზე, შევადგენთ კომისიას და დავლუქავთ სეიფს. ეს არაა ძნელი საქმე. რაც შეეხება ანდერძს, გულახდილად უნდა გითხრათ, წუხელ მეც ვფიქრობდი მთელი ღამე, რატომ შეინახა ბატონმა დავითმა კონვერტი მაინცდამაინც წიგნების კარადაში და მაინცდამაინც ასტრონომიული ენციკლოპედიის მეორე ტომში?! დიდი ხნის ფიქრის შემდეგ ასეთ დასკვნამდე მივიღე. წერილი დაწერილია ინფარქტამდე ათი დღით ადრე. რატომ? იქნებ ინტუიციამ, უბედურების მაუწყებელმა წინათგონობამ დააწერინა ანდერძი? არა მგონია. სამოცდაათობმეტ წელს მიღწეულმა კაცმა რომ ანდერძი დაწეროს, არცაა გასაკვირი. მან, ვინ იცის, ანდერძი ყოველი შემთხვევისათვის დაწერა და ვინაიდან თავს სრულიად ჯანმრთელად გრძნობდა, ჩადო არა უჯრაში, არამედ ასტრონომიული ენციკლოპედიის მეორე ტომში. შეგვიძლია გავაკეთოთ პირველი დასკვნა: აკადემიკოსი არ შეუპყრია ტრაგიკულ წინათგონობას. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია გამოვიტანოთ მეორე დასკვნაც: უჯრაში განგებ არ ჩადო კონვერტი. განა სასიამოვნოა ან თვითონ, ან ოჯახის წევრებმა იჭაურობის დალაგების ან მუშაობის დროს ყოველდღე დახედონ კონვერტს, სადაც ანდერძია მოთავსებული?! ამიტომაც ჩადო ისეთ

წიგნში, რომ არც დავიწყნოდა და საჭიროების შემთხვევაში, იოლადაც ეპოვა. შეიძლება შემომედავით, საავადმყოფოში მაინც რატომ არ თქვა, ანდერძი სად ინახებოდა ან იქიდან რატომ არ შემოგვითვალა თავისი სურვილი? ღრმად ვარ დარწმუნებული, მხოლოდ ერთი მიზეზის გამო არ წამოსცდენია დავით გიორგაძეს ანდერძის არსებობა. თუ მართალი გინდათ, ამ ერთგვერდიან ტექსტს ანდერძს ვერც დავარქმევთ. არც თვითონ უწერია სადმე სიტყვა ანდერძი. ფაქტიურად მან ინსტიტუტის დირექციას მისწერა წერილი, სადაც იგი მოითხოვს სეიფის ორი წლით დალუქვას. აკადემიკოსს რომ ნამდვილი ანდერძი დაეწერა, ალბათ, მინიმუმ, ასი პუნქტისაგან მაინც იქნებოდა შედგენილი. საავადმყოფოში კი, გონს რომ მოვიდა, პირველი წუთებიდანვე იწყო გამოჯანმრთელება და ერთი წუთითაც არ შეჰპარვია ეპვი, რომ ინსტიტუტს დაუბრუნდებოდა. ტრაგედია ერთბაშად დატრიალდა, მყისიერად. მთავარმა ექიმმა, ბატონმა ზურაბ თორაძემ ბრძანა, აკადემიკოსმა ერთი სიტყვის თქმაც კი ვერ მოასწრო, სისხლის უეცარი ჩაქვევისაგან ისე დაკარგა გონებაო. ერთი სიტყვით, მე ანდერძის არსებობა, მისი დაწერის მიზეზი და ადგილსამყოფელი კი არ მალეუვებს, არამედ შინაარსი. რატომ უნდა გაიხსნას სეიფი გარდაცვალების დღიდან დაახლოებით ორი წლის შემდეგ და მაინცდამაინც დაბადების დღეს, ხუთ ოქტომბერს, დღის 12 საათზე? აქვს ამ თარიღს რაიმე სიმბოლური მნიშვნელობა თუ, ღმერთო შემინდე და, ჩვენი გზაკვალის აბნევას ცდილობს ინსტიტუტის ყოფილი დირექტორი? ნუ ღელავთ, ბოლომდე დამამთავრებინეთ სათქმელი! — ოთარ კახიშვილმა ხელები მაღლა ასწია და თავის მიერ წარმოთქმულ უკანასკნელ ფრაზაზე ახმაურებულ ხალხს სიჩუმისაკენ მოუწოდა. — მაცალეთ, მეგობრებო, სათქმელი დამამთავრებინეთ და შემდეგ

გამოთქვით თქვენი მოსაზრებანი. ხუთი წლის მანძილზე ცდილობდა, აკადემიკოსი თქვენთვის უკვე ცნობილი პრობლემის გადაჭრას, თუ გამოკვლევა შუამდე მაინც ჰქონდა მიყვანილი, თუ მისი ამოხსნის გზები მაინც ჰქონდა სანახევროდ ნაპოვნი და გაშიფრული, მით უმეტეს, თუ პრობლემა საბოლოოდ ჰქონდა თეორიულად გადაჭრილი და ექსპერიმენტით დადასტურებული, არ ჯობდა, ახლავე გამოგვემზებებინა, გამოგვექვეყნებინა ან ექსპერიმენტი ჩვენ, მის მოწაფეებს გაგვეგრძელებინა და ბოლომდე მიგვეყვანა?! დღევანდელი ცხოვრების სწრაფი ტემპის პირობებში რა გარანტია ჰქონდა, რომ ვინმე სხვა არ გადაჭრიდა მის მიერ არჩეულ პრობლემას? ხომ არ უნდა ვივარაუდოთ, კიდევ ერთხელ ვიხდი ბოდის დავით გიორგაძის ნათელი ხსოვნის წინაშე, დიახ, ხომ არ უნდა ვივარაუდოთ, რომ აკადემიკოსმა კრახი განიცადა? რომ მან ვერ მიიღო სასურველი თეორიული და ექსპერიმენტული შედეგები? კიდევ ერთხელ მინდა, მეგობრებო, მკრეხელობად არ ჩამითვალოთ ჩემი მოსაზრებანი. ბოლოს და ბოლოს, ჩვენ მეცნიერები ვართ და მხოლოდ საღი მსჯელობა გვმართებს. თუ საწინააღმდეგოში დავრწმუნდები, მერწმუნეთ, მეგობრებო, არავისზე ნაკლებად არ გამიხარდება და სიამოვნებით წავიღებ ჩემს სიტყვებს უკან. დიახ, დავით გიორგაძემ, ალბათ, ვერ გადაჭრა პრობლემა, თავისი სიცოცხლის უკანასკნელი ხუთი წელი რომ შეალია. ალბათ, ბატონ დავითს არ სურდა, მისი უშუდეგო მუშაობა სიკვდილისთანავე გამომზებებელიყო და თავისი პიროვნების ირგვლივ ამ ანდერძითა თუ წერილით (ფურცელი კვლავ მაღლა ასწია) სეიფის დალუქვით გარკვეული აუიოტაჟის შექმნა მოინდომა. ორი წლის შემდეგ კი, ყოველდღიური უმნიშვნელო მოვლენებით გადატვირთული ცხოვრება მრავალ ვნებათაღელვას დააოკებს და ჩააცხრობს. აკადემიკოსის სურვილის შესრულება და

სეიფის გახსნა უმნიშვნელო რიგით მოვლენად იქცევა. პირადად მე, ამ პანდემიის შემდეგ, დარწმუნებული ვარ, რომ არაერთგვაროვანი გამოკვლევა ან თუნდაც დაუმთავრებელი ნაშრომი სეიფში არ ინახება. ღმერთო, მაპატიე, სხვა-ნაირად ვერ ამიხსნია განსვენებული აკადემიკოსის სურვილი. კიდევ ვიმეორებ, თუ თქვენ დამარწმუნებთ საწინააღმდეგო მოსაზრებაში, ეჭვი არ შეგეპაროთ, რომ ძალიან გამიხარდება!

თანამშრომლები დუმდნენ და დიდი გულისყურით უსმენდნენ ახალ დირექტორს.

ოთარ კახიშვილი მიხვდა, რომ კაბინეტში თანხმობის დუმილი იდგა.

— თუ სათქმელი აღარაფერი გაქვთ, ცოტა დავისვენოთ. ოთხ საათზე კიდევ მოგვიწევს შეკრება. აკადემიიდან ვიკებრეზიდენტი გვესტუმრება და სავანგებოდ გამოყოფილი კომისია ოფიციალურად შეასრულებს გარდაცვლილი აკადემიკოსის უკანასკნელ სურვილს.

ყველანი წამოიშალნენ.

ინსტიტუტის დირექტორმა შვებით ამოისუნთქა და სავარძელში ჩაეშვა. კიდევ ერთხელ იწამა რამაზ კორინთელის ნიჭი და ინტუიცია. მიხვდა, აკადემიკოს დავით გიორგაძის გამოკვლევა სანახევროდ სათუო გახადა, კოლეგებს გულში ეჭვი ჩაუნერგა, ეჭვი, რომელიც დროთა განმავლობაში რწმენად იქცევა.

ოთარ კახიშვილი უსაზღვროდ კმაყოფილი იყო თავისი თავის, ინსტიტუტის დირექტორმა კარგად გაიგო რამაზ კორინთელის დავალება და რთული გამოცდა დიდებულად ჩააბარა.

როცა კაბინეტში მარტო დარჩა, დადლილი, ენერჯისაგან მთლიანად დაცლილი ძლივს წამოდგა და ფანჯარასთან მივიდა. შეკრბა. ქვემოთ ძველებურად იდგა წითელი „ქიგული“, მანქანის კარს ქერა, გრძელფეხებიანი ქალიშვილი მიყრდნობოდა და გამველელ-გამოველელს სხვათა შორის ათვალიერებდა.

(დასასრული იქნება)





შმიდტის ქუჩაზე მღვრიე ქარია,
დათალხულია შენი ძაძვებით. —
აქეთკენ აღარ მომიხარია,
დამსხვრეულია სიყრმის ანძვები.
და შენს თვალბეჭდს შუქი ჩამქარალა,
წამწამს გიმძიმება ცრემლის მძივები...
ვნებების კვირა უტბად დამცხრალა,
მოგონებებში ქვად ვიძირები.

ნირწამხდარი და
მკვდარია ეზო,
შულამეა,
ვზივარ კიბის საფეხურზე
მარტოსული და...
მივშტერებივარ გაყინულ,
დამზრალ სინათლეს,
რომელიც ფანჯრიდან
ლაფაროში ჩანჩქერივით იღვრება.
ცივია სივრცე, ვით სასაფლაო
დექემბრის მთვარის სხივთა ხლართებში.
გრძნობ აქ ბედისწერის
ტრიალს,
რომელსაც ძალზე მკვეთრად ავლენს
სახურაეიდან მონოტონურად

ვდგავარ იქ, სადაც
ვნებები თუ ბაღლის ცნებები
აღრე თვლემდნენ და...
თვალს ახელდნენ მერე კვირტებად, —
სადაც ხაზები უნაზესი მოგონებების,
ნაკადულებად დასევთან არდავიწყებას —
იმ პირველყოფილ სიზმართში
ოჩოფეხებით
შემოდიოდნენ დევები და ოჩოკოჩები

ზუგდიდში ჩვენზე მიწყნარდა ჰორი,
ჩაცხრა უკვე და...
სხვების ჯერია,
ჩვენ ერთმანეთთან არა ვართ სწორნი,
თუმც ბედს მივეყვებით, რაც გვიწერია!
დავრჩით სულ სხვათა დღეთა მოზარედ.
ჩვენს შორის სწორი იყო — არც ერთი:
რაგინდ წარსული ტალღად მოზვავდეს —
არ ეკითხება აწმყოს ნამცეცი!

ქვის ფილაქანზე მოხმაურე
წვეთის წყარუნი!
სოფლის გულში კი
ძაღლების ღველავი
ყინულის სხივებს ტანზე მამამს და
მძიმე-მძიმედ
ჩემი ბავშვობის მდინარეში
ფსკერამდე მყვინთავს.
ეპა, ბეჩავო ჩემო თავო,
შენ ამ ეზოში
ყველაზე მძაფრად,
ყველაზე მწველად გრძნობ
სიკვდილთან და
ულმობელ დროსთან გარდუევალ
კავშირს.

მერმე ნათობდა ტაკატაკუცი ხმელი
ვერხვების —
მიწას დასთრევდა ჰაობიანს —
თხმელის ფოჩები.
იკორტნებოდა წერტილებად ზეცა
ყვავებით,
მოლალურისფრად ინთებოდა
კორცხელის კორდი,
არ მახსოვს, არა, უამი იგი
არდაყვავების



განმერიდა თუ
 საკუთრებად გარდმეჭეა როდის!
 რა ერუანტელი ჩამესახა ფენშიშველს
 ევერში,
 ის ხომ მაცნეა მშობელ მიწის,
 მაცნე პირველი.
 ფერადი ბგერა
 მთვარის თმების შრიალით შემშლის -
 და კვლავ მიშველის
 ის ბავშვობა გასაკვირველი.
 ყელზე მეხვევა
 კერიის პირ კვამლის ფარტენი
 და თვალს მიელმებს სათანჯოდან
 ცრემლის ნათელი:
 კავკასიონი გაწოლილა — დევის
 სარტყელი—
 შემოჭდევია კოლხეთის წელს
 ვარსკვლავთ ბალთებით;
 აქ ედებოდა ჩემს ბალობას ყველა
 სამანი.
 აქ მთავრდებოდა ზეცის კარი —

ზღაპრის გაღია,
 კვლავ ერუანტელი ბალობისა...
 ვცოცხლობ, სანამ ის,
 სისხლზე მჩქეფარე —
 ჩემს ძარღვებს და გულს აბადია!
 წლები წარვლიან...
 ეგ სამყარო მომენატრება
 და გასაფრენად
 გამზადებულ ფრთათა კრილობას,
 უწამლებს განა
 წინ გაშლილი გზისა ნათება?!
 უფრო წარსულის შუქციაგი
 კვლავ საჭიროა?!
 ვდგავარ იქ, სადაც
 ვნებები თუ ბალის ცნებები
 ჭერაც თვლემდნენ და...
 თვალს ახელდნენ მერე კვირტებად, —
 სადაც ზაზები უნაზესი მოგონებების,
 წყაროს წყლის ჩქერად
 ესევიან არდავიწყებას!

მარტი დაეცა ავდრის ქადაგად,
 მიჰყვება დღეებს უსაფეხუროს, —
 გვრძნობა: ზეცას ღრუბლის გადაღმა
 მზეს სირმის ქული უნდა ეხუროს!
 ქველი წინაპრის ნაანდერძევით
 გუშინაც, დღესაც ჩემს გულს ენება
 ენახა: ცხადლივ ოჭროს ვერძების
 კოლხთა მიწაზე ამომზევება!
 მშობელი მიწის ტრფობით სნეული
 ვარ და...
 მომიხმეთ ასი წლის მეკვლედ:
 თუ ტალღა მქვია უკუქცეული,

ენგურთან ზვალვე
 დავიფშენი ნეკნებს!
 წინაპართ სხეულს —
 ცას შედგმულს მთებად,
 მზის ტოტი მალე კვირტად მოისხამს;
 მე მინდა ვუთხრა ქებათა ქება:
 აქ ყველა მაშერალს, მწეს და მოისარს!
 ... მარტის დღეები მოწყენას ქსოვენ.
 მაგრამ აპრილით ამოვინთებით, —
 კოლხეთო, ტრფობას, შენს ტრფობას
 ცხოველს.
 ეამს არყოფნისას როგორ ვითმენდი?!

საშუაარი ბიზვინთაში

ვარდგეს პეტროხიანს

ეს კოლხეთია, ბატონო ვარდგეს,
 აქ მთავრდებოდა კოლხიდა ადრე,
 (სისხლი სდის, სისხლი აფეთქილ
 ვარდებს,
 რაც კვლავ ამიმღვრევს მითვლემილ
 დარდებს!)

ის აჰყვებოდა ბზიფის ხეობას,
 ვიდრე გაჭრიდა სკვითების მიწას, --
 ლაზისტანიდან მოიჩხეოდა —
 ამორძალივით პონტოს პირ იწვა...
 ტყვედ ხილვა მისი ბევრსაც ეწადა --
 გაუძლო ათას შივას და ბუღას, —

ზოგი ლეწავდა,
ზოგსაც ლეწავდა —
მერმისისათვის იბრძოდა მუდამ.
რამდენი თურქის, არაბის, სპარსის
მანხელს ეძგერა გულდაყოლილი, —
მავრამ სისხლის წილ სიცოცხლის არსა:
ძარღვში უთრთოდა უკვდავ კოდიციო!
რაც მთავარია: ძმობა იცოდა,
ფასი მეგობრის,
მისი გატანა, —
აღბათ, ამიტომ მარადისობამ

არ გაახარა ჩვენზე სატანა!
იყო ბედკრული შენი ნაირიც,
ბევრის მომსწრე და ბევრის მნახველი, —
აღბათ, ცოტაა დღეს ჩვენნაირი,
მზეს მიწერილი ერის სახელი.
აუუწყოთ ძმობას ნაბიჯი ფართედ,
მნათი დაჰბადოს სულთა ნათებამ, —
ვიცი, დღეს მეტი სილაღე
გვმართებს,
სხვა კვეთება და...
სხვა შემართება!

ეს ცრემლი ახლა სისხლის წვეთია
პონტოს გემო და პონტოს ფერი აქვს:—
მე უნდა ქვეყნის ღამე მეთია,
ის, რომ ბაღლამში მზედ გამერია!
ტირისაც უნდა, თურმე, უფლება
თორემ რა უნდა უაზრო სიცილს, —
ვერვინ წამართმევს ამ საკუთრებას.
ეს ცრემლი საით მიგორავს, ვიცი!
კრონოსს, დროის ღმერთს —
თან მიჰყავს ხალხი —
წუთისოფელი წამზე მალია, —
გამთანგველია ივლისის ალხი,
ჩასავლელ წელთა ცხელი ნალია!
ისევ ჩემს პონტოს ვაპყურებ
ცრემლებს.

ბილიკიც თურმე, უკან ბრუნდება, —
ჩემო ტკივილო, შენ შემოგველე,
შენი ისარი არ მიმრუდდება!

ჰალაკონს მოედო
ბგერათა ტალღა,
ღრო არის, პოეტო,
აფრინდე მალღა!
კოლხური მუსიკის
სევდიან ზვირთით,
რაზე თრთის,
ვის უცდის
შრიალა ფითრი?!

აიწევა როდის
დაღლილი სურო,
ბოლო აქვსო ლოდინს,
პოეტის სულო!
ღრო არის იმქუხარო
გატანის, რწმენის,
უგალობო მშობელ მხარეს
ელეგია წრფელი!



●

ტერენტი გრანელს

ჩემი სულის ღმერთები
სადღაც შორს მიფრინავენ...
მიწიერი ვედრებით
შევრჩი ადამიანებს.
შევრჩი,
ვხედავ მაღლია
ჩემი სულის მოთოკვა,
ჩემში კარგი რაც კია,
ჩემში, რაც კი მომწონდა —
ვერ პოულობს საყდარს და
ქარს მიჰყვება ქარივით...
სული ჩემი გაწამდა,
სული — თეთრი ყვავილი!

●

დღეს ერთი გვხიბლავს,
ხვალ კი — მეორე,
ხან სიყვარულიც
დაიგვიანებს...
და ამ ლოდინში...
და ამ ჩურჩულში
ვკარგავთ საყვარელ
ადამიანებს.

●

ალარ მეგონა წარსული
გამახსენებდა თავს.
ჩემგან წასულო ცხოვრებავ,
იველო ფიქრებო, მკლავთ...
თან გინდათ ჩემი მორევა
მოგონებებით ძველით...
ძველი ფიქრებით ცხოვრება
ძნელი ყოფილა, ძნელი!..

●

მოთმინებით ვცხოვრობ...
მოთმინებით ველი...
მოთმინებით მიმზერს
მოთმინება ჩემი!..



გადათურ არაბული

ღამე მშვიდობისა

საღამოს ჟამმა
ველ-მინდვრები ბინდით მონისლა, —
ღამე მშვიდობისა, ჩემო საქართველოვ,
ღამე მშვიდობისა...
ღამე მშვიდობისა
შენს მთა-გორებს,
ტყეების ფშვინვას,
მდუმარ საფლავებს,
სადაც დაღლილ მეომრებს სძინავთ...
შენს მზეს და მთვარეს,
ვარსკვლავების ციმციმს და ციაგს,
ზესკნელს და ქვესკნელს, —
მიწიურ და ზეციურ წიაღს..
ქარების ქროლვას,
ფოთლის შრიაღს,
სუნთქვას მოლისას, —
ღამე მშვიდობისა, ჩემო საქართველოვ,
ღამე მშვიდობისა...
ღამე მშვიდობისა

შენს მშვიდობას — ერის სიმშვიდეს,
ვლურტულა აკვნებს
და აკვნების
ღამეულ მკვიდრებს...
მშვენიერ წყვილებს, —
სამომავლო კვირტების ფეთქვას,
შენს დაუჟანგავ ხმაღს და სახნისს,
ფარსა და ბეთქარს...
ღამე მშვიდობისა
შენს სიმღერებს,
შენს ხმას და ენას,
ხან გაღვინებას, ხანაც ტყვიღს
და ჭირთა თმენას...
მაგ სულში
მტრისთვის ჩაგუბებულ
გრგვინვას,
ბრძოლის ხმას, —
ღამე მშვიდობისა, ჩემო საქართველოვ,
ღამე მშვიდობისა...

ფშავში

ჩაქრა მზის სხივი
და ჩარგლის ჭაღებს
იდუმალებით დაჰნათის მთვარე
და გაცრეცილი ნისლეების ჭავლი
ლაშარის თავზე გადააქვთ ქარებს...

დავით მჭედლოურს

სიჩუმის ფსკერზე მოჟონავს ჩქამი
არაგვის ორის: თეთრის და შავის,
ვარსკვლავთა ვლერიტ ჩამოდის ღამე.
და ღამის მკლავზე იძინებს ფშავი...

შორეულ დროთა
მყუდრო სავანევე, —
შეუცნობელო შუქო მომავლის,
უნსოვრობაში დამასამარებ?
თუ შენი მადლის ცხება მომელის?
თქვი, რაზე მღერის
ეს ქარიშხალი?
ამოვსებული უცხო გუგუნით,

რისთვის მომიხმობს დილა სისხამი?
ან ნისლიანი ღამის უკუნი?..
თქვი, რას მპირდები
წლების გადაღმა:
სხივების ციაგს, თუ ეკლის ნემსებს?
შენს მაგრილობელ ჩრდილში
დამმარხავ?
თუ უდაბნოთა უდაბურ ველზე?..



გაგელუქავი

თქვენ აქ ხართ სადღაც,
 თქვენი ხმაც მესმის,
 ბრძოლის ყიჟინაც
 მწვდება ფიცხელი,
 ვინც ბედის მწარე სამსალა შესვით
 და ამ ცხელ მიწას ჩაეფიცხენით...
 აქ,
 სადაც მომსწრე მრავალ ომების,

პირამიდები კვლავ ზეცას ჩხვლეტენ
 და სადაც მძლავრი ფარაონები
 ეჯიბრებოდნენ თვით მაღალ ღმერთებს.
 გამახსენდებით უცხო მხარეში
 და მწარე სევდა დამეუფლება;
 თქვენ, ქართველებად დაბადებულნი
 და გარდაცვლილნი
 მ ა მ ე ლ უ ქ ე ბ ა დ !..

ოკანა

ედება თრთოლვად სევდა ფარული
 და ყინულივით მზეზე კრიალებს,
 წევს მოთენთილი და დაღალული
 მიძინებული თვლემს ოკანე...
 შემოსალტვია: სივრცე ვრცეული
 და მობიბინე მწვანე ნაპირი,
 ქარი ზეციდან ჩამოქცეული,
 ჩამოქროლვილი, ჩამონაბერი...
 და ეზმანება უცხო და შორი,
 სულ მოგუგუნე და მოგრიალე,
 ვით მეგობარი და გულისსწორი,
 სხვა სამყარო და სხვა ოკანე...
 სიმწრით იღვიძებს და ყალყზე დგება,

სივრცეს ველური გნიასით ავსებს,
 თავგამეტებით აწყდება გემბანს
 და ქაფის თრთვილი
 აყრია ტანზე...
 მიუკარები, ბნელი და ქუფრი,
 ქვეყნიერების შიშით მზარავი,
 მოანთხევს ტალღებს და გვემუქრება
 ქვესკნელს ჩაქცევით, ჩანთქმით,
 ჩალალვით..

ჯერ კი ერევა სევდა ფარული
 და ყინულივით მზეზე კრიალებს,
 წევს მოთენთილი და დაღალული,
 მიძინებული თვლემს ოკანე...

ეს ორი დღეა ზეცას უნათლესს
 ლურჯი ბურუსი ავლია სევდად
 და ოკანის ცისფერ გუმბათზეც
 ალბატროსები მოწყენით სხედან...
 მზე კი თანდათან ბუდისკენ იწევს,

მისდევს ეკვატორს მაღლა და მაღლა;
 ნეტავ სადა ხარ?
 ამ უცხო სივრცეს
 შენი ღიმილი აკლია ახლა!..

ზღვის სასაფლაო

დუმს ახლა ლურჯი სასაფლაო
 და ლამის შავი მარმარილო ადგას
 ზევიდან...

დუმან ისინიც
 ვინც იქ, ქვესკნელში განისვენებს...
 იმ ბნელ წიაღში ჩამი-ჩუმი არ ისმის
 მკვდრების...
 წვანან: დაღლილი მეზღვაურები,
 მარადიული მოგზაურნი და მეკობრენი,
 უცხო ქვეყნების მამებარნი,

ოქრო-ვერცხლზე დანატრებულნი...
 ხელმოცარული უბედონი
 და ზღვად გაჭრილნი...
 წვანან:
 მეფენი, მეომარნი,
 ბრძენნი,
 სწავლულნი,
 არას მქონენი,
 მობი დიკზე მონადირენი.
 წვანან: დაღლილი მოხუცები,



სიყვარულისთვის განწირული
ვოგო-ბიჭები.

წვანან: ყმაწვილნი მეოცნებენი...

დუმს ახლა ლურჯი სასაფლაო
და ღამის შავი მარმარილო ადგას
ზევიდან...

დუმან ისინიც,
ვინც იქ, ქვესკნელში განისვენებს...
მაგრამ ხანდისხან
იღვიძებენ მათი სულებიც,
გამოარღვევენ ამ მდუმარებას,

მწარე გუგუნით ავსებენ სივრცეს,
ლურჯი ბორცვებით

და ქარიშხლებით

აწყდებიან ზეცის დარბაზებს,
სადაც მრისხანე პოსეიდონი,
მეამბოხეთა დასაწყენარებლად,
ელვის მათრახებს მოათამაშებს...

დუმს ახლა ლურჯი სასაფლაო
და ღამის შავი მარმარილო ადგას
ზევიდან...

უდაბნო

არ ჩანს სიცოცხლე,
სივრცეს უდაბურს
ანდით მიგკვალავთ
მცხუნვარე ქარში
და ნამიბიის თეთრი უდაბნო
თოვლივით ქვიშას
სახეში გვაშლის...

არ ჩანს სიცოცხლე,
აქა-იქ ხვლიკი
ზოგჯერ იმედის ნიშნად იელვებს.
სიცარიელის
და ბულის იქით

ისევ მიგველის სიცარიელე...
ირგვლივ ტრიალებს მწველი ნაქარი
გამომფიტველი
და გამბრუსველი
და დიუნები ჰგვანან აქლემებს
წამომართულებს ქვიშის კუზებით...

არ ჩანს სიცოცხლე,
სივრცეს უდაბურს
ანდით მივაკვლევთ მცხუნვარე ქარში,
სად ნამიბიის თეთრი უდაბნო
თოვლივით ქვიშას სახეში გვაშლის...



ჩამოიღია
ღამის ვარსკვლავი,
ჩამოიღვენთა ოკეანეში,
ქარი გუგუნებს
და გულსაკლავი
მისი წუხილი, ვიცი, არ გესმის...

შენ ახლა სახლში
ბავშვებთან გძინავს
და მოლოდინის თრთოლვით ივსები,
ბალიშებზე კი ნამივით ბრწყინავს
ჩემი ბიჭების
ჭრელი სიზმრები...



(ეტიუდი)

კვლავ იდუმალი ლიცლიცით,
თრთოლვით
უცხო გზებისკენ გვიხმობს,
გვაქეზებს
და მთვარის შუქის
ფერმკრთალი ზოლი
გადაჭიმულა ოკეანეზე...

აფრიკის ღამე დაჰყურებს გემბანს,
შავი ლოდვიით
ტლანქი და მყიფე
ოკეანე კი წინ გვეგებება
და ძირს
ტალღების
ხალიჩებს გვიფენს...



მარადიული დაბრუნება

შემკრთალი ყურე: კატარღები, სეინერები...
ჩაშესმის ბლოკის თოვლისფერი ლექსის შრიალი...
ცას აათრთოლებს შეძრწუნების ქრიზანთემები
და სულში აღწევს, იძირება იალ-კიალი...
აფრას — ჟრუანტელს, გაიტაცებს სილურჯის ველი,
ადგილის დედა გულდაფლეთილს მომეფერება...
კეფას ამიწვავს მამის — ხუროს დამსკდარი ხელი
და აუღერდება დაკარგული ქვეყნიერება...

განუყობილების ჩრდილ-ნათელი

მიხეილ ქვლივიძეს

აჰა, დაბრუნდა ღვთიური სევდა,
სასოწარკვეთის ნიშანი გაზის
შუბლზე და პირქუშ უფსკრულში ხელავე,
ცოდვილობს ნათლის უმწეო ხაზი...

რას იტყვი? — გული შენი — ლოდია...
რად კვნესი? — ტანი შენი — ხიდია...
გაუძეღ, სანამ მიდი-მოდიან,
სულში კი — ღვთაებრივი ბინდია.

ლექსი სამეგრელოს

მამა. დუმილიც მიმითვალე შენდამი ლოცვად!
6. ბარათაშვილი

ვარ ვით ფოთოლი შემოდგომისა —
დადიანების ბაღში...

იქ გავიგონო წინაპრის „ჩელა“,
ნორჩის — „სი ქოულ ბატა?...“

ცხოვრება ჩემი — ნაღმი და ნისლი
უკვე გააგდეს კარში...

თქვენ გქონდეთ ყველა მთა და
ბორცვაკი,

ძაფს მისდევს სული... ვფარფატებ, ნელა
მივალ წილში, რათა

ვარჩევ კოლხეთის დაბლობს...
თუმც მწირი მივალ, ჩემი ლოცვაც კი
შენთან დარჩება: გმადლობ!

ხმა ბედისწერისა

მეწამულ სხივზე ეცემა ბგერა;
სივრცეში სიხმრის ლურჯი ნამტვრევი
აციმციმდება... და ცის შვილს გჯერა:
წუთიც... სოფელიც... ყოვლის დამტევი

ყოფილა... მაინც იწვი და ელი
ნიშანს: ჰა, ბნელში კრთება აჩრდილიც...
ხმაც!.. გახვალ: გიცდის მესამეს ხელი —
სატანის ავი გულისწადილი.

დაღლილობის დასასრული

წილზედარ სივრცეში სუნთქვის ტალღის ცახცახი — სრბოლა,
ტანში ძლეულთა ძრწის მელოდია...
ლურჯი სიცოცხლის ცეცხლი ქრება, ნაღველი ბოლავს
და გულზე ცრემლისფერი ლოდია...

აღარ მეგონა, თუ დამლოდა ბეგრა—სიზმარი...
ხედავთ? — სტრიქონთა ცისარტყელები
ჯვარ-მაგიდაზე ყრია, ლურსმნებს მაჭედებს ქარი
და გაურბიან ყოცონს ხელები...
გემშვიდობები პოეზიავ, კურთხეულ იყავ!..
ჩამოწერილი ზომალდივით გავდივარ ზღვაში —
სამიზნედ... უფალს მიაქვს ვალი — ნაგვემი თიხა
და ნათლის სხივი მიფრინავს ცაში...

ღამნათივი მელვაურის ლექსი

ამღრიალებს შენი გუგუნე,
ბრმას და მარტოსულს ყელზე მეხვევი,
ვით აღსასრული ყრუ საუკუნის
სილასაც მაცლი, — ქაფისფეხება...
საით მიბორგავს ეგ. სილიადე? —
სხივებმომქრალი სულის წრიალი...
ძელებს ამიკენესებს და მკერდს
განგრევს
ტორი ტალღისა — ოხერ-ტიალი...
ღამეს გაფატრავს სატანის ხმები,
ატორტმანდება ნებტუნის ველი...
ზომ გახსოვს, ზღვაო! — ვიყავით ძმეზა,
ჩემს შუბლზე გედო დაღლილი ხელი...

გადასარკულა ხილვის ნაპირი,
პრიალებს ბინდი — სიზმრების ბალი,
შორს, დაძახილის ხანჯალი ყვირის —
ჩამოქცეულა მეშვიდე თალი...
ქაოსის სუნთქვა — ყვითელი მტვერი,
ქლერს აბლაბუდა, კედელზე ბზარი —
ირწევა, ყმუის მეწამულ ფერში
ჩამოვლევილი საწუთროს კარი...
აჰა, გავრბივარ!.. ვეცემი შენთან...
ვცახცახებ... ვღვებ... გეხვევი... ვივლი...
შენს სიღრმეებში... მომავალ დღეთა —
შიშის სამოსში — ძე შეცთომილი...

მოლოდინი: სამეგრელო

ღუმს საწუთრო — სისხლისფერი...
ღღუმხარ, მაინც უძლებს:
ნისლში ბღავის, მწუხრზე მღერის —
დედა, მამა, ფუძე...
სივრცის ფრთაზე წეროების
სევდა აგაყრუოლებს:

ჩალის ქარცი ღეროების
ანარეკლის სრბოლა...
გიხმობს სიღრმე — ლექსების ცა,
გტანჯავს, მაინც უძლებ —
მამულს... გჯერა — პეშვი მიწით
მოგეხვევა გულზე...

კომატი მამის აჩრდილი

გიორგის

იმ სივრცის მკერდზე წვეთავს ცრემლი პოეზიისა,
ამ სიღრმის ფსკერზე -- მწარე პური — ქეამარილია...
ის გაიტაცა, შეახეთქა კედელს წვიმის გზამ
და გაილია
საწუთრო... მლაშე სიზმარ-ცხადის ოკეანეა —
ხსოვნა, და ცრემლი — სამყაროს რუკა...
ძვირფასო, ხედავ? — მოლოდინის შუბლზე ღამეა,
ქრქოლაა — უკან...
ამოების ყვავილს გრძნობენ ხელისგულები,
ამოების მტვერს ისრუტავს ყვითელი ფილტვი...
ის წყვიდადს ფატრავს დედალოსის ცოდვილი ფრთებით,
და... შენსკენ ილტვის...

ათიდან ათი

მომხრობა

ზის შეურხველად მოყანალებულ, მერხზე და უაზრო გამომეტყველებით დასჩერებია კალთაში ჩაყრილ თავის ხელებს.

დანისლული გონება უძლურია, აღიქვას რეალობა. დრო თითქოს გაიყინა. შეჩერდა ფაშთა სვლა. არსებობა შეწყვიტა ყოველმა სულიერმა. ირგვლივ უკუნი ბნელი ჩამოწოლილა.

მერე ნელ-ნელა, თანდათანობით გათიშული გონი იწყებს გამოსვლას ბურუსიდან. და მაშინვე სულის მღვრიე ფსკერიდან ამოტივტივებას ლამობს წარსულის სურათები — დაჩეხილ-დაქუცმაცებული კინო-კადრებით რომ ირევა ერთიმეორეში.

მაგრამ ანაზღედულად ცნობიერება ისევ ისე იძირება ღრმა. შავ უფსკრულში და კვლავ წყვიდადი ისადგურებს გარშემო.

მერე... თავიდან მეორდება ყველაფერი.

მტიკინეული ცნობისწადილით, დაუნიებით, ჰიუტად ძაბავს მეხსიერებას და აიძულებს, გონების დაფაზე აღადგინოს ის, რაც უკვე მოხდა და რაც გარდასულის კოფინილებაში ამიერიდან. მაგრამ ფიქრი განზე გაურბის და ვერა და ვერ ახერხებს ერთმანეთთან დააკავშიროს და გაერთიანოს დანაწევრებული სურათები, თანმიმდევრულად დალაგოს ცალკეული ეპიზოდები, ფრაგმენტები. შთაბეჭდილებათა თუ განცდათა მკრთალი იდიოგრამები, თვალშეუვლები სისწრაფით რომ ენაცვლებიან ერთმანეთს. სიზიფს შრომა. მივა თუ არა იმ ადგილამდე...

„ვაიმე, მოკლეს!“

წარმოსახვითი კინო-ფირი წამსვე წყდება და გონებასაც ერთბაშად ეფარება შავი ფარდა. ვახვათებული თავს აურდნობს ჭუჭყიანი, ალაგ-ალაგ ბათიაშაყრილ კედელს და... ქვავდება.

...ირგვლივ კი, ვით მუნჯ კინოში, გარბი-გამორბიან რაღაც ღანდები თუ... მათი ანარქილები. ისინი პირსაც აღებენ და ხელებსაც წამდაუნწმ იქნევენ, იმანებთან, იგრჩებთან და მანც... გაუგებარია, რა უნდათ, რას ეზრახებიან ურთიერთს ეს გონჯი მარონეტები.

„მერთო ჩემო, რა ტაკიმასხარობაა!“

ის უჩინარი, უხილავი რევისორი კი აღარ ისვენებს. ხელახლა (უკვე მერამდენელ) აკონწებს მრავალჯგის გაწვევითი კადრებს. მერე ერთი მეორის მიყოლებით ამწკრივებს მათ და იმართება ამ „დამონტაჟებული სურათის“ რეტროსპექტული ჩვენება, ანუ ჩვენება იმისა, რაც უკვე იყო. რაც ერთხელ უკვე გათამაშდა ბედისწერის ფარულ სცენარში.

„ვაიმე მოკლეს!“

მაგრამ აჰ, ამ ალაგას ისევ და ისევ იხევა რის ვაივალანით აღდგენილი კინო-ფირი, ირღვევა აზრთა დინებაც, აღიდებულ მდინარესავით რომ ეძებს გასასვლელს, რათა გაარღვიოს ჭებირი, გაიშალოს და ბოლოს სულაც გაუჩინარდეს ცნობიერების ლაბირინთებში.

.....ფანჯრის რაფას ორივე მკლავით დაეურდნო დაბურბუსალებული. ნათურები ხუსტად ანაოებენ ბეთა ტოტებით დაჩრდილულ ქუჩას. ღია ისფერი ცაზე აქა-იქ, კანტი-კუნტად ბუტუავენ ფერმიღებული ვარსკვლავები. შაერში აკაციის მძაფრი სურნელი დგას. ეჰ, ისე წავიდა გაწაფხული, ისე უცებ, თვალსა და ხელს შუა გაიპარა, რომ ვერც კი მოასწრო მიხით დამტკბარიყო. ჩუმი და წყნარი ხალაშოა. დაუჭერებელიც კია, აქედან, სულ ორიოდ ნაბიჯზე ქალაქის მთავარი გამზირი რომ იწყება.

თვალწინ დაუდგა გაბდღვრიალებული, ხმაურაიანი, ხალხმრავალი პროსპექტი და ერთბაშად მძლავრად, დაუოკებელი სურვილით გულმა გარეთ გაუწია. დაქანცულობაც თითქოს ერთი ხელის მოსმით გაუქრა. შინაგანად შეიმართა. ჯანდაბამდისაც წასულა ახლა ყველა-ნაირი გრამატიკა — გულის გამაწვრთლებელი და თავსატეხი ზმნების უღლებითურთ. ეყოლა, ბატონო, დღეს რაც იმეცადინა.

კარბთან მისულიც არ იყო, ნაცნობი მელოდია რომ ჩაენსა.

შოტრიალდა. ყური მიუგდო. მერე რეპროდუქტორთან მიიბინა, ხმას აუწია. ლისტის მეორე უნჯრული რაფხოდის მანგმა მყისვე აავსო მთელი ოთახი.



კისერზე ხელები გადაინაცვ კმაყოფილი დიმილით და გაირინდა, მერე შეირხა წელი ააყოლა ფეხი რიტმს. ცეკვა-ცეკვით მაგიდასთან მივიდა, ფრთხილად, თითის წვერებით გამოსწია სკამი და მის გარშემო იწყო ბზრიალ-ტრიალი.

სახეზე ხან მინაზებულ-მინაბულ იერს იღებს და ფეხის წვერებზე შემდგარი, კაბის კალთებანული კელაუცი დიმილით აქეთ-იქით თავს უკანავს უხილავ მაყურებელს, ხანაც ტემპს უმატებს ცეცხლოვანი მუსიკის კვლობაზე და მთელი არსებით ეძლევა თავბრულამხვევ რიტმს.

ექსტაზში შესულმა უცებ ვერც შეამჩნია, რომ მუსიკა შეწყდა. მაღლა ხელებაღმართულს და შესახტომად გამზადებულს თეატრალური დიმი ტურნებზე შეაცვიდა. მცირე ხანს ასე იდგა დაბნეულ-გაწბილებული სახით და უკვლადერილი, ხშირ-ხშირად აფახულებდა წამწამებს. მერე თავი გაიქნია, გაეცინა თავისხავე შეკრთომაზე, ერთიც დაბზრიალდა და ოთახიდან შერდულივით გავარდა.

სამზარეულოში თავი შეჰყო თუ არა გავის ქურასთან მოფუსფუსე ბებიას სულმოუთქმელად მიაყარა:

— ბებიო, მე მაშიდასთან მივდივარ, შეიძლება ცოტა შემადგვიანდეს. შენ არ შეგეშინდეს. გასაღები თან მიმაქვს.

— ღაცა, შევილო, სად გარბიხარ, შექამე რამე... მთელი დღე მშიერი ხარ...

მაგრამ ბებიას უკვე ეზოდან მოესმოდა შევილშვილის წკრიალა ხმა:

— დეიდა ხონია, უკვე მორჩით დალაგებას?

— საღამო მშვიდობისა, ძია ხარდიონ, სახიეროდ მიბრძანდებით, არა? მშვენიერი საღამოა!

— ოჰ, მიტო! ეს რა დიდებული ველოსიპედი შეგიძენია! მომილოცავს მშვიდობაში!

მარტო რომ დავიგულა თავი, თავდაღმართზე სირბილით დაეშვა. ისე გარბის, თითქოს მისწრებაზე ჰქონდეს საქმე. ყოველთვის ასე არაა? სულ სადღაც ეჩქარება, სადღაც აგვიანდება: თავის წარმოსახვაში შექმნილ წმინტებსა თუ ხილვებს ასდევნება კვალდაკვალ, გამაღებულთი. კრისთვის ქურაზე ნაბიჯი შეანედა. უამრავი ხალხი გამოფენილა გართვ განჯახულის ამ კვირა საღამოს. სხვათა ხალისიანი განწყობილება და სიცილ-ტკარცალი გადამდებია. წელში გაიმართა უნებურად. ყელი მოიდგრა. თვალები აუფუფუნდა.

სანაუციესთან წამით შეჩერდა: „ვაი! რა ცოტა ხალხია!“

კუთხეში, თავისუფალ მაგიდასთან რომ ჯდებოდა, ელვისუსწრაფისი მზერა შეავლო მეზობლად მსხდარ ბიჭებს. სულ ოთხნი არიან. ისე ხმაშაღლა, ღიბიანად და დაუდევარ კილოზე საუბრობენ, უთუოდ მეცხბრე-მეათეკლასელები ან დიდი-დიდი, პირველკურსელები თუ იქნებიან.

ის იყო, ჭამას შეუდგა და ერთი მათგანი, მაღალი, გაწრიული ბიჭი გადმოისარა მაგიდაზე და ხანჯასმული სერიოზულობით მიმართა:

— გოგონი, ხომ არ დაგვეწვევით?... მაინც მარტო ხართ და...

დანაწიენები ვითომ არ იცქირებიან მისკენ, მაგრამ გოგო გრძნობს, რომ უჩუმრად ყველა უთვალთვალავს და ქვეშ-ქვეშად იღიმებნა.

— მაღლობელი ვარ ყურადღებისთვის, მაგრამ... იცით, მარტო ყოფნა მირჩენია რატომღაც, — პასუხობს სიტყვების დამარცვლით და უწყინარი იერით პირდაპირ სახეში უყურებს ბიჭს, შეკავებული სიცილისგან თვალები რომ ასციმციმებია.

— იცით... ჩვენ გულით გებატივებით... სხვანაირად არ იფიქროთ... — ეშველება ამხანაგს ჩაბოხებული ხმით ღოყებდაჟღავა, ბუთბუზა ყმაწვილი: — ასე არ არის, ბიჭებო? — ყასიდად ეკითხება მერე თანამეგობარებს.

— რასაკვირველია აბა რა... ცხადია, მასეია მარტო რაღაც უზერხულია მაინც... — საჩქაროდ კვერს უკრავენ ისინიც გადამეტებული თავაზით.

ვითომ აქ არაფერიყო, გოგო მშვიდი, ერთობ მშვიდი სახით განაგრძობს ნაყინის ჭამას.

„მე ამ ლაწირაკებს დამიხედეთ ერთი მირტვენ ვითომ თავინთ ჭკაუში!“ — წყრომის გარეშე გაიგლო გუნებაში და ერთხელაც ყურადღებით მოავლო მზერა თითოეულ მათგანს. ძლივს შესამჩნევმა დიმილმა შეუტოკა ტურნები. თვალებში კვიმბური ნაპერწყლები აუკიჟვდა. მერე საწრაფოდ აისახა უცოდველი კრავის გამომეტებულება და:

— თუ ასე ძალიან გაწუხებთ ჩემი მარტოდ ყოფნა, გადმობრძანდით თქვენ თვითონ ჩემთან! ბიჭებმა სწრაფად გადახედეს ერთმანეთს. ეტყობა, არ მოელოდნენ ამ მოპატოებებს. წამიერი დაბნეულობა და ყოყმანი. მერე ერთბაშად წამოიშალნენ და ხმაურით, სიცილით შემოუსხდნენ ნავიდას. გოგოს წარბიც არ შერხვეია. დინჯად, აუჩქარებლად მოახუფდა თავს და წამოდგა. უეცრად გაჩუმებულ ბიჭებს თავი დაუკრა: — გამაღობთ ყურადღებისათვის, — ტელევიზიის დიქტორის ხმითა და შესბით წარმოთქვა და გასასველისაკენ გაემართა.

— ვაა... უკვე მიღიხართ? — შეიცხადა მაღალმა ყმაწვილმა.



— გვტყუებთ? — დაადევნა მორემი. გოგო წამით შედგა კარებში, უკან მოიხედა, ხელი დაუქნია და სასაცილოდ დაეჭუნა სახტად ქცეულ ბიჭებს და გარეთ გასვლდა.

— ვაჟ, ეს ვინ უოფილა, კაცო!

— მოდი, გავეციდით!

— შეეწვიეთ, მე ვიცნობ ამ გოგოს. ჩემი უბნელია. — გამოტყუდა უცებ ერთი მათგანი, აქანდე ჩუმად რომ იყო.

— მერე ვერ თქვი, შე დებილო?

— ისე ვიცნობ. რა? შორიდან, კარგი გოგოა.

გამზირზე მიმავალს, გუნებაში კვლავ უნგრული რაფსოდის მოტივი აეკვიტა.

„რა ჰქვია ამას ფსიქოლოგიაში? ჰო... მგონი პერსექვრაციას ეძახიან. ნეტა, რა შიმარბენინებს? ვერა და ვერ ვისწავდე ნელი სიარული. რა მოხდება, ახლა იმ კიბზე რომ ავბტე და დაუფარო ჩემებურად. მან გიუი ვეგონები ხალხს. ასეა, სხვა ვერასოდეს გაიგებს... სხვას რომ პგონია... მე რომ მგონია... შენ რომ გგონია... ჰგონიათ... ეგონოთ, ბატონო! ერთს გემოზე ვიბუქნავებდი და... მერე ბიჭო! რაც გინახავს, ველარ ნახავს... რა სულელური აზრები მომდის თავში ხანდახან. ეტყობა, ტვინი გამომილახდა ამდენი მეცადინეობით.“

მერედა, რატომ იღლავ თავს, ჩემო ძვირფასო?.. ხაქმარისა, ბებომ მხოლოდ უურმილი აღლოს და... მოგხსენება უოვედგვარი საზრუნავი, არც ამდენი ტვინის ბუღეტა დაჭირდება! ბების სახე ახვეტა წამიერად.

„არავითარ შემთხვევაში, პროტექცია და შეღავათები არ გამაგონოთ! კეთილ ინებოს და მოამზადოს სავანი, სხვთა, შორის... თავის სპეციალობა უველამ კარგად უნდა იცოდეს. დაბა!“

ჩადემა...

„ოოხ. ჩემი საყვარელი, პრინციპული ბებიკო!.. ჩემი უიშვიათები სამუზეუმო ექსპონატი!“ — გამარჯობა, სოფიკო. გენაცავდე!

„როგორ დაიბნა. ასე მოუხდება. ვითომ ვერ შემაჩინა, თვალი ამარიადა. აქაოდა, ბიჭთან პოვედვარო. რა მიამიტად შევცინე. კი წუნკალი ვარ მეც!“

მოიკვანწება. ლამაზად მოარბევს შოლტივით ტანს, თვალბში ანცური ნაბერწყლები უბრწყინავს. ტუჩებს ჩუმი ღიმილი დასთამაშებს.

„რამდენი ხანია პროსპექტზე არ გამოვივლია! რა ამბავია ამდენი გოგო და ბიჭი. გოგო და ბიჭი...“

„შენ კი მარტო მოდიხარ!“ — თითქოს ვიდაცის ხმამ ჩასჩურჩულა ყურში. შეკრთა. მერე ამაყად ააღერა ყელი.

„ახია შენზე! — ნიშნს უგებს იგივე ხმა: — არავის იკარებ. უველას ცხვირს უბზუებს, ასე თუ გააგრძელე, თავის დღეში მარტო იქნები...“

„რატომ ვარ მარტო? რამდენი ამხანაგ-მეგობარი მყავს! ხოლო რაც შეეხება... „იმას...“

„ხოლოს და ხოლოს, აღარ გამოჩნდა „ის“, შენი უფლისწული?“

„აღარ, ბატონო, და რა ჩემი ბრალია?“

„მას, ვისი ბრალია? გულის ხიდრმეში ბევრს როდი სჭერა თავისივე გამოგონილი კერპისა, მაგრამ...“

„ჰოდა, მე კიდევ არ შემიძლია თვალთმაქცობა...“

„სცადე!“

„ვეცადე!“

„მერე?“

„არაფერი გამოვიდა!“

ახალი კადრი:

...მანქანიდან გადმოღის ლამაზი ქალი და ღიპიანი, მელოტი მამაკაცი.

ისინი შენსკენ მოემართებიან. არა. შენსკენ კი არა, რესტორნის მიმართულებით აიღეს გეზი. მაგრამ შენ უნდა ჩავიარონ...

შენ კიდევ... ბეს ეფარები, არაფრით, არას დიდებით არ შეგიძლია ახლა შეხედო ამ ქალს.

კადრში შემოდიან: ბიჭის დიდრონი თვალები — არაბავშურად სვედიანი, და პაწია გოგონა, მას რომ ჩამოკიდებია ხელბზე და ბაჯბაჯით მოსდევს გვერდით. ბავშვების მამა კი — უოველ დილაუთენია — რძის რიგში დგომის შემდეგ შურშურით მიიჩქარის სამუშაოზე, ხოლო საღამოს დადლილ-დაქანცული, მოღუშული სახით, ნელა აუყვება აღმართს — შეეკრებითა და პარკებით ხელდამძიმებულნი. შინ ხვდებიან: ავადმყოფი, მოხუცი დედა — მეზობლებში ტი-



რლითა, წუხილითა და ჩივილით გულმომბებული, თავისი ასაკისთვის შეუფერებლად დიწი ბიჭი და სულ მუდამ თვალცრემლიანი, დაბუა გოგონა, მხას რომ არ შორდება ერთი წუთითაც.

...ქალი ხმამალა კიკისებს. მოშიშვლებულ, თითო გულმეკრდზე ბრჭყვიალებს ძვირფასი ყვლსახამი. ბრჭყვიალებენ აღმასის საუურებები, სამაჯურები, ბეჭდები...

კბილზე კბილს აჭერს აცახცახებული.

მხოლოდ ის თუ გაუგებს ახლა, ვინც თავად გამოსცადა უდედობის სიმწარე, ვინც თვითონაც დანატრებულა დედის სიბთოს და აღერხს. ვინც უჩუმრად იკლავს გულში დაბნეულ და ნაღველს პატარა დათხავით, ამჟამად რომ შეიკრავს ბოლომე წარბებს დედის ხსენებაზე. ვერც ვერავინ წარმოიდგენს, როგორი უსაშველო შეიძლება იყოს ეს დარდი და ნაღველი, რა ღრმად და მყარად აქვს მას გულში ფესვები გადგმული. თუმცა...

თავად ამ ბავშვებზე უფრო ბედნიერად გრძნობს თავს, რადგან... დედა ცოცხალ-მკვდარი კი არა ჰყავს ამთხავით, არამედ... მართლაც მოუკვდა.

ცოცხალ-მკვდარი! რა საშინელებაა ალბათ, ამიტომ ეწვის გული ასე ამ ბავშვებზე და ამიტომ, არ სწყინდება მათი აღერხის და მოფერება. ქვეშეცნულად ცდილობს შეუმსუბუქოს... რა? რა უნდა შეუმსუბუქოს? უდედობა?

ვერა. ვერაფერი აუნაზღაურებს ამ პაწიებს დედის დაკარგულ სიბთოს. სულ ტუილია! გულში ხამუდამოდ დარჩებათ ცარიელი და მტკივანი ალაგა, მისდღემში შერუსნები და დაუამბებელი.

და უშწერა ახლა, ხმლიოს თავის თავში სიძულვილისა და გაბოროტების გრძნობას, ასე ერთბაშად რომ მოზღვავდა, ახე მთლიანად რომ წაღეკა მისი გული, მთელი მისი სარსება. არც მიტყეხის გრძნობა არსებობს ახლა, არც შენდობის.

და ძლიერ იკავებს თავს, რომ არ მივარდეს და არ მიახლოს...

დაიცა!

როგორ გეკადრებათ, ცხოველიც არ ტოვებს თავის ნაშიერებს, ხანამ ფეხზე არ დააუენებს მათ.

ეს კი... წავიდა ისე, რომ უკან არც მოუხედავს!

მთელი არსებით, სისხლის ყოველი უჭრელით ეჭაერება ახლა ეს ქალი — ფეხადგმული სიყალბე, განსხეულებული — ლაღატი.

„ენაცვალოს დედა ჩემს ქეთისოს და დათოს!“

„ჩემი გურამიკო!“

„როგორ უყვარს ქმარ-შვილი!“

„აბა, აბა!“ (სხვები).

...უსაშველოდ დაბჩინილი პირი. გადმოქაჩული თვალები:

„смеяться Пяццо!“

ქალმა და კაცმა რესტორნისკენ გაუხვიეს.

უნებურად მომუჭული ხელი გაშალა. სული მოითქვა. არა, არ უნდა აჰყვე ამ საშინელ გრძნობას, სიძულვილი რომ ჰქვია, თორემ... შეუძლია შოის, ძალიან შორს. უსიერ ტევრში შეგიტუოს, საიდანაც მერე გაჭირდება გამოსვლა.

...გაღმა, ტროტუარზე გადავიდა. ჰადრის ძირში ჩერდება და ზევით იყურება. მეთხე ხართულზე შექი ანთია.

„შინ არიან!“

სწრაფად არბის კიბეზე და ზარს თითს აჭერს. მალე იღება კარი.

— აა, რახაკირველია, შენ ხარ, აბა, სხვა ვინ იქნებოდა ასეთი გადარეული!

— აბა, აბა! ცოცხა წესიერად ილაპარაკე და ხაერთოდაც, დროა, ისწავლო სტუმრის მიღება, გიორგი ბატონო!

— ომ, პარდონი მადმუაზელ-ი! (ბიჭი განგებ „აქართულებს“ ფრანგულ სიტყვებს).

— ხელი. ხელი გააჩერე, თორემ..

— თორემ, რაო, მადმუაზელი!

— ვაიმე, დედიკო! — იცილა უცებ გოგამ და ცალ ფეხზე სტუნვა დაიწყო, თან თითებს სულს უბერავს გამწარებით.

— რა ამბავია მაქ? ვინ მოვიდა? ა? მაიკო, შენ ხარ, შემოგვედღე? რა მოხდა, შვილო?

— ვაიმე, მოშკადა, მაშიდა, ამ დათვმა. თითები სულ დამამტკრია. ვაი, ვაი... — სიცილიტორილით შესჩივლა მისკენ მომავალ ქალს.

— გაა, არ გტყვენია, შვილო? უიმე, ღმერთო კი მომკალი მართლა როგორაა სჭვს ხედი...
ზავშეს თითები დაწითლებული...

— არაფერი უკირს. დედა. მაგი ისეთი ჭიშისაა, მალე გაუვლის. მაჩვენე ერთი, გოგო, მართლა გტყვა?

— არა. ტყუილა სტყვა, შე მართლა დათვო, შენა! ეს რა გიქნია, ბიჭო?

— შენ დაწუნარდი, დედა. ემანდ შენს საქმეს მიხედე. რაღაცას აკეთებდი, მგონია, სამწარე-ულღოში. ამ ქაღალბატონს კა... არაფერი უკირს — შემდეგისთვის ისწავლის, როგორ უნდა წარის დარტყვა. ასე არ არის ვანა, მადამუაზედ მაია? აბა, მოპ!

და მოულოდნელად ბიჭმა თავისი ვეება თათი დაავლო გოგოს, ილიაში კატის კნუტივით ამოიჩარა და თითქოს აქ არაფერიყო, აღჩქარებლად, დინჯად გააბოტა შიდა ოთახისკენ.

მაიკო უმწეოდ აფართხალდა. სიცილმოჩეულმა, ჭერ ზეფუნა დაუწყო, გამიშვიო, მაგრამ როცა მიხვდა, ვერაფერს გაავწყობო, გაჩუმდა. გაისუსა — სამაგიეროს გადახდის იმედით გულ-მოცემული. მამიდა გვერდით მოსდევდათ და ამოდ ცდილობდა გოგო ხელიდან გაეშვებინებინა ბიჭისთვის.

გამა ნადვლიანად ოთახში შელაქა, მერე შუა ადგილას შეჩერდა, გამარჯვებული მტაცებლის იერით მიხედ-მოიხედა. შემდგჯ თოჩინასავით ძირს ჩამოსვა გოგო, თვითონ უკუდგა და რევერანსი გაუკეთა მოჩვენებითი მოკრძალებითა და თაყვანისცემით:

— კეთილი იყოს თქვენი მოზაძენება ჩვენს აპარტამენტში, პრინცესა მაია! ორე ვუარ, მონ შერ! ბატონო ზაზა ბატონებო! ნახეთ, ვინ გვესტუმრა! რა ძვირფასი სტუმარი!

— ვხედავ, ვხედავ. წარით ვიცანი ჩვენი ძვირფასი სტუმარი. — ნახაზიდან თავადებლად ჩაიბურტყუნა ზაზამ და შუბლშეჭმუხვნელმა თავის ხშირ, გრუსა თმაში წვერწამახული ფანჯარი შეაცურა. თავი მოიქევა.

მაიკოს ის-ის იყო ხილა უნდა გაელაწუნებინა მოხითხითე მამიდაშვილისთვის, მაგრამ ანაზად სტუმარი ვაყის მოცინარე თვალებს შეეფთა და... თავი შეიმაგრა. სავარძელში მჭდარი, ფეხი ფეხზე გადაღებული ვაჟი საჩქაროდ წამოუღდა გოგოს და თავის დაკვირვით მი-ესალმა.

— ახ, პარდონ-ი! თქვენ, მგონია, არ იცნობთ ერთმანეთს? ვახო... ენე იგი ვახტანგ ზიზლაძე — ჩვენი ახლო მეგობარი, დიდი მომავლის მქონე, პერსპექტიული ინჟინერი, სხვათა შორის, აღმასწავლებელი ვახტანგ და...

— ნუ ირჭები ზედმეტად. ჩვენ ვიცნობთ ერთმანეთს, — შეაწყვეტინა მაიკომ მამიდა-შვილს, თან უჩუმრად თვალეზი გადაუბრიალა იმის ნიშნად, რომ შურისგებას უფრო ხელსა-ყრელი ფამისთვის დებდა, მერე სასწრაფოდ მიიღო სახეზე მედიდური იერი და ხელი გაუ-წოდა სტუმარს.

ვაჟის მიერ თავაზით მოწოდებულ სავარძელში რომ მოკალათდა, მამიდაშვილისკენ მიაბ-რუნა თავი იმავე იერით და სიტყვების დამარცვლით წარმოთქვა:

— გიორგი ბატონო! თუ შეიძლება დედას, გეთყვია, მაგ წრდილობით სავსე უმაწვილს გადაე-ცი ჩემგან, პითაგორამდე კაი გვარაინი მანძილი გიდევს-თქო. ასე რომ, მოიღეთ მოწყალე-ბა და გვადირსეთ თქვენი ძვირფასი უურადლება-თქო.

— ოჰ, ღმერთო კი მომკალი, მაიკო ბრძანდებით? — თავი ასწია ზაზამ. მერე ორივე ხელი გულზე მიიჭრა და თვალეზი ისე გადმოკარქდა, გოგომ ძლივს შეიკავა თავი, რომ მახაც დანარჩენებივით არ გასციენებოდა.

ბიჭმა მაიკოსს ცქცეტად შემოურბინა, მაიკოსთან მიიჭრა, თავიდან წარმოსახვითი შლაპა „მოიძრო“ და ვითომ მარჯვენი ხელში დაიკავა, მარცხენა — გაშალა, წელში ოღნავ მოიხარა, ცალი ფეხი ვაჭიმა და ის-ის იყო ღრმა რევერანსი უნდა გაეკეთებინა „შლაპის“ ქნევით, მაგრამ ვერ მოუშომა და უცაბედად იატაკზე ჩაქდა ფეხებგაჩაჩხული. სახეზე ისეთი ბრყუული გაოცე-ბა გამოეხატა, თან ისე საწყალობლად ახამხამებდა წამწამებს, რომ ახლა მაიკოსაც წასკდა სი-ცილი. ვიკ ტახტზე გორბობდა. სტუმარი ბიჭო, თუმცა თავშეკავებით, მაგრამ გულიანად იცი-ნოდა. წამიც და ზაზაც შეურთდა საერთო ხორბოცს.

შეშფოთებულმა დიასახლისმა თავი შემოჰყო ოთახში და მოხარხარე ახალგაზრდე-ბის დანახვაზე, ხელი ჩაიქნია თავდაცვ ღიმმორეულმა, და კარი გაიხურა.

მაიკოს დავიწყებოდა დედოფლის როლი და სავაძლის სახელურზე შემოსკუპებული. პატარა გოგოსავით იქნებდა ფეხებს. ფულმოჭრებული ზაზა კვლავ ნახაზს რომ მიუბრუნდა, კოპები შეიკრა, მამიდაე დაიბრუნა ზვიადი იერი:

—არ მორჩები, ბიჭო, შენ ბოლო-ბოლო? რა ვახდა ამისთანა ეს ნახაზი. დიდი ამბავი...

— ჭერ ერთი, ეს ნახაზი ჩემი არ ვახლავთ, იგი ვახონია, მერორც... შენი ფშუტა-ფშუტა ლექსები ხომ არ გგონია, ბიძა? პატარა რომ შეგეშალოს...

— აბა, აბა, შენმა მზემი ფშუტა-ფშუტა ლექსები! რა იცი შენ ლექსი...



— არც მინდა ვიცოდე. არ მჭირდება და იმიტომ. განაგებია?

— რაო, რაო, რა ბრძანე, ემაწვილო? რა არ მჭირდებაო? ლექსები?

— დიას. ლექსები. ლექსებისთვის კი არა, ჩემი სპეციალობისთვის მოვიცდიდე.

— ეგ ძველი ამბავია: ფიზიკოსები თუ... ლირიკოსები! — გამოაჭავრა მაიკომ ბიჭი.

— არაფერი ძველი არ არის: წავიდა, ბიძია, ლექსების დრო. მოგჭამა პირი წყობილიტყვაობამ. მორჩა და გათავდა.

— ხედავთ, რას ლაპარაკობს ეს ვაებატონი? მამ — გესლიანად ჩაიციანა მაიკომ;

— მაშ, შენის აზრით, რუსთაველი საჭირო არ არის? არც გალაკტიონი, არა?.. თქვენც მასე ფიქრობთ? — უცებ სტუმარს მიუბრუნდა და გამომცდელად მიაჩერდა სახეში.

თვალაპრიალებული, სახელაძული გოგო ისე მშვენიერი ისე მომხიზველი იყო ამ წუთს, რომ ვახს მწერა ვერ მოეწყვიტა მისთვის. მაიკო ამჩნევდა ამას, უფრო სწორად, ქვეშეცნულად გრძობდა თავის ძალას, მაგრამ თავი ისე ეჭირა, თითქოს ბაიბურში არ იყო.

ამ მოულოდნელმა შეითხვამ ვაჟი წამით დააბნია, მწერა ძირს დაიღო; თითქოს აზრებს იკრებო, ჩაფიქრდა.

„რა ხიმამათურია! და... როგორ მიყურებდა!“ — ხიმამით შეუტოკდა გოგოს გული. ბოლოს ვაჟმა თავი აწია, მწერა გაუსწორა მაიკოს და წუნარი ხმით უთხრა — იცით... მე, პირადად, მიყვარს... — წამით შეჩერდა: — კარგი ლექსები! — დაუმატა მერე დიმილით.

სუფთა და კრიალა იყო ბიჭის ღიმილი და გოგოს კვლავ უნებურად შეუქანდა გული, თუმცა შეეცადა, გარეგნულად არაფერი შესტყობოდა. მამიდაშვილებს გამარჯვებულის იერიით გადახედა.

— უყვარს არა... ფლავი — ერთბაშად ფარგალი ნახაზზე დაანარცხა ზაზამ და ტახტზე ფეხ-მორთხით მჭადარ გიას თვალი უყო, მაგრამ გია განგებინა სერიოზულობით შესცქეროდა მეგობარს და ვითომ ვერ შეამჩნია ძმის მრავალმნიშვნელოვანი მწერა.

— უყვარს ბიჭს ლექსები!, — კვლავ გაუტრიზავა ნათქვამი ზაზამ და თვისებურად ჩაიციან-ჩაიხვივნა: — აბა, ერთი ლექსი მაინც თქვი ზეპირად, ოღონდ... ვარდს გაეფურჩქნა კოკორიო არ დამიწყო ახლა!..

— სავალდებულო არაა ლექსის ზეპირად ცოდნა, ბატონო! — გამოექოშკა მაიკო ვახს და თვალები დააკვსა.

— ვინ მოგახსენა? სწორედ რომ სავალდებულოა, თუკი უყვარს. თქვას აბა, თუ ბიძია, ერთი ლექსი მაინც!

დუმილი. ღიმილიანი მოლოდინი, როცა წინასწარ ზეიმობ გამარჯვებას. უცებ ვაჟი შეირბა, თითქოს გარინდებიდან გამოერკვაო, და მღელვარებაშეკადებული ხმით დაიწყო:

„აპყვე კიბეებს, სადაც სფინქსი ქვეებს ეფარება
და შიშში გრძობდღე, რომ ახლოა ბედნიერება, —
ოპრამდენია სიცოცხლეში ასეთი წამი!
სულში გენიით ატეხილი რეკავს ლერწამი,
და ვან-დეიკის ლანდებივით მწეანდება ლამე...
ოპ, რამდენია, რამდენია ასეთი რამე!“

ისეთი სიჩუმე იდგა, რომ ბიჭს უნებლიეთ ენა დაება, მორცხვად გაიღიმა და.. დადუმიდა. „როგორი ღიმილი აქვს... ღმერთო!“ — სწრაფად გაუელვა გოგოს თავში და თვითვე ეოცა თავისი მღელვარება.

მერე ზაზას ფართოდ გახელილ თვალებს რომ ჰკიდა მწერა, დაუფარავი ნიშნისგებით ჩაიღიმილა. წამოდგა, თავი განგებინა მორჩილებით დახარა და ხმის ოდნავი წამღერებით წარმოთქვა:

— დიდად პატივცემულო ზაზა ლანდავ! და ძმანო ჩემნო განაგრძეთ თქვენი შრომითი საქმიანობა, ჩვენ კი — საწყალ ფილოლოგებს, დაგვიტოვეთ ასეთი ფშუტა-ფშუტა ლექსები. კარგად ბრძანდებოდეთ ახლა, ჩემო ბატონო! წავიდე მე!

— დაიცა, სად გარბინარ? რა იყო? რა ბიჭია გიკინა? ჰერ ერთი, შენ რომ იცოდე, მე რუსთაველი და გალაკტიონი არ მიგულისხმია, და მეორეც...

— ბავშვებო, კინო-სურათი იწყება! — შემოხედა ოთახში დიასხალისმა.



მას უკვე გაუწყო სუფრა და თუმცა მაიკოს გაქცევაზე უჭირა თვალი, მაშინდა შეიძლება აქეთ-იქიდან სტაცეს ხელი და გაჭიუტებული გოგო თითქმის ძალით დასვეს მაგიდასთან.

ერთხანს შეუბღმურა, ამჟამად თავაწეული იჭდა და ვითომდა უშფოთველი იერით, უღუპ-უღუპით სვამდა ჩაის, მხოლოდ უამიდან უამზე გაშვილავი ღიმილით შეავლებდა ხოლმე თვალს წან ტელეეკრანს და ხანაც გადაციცებულ ბიჭებს, შერა რომ ვერ მოეშორებინათ სურათისთვის, ერთი-ორჯერ მაიკომ ხტუმარი ბიჭისკენაც გაიხედა და მოეჩვენა, რომ მას სახეზე გულგრილობა ეხატა. ან იქნებ... სურდა... ასე ყოფილიყო?

— გამაგებინა ერთი, რა გაუურებიანებთ ამ გაუთავებელ ხოცვა-ჟღეტას და სისხლის ღვრას? გული არ გერევთა ხოლმე?.. ან არ გებზრდებათ ნეტავ?

„ყოველ ადამიანში პოტენციური მკვლელი ზისო... სადღაც ამოვიციტებ...“

ნუთუ?

შეუძლებელია!

და მაინც...

— შენ გაჩუმდი! — შეუღრინა ბიძაშვილს ნამცხვრით პირგამოტენილმა ზაზამ, სკამიდან სავარძელში რომ გადამჯდარიყო, რათა მოხერხებულად მოკალათებულს უფრო „გემრიელად“ ეჩვირა სურათისთვის.

— თუ ასე გხიამოვნებთ ეს სისასტიკე... მიდით ბარემ და დასცხეთ აგერ ერთმანეთს. ეს უფრო ბუნებრივი და ნატურალური არ იქნება, ვიდრე სურათის ცქერა!

— გესმით, რას ლაპარაკობს ეს ბინჯვინი? — ეკრანისთვის თვალმოუწყვეტლად წამოიძახა ზაზამ: — თუმცა... რა ვახაკერია, ამ გომიმა რა იციხ ჩხუბის მულაში, „კაროჩი...“

— რა აშბავში ხარ შენ, ვაჟბატონო? როგორ ელაპარაკებო გოგოს? — შემოუსწრო დიალოგს სამზარეულოდან მობრუნებულმა დიანახლისმა.

— აბა, რას ტლიკინებს ამდენს? ესეც ლექსი ხომ არ არის? რაც არ ესმის... გაჩუმდეს მაინც. — ინტიმარი არ გაიტება ზაზამ, თუმცა სახეზე კი წამოწითლდა.

— ხმა არ გავიგონო შენი ერთი ამას დამიხედეთ! ან ქალი არ იცი, ბიჭო, შენ, ან ხტუმარი? რას ჰგავს ეს? სა ხიტყვებსაა გოგოს რომ ეუბნები?

— ჩვენ ხომ ვებუზრებით, დედა! — გამოეხარჩლა ძმას გია.

— ლანძღვა-გინებას ხუმრობა არ ჰქვია. კამათი და დავა უნდა შეგეძლოს ისე, რომ ერთმანეთს შეურაცყოფა არ მიაყენოთ. და მეორეც, შენ რომ იცოდე, ვაჟბატონო, მაიკო სწორს ლაპარაკობს. ახლაც უურებში მიდგას წუხანდელი კინო-სურათიდან ტყვეების ზუზუნ-წივილი, ქვემეხების გრიალი, ავტომატების კაანი, ველური ღრიალი და ყვირია...

— გენაცვალე, მამიდა! — უცბე ფეხის წვერებზე შემდგარმა მაიკომ ორთავ ლოყაზე აკოცა სახეშეფაკლულ, თვალანთებულ ქალს. ახლა, ამ წუთას ერთობ საცნაური იყო მამიდა-ძმისწულის მსგავსება.

— მეც ასე ვფიქრობდი, ზუსტად ასე, ოღონდ... ამგვარად ვერ გამომეთქვა!

— ოჰ, ოჰ. არ მონახეს ქალებმა ხაერთო ენა! სენტიმენტოს! — ჩაიჭირქილა ზაზამ და ბიჭებს მალულად თვალი ჩაუკრა,

მაიკომ ერთი მოუხედა გამანადგურებელი მზერით და მერე ისევ მამიდას მიმართა:

— ერთი რამ მაინტერესებს, მამიდა: აი, თქვენ ბიოლოგი ხართ და.. თუ არსებობენ ვეფ-ზიჰამია ვეფხვები, ანდა ლომიჰამია ლომები?

— არა. არ არსებობენ, მაიკო.

— ანდა... ერთი სახეობის ცხოველები თუ კლავენ ხოლმე ერთმანეთს. მამიდა?

— არათუ კლავენ, შვილო, ერთმანეთს არც ასახიჩრებენ. მამინევი მოქმედებს ეგრეთ წოდებული დამუხრატუების ინსტინქტით. ასე იქცევიან, მაგალითად, ჩვენგან ათვალწუნებული მგლები და სხვა ცხოველებიც. ტერიტორიული ან მდედრის გამო კონფლიქტი არასოდეს გადააზრდება ხოლმე უღმობელ სისასტიკეში. ასეა ეს და ამ მხრივ საოცრად მოწესრიგებული კანონები აქვს საჭურვლეს, ჩემო მაიკო!

— თუკი მხეცები ან ერთიან თავიანთ ჭიშხ და ჭილაგს, მაშ, ადამიანი, ეს უფრონიერისი არსება, როგორღა იმეტებს თავისსავე მსგავს ქმნილებას? მაშ, გამოდის, რომ მხეცებზე უფრო დაბლა დგას? ყოჩაღ, ჰომო საიენს!

— მთლად მახეც არ არის, ჩემო კარგო: homo rea sacra homini — ადამიანი ადამიანისათვის წმინდათაწმინდააო! — იტყუაღენი ძველად.



— როგორაო, როგორაო, მაშინდა? ადამიანი ადამიანისთვის წმინდათაწმინდაა? ეგ ვინა სთქვა? სენეკამ? ლმერთო ჩემო, რა სიტყვებია! შერედა, როდისა ნათქვამი.

„ხოლო მე ვეტყვი თქვენ: — გოყუარდეთ შტერნი თქუენი, და აკურთხევდეთ მწყევართა თქუენთა, და კეთილს უყოფდით მოძულეთა თქუენთა, და ულოცვდით მათ.“

— რას იტყვით ამაზე, ქეუისყოლოფო ფიზიკოს-ინჟინერბო? თუმცა, რა უნდა მითხრათ! უფურთო და დასტებით ან მასობრივი მკვლელობებით, რაყილა ასე გსიამოვნებთ ეს ხასტი-კი ხანახაობა, მე კი მივდივარ! კარგად ბრძანდებოდეთ, ბატონებო!

— კი, ახლა, რას იფხობრები? დარჩი პატარა ხანს, დამთავრდება აგერ ეს სურათი და მერე ჩვენ გაგაცილებთ.

— დიდად გმადლობთ, ჩემო ბატონო. მაგრამ... არავის გაცილება არ შქირდება მე. პატარა კი არა ვარ. გზას როგორმე გავიგნებ შენამდე... უთქვენოდ. მერე, არც ისე გვიანა.

— თუ შეიძლება... მე...

— რაო, შენც არ რჩები, ვახტანგ? — რატომღაც ენა დაება ვიას.

— შენც... ბრუტუს? — თებრალურად გააკვირვა ზაზაშვი და გულზე ხელი იტაცა.

— თუ მაიკო ნებას დამართავს... მგონი, ერთი გზაც გვაქვს.

— ამა, გა-სა-გე-ბოა ყველაფერი წაბრძანდით ბატონო, წაბრძანდით, რაკი მასეა, რა გავწყობა. გზაში, თუ მოგწყინდათ, ლექსები წაუკითხეთ ერთმანეთს.

— მაიკო შეილო, რაკი ამ ტუტუცებს, უკაცრაული პასუხია და, მეტი ზრდილობა არ გააჩნიათ... ვახტანგი გაგაცილებს, მაშინდა. მეც უფრო გულშევიდალ ვიქნები.

— აი, ძმაო, წაიღე შენი ნახატებიც. კარგო ნამუშევარია. ვერაფერს იტყვი. შეგიძლია თუნდაც ხვალეე ახვიდე უშმაზე, სუთიანი განაღებულნი გაქვს.

...ნელა, ჩუმად მიბიძგებენ გვერდივერდ. და შიკოს სულაც არ ეჩოთირება, ხმას რომ არ იღებენ. არც იმას „იმჩნევს“, ორთავემ, შთანხმებულივით, გზა რომ გაიგრძელეს და სანაიროთი წამოვიდნენ.

როცა იქ, მაშინდაშვილებთან, ვახტანგული დაობდა, როცა ბიჭის დაკვირვებულ, ყურადღებთან შერებას გრძობდა და უნებლიეთ დამუხტულ-დამაბული, ანგარიშმიუცემლად ცდილობდა, კიდევ უფრო მოსწონებოდა ვაჟს, გული უჩვეულო სიამითა და სხარულით უფართ-ქალებდა. ქვეცნობიერად ზეიმობდა ამ გამარჯვებას.

ბიჭი ადრეც, ერთ-ორჯერ ნანახი ჰყავდა თავის მაშინდაშვილებთან და თუმც იმ წამიერი შერითაც სანაიროვნი განცდა დარჩენია გულში, მაგრამ ამ საღამოს სულ სხვა იყო... ამ საღამომდე შთანხმებული არ ჰყავდა. ადრინდელთ. მართალია, არ უნდოდა ამაში საკუთარ თავსაც გამოსტყობოდა, მაგრამ აშკარა და ცხადზე უცხადესი იყო: ბიჭის სახის გამომეტყველებამ, მისი თაფლისფერი თვალების თბილმა გამოხედვამ, ზედმიწევნითა ზრდილობამ, და საერთოდ, მთელმა მისმა გარეგნობამ, მიხრა-მოხრამ, მოსოშილმა, ძუნწმა სიტყვა-პასუხმა წარმოუდგენელი ძალით იმოქმედა მასზე.

და ეს შთანხმდება სულ უფრო და უფრო უძლიერდება. ყოველი წვრილმანი, თითქოსდა უმნიშვნელო ნიუანსი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, ათასგვარად ფერადოვანი და ცხოვრული ხდება, ერთიანად აპურობს და იმორჩილებს მის გონებას, მთელ მის არსებას.

და მოდის ახლა ბიჭის გვერდით უხმოდ, უსიტყვოდ და სრულებით არ ეუცხოება ეს ნდუმარება. პირიქით. გულით სწაღია, ასე მხარდახარ, უჩუმრად და წყნარად იარონ დიდახანს, ქვეყნიერების კიდემდე.

ხმის თათან ზოგჯერ ვაჟის მკლავის უკაბედ მსუბუქ შეხებას გრძნობს და ეღიშება თავისთვის ჯერ არგანცდილი ნეტარებით, ყელთაშდე სავსეა სინაზით, სითბოთი და არაფერზე, სრულიად არაფერზე არ უნდა ახლა ფიქრი.

წაიფორხილა. ეტუობა, რაღაცას წამოჰკრა ფეხი ფიქრებში წასულმა.

— იტყინეთ რაიმე, მაიკო?

„ოჰ, რა სანაიროვნი ხნა აქვს და... როგორ წარმოთქვამს ჩემს სახელს!“

— არა, არა, არაფერია. — გაიღიმა გოგომ. წამით იყურა, მერე წყნარი, ჩუმი ხმით განაგრძო: — რა ლამაზი ყოფილა სანაირო დამით. რანაირი მუღღრო... და იცით, მთვარეც სულ არ მეჩვენება ახლა ბუტაფორიად...

ბიჭმა უხმოდ, წყნარად ჩაიციინა.

— თქვენ მართლა ალბინისტი ხართ, ვახტანგ? — უცებ ეკითხება გოგო და გვერდულად, ფრთხილად ათვალღირებს ოდნავ რწევით მომავალ, ტანმალ, ბეჭებში გაზიდულ ბიჭს. მთელი იმ ხნის მანძილზე, რაც მაშინდაშვილებთან იყო, მხოლოდ ერთხელ გაუმართა მზე-



რა. ახლაც, რატომღაც გაურბის მის შემოხედვას, თითქოს ეშინია იმ მომენტს, როდესაც დაიხსნება ბიჭის თვალებიდან რომ იღვრება.

— იცით... ზუსტად რომ ვთქვა, ალბინისტებს დავეყვები ხოლმე, როცა დროს მოვიხებლეთ. ახე რომ... —

— მაშ, მწვერვალზე არ ასულხართ? — შეაწყვეტინა გოგომ.

— როგორ? არა. — გაღიმა ბიჭს გოგოს მოუთმენელ კილოზე.

— ჰოდა, ესაა მთავარი...

გოგო ისევ დადუმდა. მერე თითქოს ფიქრშია, განაგრძო:

— საოცარი შეგრძნებაა, ალბათ, მწვერვალზე რომ შედგამ ფეხს, არა? მანამდე კი... ყოველ წუთს. ყოველ წამს სიკვდილ-სიცოცხლესთან ჭიდილი... და ყოველივე ეს იმ სიამოვნების საფასურად, რასაც მწვერვალის დაპყრობა იწვევს? უცნაურია...

— ამაზე მაშინ არ ფიქრობ. ერთი სურვილია გამოძრავებს — დაეფუფო მწვერვალს. სხვა დანარჩენი აღარ არსებობს. სხვაზე აღარაფერზე შეიძლება ფიქრი მაშინ...

აი, წელან თქვენ მთვარე ახხენით, და ბუტაფორიას მიამხგავსეთ, იქ, მწვერვალზე სულ სხვანაირად აღიქვამ მთვარესაც, მზესაც, ცას, მთას, შიწას, საკუთარ თავს და... მთელ სამყაროს. უსაზღვროებასთან მიახლოებისა და აბსოლუტური თავისუფლების შეგრძნება ბადებს, ალბათ ამ თავისებურ შეგრძნებას. თუმცა... ამის გაღმარება შეუძლებელია. ეს... საკუთრად უნდა განიცადო.

ბიჭი გაჩუმდა. დაოკებული მდგომარეობა მოისმის მის ხმაში, გოგოსაც მუცისა გადაედო ეს განწყობილება. მაგრამ ამჟერად დუმდა არჩია. არ უნდა ახლა შეეკამათოს ბიჭს, თუნცა ზოგა რა მანძი გაუგებარი და აუხსნელი რჩება მისთვის.

— თქვენ და ზაზა ერთად სწავლობთ, არა? — ხანგრძლივი სიჩუმის შემდეგ ეკითხება ბიჭს ისე, თითქოს საკუთარ ფიქრს გაეხშიანაო.

— დიახ, ოღონდ სხვადასხვა ჯგუფში.

— ისე, საცა სამართალია, ზაზა თეატრალურზე უნდა შესულიყო. ჩემი აზრით, მსახიობობა უფრო უპრიანია მისთვის, ვიდრე ინჟინრობა...

— ზაზამ მაოქმატიკა და ფიზიკა ბრწყინვალედ იცის... სხვათა შორის, ვიამაც.

— იცით, ვიაც საღამო-დასწრებულზე აპირებს გადასვლას.

— ვიცო... შეიძლება ჩვენთან დაიწყო მუშაობა.

— თქვენთან?... თქვენ სად მუშაობთ?

— ელექტროხელსაწყოების ქარხანაში.

ისევ დუმდა.

„ამასაც მგონი მამა არა ჰყავს... გულით ავადმყოფ დედას უფლის თურმე და პატარა დაიკოს... იმიტომაც... რა ჭნახ, ამა? ზაზა და ვიაც ხომ იძულებულნი არიან... რადგან...“

„უბ, როგორ მომენატრა ჩემი მამიკო! როდის დაბრუნდება ექსპედიციიდან?..“

„...იყო და არა იყო რა... ღვთის უკეთები რა იქნებოდა? იყო შაშვი მგალობელი... იყო ერთი პატარა გოგო, რომელსაც დედა ადრე გარდაეცვალა, მამამ... მერე ცოლი არ შეირთო (გადახვევა სტერეოტიპიდან!), ბავშვი დედინაცვალს არ ჩაუგდო ხელში, ისე, როგორც ეს ზღაპრებშია ჩვეულებრივ... დედინაცვალიც, თვალში ნაცარი...“

დედით ობოლ გოგოს წრდილა ბეზია — ერთბაშე მკაცრი და გორგოზი ქალი. კიდევ მამიდა... და... მამა!

მამა! ათი წელი უერთგულა... ახლანდელ დროში, ჩემო ბატონო... უვარბია თურმე ცოლი (წარმოიდგინეთ). ისე ქალები... მოგახსენება... კაცია ბოლოს და ბოლოს. ის დრო წავიდა... ბერობის. ახლა, მართალია, ცოლიც ჰყავს და ბავშვებიც, მაგრამ მათი მანძი სულ სხვაა მისთვის და საერთოდ, მთავარია (რა? რა არის მთავარი?)... უნდა შეეგუო გარემოებას...

ვინც ვერ ეგუება...

აი, მამიდა ვერ შეეგუა და... წავიდა კიდევ კაცი ოჯახიდან. ბეზიას ჰყავს თურმე მამიდა — მსახიობ მართალი და... უკომპრომისო!

ო, ჭიანის ზვიადი ქალის ერთგულების, ოჯახური სიმშინდისა და სიყვარულის სიმბოლო! სიმბოლო მშვენიერების და სილამაზის!

პათეტიკა. ნამეტანი პათეტიკაა, დიმიტრი ბატონო!

იყოს პათეტიკა, ჩემო, იყოს!

ჭიანის ქალს რომ უყურებ, გინდა დაიჭირო, ადამიანი სიყვარულისთვის, სიკეთისთვის გაჩნდა ამქვეყნად. დიახ, არა აქვს უფლება ადამიანს ამ ციხე ქვეშ იყოს ბოროტი, კაცთმომძულე, მკვლელი, მძარცველი, მჩაგვრელი, რამეთუ იგი ამ ქვეყანას მოეკლინა სილამაზის, მშვენიერების მსხურად და არა-მის მსახვრელად!



მებოძეთ თქვენი ხელი, ქალბატონო თამარი უნდა ვემაზროო მოწიწებით.

ოო, ქალის ხელების მოსაფერებლად და სათაყვანოდ გაუჩენია იგი არსთა გამრიგებ, ჩემო ბატონო! წარმოიდგინეთ წამით გოკონდას ხელის მტვერები? და დაპერინეთ ახლა ამ ღვთაებრივ ხელზე კვავი და ახეხინეთ! ანდა... უინწვისის ანგელოზს მიეცით ხელში... არა. გრძელი პერგამენტი არა... გრძელი თოხი და გაუშვით ყანაში სათოხნელად!

დიდებული სანახავი იქნება, მე და ჩემმა ღმერთმა დიდებული, არა? ამიტომაც იყო, ჩემო ბატონო, ასე უფრთხილდებოდნენ ჩვენი წინაპრები ქალის სილამაზეს. ამიტომაც იყო, ჩვენი ქვეყანა ლამაზ ქალთა საუფლოდ ითვლებოდა. სადაც უბრალო გლეხის გოგოც დედოფლობას დაიმშვენებდა ხოლმე. ახლა შეხედეთ ამ მშვენიერ ხელებს? რა დღეში არიან ისინი!

ემ, რას იზამ? იცვალენ დრონი, ჩემო ბატონო, იცვალენ დრონი. და ამაოა უოველგვარი მჭევრმეტყველება! იყო და არა იყო რა...

რა ლამაზი, გრძელი თითები აქვს ვახტანგს... კიბეზე ჩამოსვლისას რომ ხელი შემამშველა... თითქოს ჩვეულებრივი უურადლების ამბავია და მიანიც...

ის მზერა! ოჰ!

მკლავებზე ხელი მოისვა უჩუმრად.

— შეგცივდათ, მაიკო?

„შემჩნია ისე იგი...“

— არა, სულ არ მცივა, პირიქით, სასიამოვნოდ გრილმა...

— თუ გნებავთ ჩემს კურტაკს...

— არა. არა. გმადლობთ... — საჩქაროდ შეაწყვეტინა გოგომ და გუნებაში დასძინა: „მე შემძლია... იცი, მე შემძლია მთელი ღამე ასე ვიარო, მთელი ღამე, გათენებამდე და...“

— არ გაინძრეთი ხმა კრინტი!

„ვაიმე, ვახო!“

პირველი აზრი, რამაც თავში ეღვასავით გაურბინა, და შემდეგ: „სანაპიროთი რომ არ წაღოვსულიყავით...“

— აბა, სამკაულები! მოიძრე! ჩქარა! — გვერდში დანის წვერის შეხება იგრძნო და მუცზე ყურებს: და ყელზე აფათურდნენ სლიპინა ხელები. თითქოს უხსენებელმა გადაუარაო სხეულზე, შეაურთოლა. მაგრამ თავისი თავი აღარ ახსოვს ახლა, მთელი გულისყური ვახტანგისკენ აქვს, თვალებიც ძალაუნებურად მისკენ გაურბის.

ბიჭს ჩუმი გინებით ეგაჭგურებთან.

„კურტაკს ხდიან! ღმერთო, შენ მიშველე!“

— ჭინსიც... ჭინსიც გაიხადოს, მაგის!...

„ვაიმე, ვახო!“

ბიჭისკენ გაიწია უნებლიეთ: — არაფერი მაქვს. აი, ხომ ხედავთ? არაფერი! — უანგარიშოდ იშვერს წინ ხელებს.

— რატომ არა გაქვს მერე, შენი... — ერთმა მძარცველთაგანმა მუშტი ჩასცხო სახეში გამეტებით. წამით თვალთ დაუბნელდა.

და უცებ, მოულოდნელად ვახტანგმა მოძალადეს ისე ამოარტყა, რომ იგი კვნესით ჩაიქცა ახფალტზე. წამიც და ახლა ჭეორე შაჰყვა მას, მერე მესხე...

„მოკლავენ. ვაიმე!“

— ვახტანგ, გეხვეწები. გემუდარები...

თავდაც არ იცის კარგად, რასა სთხოვს, რას ეხვეწება.

ანაზღად მეოთხის ხელში დანამ გაიღვია.

„გათავდა. ვაიმე!“

— გვიშველეთ, ხალხნო! — თითქოს სხვისი ხმით აკვილდა.

— ვაჩუმი, შენი!.. — დანიანმა წიხლი ჩააწილა გვერდში. ტკვილისგან გონი დაეკარგა. როცა გამოერკვა, ჩამიჩუმი არ ისმოდა ირგვლივ. ანაზღულად ურუ კვნესა შემოესმა.

„ვაბო! ვაიმე!“

...თითქოს სხვისი მწერით უფურებს და აღიქვამს თვალისწამში დატრიალებულ ამბებს. თავის ზმასაც ვეღარ ცნობს. სხვა დროს, ალბათ, ვერასოდეს წარმოიდგენდა, ასეთი კივილი თუ შეეძლო. ეს რაღაც ველური, პირველყოფილი ადამიანის გულიდან ამოხტეპილი ყვირილი თუ მოწოდება უფრო იყო.

თითქოს ვიღაც სხვა გარბის შუა ქუჩაშიც, თმაგაწეწილი, სახეშემლილი... და ხელებს გამეტებით იქნევს.

ერთმა მანქანამ ჩაუქროლა. მერორემ.

ალარ აჩერებენ?

იქნებ უკეთესია... მთავარ ტრასაზე გავარდეს! შეიძლება მილიციებს გადაეყაროს. მის სასწრაფოში დარეგონ როგორმე? მაგრამ... იპოვის კი დაუზიანებელ ტელეფონს? და მერე.. სანამ დარეგონ.. სანამ სასწრაფო მოვა...

სწრაფად ენაცვლება ერთნაწილს აზრები, მაგრამ არც ერთი მათგანი არ უჩერდება თავში. სანამ გმირთა მრედალზე ანდა რუსთაველზე აიბრუნებს. დაიკლება კიდევ ბიჭი სისხლისგან!

..ვახო ვაიმე... მისი აქ დატოვება არ შეიძლება!..

წამით კვლავ ბრუნდება გონდაქარგულ ბიჭთან. თავს ორივე ხელით უწყევს...

— ნუ გეშინია... ნუ გეშინია, ვახო, შენი კირიმე... — ჩურჩულებს უაზროდ, ბმწართმეული.

..რა ვქნა? ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო!..

ისევ შუა ქუჩაში გარბის.

..ჩავუვარდები... ჩავუვარდები! შერცვ არ გააჩერებენ?..

მის ფეხებთან დაამუხრუჭებს მანქანა. ღია სარკმლიდან თავი გამოჰყო მძღოლმა. შეუკურთხა:

— გიფი ხომ არა ხარ, შენი...

— თქვენი კირიმე... იქით... ბიჭი დაჭრეს. კვდება. მიშველეთ... საავადმყოფოში...

— მილიცია-პოლიცია მინდა ახლა მე? — ხელი აუქნია უცებ კაცმა.

მანქანა ადგილს მოწყდა.

— საავადმყოფოში... სასწრაფოში... დარეგონ...

..ღმერთო, რა ვქნა? როგორ მოვიქცე?.. — ხელებს იმტვრებს სასოწარკვეთილი. მერე წამოიშეშლება. გონება ეთიშება.

მანქანამ შეუნელა. შეჩერდა.

!ლივის!

ახეში შეაფრინდა მოღმარე მძღოლს:

— ბიჭი დაჭრეს. მიშველეთ!

ღიმილი შეეყინა ტურბზე კაცს. გაზს ფეხი დააჭირა...

..ღმერთო! ამასობაში... ამასობაში ხომ...!

უკვე დამბლადაცემულივითაა. ალარ იძვრის. უიმედო თვალებსა და აუოლებს კანტიკუნტად ჩაქროლილ მანქანებს.

— რა მოხდა, გოგონა?

უცებ ნათლება თავში.

..შველელი!..

ეს ხმა სხვაში არ შეგეშლება! არა!

იმედის სხივი. ჩამქრალი თვალების უეცარი აელვარება.

— იქ... ბიჭი კვდება... ღვთის გულისთვის... — ყელში ბურთივით ეჩხიბება რალაც.

— აბა, სად? მაჩვენე, ჩქარა!

საჩქაროდ გაღმოდის მანქანიდან.

..ჩქარა! ჩქარა! იქნებ... ჯერ კიდევ გვიანი არ იყოს...!

..ბიჭმა ურულ დაიკვნეს, როცა „იმან“ ხელში აყვანა სცადა.

..ცოცხალია ღმერთო!..

— მომგზავრეთ! ფეხებზე მოჰკიდეთ ხელი! ფრთხილად!

გაპირებებით, წვალბით აწვევენ მანქანის უკან სავარძელში.

..ღმერთო ჩემო! რა მიმიდა!..

თავდაც უკან ჭდება, „იმის“ ბრძანებით კალთაში იღებს ბიჭის თავს. რომ არ გადმოვარდეს...

..იქნებ... იქნებ... ღმერთო!..

ეს სიტყვები შუქნიშანივით ენთებიან თავში და მალევე ქრებიან: „იქნებ... გადარჩეს?..

„ის“ რალაცან ეკითხება. პო, რამდენი დრო გავიდაო. რომ ალარ იცის?

..იქნებ: მთელი საუკუნე!..

ალარ ახსოვს. მორჩა და გათავდა. ერთი შეგრძნებდა შერჩენია: „გადარჩება?..

თუკი საავადმყოფოში დროზე მიიყვანეს, თუკი...

..ღმერთო ჩემო! რამდენი თუკი არსებობს თურმე!.. და მინც... ამ „თუკის“ ჩასტიდებაა გამწარებით. სხვა უველაფერი ბნელშია ჩაძირული. წყარაშში. ვერც ვერაფერს ამჩნევს გარეშე. ვერც იმას, ცრემლები ღვარად რომ ჩამოსდის თვალთაგან.



...უანგარიშოდ მოძრაობს. უანგარიშოდვე ემორჩილება უცნობის ყოველ განკარგულებას მის მოკლე ბრძანებებს.

თითქოს სიზმარშია. ანდა კინოს შეუფერებულ კადრებს უყურებდეს.

უცნობი აკეთებს ყველაფერს. იგი დარბის. იგი რეკავს სადღაც. ერთხელ მასაც ჩაჰკითხა იქნის ტელეფონის ნომერი.

თავი უხმოდ გაქანია, არ ვიცით. უცნობი უხსნის ვიდეოებს რაღაცას. თეთრხალათიანები მიმოდიან ირგვლივ. ყოველ მათგანს იმედითა და მოლოდინით შეჰყურებენ.

სადღაც შეიყვანეს და სისხლი აუღეს მასაც და „იმასაც“. საავადმყოფოში თურმე სისხლი აღარ ჰყოფნით. „იმის!“ სისხლი შესაფერისი აღმოჩნდა. უშველის? გვიან არ არის?

მერე ისეღ მისხლებში ზის, მერხზე. უმწეო გამომეტყველებით. ისეთი შეგრძნება უჩნდება წამით. თითქოს ფრთებდალეწილი ფრინველია, ვერასოდეს რომ ვერ აფრინდება ცაში და აქ ძირს, მიწაზე მოუწევს ფორთხილი, აქ. მიწაზე უნდა დალიოს ხული...

„ხმა! კრინტი! არ გაინძრეთ!“

კადრები სწრაფად ცვლიან ერთმანეთს. და ისევ გულში ჩაბრუნებული კვილი:

„ვამე, მოკლეს!“

გვერდიგვერდ მოდიან სანაპიროზე. თბილი საღამოა. მშვიდი და წყნარი.

ამ იდუმალ სიუჟეტსა და გარინდებას მხოლოდ ვაჟის ხმის გასაოცრად ღამაში ტემბრი არღვევს დროადრო. საამო, გულსსამაჩქროლებელი ტემბრი. ხმის ეს კილო და არა თავად სიტყვები, არაჩვეულებრივი ძალით იზიდავს რატომღაც... ხმის ეს ტემბრი, მისი იდუმალი უჩინარი რხევა — ხულის სისხავის განცდას იწვევს: ესოდენ უცნაურსა და მოულოდნელს. და ყველაფერი, ირგვლივ ყველაფერი, ყოველი სულდგმული, მთელი სამყარო მოლოდინს მოუცავს. სასწაულის მოლოდინს:

„სეზამ გაიღე!“

და ოდესღაც წარმოსახვაში, ბავშვური მხურვალე ფანტაზიით ნაგები ზღაპრული სახახლე და იდუმალი სილამაზის ბალი ხელახლა ცოცხლდება, სულს იღვამენ ჩანჩქერები, ნაკადულები. მარმარილოს თეთრი კიბის საფეხურები მალღამალღამო მიიწვეს. ცის სამრეკლოდან რეკავს უზილავი ზარი და... შეცათა საუფლოდან მოეშურება თეთრ რაშზე ამხედრებული მზეკაბუკი — ლოდინით გულგაღებული ასულისკენ.

„ზეზამ, გაიღე!“

— ხმა! კრინტი არ გაინძრეთ!

„ვამე, მოკლეს!“

— გადარჩება?

— ჭერ არავინ იცის... ზვერი სისხლი დაუკარგავს...

„დროზე რომ?“...

აღარ ამთავრებს მტკიცნეულ აზრს. უცნობი ისევ ეუბნება რაღაცას.

„პო, ჩემ ტელეფონი... ბებია... არაფერი იცის... არც მამიდა... ბიჭებმა...“

— ახლავე... მამ; მერე — ნოლ-ორი, არა, ვამე! დამავიწყდა! ვეღარ ვიგონებ!

— კარგი. არა უშავს. მერე მითხარით, როცა მოგავონდებათ... — მკლავზე ხელს ადებს ფრთხილად და უღიმის გამგებინად, თანაგრძნობით.

ახლავა შეხედა სახეში. ღმერთო ჩემო! თურმე რა ახალგაზრდაა!

თითქნის ხულ ბავშვი. მას კი ეგონა... მაგრამ ეს ხმა! ხმა თითქოს დიდი კაცის აქვს. მშვიდი, დინჯი, წყნარი, ამ ხმამ... როგორც კი დაილაპარაკა, ამ ხმით იცნო... უფრო სწორად, იგრძნო, რომ „იხაა“. მხოლოდ მას, მშველელს შეიძლება ჰქონდეს „ასეთი ხმა!“

„როგორი ფერმერთალია!.. აღბათ ბვერი სისხლი რომ ამოუღეს, იმტომ...“

ნელ-ნელა უბრუნდება ცნობიერება. ახლა აგონდება, რომ საავადმყოფოში ფეხის შედგმისთანავე, სუყველას, ვინც შეხვდა, ერთსა და იმავეს ეკითხებოდა: „რატომ... რისთვის?“

არავინ პასუხობდა. არავინ. ზოგი მხრებს იჩეჩავდა უსიტყვოდ. ზოგიც თვალს არიდებდა. ზოლო ერთმა თეთრხალათიანმა ესლა უთხრა: „დაწყნარდით, გოგონავ, დაწყნარდითო“, მშვიდი, გულგრილი ხმით უთხრა და გაეცალა.

დაწყნარდითო. ღმერთო ჩემო. როგორ დაწყნარდეს, თუკი არავინ სცემს პასუხს. არადა, უნდა უპასუხონ. მოვალენი არიან, უპასუხონ. ამ თმაქალარა კაცმა მაინც უნდა გასცეს პასუხი: „რატომ... რისთვის მოხდა ეს? ჩერებისთვის? ნუთუ... ჩერებისთვის?“

უნდა აუხსნას. ვალდებულია, მოვალეა. დიახ, მოვალეა, იმიტომ რომ... თვითონ თვრამეტი წლისაც არ არის ჭერ. ამ თმაქალარა, ხნიერმა ექიმმა კი უნდა იცოდეს... მან უნდა აუხს-



ნახ, გააგებინოს... აკი-ადამიანები ყველანი კარგები იბადებიან, კარგები და კეთილები!... თუკი... მართლა ასეა... თუკი...

ახლა ისიც ავონდება, ვილაც თერთხალათიანმა ქალმა საბაზანოში რომ შეიყვანა და სისხლით მოთხვრილი ხელები დაბანინა, თან რაღაცა ეუბნებოდა, ალბათ უყვავებდა. მაგრამ მის გონებამდე ველარ აღწედა ქალის სიტყვები:

„ვაზოს სისხლი!“ — ამის გაფიქრებამ ისევ შეწარა. ესაა ერთადერთი, რაც ტვინს უბრლავს ახლა და სისხლს უყინავს ძარღვებში...

მთელი სხეულით მორღვეული მიზარბაცდა მერხთან, უილაქოდ დაეშვა ზედ და... გაშეშდა.

...გვერდით მჯდომ ბიჭს ფრთხილად შეახო თითები სახელოზე:
— უკაცრავად...

— ლევანი მქვია. — მუისვე შეჭლიმა ბიჭმა.
„ღმერთო ჩემო! ეს ღიმილი... და... როგორ გაცრეცია ფერი... რამდენი ამოუღეს ნეტა სისხლი? ალბათ ბევრი!.. ჩემმა კი — არ ივარგა!“

— ლევან! იქნებ სჭობია... რადგან... რომც გადარჩეს...
„შერევილი ვეგონები ნალდა!“

— იცით... მე მინდოდა შეთქვა... აქვს-მეთქი სიცოცხლეს აზრი, თუკი... იცით, ექვსიდან ერთი? იქნებ ძალზე ცოტაა? თქვენ... როგორ ფიქრობთ?

..მგონი. მთლად ავურიე... დაწყობის მაგიერ!“
— დაწყნარდით, მაიკო. გენაცვალე, დაშვიდდით. ყველაფერი კარგად იქნება!

„ჩემი სახელი? ხიდან... თუმცა რა მნიშვნელობა აქვს... არა, ესეც დაწყნარდითო, რომ შეუბნება, ამანაც ვერ გააგო...“

— იცით, მე მინდოდა შეთქვა, რომ...
— მერე, მაიკო. მერე გენაცვალე. სხვა დროს მითხარით. ახლა დაშვიდდით...

— მე შვიდალ ვარ, ლევან. იცით, ძალიან შვიდალ.
„გვების... მეტისმეტადაც!“

→ საქმე ისაა, ლევან, რომ მე... მე მიმარჩია... ჩემის აზრით... — თავი გააქნია ჭიუტი გამონეტყველებით: — იცით... თითქმის ბუთმა მანქანამ თუ ექვსმა ჩამიქროლა იქ მაშინ... და მხოლოდ თქვენ... მხოლოდ თქვენ აღმოჩნდით ექვსიდან... ძალიან ცოტა ხომ არ არის-მეთქი ეს?

..მიხვდა მადლობა ღმერთს. გაიკო!“
ახე მოეჩვენა მაიკოს, რომ დიდხანს, ძალიან დიდხანს იყო ბიჭი ჩაფიქრებული.

— აბა, რა უნდა გითხრათ, მაიკო? მე მესმის თქვენი... — წამოიწყო ბოლოს, ხანგრძლივი დუმილის შენდვ. მძიმედ, ძალიან მძიმედ წარმოთქვამდა სიტყვებს, თითქმის უჭირბო ლაპარაკი.

შეაწყვეტინა.
— კიდევ ხომ უნდა ვიცოცხლოთ.. ვინ იცის იქნება ოცი წელი, ოცდაათი, ღმერთო ჩემო! ღირს კი? რისთვის? რატომ? თუკი...

— იცით... მე მესმის თქვენი მაიკო, მაგრამ... — შეჩერდა ისევ. შუბლი მოისრისა.
— მაგრამ?

— მაინც ღირს, მე მგონი! — ანაზღად პირდაპირ შეანათა თვალები გოგოს.
— რატომ? — წარბები აწკიაა გოგომ.

— იქნებ... სჭობდა ამაზე სხვა დროს გვესაუბრა? ახლა მთავარია... ბიჭი გადარჩეს.
— რომ არ გადარჩეს? ხომ შეიძლება, არ გადარჩეს? — გოგო გამომცდელ მწერას არ ამორებს ბიჭის გადატეტილ სახეს.

— შეიძლება...
— მერე?

კვლავ შუბლი მოისრისა. თვალები მოხუტა წამით.
— იცით... მე ერთი ბიჭი შეყავს. სამი წლის. და როცა წამოიზრდება, იმასაც ვეტივი — ღირს-მეთქი! დალაზვროს ეშმაკმა, მაინც ღირს-მეთქი!

— ექვსიდან-ერთის შეფარდების დროსაც?
— თუნდაც ათიდან ერთი იყოს, მთავარია... ერთი მაინც იყოს, მერე... შეიძლება ათიდან ათივე გახდეს... მშველელი. გამოცდით?

წამოერად თვალებდაკეტილი უყურებს ერთბაშად წელში გამართულ, სახეშოკურულ ბიჭს, მერე... მერხის სასურველ მიაწვა ბეჭებით და... აქისკისდა, ხმაშალდა, როგორღაც გა-

მომწვევად იცინოდა. მერე უცებვე გაჩუმდა, რადგან უადგილოდ და შეტიხმეტად არაბუნებრივად მოეჩვენა ახლა თავისივე სიცილი.

სიცირე ხანს გაუნძრევლად იჯდა. იქ, შიგნით კი კვლავ განაგრძობს კირქილს ნიშნისგებით ის, ვიღაც სხვა, უცხო არსება, მის გულ-გვამში რომ ჩასახლებულა დაუკითხავად.

„პი, პი, პი... მაშ, ათიდან-ათივე, არა? პი, პი, პი... აბა, ჰე; თქვენ იცით იმედინად იყავით, ამალღებული სულის დოონ-კიი-ხოტებო, უველა დროსა და უველა ეპოქაში, ძლეულნო სულ-ძდაბალი ადაშიანების მიერ. აბა, ჰე. გულს ნუ გაიტებით!

იიციინე, გამაზოოოო!“

თავი გაიქნია, თითქოს აბეზარ ჩვენებებს იშორებნო.

— მაპატიეთ... — ჩაილაპარაკა ხმადაბლა, ძლივს გასაგონად და ახლავა შეამჩნია, რომ მთელი ამ ხნის განშავლობაში თურმე სისხლით მოსვრილ ცხვირსახოცს აწვალებდა ხელში.

„ვაზოს სისხლი!“ გაჰკრა გულში. ანგარიშიუცემლად, სახწრაფოდ გახსნა ჩანთა და ცხვირსახოცი შიგ ჩაკუჭა.

— მაპატიეთ... — გაიმეორა მერე ისევ ჩაწვეტილი ხმით და ტურნები მოიკვნითა- — თქვენ შეიძლება... მართალიც იყოთ. შეიძლება! მამრამ... — წამით იყუჩა, მერე ენის ბორძიკით, ისე, თითქოს ფიქრშიაო, განაგრძო: — მაგრამ ჩემთვის უკვე მნიშვნელობა არა აქვს... იცით, მე სრულგებობაც არ მაინტერესებს..., — ისევ შეუბრალოდა ენა. თითქოს ეძებდა და ვერ პოულობდა საჭირო სიტყვებს, რომლითაც შესძლებდა გადმოეცა თავისი გულისხმადები.

— ჭერ უველაფერი წინ არის, მაიკო!

ბიჭი უღიმოდა.

გოგო ერთ ხანს შესცქეროდა გაოცებაჩამდგარი თვალებით:

„ღმერთო, ეს... ნათელი ღიმილი!“

თითქოს უინულით შესალტული გული ნელ-ნელა გაულბვა. შეტოკდა. და უცებ:

— ხო, ლევან... იცით... გამაზხენდა ჩემი ტელეფონის ნომერი...



გაზაფხული

კვლავ მომეახელ ძველ სიზმრებიდან
რაინდი ჩემი და სასურველი,
შენს მოლოდინში ისევ ვდნები და
მკლავს ძველი, სენი განუკურნელი,
ჩვენს სიყვარულზე კვლავ გაგიჟებით,
ჩვეული ცეცხლით, თავგამოდებით,
ისევ მღერიან ბალთან ბიჭები,
ისევ იმსხვრევა ქარში ტოტები...
ათრთოლებული სარკმელს მოვდგები,
გული საფრენად ისევ მეწევა,
თუ სიკვდილია,
ახლა მოვკვდები, —
ამ სიყვარულის მოიმედე ვარ!
ვარ ფრთავაშლილი,

მე ავფრინდები
და უცნაური აცახცახებით,
თან ამყვებიან ქარში ჩიტები,
იასამნები და ზამბახები.
მე დავიწვები, მზეზე დავდნები
და დაებრუნდები ფერად სხივებად,
ავიგიზგიზო წითლად ატმები,
ჩამოვეცილო აკვნებს მძივებად.
მიმოვებხატო შენს კედელ-ყურეს
ჩუქურთმებად და ათინათებად,
ვარსკვლავი ვიყო,
ბნელ ღამეს მრუმეს
შენს სარკმელთან რომ აკიაფდება.

ეგოიზმი

ღიას...
ერთხელაც მოვა სიკვდილი
მიხაკების და ვარდების თოვით...
ცივი,
გოროზი,
ავი სიკვდილი
მოვა,
ჩადგება ერთხელ ჩვენს შორის
და მაინც...

ნუთუ მოვა სიკვდილი?!
მრვა, რომ ჩვენაც გვთხოვოს თავისი?!
ვინ უნდა ვნახო აქ ფერმიხდილი,
გაყინული და შესაბრალისი?
ეს ეგოიზმი როგორ მეძრახვის!
ანდა რა არის აქ საკვირველი!
თუკი სიკვდილი მოვა ჩემს სახლში,
მე უნდა გავყვე სიკვდილს პირველი!

მოდის ჩამოვსხდეთ!

დღე უკეთესი
არასოდეს არ მინატრია.
შეხედე ზეცას რამოდენა მზე ახატია!
რა ღრუბლის ქულებს მოუხატავთ,
ხედავ, ტატნობი?
აი, მნათობი,
ვის ღიმოლსაც გუშინ ვნატრობდი!
გესმის სიმღერა,
მოყოლილი ნატვრად ყრმობიდან?
იმ ჩიტუნია მწამოიწყო,
დღეს რომ მოფრინდა.
მოდის, ჩამოვსხდეთ,
მოვეუსმინოთ...
ცოტაც მოიცა

და ოცნებებიც გავიხსენოთ საღამოსა.
ის შეღამება,
იმ ნიკორა ხარის ბლავილი,
ლობზე თეთრად გადმოშლილი
ხვირთქლის ყვავილი,
ცისფერ ტაძარზე ამოზრდილი ლურჯი
ქონგური,

ტკბილი ნიაგი —
აწყობილი ბულის ჩონგური...
ის სიყვარული,
მოყოლილი ნატვრად ყრმობიდან,
სულ ამიცხადა,
იმისთანა დღე გამოვიდა!

ისევ ისე დგას
შესახვევში პატარა სახლი,
მაგრამ არ ცხოვრობს აქ ნაცნობი,
ძვირფასი ხალხი.
კვლავ მოჭკათქათებს
თეთრი ფარდა
გამვლელს სარკმლიდან,
მაგრამ ეს ფარდა
აქ სხვა ქალის ხელმა დაჰკიდა!
ახლაც აღვრიან პურის ყუას
იქნებ ზედაშეს,

მაგრამ შენდობას სხვას უთვლიან,
არა — დედაშენს!
ვინა ხარ,
რა ხარ,
არავეინ გცნობს შენ აქ სრულებით,
წაშლილა შენიც,
შენი და-ძმის ნაფეხურებიც!
რად წარმოიდგენ კიბის თავში მაინც
ბებიას,
რად გწამს ხანდახან,
რომ აქ ისევ გელოდებიან?!

ქ ა რ ე ბ ი

აენი,
ხორშაკნი ქრიან ქარები,
მიმაქანებენ და მაჩქარებენ...
ბილიკო,
დაბლა ნუ ექანები,
ჩემს მალლობს თავს ჯერ ვერ გავანებებ!
ზევით გამიძიხე!
შემომადფეთე,
შეყვარებული ხარი ირემი,
მალლა საჯიხვე მთა გადაჰკვეთე,
ძირს დაგვრჩეს ჰრელი ჰალისპირები,
ფეხქვეშ გვეფინოს ქულა ღრუბელი,
როგორც ოცნება ნაირ-ნაირი,
სევდიანს ნურას მესაუბრები,
ყმაწვილქალობის მითხარ შაირი! —

მომართვი მთვარე —
თეთრი დაირი,
უცხო ფარღული ვარსკვლავებისა,
ლურჯი ფასკუნჯი მთას გადაივლის,
დაფრინდება და მხარზე შემისვამს.
ლურჯი ფასკუნჯი მხარზე შემისვამს,—
დაჩნდეს ქალაქი სიზმრით ნაგები,
წყარო —
ცხრა წყარო უკვდავებისა,
მზისა და მთვარის თეთრი ბაღებით...
შუადღის ხორშაკნი ქრიან ქარები,
მიმაქანებენ და მაჩქარებენ...
ბილიკო, დაბლა ნუ ექანები,
ვერა, მზეს თავს ჯერ ვერ გავანებებ!



რა არის იქით

რა არის თოვლი!
რა არის თოვლი,
თუ არა მკვეთრი,
საკუთარ ღუმელში დანთქმული,
ხელშეისახებად ქათქათა ფერი!

მდუღარე ცრემლით დანამულ ბორცვზე
გაღვივებული თოვლის ფანტელები
ხსოვნის გვირილებად
ამოფრთხილდებიან...
რა არის მზე!
რა არის მზე,
თუ არა თვალისმომკრელ,
სხივად გადმოღვრილ სასწაულზე
მარადმოქანავე,
სიმბოლოთაგან თავდახსნილი
წითელი ფერი!

ცივადლაპლაპა ლიანდაგის გასწვრივ,
მზის გულზე მოთენილ მიწაყრილზე
სისხლისფერ სიზმრად ამოცახცახდებიან
საკუთარი უმწეობით
შემცბარი ყაყაჩოები...

რა არის ზეცა!
რა არის ზეცა,
თუ არა თავაღვრილ მეოცნებეთა
თვალშეუღვამ თავშესაფარში
მერცხლების ფრთებით დააწვრული
უსასრულოდ ლურჯი ფერი!

აპრილის სისხამ
რიქრაყებით მონუსხულები,
ცვარით დანამულ მდელს ბაგეზე
მორცხვად ამოჩურჩულდებიან
უსათუთესი ცისთვალეები...
არ შეიძლება პოეტი მოკვდეს!
ღვთის გულისათვის ნუ იტყვი, თითქოს
დაიძინა და არ გაიღვიძა...
იქნება სულაც სიზმარში დარჩა!
იქნება სულაც მხარი ეცვალა და
უკან გამოსაგნები გზაწერილი
დაჰკარგა!..

რა არის იქით!
რა არის იქით!
რა არის იქით,
თუ არა... ???

ჩემი მშობლიური შუკა...
ჩემი პირველი „სარბენი ბილიკი“,
სადაც დავრბოდი ფეხშიშველი და
ბედნიერ-
ისე, რომ არც არავინ მომდევდა,
არც არავის მივდევდი,
ე. ი. ჩემთვის ჯერაც უცნობი იყო
დაწვევისა და გასწვრების უინი...
რა დარჩა ახლა ამ შუკაზე?
აღარა ფერი!
ანდა თითქმის აღარაფერი,

რაც ბავშვობისკენ გზის გამკვლევად
გამოდგებოდა...
რა დარჩა ახლა ამ შუკაზე? —
ტრიფოლიატის მეჩხერი ღობე,
ისიც აქა-იქ,
მხოლოდლა ცაცხვი განწირული
და ნამეხარი...
ერთ დროს ატალახებულ საურმე შუკას
გულზე ასხია შავი ასფალტი...
ო, ამ ასფალტქვეშ დამარხულია
ჩემი ბავშვობის ნატერფალები.

მოუხალთიებალი განწყობილება

ოცი წლის წინათ
ჩამქრალო დღეო,
ფიჭრის ბურუსში
ისე გაკრთებე,

თითქოს დაეშვა
ციდან მერცხალი
და ტალღას წამით
წამოჰკრა ფრთები.

სუბათი კომენტარით

ახლად წამოქცეულ
ასწლოვან მუხასთან
ბაბუა და შვილიშვილი
დგანან.
მობუცის სახე
ნაოქებითაა დაღარული...
მორის გადანახერხი —
რგოლებით!..
პატარა ბიჭმა

არ იცის თვლა...
იგი ვერჯერობით
ვერც ბაბუას სახეს წარმოიდგენს
ნაოქების გარეშე!..
ახლად წამოქცეულ
ასწლოვან მუხასთან
ბაბუა და
შვილიშვილი დგანან.

დეკემბრის ღამეა. გიზგივებს ბუხარი.
ვკითხულობ ესენინის „წერილი დედას...“

უშველეთ ვარდებს
ნაღვერდალზე წამოკივლებულს...
უშველეთ ღიმილს
გადასერილს სევდის სატევრით...
უშველეთ ცრემლებს,
წამწამებთან გართმულ ცრემლებს...
ო, გადაწმინდეთ
ცივ სარკეზე
თოვლის ფანტელი!
კიდევ წამიც და

სიტყვებს აღარ
ექნებათ აზრი...
კიდევ წამიც და
დადუმდება
წვიმის საწრეტი...
კიდევ წამიც და
საჩვენებელ თითში გაჭრება
ძ ა ლ ა,
რომელმაც
უყოყმანოდ დასცა სასხლეტი!

... ვაზის,
ლიმონისა და
ცაცხვის ყვავილების
თავბრუდამხვევი სურნელება!
მწვანედ ხასხასა ფოთლებში
სისხლის წვეთებივით გამოყოფილი
ბროწეულის ყვავილები...
თოვლით გადაპენტელ სიჩუმეში
წითლად ვადაბდღვრიალებული
კამელიები და

მიმოზების უნაზესი სევდა...
ღმერთო,
რამდენი რამეა ქვეყანაზე,
რასთან განშორებაზეც ძალიან,
ძალიან დამწყდება გული!
მარტო იმის ხილვა რად ღირს —
რა სიხარულით,
რა აღტაცებით
კრეფენ გვირილებს
ჩემი შვილები.



ფერისცვალება

შეტორტმანდება ნიავისგან
 ვალვიძებული, ზღვისფერი შუბლი
 მარჯნის რიფით დაღარება და მისი
 სახის წამიერი ფერისცვალება
 თევზის კვალივით გაუყვება
 სხივების ბილიკს.
 თავის ქალაში შედედდება თბილი
 სისავსე, ახმაურდება უამრავი
 გლუვი სხეული და თვითუული
 თავის მსგავსის შექმნას ეცდება.
 ხილული აზრი, მოწყვეტილი
 რუხი სიერციდან, თანდათან
 იგრძნობს შორეული მიწის
 სიმძიმეს და დაეშვება
 მოლივლივე წვიმის წვეთებად.
 წვიმის გუბეშიც გამოჩნდება
 ზეცის ნაწილი, თვალს მობეზრდება
 შეყოვნების ერთფეროვნება და
 ნაკადული ისევ ზღვისკენ
 გაემართება.

შეყოფილება

მიძინების
 ფეთქვასავით სუსტი
 ათინათი მიესრისა სარკმელს
 და გვიანი შემოდგომის სუსხი
 გადაემსხვრა საღამოებს სარკედ.
 წყნარი სევდა აჩრდილივით დამდეგს,
 მასაც ყინვის მოსასხამი მოსავს.
 ველოდები გაზაფხულის დამდეგს
 და ახალი საუკუნის მოსვლას.

მზე იყო მუდამ...
 ეხლა, ის დროა,
 რომ თეატრი ჰგავდეს
 მუზეუმს და პორიზონტი
 ნახატს სჯობდეს
 მოწყენილობით...
 ისევ ორნი ვართ...
 შენს მშვიდ სახეს შვენიის
 სიცოცხლე. მესამე გზაა
 და ჩვენსკენ მოდის,

როგორც სასჯელი უმიზეზო...
 როგორც ნადრევი სინარული...
 მაგრამ მე უკვე გამეხარდა იმ
 სინარულით,
 რაც შემეძლო და რის ატანასაც
 ვახერხებდი...
 ეხლა, მქვია ერთფეროვნება...
 ეხლა ის დროა, რომ თეატრი
 ჰგავდეს მუზეუმს...
 თითქოს ერთ ჯვარზე გაგვაკრეს ყველა,
 ისე გტკივა ჩემი სხეული
 და ალბათ წახვალ...
 ღმერთმა უწყის ხვალეს რა ელის...
 და სადაც წახვალ,
 იქ მზეც იქნება:
 მზე იყო მუდამ...

მე თქვენში ვხედავ
 ბედისწერას
 და ვაკვირდები შიშველ ხელებს...
 სუსტს და

ნერვიულს...
 მერე ვისხენებ მივიწყებულს
 დიდი ხნის წინათ
 და შედეგზე აღარა ვფიქრობ...
 ალბათ, ბოროტად მოგვექეცი თქვენს
 მოთმინებას...
 ალბათ თქვენც შეცდით... მაგრამ
 შეცდით თქვენი სურვილით...
 ალბათ, მიხვდით, რომ შეუმცდარი
 მარტოსულია,
 მარტოობა კი არ ისურვეთ
 და ეხლა გიჭირთ... ეხლა გიჭირთ,
 როგორც არასდროს...
 ხოლო.. მე ასე 'თავისუფლად
 ჯერ არ ვყოფილვარ...
 ჯერ არ ვყოფილვარ ასე კარგად,
 ასე მსუბუქად,
 რადგანაც
 უკვე გავისხენე,
 რაც არ მახსოვდა
 და თურმე ძლიერ
 მჭირდებოდა —
 მე თქვენ გენდობით...

ისე
გათენდა დილა,
ისე მოვიდა ღამე,
რომ ვერ დავტოვე ბინა,
ვერ გამოვედი გარეთ.
უცნობი იყო ქუჩა,
უცნობი იყო სახლი
და შემეშინდა... ჩემი
და შემეშინდა... ხალხის.
ისე გათენდა დილა,
ისე მოვიდა ღამე,
რომ ვერ დავტოვე ბინა,
ვერ გამოვედი
გარეთ...

განვლილმა წლებმა აირჩიეს სხვა მისამართი,
აღბათ ცხოვრებას წამოიწყებ დღესაც თავიდან,
თუმცა აწმყო ყოველივე, რაც კი წავიდა
და ჯერაც რეკავს ძველისძველი კედლის საათი.
მოგენატრება თეთრი ფერის ცრუ სიფაქიზე,
ლორთქო ბალახზე ველურივით უაზროდ გდება,
მაგრამ სახლების რუნი მასა გამოგაფხიზლებს
და უამრავი საფიქრალი გამოგიჩნდება.
ჩაიძირები წუთისოფლის ყვითელ ფერხულში,
ველარ გაუძლებ, დაიჭრები უცხო ხმებისგან
და იგრძნობ: ცოტა განსხვავდები თურმე სხვებისგან.
მერე ცხოვრება დაიწყება ისევ თავიდან,
კვლავ შეგიფარებს პოეზიის მრუმე კარავი
და თუ გიშველის, მხოლოდ ლექსი — მეტი არავინ.

მივიწყებული მონოლოგი

გადაირბენდნენ
კენტავრები ფლოქვებასრულნი
და ქვეყნისაგან დარჩებოდა მხოლოდ ნანგრევი, —
კისრამდე იდგა მტრების სისხლში ჩვენი წარსული
და ძმათა შუღლი თვალებს თხრიდა სვავის ჭანგებით.
და აღბათ მაშინ
სიცოცხლისთვის მსხვერპლნი გაიღეს,
და აღბათ ახლა არსებობა უკეთ იციან,
მაგრამ მე რითი გამაკვირვებს წუთისოფელი,
როცა სიკვდილი ჩემი ძველი
ძმადნაფიცია.



ისევ დასთელავთ ვაჟები ჩორებს,*
 მზერას გაჰკიდებთ შავწყალს და ბისნას,
 ნუ დაადუმებთ მთა-კლდეებს თორემ—
 მიჩუმებული მამული, მტრისას!
 გარიყრაჟისას წამოშლით გორებს,
 არ მოგვეშლებათ იმედი მზისა,
 ნუ გააბოროტებთ მამულებს თორემ —
 ღობემოშლილი მამული, მტრისას!
 აღმა შეყვებით დღეთა ფალანგებს,
 ტკივილს გრიგალებს გაატანთ ნისლად.
 ისევ თქვენ გაზრდით სამას არაგველს—
 უარაგველო სიცოცხლე, მტრისას!

* ჩორები, შავწყალი, ბისნა — სანადარობია არხობში.

კითხვებით ვცხოვრობთ, ყველა თავისი
 აქ მოსვლის პასუხს კითხვებში ეძებს.
 ტანჯვით, იმედით, ცრემლით, ხალისით,
 ეს რანაირი სიცოცხლე შესძელ.
 მწუხრით მუქდება სამყაროს რიდე,
 მოქუხს ცხოვრება ასად, არაგვად.
 სხვა მიწა ზიდე, სხვა ზეცა ზიდე,
 შენი სიკვდილიც სხვისას არა ჰგავს.
 შორია კაცურ-კაცობის სივრცე,
 თან წაიყოლა ჟამმა მედინმა
 გული — რომელიც წარსულში მიცემს.
 ცრემლი — რომლითაც უნდა მეტირა.

შორი მზერა აქსოვს ციმციმს
 ღრუბლის ფრთებით დაღლილ სივრცეს
 ყვავილობ და შენ ჩა იცი,
 მკერდში ჩემი გული გიცემს.
 ცა შრიალებს ამ ცის მეტი,
 იქეთ შორი სივრცე დარჩა...
 დანავარდობ და ვინ გეტყვის:
 ჩემს დასახარჯ მზეს რომ ხარჯავ.
 მზეს, დროყამის თვალის ამხელს
 და ქვეყანას, ბნელს და მზიანს,
 მილეკავ და ჩავლილ ტალღებს
 ჩემი სიხარული მიაქვს.

არხობში

თქვენ ვერ გაიგებთ ვის მოუხმობს
 ის ჩიტი სტვენით,
 ან რაზე მოთქვამს მოქლურტულე
 წყაროს წკრიალი.
 ეს ხე, ეს ბუჩქი, ეს ქიკიკი
 ჩემია, ჩემი,
 ჩემი ბავშვობის უდარდელი
 გულის ზიარი.
 ვეღარ გამართობთ იმ ზღაპრებით,
 თქვენ რომ მიყვებით,
 აი, აქ მინდა, ამ კლდე-ღრეში,
 მწარეც და ტკბილიც.
 ყველა დაგტოვეთ,
 ბედნიერი სახით მივეყვები,
 კრელი დღეებით გადაპენტლ
 ბავშვობის ბილიც.

ვინ შეჩერდება, ვინ ჩაგხედავს
 აწეწილ სულში,
 ან ვიღას ახსოვს რომ გქონდა სული...
 ეს, მეგობარო, რა დღეებით
 ცხოვრობდი გუშინ,
 არწივის ფრთებზე გეშავდი სურვილს.
 როგორ აიძღვრა, დრო სამყაროს
 ერთ ფონზე ხატავს,
 ერთ სახელს ვარქმევთ თეთრსაც და
 შავსაც.

იმ თვალებისთვის, იმ გულისთვის,
 (ვის მოკლავს ნატვრა!)
 ღმერთო, ერთი დღე მაქციე ბავშვად.

დაგავვიანდა... მაგ ამბოხი სულის
 ცხონებამ
 და ზღვა-წყურვილთან ჩაიშრიტა
 ცხელი მკათათვე...
 მთიდან დაშვებულ კლდე-ლოდივით
 შენი ცხოვრებაც,
 დიდი ხმაურით,
 მაგრამ უცებ ჩამოათავე.



ვსესტანგ აბაშვიძე

სოციალური და პროვნული ჩაგვრისაგან განთავისუფლების ნათელი პროგრამა

ილია ჭავჭავაძე, როგორც თავის მხატვრულ ნაწარმოებებში და ფილოსოფიურ-პოლიტიკურ ტრაქტატებში, ასევე პუბლიცისტურ წერილებში, ჭეშმანისტურ-განმანათლებლური და რევოლუციური-დემოკრატიული პოზიციებიდან იბრძვის ქართველი ხალხის სოციალური და ეროვნული ჩაგვრისაგან განთავისუფლებისათვის. ბუნებრივად სამართლის პროგრესულ მოძღვრებაზე დამყარებით, იგი მიუთითებს, რომ სოციალური და ეროვნული ჩაგვრა ეწინააღმდეგება ადამიანის ბუნებას.

ი. ჭავჭავაძის შეხედულებით, ბატონყმობა ადამიანთა სოციალური ჩაგვრის ყველაზე ტლანჭი და უბეში ფორმა იყო, მაგრამ საქართველოში ბატონყმობის გაუქმებას სოციალური ჩაგვრა არ მოუსპია, საზოგადოებაში არსებული ქონებრივი უთანასწორობა მას სოციალური ჩაგვრის ძირითად საფუძვლად შიანია, ამიტომ იგი იბრძვის სოციალური ჩაგვრის საბოლოო მოსპობისათვის. ი. ჭავჭავაძის მტკიცებით, XIX საუკუნის მიერ XX საუკუნისათვის განსახორციელებლად ნაანდერძე მთავარი ამოცანაა საზოგადოებაში არსებული სოციალური ჩაგვრის მოსპობა. სტატიაში „მეტსრამეტე საუკუნე“, ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ XIX საუკუნის მიერ XX საუკუნისათვის ნაანდერძევი სოციალური იდეალია: „გაუქმება ქონებისა და შემოსავლის მეტ-ნაკლებად განაწილებისა ადამიანთა შორის, გაუქმება უოცელის კლასობრივი ბატონობისა და შეძლებისამებრ უოცელის კლასობრივის სხვადასხვაობისა, ფეხზე წამოყენება და ხელშეწყობა გამრჩელ და შშრომელ კლასებისა წარსამატებლად“. ბატონყმობის გაუქმებამ უკვლავ მძლავრი ბიძგი მისცა ეროვნულ-განთავისუფლებელ მოძრაობას, მაგრამ ი. ჭავჭავაძის აზრით: ქართ-

ველი ხალხის ეროვნული ჩაგვრის მოსპობა შეუძლებელია რუსეთის სახელმწიფოში საქართველოს ავტონომიური მოწყობის გარეშე.

სოციალური და ეროვნული ჩაგვრის ლიკვიდაციის პროგრამა, რომელიც ი. ჭავჭავაძემ საბოლოოდ სრულყო 1905 წლის რევოლუციის ეპოქაში, გადმოცემულია მის მიერ რუსულ ენაზე შედგენილ დოკუმენტებში „პროგრესისტთა ქართული ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პროგრამა“, „პროექტი საქართველოს კონსტიტუციური-დემოკრატიული პარტიის შექმნის შესახებ“ და აგრეთვე რუსეთის სახელმწიფო საბჭოში მისი მოღვაწეობის მასალებში. ეს მასალები დაცულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში და მეცნიერულ ლიტერატურაში ჭერ კადევ სრულად შეუსწავლელი და გამოუქვეყნებელია.

პირველი კითხვა, რომელიც განსაკუთრებული ინტერესის საგანს წარმოადგენს, ესაა იმის გარკვევა, თუ როდის და რა პოლიტიკურ მოვლენებთან დაკავშირებით შეადგინა ი. ჭავჭავაძემ „პროგრამა“ და „პროექტი“. ამ დოკუმენტებში მათი შედგენის თარიღი მითითებული არ არის, მაგრამ ექვს არ უნდა იწვევდეს, რომ ისინი შედგენილია 1905 წლის რევოლუციის პერიოდში, მეფის თვითმპყრობელობის მიერ 17 ოქტომბრის მანიფესტის („სახელმწიფო წესრიგის სრულყოფის შესახებ“) გამოცემის შემდეგ. ამის შესახებ „პროექტში“ ლაპარაკია დასაწყისსა და დასვენაში. „პროექტი“ იწყება ბიჭვებით „17 ოქტომბრის მანიფესტით თუმცა-ღა გამოცხადებულია რუსეთის იმპერიის მოქალაქეთა ზოგიერთი უფლება... როგორც რუსულ, ასევე ქართულ, დამოუკიდებელ ბეჭდვით ორგანოებში უკვე მითითებულია, რომ 17 ოქტომბრის შე-



მდგომარეობა ბევრი რამ რჩება განუსაზღვრელი, აუსწავლი, უთქმელი... დასკვნით ნაწილში კი მითითებულია, რომ „განვიხილოთ რა მდგომარეობა შექმნილი საერთოდ გამანათავისუფლებელი მოძრაობითა და კერძოდ, 17 ოქტომბრის მანიფესტი...“. გარდა ამისა, განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ისიც, რომ როგორც „პროექტი“, ასევე „პროგრამაში“ აღწერილი მოვლენები, რომელთა შესახებ ქვემოთ გვიქვინება მსგეობა, ეხება 1905 წლის 17 ოქტომბრის შემდეგ პერიოდს. მაგრამ ექვს არ იწვევს, რომ ზემოაღნიშნული დოკუმენტები ი. ჭავჭავაძის მიერ შედგენილი უნდა იყოს არა უგვიანეს 1906 წლის 27 აპრილისა, ეს დასკვნა გამომდინარეობს თვითონ „პროექტიდან“, რომელშიც ნათქვამია, რომ 1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტით გამოცხადებული თავისუფლების ცხოვრებაში განხორციელების გადაწყვეტა მიუთვინებული აქვს „პირველ წარმომადგენლობით დაწესებულებას, იქნება იგი დამფუძნებელი კრება თუ სახელმწიფო სათათბირო... მაგრამ წარმომადგენლობითი კრების მოწვევა ამა თუ იმ სახით არც თუ ისე ახლო მომავალშია გათვალისწინებული“. ის წარმომადგენლობითი კრება, რომელზეც აქა ლაპარაკი, არის პირველი სახელმწიფო სათათბირო, რომელიც, როგორც ცნობილია, გაიმართა 1906 წლის 27 აპრილს.

ამრიგად, დადგინდალ უნდა ჩაითვალოს, რომ „პროექტი“ და „პროგრამა“ თვით ი. ჭავჭავაძის მიერ შედგენილი უნდა იყოს არა უადრეს 1905 წლის 17 ოქტომბრისა და არა უგვიანეს 1906 წლის 27 აპრილისა.

ცნობილია, რომ ი. ჭავჭავაძე არც ერთ პარტიას არ ეკუთვნოდა, იგი ერის მოლიანობის პოზიციებიდან ყოველთვის იბრძოდა პარტიული და კლასობრივი განცალკევებულობის წინააღმდეგ საქართველოში. მაგრამ როგორც ამ დოკუმენტებიდან ჩანს, ი. ჭავჭავაძე 1905 წლის რევოლუციის მდგომარეობაში პერიოდში ცდილობს შექმნას ახალი პარტია. აქედან კანონიერად იმის კითხვა: ხომ არ შეუძლებია ი. ჭავჭავაძის თავისი მოსაზრებანი საქართველოში კლასებისა და კლასობრივი ბრძოლის თაობაზე და ერის მოლიანობის იდეა ამ პარტიის დაარსებით ფაქტურად ხომ არ უარყვებო? ი. ჭავჭავაძე პარტიული, ცდილობს ჩამოაყალიბოს ახალი პარტია, მაგრამ ეს პარტია, მისი აზრით, არ უნდა იყოს რომელიმე კლასის პარტია, იგი უნდა აერთიანებდეს მთელი ქართველი ხალხის პროგრესულ ნაწილს განურჩევლად მისი კლასობრივი, სარწმუნოებრივი და ა. შ. წარმომადგენელი. ამის შესახებ სადაგებოდა მითითებული „პროექტშიც“ და „პროგრამაშიც“, კერძოდ, „პროექტში“ ნათქვამია: „მოწვეული იქნას კავშირის მისამართად წოდების, სქესისა და სარწმუნოების განსხვავების მიუხედა-

ვად. ყველა ვინც უთანაგრძობის გამოქვეყნებულ პროგრამას... ამასთან ერთად, ვიცით, რომ ამ პარტიის დაარსებისათვის ბრძოლაში ი. ჭავჭავაძის ჰქავდა მომხრეები, რომლებიც ქართველი ხალხის სხვადასხვა წოდების წარმომადგენლები ყოფილან. „პროექტში“, მათ მიერ, გაკეთებულია შემდეგი განცხადება: „ჩვენ ქვემოთ ხელისმომწერნი, შევრებინი ცალკე პირთა სახით, რომლებიც ეკუთვნიან ქართველი ხალხის სხვადასხვა წოდებებს...“ აქედან ნათელია, რომ საქართველოს კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტია მთელი ქართველი ხალხის საქრეველო უნდა ყოფილიყო, რაც მთლიანად შეესაბამება ი. ჭავჭავაძის განმანათლებლო მომდგრების ქართველი ერის მთლიანობისა და „უჭრა-უჭრად“ მისი დამოუკიდებლობის შესახებ. მაგრამ „პროექტ“ ვინ აწერდა ხელს, მისი ტექსტიდან არა ჩანს, თუმცა „პროექტის“ დასაწყისში კია ნათქვამი, თითქოს მას ხელს აწერდ მისი დამაარებლები.

როგორც „პროექტი“, ასევე „პროგრამაც“ ბევრ ახალ მასალას გვაძლევინ 1905 წლის რევოლუციის პერიოდში ი. ჭავჭავაძის მსოფლმხედველობის ევოლუციის შესახებ. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ზემოაღნიშნული დოკუმენტები შინაარსობრივად შეესაბამებიან და მნიშვნელოვნად ავსებენ ი. ჭავჭავაძის მიერ გამოქვეყნებული ცნობილი ნაშრომების ყველა დებულებას, განსაკუთრებით კი ი. ჭავჭავაძის შეხედულებებს 1905 წლის რევოლუციამდე, სოციალური და რევოლუციონარული ქართველი ხალხის განთავისუფლების საშუალებებზე.

მცენიერულ ლიტერატურაში კარგადაა ცნობილი, რომ 1905 წლის რევოლუციამ ი. ჭავჭავაძე გამოაცოცხლა და თავისი სოციალური და პოლიტიკური იდეების განხორციელების იმედი ჩაუსახა არა რომელიმე კლასის, არამედ მთელი ქართველი ხალხის საკეთილდღეოდ. ამით უნდა აიხსნას ი. ჭავჭავაძის დაბრუნება აქტიურ პოლიტიკურ სარბიერზე, მისი ნაყოფიერი მოღვაწეობა სახელმწიფო საბჭოში და ა. შ. როგორც კი აირჩიეს იგი სახელმწიფო საბჭოს წევრად, ურჩინლისტებს საქაროდ განუცხადა: „სახელმწიფო საბჭოში მე ამომიჩრა თვად-აწნაურობამ. ეს იმას არ ნიშნავს, რომ საბჭოში მე მარტო აწნაურ-თავადა საჭიროებებზე ვილაპარაკებ. თუ ამას ფიქრობდნენ ზოგი ჩემი ამობრწვევლნი, აქაური რუსთა აწნაურნი — ეს დიდი შეცდომაა. სახელმწიფო საბჭოში თუ თავად-აწნაურთა სახელით შევდივარ — ეს მხოლოდ ფორმალური, იურიდიული მხარეა. არ დავფარავ ვიტყვი: საბჭოში მთელ საქართველოს და ქართველთა ინტერესების დამცველი ვიქნები, საერთო კითხვასაც შევწირავ ჩემს ღონეს.“

1905 წლის რევოლუციისადალი ი. ჭავჭავაძის



დამოკიდებულება მეცნიერულ ლიტერატურაში კარგადაა შესწავლილი, მაგრამ ი. ჭავჭავაძის მიერ შედგენილი წესმადონიშნული დოკუმენტები, როგორც „პროექტი“, ასევე „პროგრამა“ შეიცავენ ისეთ მასალებს, რომელთა გაუთვალისწინებლად შეუძლებელია 1905 წლის რევოლუციური მოვლენებისადმი ი. ჭავჭავაძის დამოკიდებულების გარკვევა. მეტიც, რევოლუციის მშრომელი ხალხის ბრძოლების აუცილებლობის დასახულება, რომელსაც ეს დოკუმენტები შეიცავენ, ორიგინალურია არა მარტო ქართული, არამედ სამამულო მეცნიერულ ლიტერატურაშიც და საერთოდ 1905 წლის რევოლუციის აუცილებლობის მეცნიერული დასახულების დღემდე უცნობ, ახალ მოვლენას წარმოადგენს. ი. ჭავჭავაძემ 1905 წლის რევოლუციაში მშრომელთა ბრძოლას მათი თვითმპყრობის ფინანსდამფასხვების ბუნებითი სამართლის პროგრამული მომდევნებით.

როგორც ცნობილია, ბუნებითი სამართლის მოძღვრება, რომელიც ჩაისახა ჯერ კიდევ ანტიკურ სამყაროში (პლატონი, არისტოტელი, ციცირონი და ა. შ.) და კლასიკური ფორმით გადაშუშავდა XVII-XVIII საუკუნეებში დასავლეთ ევროპის მოწინავე მოაზროვნეების (მ. გროციუსი, სპინოზა, ჯ. ლოკი, ვოლტერი, მონტესკიე, რუსო და ა. შ.) მიერ, მიმართული იყო ფეოდალიზმის ეპოქისათვის დამახასიათებელი სამეფო ადმინისტრაციის თვითნებობის, ძალადობისა და საერთოდ აბსოლუტიზმის რეაქციული რეჟიმის წინააღმდეგ. XVII-XVIII სს. ბუნებითი სამართლის მოძღვრების წარმომადგენლები მიუთითებდნენ, რომ ადამიანებს გააჩნიათ მთელი რიგი თანდაყოლილი უფლებები (სიცოცხლის, ჯანმრთელობის, თავისუფლების, თვითდაცვის და ა. შ.), რომლებიც მათ მინიჭებული აქვს ბუნებისაგან და მათი ხელყოფა არ შეუძლია სახელმწიფო ხელისუფლებას. მეტიც, სახელმწიფოს მიერ დადგენილი პოლიტიური სამართალი უნდა შეესაბამებოდეს ბუნებითი სამართალს და გამოსატყვევებს მის მოთხოვნებს. აქედან ბუნებითი სამართლის წარმომადგენლები აკეთებდნენ რევოლუციურ დასკვნას: სახელმწიფო, რომელიც არღვევს ადამიანთა ბუნებით უფლებებს, როგორც გონების შეუსაბამო, უნდა დაიშხვრეს.

ი. ჭავჭავაძემ აცოცხლებს ბუნებითი სამართლის ამ რევოლუციურ მოთხოვნას და მას იყენებს 1905 წლის რევოლუციის გასამართლებლად. მისი მტკიცებით, მეფის თვითმპყრობლობის რეაქციული რეჟიმის პრობლემა ხალხი იტანება და შევიწროებულია, ამიტომაც მშრომელ ხალხს გააჩნია ყველა არსებობისათვის დამახასიათებელი თვითდაცვის ბუნებითი უფლება და 1905 წლის რევოლუციაში თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მისი გამო-

ხვედბი ბუნებითი სამართლით მათთვის მიწვეული თვითდაცვის უფლების განხორციელება. ი. ჭავჭავაძემ „პროექტი“ წერს:

«В виду не только постоянного колебания правительства то в ту, то в другую сторону, но и всяческого уклонения его под разными предлогами от священной своей обязанности идти на встречу справедливим требованиям лучшей и передовой части русского общества о немедленном созыве народного представительства, нам грузинам, как и всем гражданам Империи, невольно уже оставаться в настоящем своем положении. Мы обязаны заботиться о дальнейшей нашей судьбе; этого требует естественное, всем живым существам присущее чувство самосохранения».

1905 წლის რევოლუციის პერიოდში ბუნებითი სამართლის მოძღვრების სულისკვეთებით გადაწყვიტა და განავითარა ი. ჭავჭავაძემ აგრეთვე სხვა პრობლემებიც, რომელთა შესახებ აქ შეჩერება შეუძლებელია. გვიანდა მოხლოდ შევებით სოციალური და ეროვნული ჩაგვრისაგან ქართველი ხალხის განთავისუფლების საკითხებს, რომლებიც ი. ჭავჭავაძემ საკულდაკულად დაამუშავა 1905 წლის რევოლუციის მოვლენებთან კავშირში.

როგორც აღვნიშნეთ, ი. ჭავჭავაძის იდეალს სოციალური ურთიერთობის სფეროში მთელი მე-19 საუკუნის მანძილზე წარმოადგენდა ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის ლიკვიდაცია, შრომის განთავისუფლება, კლასობრივი ბატონობისა და განსხვავებების მოხშობა, ადამიანთა შორის „გაუქმება ქონებისა და შემოსავლის მიტნაკლებად განაწილება“ და ა. შ. ი. ჭავჭავაძემ, საზოგადოება, რომელშიც არ პრინციპები იქნება გაბატონებული, ახალი სოციალური წყობილების იდეალად დასახა და მისი განხორციელება X საუკუნეში იწინასწარმეტყველა. 1905 წლის რევოლუციაში მშრომელი ხალხის სოციალური თავისუფლებისათვის ბრძოლის პროგრამა ი. ჭავჭავაძეს არ შეუცვლია, მაგრამ იგი შეავსო მთელი რიგი ახალი დეტალებით. ი. ჭავჭავაძემ გამოდის განმანათლებლური თვალსაზრისიდან და მიუთითებს, რომ რევოლუცია უნდა იბრძოდეს სოციალური ბორბლების წინააღმდეგ, რაც შეუძლება ადამიანთა შორის ბრძოლის კლასობრიობის საფუძველზე, იგი გაუმართლებელია, რევოლუცია ყველა კლასის საერთო ინტერესებისათვის უნდა იბრძოდეს. საქმე ისაა, რომ თავად, აწნაური, გლეხი, ვაჭარი და ა. შ., ყველა ადამიანი და მსხვერპლად და დაუშვებელია: „მართალია, გლეხკაცი და ლარიბი უფრო მეტად საზრუნავია, უფრო მეტად გაჭირვებულია, ვიდრე



თავადი, აზნაური, მღვდელი თუ ვაჭარი, მაგრამ ვანა აქედან ის გამოდის, რომ ყველა ისინი აღამიანები არ არიან? თავად-აზნაურობამ, როგორც წოდებამ, როგორც ცალკე კრებულმა, დიდი ხანია თავისი დრო მოიჭამა, მაგრამ თავადს, აზნაურს, ვით ცალკე კაცს, მაშინაობა ხომ შერჩა და ვინ რას ემართლებოდა, რომ დღეს კაცი ისე არ გაუვლის გვერდით თავადს თუ აზნაურს, — წიხლი არა ბერას, ან მისს ხსენებაზე დორბლები არ წამოყაროს“.

სოციალური ჩაგვრისაგან ქართველი ხალხის განთავისუფლების ახალი სბრძოლო ამოცანები ი. ჭავჭავაძეს შემუშავებული აქვს „პროგრამაში“. განმანათლებლური პოზიციებიდან გამომდინარე ი. ჭავჭავაძე მოითხოვს: საცხოვრებელი ბინისა და პაროვნების ხელშეუხებლობას, კერძო ინიციატივისათვის ფართო ასპარეზის შექმნას, ბატონურული ურთიერთობის ნაშთების საბოლოო მოსოხას, კანონის წინაშე ყველა წოდების თანასწორობასა და წოდებრივი პრივილეგიების გაუქმებას, ქალებისა და მამაკაცების ქონებრივი, სამოქალაქო და პოლიტიკურ თანასწორობას, სანადგრო მიწების გლეხებისათვის გადაცემას, შემამუღლებებისათვის ანაზღაურების გარეშე, საფაბრიკო და სამარწველო მუშების საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, ყველა პოლიტიკური პატიმრისა და გლეხთა მოძრაობაში მონაწილეობისათვის დასჯილთა ამნისტიას და ა. შ.

1905 წლის 6 მარტს ი. ჭავჭავაძე წარმოთქვა ის სიტყვას თავად-აზნაურთა კერძო თათბირზე, ამ სიტყვაში იგი გადაჭრით მოითხოვს ეროვნული ჩაგვრის მოსოხასა და რუსეთის იმპერიაში ქართველი ხალხის ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ორგანიზაციას ავტონომიის ფორმით. თუ რამდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ი. ჭავჭავაძე 1905 წლის რევოლუციაში საქართველო ავტონომიის საკითხს, ამაზე წარმოადგენს გვაძლევს შემდეგი გარემოება. ი. ჭავჭავაძის ზემოაღნიშნული სიტყვა გაზეთში „ივერიამ“ შემდეგი სახით ვააცნო მკითხველებს: „ბატონებო, — სიტყვა ბოლოს ი. ჭავჭავაძემ, — ნუთუ ჩვენ არ შეგვიძლიან თამაშად მოვითხოვოთ უბრალო, ბუნებრივი რაშე, რომ ქართველის მიწა ქართველისთვის იყოს, ნუთუ ჩვენ არ შეგვიძლია მოვითხოვოთ, რომ კანონები, რომელიც ახლა პეტერბურგში იწერება, აქვე ადგილობრივ იწერებოდეს, რადგან, რაც რუსისთვის სასარგებლოა, ის შეიძლება ქართველისათვის მაგნე იყოს“. ი. ჭავჭავაძე წერილით მიმართავს გაზ. „ივერიის“ რედაქტორს, რომ მისი სიტყვის მრავალი ადგილი გამოკვეყნებულია დამამინებულად, კერძოდ, „მე ვთქვი და კიდევ ყველგან ვიტყვი: „ჩვენი ქვეყნისათვის კანონები აქვე იწერებოდეს ჩვენის ძველნი მიერ არჩეულ წარმო-

მადგენელთა კრებულისაგან“. აი ეს აზრის განხილვა და სიტყვები დაუმატეთ და ჩემი აზრი სავსებით გამოთქმული იქნება“.

როცა გაზ. „ივერიის“ რედაქტორისათვის ი. ჭავჭავაძის მიერ გაგზავნილი წერილის პოლიტიკურ შინაარსს ვფასებთ, არ უნდა დავგვაყნუდეს, რომ ეს არის 1905 წლის რევოლუციის აღმავლობის პერიოდი, მეთვის მთავრობა მკაცრად უსწორდებოდა მოწინააღმდეგეებს, სასტიკად თრგუნავდა პოლონეთის პატრიოტებს ავტონომიის მოთხოვნისთვის და ა. შ. საქართველოს ავტონომიის მოთხოვნა, რომ ამ პერიოდში თვითმპყრობელობისათვის საშუაო რევოლუციური მოთხოვნა იყო, ამაზე წარმოდგენას გვაძლევს შემდეგი ცნობა. კ. გედევანიშვილის გადმოცემით სახელმწიფო საბჭოში წვერად არჩევაზე ი. ჭავჭავაძეს ქართველი დელეგატებისათვის გაუფასობდა, რომ მას გადაწყვეტილი აქვს საბჭოს წარუდგინოს მოთხოვნა საქართველოსათვის სრული ავტონომიის მინიჭების შესახებ. ბევრი ეწინააღმდეგებოდა ი. ჭავჭავაძის ამ წინადადებას, ისინი ამტკიცებდნენ, რომ საბჭოს წევრები არ დაუტერდნენ მხარს მას და „მაგამოსვლით საქართველოს მარტო ზიანს მიაცუნებსო, ეგ შეტისმეტი გაბედული მოთხოვნააო, როგორ უნდა გაუბედოთ რუს ხელმწიფესაო“. ი. ჭავჭავაძე არ შეუშინდა ამ გაუფასობის და სახელმწიფო საბჭოში წვერად არჩევისთანავე სხვა საქმეებთან ერთად დაიწყო ბრძოლა საქართველოს ავტონომიისათვის. ი. ჭავჭავაძე აქტიურად მონაწილეობდა სახელმწიფო სათათბიროში მოსკოველი ვეპილის ლენინციუს თავმჯდომარეობით შექმნილ ავტონომისტ-ფედერალისტთა კავშირში, რომელშიც შედიოდნენ უკრაინის, პოლონეთის, ბალტიისპირეთის ქვეყნებისა და სხვათა წარმომადგენლები, თუმცა ი. ჭავჭავაძე სახელმწიფო სათათბიროს წევრი არ ყოფილა. აქ მისი გამოსვლები, როგორც ცნობილია, გამოირჩეოდა რადიკალურობით. კავშირის წარდგინებით დეპუტატები სათათბიროში მოვლდნენ განაპირა ხალხებისათვის ავტონომიის მინიჭების საკითხის განხილვაში. ი. ჭავჭავაძე ცდილობდა ამ მომენტის გამოყენებას და საქართველოსათვის ავტონომიის მინიჭებაზე ოცნებობდა, მაგრამ სათათბიროს ქართველი დეპუტატები, კერძოდ, სოციალ-დემოკრატები (ნ. უორდანა, ი. რამიშვილი და ა. შ.) ავტონომიის წინააღმდეგი იყვნენ. ამიტომ ი. ჭავჭავაძეს აშინებდა ის, რომ თუ სახელმწიფო სათათბიროში ან სახელმწიფო საბჭოში დაინიშნებოდა საქართველოს ავტონომიის საკითხი და ქართველთა შორის აზრთა სხვადასხვაობას ექნებოდა ადგილი, რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში ავტონომიის საკითხი მოიხსენიებოდა დღის წესრიგიდან. უორნალისტი მ. ბოლქვაძე იგონებს, რომ ი. ჭავჭავაძე და მისი თანამ-



ზრახველები იმედს არ კარგავდნენ. ი. ჭავჭავაძე ამბობდა: „რამე უნდა ვიღონოთო“... რა უნდა ექნათ? ამ დროს და წინედაც ს. დ. უფრონაღ-გაზრთებში ილიასთან საქმის დაქვრას, პურის მჭამელს და მოლაპარაკესაც ჭვარს აცვამდნენ“. პეტერბურგში მცხოვრები ქართველი ინტელიგენცია ცდილობდა ი. ჭავჭავაძისა და მისი მომხრეების შეხვედრა მოეწყობა ქართველ სოციალ-დემოკრატებთან, რომლებიც სახელმწიფო საბჭოს დეპუტატები იყვნენ. ეს შეხვედრა შედგა ცნობილი ქართველი კაპიტალისტისა და საზოგადო მოღვაწისა დ. სარაქიშვილის მიერ მოწყობილ ბანკეტზე „ეროპის სასტუმროს“ დიდ დარბაზში. ი. ჭავჭავაძე, პროფ. ა. ცაგარელი და სხვები საქართველოს ავტონომიის მოთხოვნადნენ და ცდილობდნენ მიედღიათ სოციალ-დემოკრატ დეპუტატების მხარდაჭერისათვის. პროფ. ა. ცაგარელი არწმუნებდა მათ, რომ აუცილებელია სათათბიროში საქართველოს ავტონომიისათვის მხარდაჭერა, მაგრამ, როგორც მ. ბოლქვაძე დამოკვეცემს, ისინი უარზე იყვნენ და ამტკიცებდნენ: „ჩვენ ეხლა ამ კითხვაზე სათათბიროში ლაპარაკი შეტად მიგვაჩნია, ჭერ სხვა საერთო კითხვებია გასარჩევია“. ი. ჭავჭავაძე თავს ძლივს იკავებდა, არაფრად მოსწონდა სოციალ-დემოკრატების პოლიცია საქართველოს ავტონომიის თაობაზე. მოლაპარაკება გვიან ღამემდე გაგრძელდა, მას სასურველი შედეგი არ მოჰყოლია, მაგრამ ის, რასაც მიადრეხს ი. ჭავჭავაძეს, მოხალღნელ უკეთესად ზინც ზიანდა. ი. ჭავჭავაძეს უთქვამს: „ჩვენ ვიცოდით, რომ ისინი საქართველოს ავტონომიის წინააღმდეგი არიან. ეს უველამ ვიცოდით, მაგრამ ის, რაც გუშინ გამოირკვა — ახალია. ამითან, შესაძლოა მოლაპარაკება, — სხვებთან კი ჩვენში... ფანატოკონები არიან დალოცვილი. შეიძლება ორს სხვა და სხვა უკიდურესს პარტიას ვეყოფნოდეთ, მაგრამ ჩვენ ერთად ლაპარაკი უნდა შეგვეძლოს. მრწამს ცოტაოდენ სარგებლობას უთუოდ მოიტანს, ნაციონალური გრძნობა ძლიერ დრმად არის ჩანერგული, შესისხლბორცებული და თუ გაიძახიან „არაო“ — ეს თავის მოტყუილებაა. კარგად ჩაიხედონ გულში... ეჭ, შორს წავედო, ისეც გუშინდელ დღეს დავუბრუნდეთ. ჩვენ საქართველოს ავტონომიას არც დავიცავთ და არც წინააღმდეგ ვიტყვით არაფერს“. ეს დაპირებაც კარგია, მადლი დმერთს: მე არც ამას მოვკლდო... ჭერ დიეც ვიშარო. ეს დაპირებანი შენარტლონ. დამოკიდებულებას ნუ გავამწვავებთ, არა უშავს რა...“ მაგრამ ი. ჭავჭავაძის პროგრამას სახელმწიფო სათათბიროსა და სახელმწიფო საბჭოში საქართველოსათვის ავტონომიის მისანიჭებლად განხორციელება არ ეწერა. პირ-

ველი სახელმწიფო სათათბირო მეფეთაგანთა მპყრობელობამ გარეკა, მისი პროგრესულად მოაზროვნე დეპუტატების დიდი ნაწილი დააპატიმრა. ამ ამბებით დამწუხრებულ ი. ჭავჭავაძეს უთქვამს: „ეს ახალი და დიდი უბედურებაა ჩვენთვის... პორიწონი შევადილ-რუბლება და ახლო მომავალი არას მპირდება. ჩემნი დღენი კარგს არას მპირდება...“ მართლაც, მეორე სახელმწიფო სათათბიროში, რომელიც უკიდურესად რეაქციული იყო, განაპირა მხარეებისათვის და კერძოდ, საქართველოსათვის ავტონომიის საკითხის დასაწყე ფიქრიც აღარ შეიძლებოდა, რუსეთის იმპერიაში ქართველი ხალხის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის ი. ჭავჭავაძის მიერ შემუშავებული მშაბტკურმა პროგრამამ მარცხი განიცადა. 1907 წლის ივლისში ი. ჭავჭავაძემ პეტერბურგი დატოვა იმ იმედით, რომ ზაფხულს თავის მამულში გაატარებდა და გამოემგზავდა სამშობლოში, სადაც ბედი საშინელ ტრაგედიას უშაადებდა.

ი. ჭავჭავაძე იმროდა რუსეთ-საქართველოს სახელმწიფოებრივი ურთიერთობის განმტკიცებისათვის და მოითხოვდა გაუქმებული ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენას. ეს საბრძოლო ამოცანა რუსეთის თვითმპყრობელობის დაშობის შემდეგ გადაწყდა. საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებამ საფუძველი ჩაუყარა სსრ კავშირში შემავალ საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ სუვერენულ სახელმწიფოს ეროვნული საკანონმდებელი, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებებით, საკუთარი ტერიტორიითა და სახელმწიფო (ქართული) ენით. ი. ჭავჭავაძის განმანათლებლობა, რევოლუციურ-დემოკრატიზმი, ჰუმანიზმი და ინტერნაციონალიზმი დღესაც მტკიცე საფუძველს ქმნის რუსი და ქართველი ხალხების, აგრეთვე სხვა მომე ხალხების მეგობრობისათვის.

პრომპტი

ქართული კონსტიტუციური-დემოკრატიული პარტიის შექმნისა

თუმცა 17 ოქტომბრის მანიფესტით გამოცხადებულია რუსეთის იმპერიის მოქალაქეთა ზოგიერთი უფლება სიტყვის, ბეჭდვითი სიტყვის, კრებების, გაფიცვების თავისუფლებისა და აგრეთვე პიროვნებისა და საცხოვრებელი ბინის ხელშეუხებლობის საწყისის შესახებ, მაგრამ ეს თავისუფლებანი არასრულად შეესაბამება და მთლიანად ვერ აკმაყოფილებს რუსეთის საზოგადოების საუკეთესო და მოწინავე ნაწილის მოთხოვნებსა და მისწრაფებებს.

როგორც რუსულ, ისე ქართულ დამოუკიდებელ პრესაში უკვე აღნიშნავენ, რომ 17 ოქ-



ტომბრის შემდეგაც ბევრი რამ რჩება განუ-
საზღვრელი, გაურკვეველი და ბოლომდე უთქ-
მელი: თითქმის დღემილითაა გვერდავლილი
საყოველთაო საარჩევნო უფლებათა შესახებ
მინისტრების პასუხისმგებლობის ძირითადი
საკითხები; მანიფესტით დადგენილ ხალ წეს-
რიგს იურიდიული სახელწოდებაც კი არა აქვს
მითითებული; უკვლავური ეს აღნიშნულია
როგორც წარმოთქმულ სიტყვებში, ისე პრე-
საშიც.

ამ კულმინაციული და ბოლომდე ჩამოუყა-
ლიბებელი სახით გამოცხადებული თავისუფ-
ლებიანი არაფრით არ არის გარანტირებული
მოქალაქეებისათვის. მანიფესტი მხოლოდ და-
პირებაა, რადგანაც იმ ღონისძიებებზე, რაც
მიმართული უნდა ყოფილიყო უწყებულ თა-
ვისუფლებათა განხორციელებასა და ცხოვრე-
ბაში გატარებისათვის, აქ ერთი სიტყვაც არ
არის დაძრული და არც რაიმე მითითება
მოცემული.

განვმარტავთ რა ამ ნებისით თუ უნებლიე ხარ-
ვეს — ამ სიტუციის საუკეთესო გაგებით, უნდა
ვიფიქროს, რომ საკითხი გამოცხადებული
თავისუფლებისა და ურყევე კანონად მათი
დადგენა-განმტკიცების გარანტიათა შესა-
ხებ ჭერ კიდევ მომავლის საქმეა, — რომ მის
წარადგენენ პირველ წარმომადგენლობითს და-
წესებულებიან გადასაწყვეტად — იქნება იგი
დამფუძნებელი კრება თუ სახელმწიფო საათო-
ბრის — აღჭურვილი დამფუძნებელი კრების
ფუნქციებით.

მაგრამ ამა თუ იმ სახის წარმომადგენლობი-
თი კრების მოწვევა მაღე არ არის მოსალოდ-
ნელი და იერიშზე გადასულმა რეპუბლიკაში შეიძ-
ლება კიდევ უფრო შორს გადაწიოს მისი მოწ-
ვევის დრო, ცხოვრება კი არ იცდის და თითქ-
მის ყოველთაშორს წარმოქმნის ამა თუ იმ მოთ-
ხოვნას, სვამს ამა თუ იმ საკითხს, რომელთა
დაუყოვნებლივ დაკმაყოფილებისა და გადაწყ-
ვეტის გარეშე უკვე წარმოუდგენელი გახლდა
ჩვენი სამშობლოს მოსახლეობის წყნარი და
მშვიდობიანი ცხოვრება.

არა მარტო აქეთ-იქით მთავრობის მუდმივი
მერყეობისა, არამედ სხვადასხვა საბაზით თავი-
ს წმიდათაშვიდა მოვალეობის — რუსეთის
საზოგადოების საუკეთესო და მოწინავე ნა-
წილის სამართლიანი მოთხოვნის შესაბამისად
სახალხო წარმომადგენლობის დაუყოვნებლივ
მოწვევისაგან ყოველნაირად თავის არიდების
გამო, ჩვენ, ქართველებს, ისევე როგორც, იმ-
პერიის უველა სხვა მოქალაქეს, აღარ ძალ-
გვიძს ახლანდელი მდგომარეობის გაძლება,
ჩვენ მოვალენი ვართ, ვიზრუნოთ ჩვენს მო-
მავალ ბედზე; ამას მოითხოვს ბუნებით, უვე-
ლა ცოცხალი არსებისათვის დამახასიათებელი
თვითდაცვის გრძნობა. ამ გრძნობით გამოქვე-
დულინი ვალდებულინი ვართ, ავარიდოთ ჩვენს
ზრავალტანჯულ სამშობლოს მოსალოდნელი

არეულობა და სისხლისღვრა, რასაც სხვა
მოთმინების ფილის ავსებით გამოწვეული
მოახლოებული ამბები გვაუწყებენ.

და ამიტომ, ჩვენ, ქვემოთ ამის ხელისმომ-
წერებმა, რომლებიც შევიკრებით ქართველი
ხალხის სხვადასხვა ფენიდან კერძო პირთა სა-
ხით, ვიმტყიდოთ რა განმათავისუფლებელი მომ-
რაობითა და კერძოდ, 17 ოქტომბრის მანიფეს-
ტით შექმნილი მდგომარეობის თაობაზე, დავად-
გინეთ:

დღიე გამანათავისუფლებელი მოძრაობის ამა
თუ იმ მოულოდნელ მოთხოვნისგანათა სა-
ფრთხის თავიდან ასაცილებლად ერთის მხრივ,
ზოლო მეორე მხრივ, იმ ღონისძიებათა მითი-
თების, პროპაგანდისა და განხორციელებისათ-
ვის, რასაც შეუძლია ჩვენს ქვეყანაში წესრი-
გის, მშვიდობისა და სიწყნარის დამყარება:

1. შეიქმნას კავშირი ქართველი კონსტიტუ-
ციურ-დემოკრატიული პარტიის სახელწოდე-
ბით.

2. შეუერთდეს იგი რუსულ კონსტიტუციურ-
დემოკრატიულ პარტიას და მისი პროგრამის
არსებითი და ძირითადი პუნქტების საფუძვე-
ლზე შედგეს საყოთარი პროგრამა, რომელშიც
უნდა შეტანილ იქნას ქართველი ხალხის გან-
საკუთრებული მოთხოვნებით გამოწვეული
ცვლილებანი და დამატებანი.

3. შეირჩეს უველაზე გადაუდებელი ამოცა-
ნენი „კავშირის“ თანამედროვე ეტაპზე სა-
მოქმედო პროგრამის სახით და ამავდ დროს
მითითებულ იქნას იმ საწყისებზე, რომლებსაც
საქმის მსვლელობისას მომავალში „კავშირმა“
უნდა საქირიებისამებრ გაუწიოს პროპაგანდა,
მხარი და ელტვირისა და უდარჯოს.

4. გამოქვეყნდეს ამ საფუძვლების მიხედვით
შემუშავებული პროგრამა, „კავშირისათვის“
მოსამხრობად მოწვეული იქნეს უველა პირი
წოდების, სქესისა და სარწმუნოებისაგან გა-
ნურჩევლად, რომლებიც თანაუგარძმობენ გა-
მოქვეყნებულ პროგრამას, რათა ამ გზით მი-
ვადწიოთ ჩვენი დაქსაქსული ძალების გაერთი-
ანებას, იმ მიზნით, რომ სრული ერთსულფ-
ნებისა და ერთიანობის ძალით წარვმართოთ
ქართველი ხალხის მთელი ძალ-ღონე ცხოვრე-
ბაში როგორც „კავშირის“ პროგრამით გათე-
ვლისწინებული საწყისებისა და გარდაქმნების,
ისე იმ თავისუფლებების საბოლოოდ განსახორ-
ციელებლად და შემოსაღებად, რაც ახლან-
დელი დიადი ისტორიული მომენტის საგანია.

პ. რ. ბ. ა. მ. ბ.

ქეობრისისტოა ქართული პროვინული-
დემოკრატიული (კონსტიტუციურ-
დემოკრატიული) პარტიისა

ჩვენ, ქართველი მოსახლეობის სხვადასხვა
ფენის წარმომადგენლები, განურჩევლად სარ-
წმუნოებისა, მთელი ქართველი ხალხის მდგო-



მარტობის უოკლემბრივი შეხწავლის შემდეგ, ერთხმად დავაცენით, რომ ასწლიანმა ბიუროკრატიულ-ცენტრალიზტრმა რევიმმა, რაც სრულიად უცხოა ქართველთა ეროვნული წყობისა და სულიკვეთებისათვის (როგორც წარსულში, ასევე ამჟამად), ქართველი ხალხი მიიყვანა თავისი ცხოვრების განვითარების, ინტელექტუალური და ეკონომიკური ძალების სრულ მოდუნებამდე და რომ ხალხის ენის დევნამ, წინასწარ განზრახულმა იძულებითმა გარუსების სისტემამ (ცელსიების, სკოლებისა და სასამართლოების გადაქცევა პოლიტიკის დამხმარე იარაღად, ქართველთა სახელმწიფო სამსახურში შესვლის უფლებათა ერთიანად შეზღუდვა და პრაქტიკულად ჩამორთმევა, მოსახლეობის ეკონომიკური და სულიერი ინტერესების უგულვებელყოფა), ჩვენი ეს მდიდარი მხარე მიიყვანა საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესებისათვისაც არც თუ სასურველ არამშვიდობიან კეთილდღეობამდე, არამედ პირიქით, გამოიწვია საერთოდ უცვლას, საზოგადოებისა და ხალხის უკმაყოფილება ვნებათა ერთობლივი გაღიზიანებითა და ხალხის მახების უფრო და უფრო ხშირი მღელვარებით. ამიტომაც, როგორც საერთო-სახელმწიფოებრივი ცხოვრების ნორმალური, მშვიდი მდინარების, ისე ქართველი ხალხის სულიერი ძალების მშვიდობიანი განვითარებისა და მატერიალური კეთილდღეობის მიზნით, აუცილებელია მოხდეს შემდეგი ყველაზე უფრო გადაუდებელი გარდაქმნები:

1. გაუქმდეს კავკასიის მხარის მმართველობისათვის შემოღებული ყველა განსაკუთრებული კანონი, ბრძანებულება და განკარგულება, რაც კი მიმართულია საერთოდ ადგილობრივი და კერძოდ, ქართველი მოსახლეობის კანონიერი და ადამიანური უფლებების შეზღუდვისაკენ.
 2. დაკანონდეს სინდისის, სიტყვის, ბეჭდვითი სიტყვის, კრებების, ორგანიზაციების, კავშირებისა და გაფიცვების თავისუფლება და უზრუნველყოფილი იქნეს იგი.
 3. უზრუნველყოფილი იქნეს პიროვნებისა და საცხოვრებელი ბინის ხელშეუხებლობა.
 4. დადგინდეს ყველა დაწესებულებისა და თანამდებობის პირის, როგორც უმაღლესის, ისე უმდაბლესის, პასუხისმგებლობა სასამართლოს წინაშე საერთო სამართალწარმოების წესის მიხედვით.
 5. ჩამოყალიბდეს ერთობა და შეიცვალოს საქალაქო დებულება სრულიად წოდებრივ თვითმმართველობაზე დაყრდნობით, შემოდგომატული იქნეს საეროობა და საქალაქო მმართველობის ყველა ორგანოში ქართული ენა.
- შენიშვნა 1. გაერთიანდეს თბილისისა და ქუთაისის გუბერნიები, ბათუმის ოლქი, სოხუმისა და ზაქათალის ოკრუგები ერთ ცენტრალიზებულ ქართულ ერობად, მოხდეს მათი

- დაყოფა საგუბერნიო და სამაზრო საეროებრივ ერთეულებად.
- შენიშვნა II. ცენტრალური ქართული ერობა დაარსდეს ქ. თბილისში.
6. შეიქმნას დამოუკიდებელი სასამართლო, ნაფიც მსახულთა სასამართლო და არჩევით მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტი, სასამართლო სუბიექტობა იყოს ქართული ენაზე.
 7. ჩატარდეს სახალხო განათლების სახელმწიფო რეფორმა. დაწესდეს საყოველთაო-სავალდებულო დაწესებითი განათლება. უმდაბლეს, საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში ყველა საგნის სწავლება უნდა იყოს ქართული ენაზე — სახელმწიფო ენის, როგორც სავალდებულო საგნის სწავლებასთან ერთად. ზაქართველოს ფარგლებში გაიხსნას უნივერსიტეტი და უმაღლესი სპეციალური სასწავლებლები. სკოლებისა და საერთოდ სასწავლო დაწესებულებების გახსნის საქმეში კერძო ინიციატივას მიენიჭოს ფართო უფლება.
 8. ივერიის ეკლესია და დაუბრუნდეს ავტოკეფალიის უფლება და აღდგეს მცხეთა-ივერიის საკათალიკოსო მის წინანდელ ფარგლებში (თბილისისა და ქუთაისის გუბერნიები, ბათუმის ოლქი, აფხაზეთისა და სამურზაქანოს შავი ზღვისპირეთის გუბერნიის ნაწილი და ზაქათალის ოკრუგი) კათალიკოსის მეთაურობით.
 - ა) აღდგეს არჩევითი წესი იმ განთავისუფლებული სასულიერო საეკლესიო-სამომსახურეთა ადგილების დაკავებისა, რომელთაც ყველა შემთხვევისათვის ეკუთვნით მოცივირებული ვეტო.
 - ბ) დაწესდეს კათალიკოსის თავმჯდომარეობით წმინდა სინოდისა და ეპარქიალურ საარქიეპისკოპოსოსთან საბჭოები განსაზღვრული ვადით არჩეული სასულიერო და საერო პირებისაგან.
 - გ) თავმჯდომარე იქნეს კათალიკოსთან არსებული წმინდა სინოდის ხელში ყველა ეკლესიის, მონასტრის, სამღვდელმთავრის, სასულიერო-სასწავლო და საქველმოქმედო დაწესებულებების უმაღლესი მმართველობა.
 - დ) დაუბრუნდეს ივერიის ეკლესიას ყველა საეკლესიო მამული, რომელიც გადასულია სახელმწიფო მმართველობაში, იმ მიზნით, რომ მოსახლეობა განთავისუფლდეს სამღვდელმთავრებისა და სასულიერო უწყების ყველა დაწესებულების შენახვის ტვირთისაგან.
 9. მოხდეს საქართველოში ბატონყმური ურთიერთობის ნაშთების საბოლოო ლიკვიდაცია გლეხებისა და მედაბურთა სხვა წოდებებთან უფლებებით გათანაბრება და დადგინდეს კანონის წინაშე ყველას თანასწორობა. აღიარებულ იქნეს მამაკაცებისა და ქალების ქონებრივი სამოქალაქო და პოლიტიკური თანასწორუფლებიანობა.
 10. დაუმკვიდრდეს დროებით-ვალდებულ



გლებებს სანადელო მიწები მათ მიერ შემამუ-
ლეთათვის გასამრკელოს მიცემის გარეშე.

11. გაუფართოვდეს მიწისმფლობელობა ყვე-
ლა თანრიგის მიწისმფლობელებს სახელმწიფო
მიწების თავისუფალი მარაგიდან და ცნობილი
იქნას ქართველთა თავისუფალი დასახლების
უფლება საქართველოს ტერიტორიაზე ამ
აუცილებელი უფლების განსახორციელებე-
ლად ყველა ხელოვნურად შექმნილი შეზღუდ-
ვისა და დაბრკოლების აღმოფხვრით და ამიე-
რაკავასიაში მიწისმფლობელობისა და მიწათ-
სარებლობის დამაბრკოლებელი ყველა განსა-
კუთრებული განკარგულების გაუქმებით.

12. გაუმჯობესდეს საფაბრიკო, საქარხნო და
სამრეწველო მუშების უოფა-ცხოვრება საფა-
ბრიკო კანონმდებლობის გაფართოების, მუშა-
თა სავალდებულო სახელმწიფო დაზღვევის
შემოღების, გაფიცვების, ორგანიზაციების,
კრებების თავისუფლების დადგენის, რვასა-
თიანი სამუშაო დღის შემოღებით, ხელოვნის
მინიმუმის დაწესების, მეწარმეთა მოგებაში
მონაწილეობის და ა. შ. გზით.

13. იმ ქართული წარმოშობის პირთა სი-
ცოცხლისა და ჭანჭირთლობის დაცვის ინტე-
რესების შესაბამისად, რომლებიც საერთო სა-
ხელმწიფო სამხედრო ბეგარას იხდიან, აღდ-
გენილი იქნეს თავდაპირველი წესი, რომლის
ძალითაც ადგილობრივი ახალწვეულები სამ-
ხედრო ბეგარას იხდიდნენ საქართველოს ფარ-
გლებში განლაგებულ საქარხნო ნაწილებში.

14. გაუქმდეს ყველა ის დაბრკოლება, რომე-
ლიც ზღუდავს ქართველთა სახელმწიფო სამ-
სახურში მიღების უფლებას და მოხდეს მათი
გათანაბრება რუსული წარმოშობის პირებთან
სამსახურებრივ უფლებათა და უპირატესობა-
თა მხრივ.

15. მიეცეს ამნისტია ყველა პოლიტიკურ
პატიმარს, რომელიც სასამართლო და აღმინი-
სტრაციული წესით გასახლებულია მხარის
ფარგლებიდან, აგრეთვე ყველა პირს, რომე-
ლიც საქართველოში მონაწილეობდა გლებთა
მომტარებაში.

შენიშვნა I. მრევლი ირჩევს უფლება-
უნარიან კანდიდატებს მედავითნეთა ადგილე-
ბის დასაკავებლად, ხოლო სამღვდელთა და
ხალხის წარმომადგენლები — კათალიკოსსა და
არქიეპისკოპოსს. არჩეულ არქიეპისკოპოსს
ივრების ეკლესიის ყველა იერარქიის კრება
კათალიკოსისა და მასთან არსებული წმინდა
სინოდის მეთაურობით, ხოლო კათალიკოსს —
უწინაესი საერო ხელისუფლება.

შენიშვნა II. ეპარქიალურ არქიეპე-
ბებს

თან ამა თუ იმ ადგილზე ასარჩევი უნდა იქნეს
რო კანდიდატების საქმის სათანადოდ განხილვის
ვისას საბჭოს მიერ არჩეულს ამტკიცებს და
ხარისხს ანიჭებს ადგილობრივი ეპისკოპოსი.

ცნობილი იქნას საქართველოსათვის რუსე-
თის სახელმწიფოს ამ განუყოფელი ნაწილისა-
თვის, რომელმაც თავისი ბედი ნებაუფლო-
ბით დაუკავშირა მის ბედს, მმართველობის
უფლება საქართველოს მთელი მოსახლეობის
თანხმობით, ეროვნებისა და სარწმუნოების
განურჩევლად საყოველთაო ხმის მიცემის მი-
ხედვით არჩეული ადგილობრივი წარმომადგე-
ნლობითი კრების მიერ დადგენილი კანონ-
ებით.

შენიშვნა: საქართველოს შეადგენენ
თბილისისა და ქუთაისის გუბერნიები, ბათუმის
ოლქი, სოხუმისა და ჯაქათლის ოკრუგები.

მაგრამ ვაღიარებთ რა, რომ მტკიცე და ურ-
ევკი მართლწესრიგის დამყარება ზემოაღნიშ-
ნული მოთხოვნების შესაბამისად მთელი სის-
რულით არ შეიძლება განხორციელდეს ამე-
მად რუსეთში არსებული ბიუროკრატიული
რეჟიმის დროს, ჩვენ სავსებით ვუერთდებით
მთელი რუსეთის მიწა-წყლის ძლიერ ხმას
საყოველთაო, ფარული, ყველასათვის თანას-
წორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების სა-
წყისებზე დამუფუნებელი კრების დაუყოვნე-
ლივი მოწვევის შესახებ, სადაც ყველა ეროვნე-
ბის, მათ შორის ქართველების, თავისუფლად
არჩეული წარმომადგენლები შეუდგებიან თა-
ნასწორობის, თავისუფლებისა და სამართლის
საწყისებზე რუსეთის სახელმწიფოს მოწყო-
ბის შესახებ საერთო გადაწყვეტას და დამ-
ყარებენ ჩვენს მიერ მოთხოვნილი ქართველი
ხალხის სულიერი და ეკონომიკური შაღების
თავისუფლად განვითარების ბუნებით ნორმა-
ლურ პირობებს.

14. ოლონდ რკდ პარტიის პროგრამის 24-ე
პუნქტის უკვე დამატებას ესაქიროება განმა-
რტება იმისა, რომ საქართველოს ავტონომია
მოიცავს ობილისის და ქუთაისის გუბერნიებს,
ბათუმის ოლქს, სოხუმისა და ჯაქათლის ოკ-
რუგებს და რომ ავტონომიური წარმომადგენ-
ლობის კომპეტენცია არ ვრცელდება არც
არშიაზე, არც ფლოტზე, არც სახელმწიფოს სა-
გარეო პოლიტიკაზე, არც საერთო-იმიეროულ
საფინანსო პოლიტიკაზე.

საქართველოს კონსტიტუციურ-დემოკრა-
ტიული პარტია მთლიანად იზიარებს რა რკდ
პროგრამას, თავის ამ განმარტებებში ხაზს უს-
ვამს მხოლოდ მის ზოგიერთ პუნქტს, რასაც
დიდი მნიშვნელობა აქვს ქართველი ხალხის
ინტერესებისათვის.



ინტერვიუ

„პოპტი ნარს... ბედნიერების შესაბრძნოვლად“

(პოეტ ბასიმ ხარაბაშვილს მსაუბრება ჩვენი კორესპონდენტი ნინო ლაპალოძე)

გთხოვთ დაწვრილებით მოგვითხროთ თქვენი პოეტური ბიოგრაფია. პირველად როდის დაიწყეთ ლექსის წერა. რა შეიძლება თქვით იმ წლების ლექსებზე, რომლებიც წინ უსწრებდნენ ევრილიბრს. როდის გაგიჩნდათ უკმა-რისობის გრძნობა თქვენი რითმიანი ლექსების მიმართ. გქონდათ თუ არა გარდამავალი პერიოდი? ხომ არ დაასახელებთ ვერლიბრით დაწერილ თქვენს პირველ ნაწარმოებს? თუ შეგიძლიათ გაიხსენოთ, თავისთავად მოვიდა ვერლიბრი თუ წინასწარი გადაწყვეტილებით?

— თიანეთში გვქონდა ბუხარი — ჩემი ბავშვობისას. ის ბუხარი ახლაც ეგზოტიკური, თორემ მაშინ ერთადერთი წყარო იყო სითბოსი და სინათლისა. ბუხარი, მოგახსენებთ, თავის წინ კარგა ბლომად ნაცარს გაიშლიდა ხოლმე... ნაცარიც ქალაქიდან, ეტყობა წარმოსახვით შეგიძლია წერო ზედ, უფაქროდ. გარდა ამისა, ყველა საგანი, რამაც შემდეგ მწერლის მაგიდა უნდა შეადგინოს — იქაა: იქ რაღაც იწვიხ, იქ რაღაც იხარება, იქ სინათლეა. განა ოთახის ყველა კუთხეშია მსგავსი სიკეთე? პატარა ბავშვი ვთხზავდი იქ რაღაც-რაღაცებს, მაგრამ მერე თავმოყვარეობამ გამაჩერა. ასე გავქედი რამდენიმე წელი, ვიდრე კვლავ არ მოხდა ჩემს ცხოვრებაში ისეთი რამ, რაც თავმოყვარეობას ვერ ეთვისება. ამ დროს უკვე ნავთის ლამპაც მქონდა და მაგიდაც და მაშინ ძალიან ბევრს ვწერდი. სკოლის დამთავრების შემდეგ ისევ დამიბრუნდა თავმოყვარეობა და პატავმოყვარეობასაც გავუსინჯე გემო... მომეწონა. და, როგორც მოსალოდნელი იყო, დავდექი... დაწვრილებით ყველაფერს რატომ ვიტყვი! ჩემი ადრინდელი ლექსები იყო ბუნებრივად ლიტერატურული და ეპიკონური. ვწერდი სტანდარტულ თემებზე — სტანდარტული პოეტიკით — მათ შო-

რის „დიდებანზეც“. ჩვენს ლიტერატურაში ხომ „დიდება“ და დიდებისადმი გაუცნობიერებელი თუ გაცნობიერებული ლტოლვა — პოეტური განცდის საგანია და ისევე უმანკოდ აღიქმება, როგორც ბალახზე დაბმული თიკანი. პირველი რითმიანი ლექსები რომ ურითმობის გადამივიდა, მას შემდეგ ბევრი რამ მოხდა ჩემს ცხოვრებაში. მერე აღარც ვწერდი... მერე ვცხოვრობდი. ასე მივუახლოვდი იმ საგნებს, რომლებზეც ადრე არ მიფიქრია და რომლებსაც გაცილებით რეალური ზემოქმედება მქონდათ ჩემზე, ვიდრე უოველგვარ პოეტისა. და უოველგვარ წარმოსახვას. იმულებული გავხდი ხმა ამომღო... უოველ შემთხვევაში ჩემს ლექსებს პირველად მე დავუძახე „ლექსები“ — თქვი, მაგრამ პირი არ დამეწვა!

„თებერვალი, ივრის ქალების“ პირველი ვარიანტი, 1982-1988 წლებში დავწერე. გამოდის, რომ ეს ლექსი ერთ-ერთი პირველია იმ ლექსებიდან, რომლებზეც თქვენ მეკითხებით. ჩემნაირ კაცს წინასწარი გადაწყვეტილებებით მხოლოდ სულელურ მდგომარეობაში ჩაავადებენ ხოლმე. გარდა ამისა, წინასწარი გადაწყვეტილებებით ოსტატმა შეიძლება დაწეროს რამე, ახალგაზრდა ცოლდევა საამისოდ.

ლექსი მალე გამოგაქვთ თუ არა მკითხველთა სამსჯავროზე, თუ უცდით დროთა შემდეგ, ვიდრე არ „დაძველებდა“, არ დავგიწყდებთ და უცხო თვალით არ წაიკითხავთ?

— საერთოდ მე მთლიან წიგნს ვამზადებდი ხოლმე — დიდი ხნის განმავლობაში, — აქამდის ნ წელს ვანდოვებდნენ... მერე, დაუგეგმავად, რაღაც შემთხვევა მიმოხლებდა დამეჭდარიოვ და დამეწერა... ვწერდი, ვიდრე არ გამომღეოდა მასალა, წლების მანძილზე რომ ვავროვ. აქამდის ასე ვიყავი, მაგრამ ასე ძნე-



ლია. ცოდვა ახე ადამიანი, იმიტომ რომ წლობით ცარიელზე ზის. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ცალკეულ ლექსებს არ ვწერდი ხოლმე — წიგნის გარეშე რომ დგანას. ლექსების „მიკითხველის სამსჯავროზე“ გამოტანა პოეტს ყოველთვის უგვიანდება — ამ დროს შეერთდებიან ხოლმე სუბიექტური და ობიექტური მიზეზები.

თქვენ გთვლიან ძალზე საინტერესო თანამედროვე პოეტად, არა მარტო ვერლიბრის მიზეზით — უმთავრესად პოეტური აზროვნების თავისებურებათა გამო. თქვენი აზრით, ამ თავისებურებებს ხომ არ გააჩნიათ საერთო სათავე, საერთო ნიშანი, რომელიც სწორედ სიხასის მატარებელია?

— პოეტის აზროვნება, რა თქმა უნდა, მჭიდრო კავშირშია გამოხატვის ფორმებთან, ორივეში იმსხვერპლენ ერთმანეთს. როცა რუსთაველმა თექვსმეტმარცვლიანი ლექსი გააბატონა, ამითი შექმნა შესაბამისი აზროვნებაც და შესაბამისი ესთეტიკაც. ასე ხდებოდა მადლსფეროებში, ღრუბლებს ზემოთ. რაც შემეხება მე, მე ისე ვწერ, როგორც მეხერხება.

შარშან გამოვიდა თქვენი ახალი წიგნი, სადაც ზუსტად ნახევარი უჭირავს ლექსებს, ნახევარი კი პოემებს, ასეთი შედგენილობა შემთხვევითია თუ წინასწარგაზრახული? ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ თქვენ თანდათან უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებთ პოემის ეპოსს და რომ მომავალში შეიძლება მათი წილი კიდევ უფრო გაზარდოს? რით აიხსნება ეს, პოემის წერა უფრო გიადვილდებათ, ვიდრე ლექსისა?

— უკველი პოეტი მთელი სიცოცხლე ერთ რადაცას წერს. ამას ხან გრძლად იტყვის, ხან მოკლედ — ზოგი პოემა იქნება, ზოგი ლექსი. არაფრის დაწერა არაა ადვილი და ამავე დროს, ყველაფერი ძალზე ადვილია.

ახალ, ათფორმიან წიგნში რამდენიმე რომიანი ლექსიცაა დაბეჭდილი. რატომ ამოირჩიეთ სწორედ ისინი? განსაკუთრებული სიყვარულის გამო ვერ შეეღიეთ თუ უფრო სხვა მოსაზრებები გამოძრავებდათ?

— ის ლექსები კარგი ლექსებია და იმიტომ შეიტანე.

ბოლო ხანებში „ლიტერატურულ საქართველოში“ დაბეჭდილი ნაწარმოებები „მიკარნახე, ანგელისა“ და „გახსენებები“ იმაზე ხომ არ მიგვაინიშნებენ, რომ თქვენ უფრო ვიხილავთ ვრცელი თხრობა, თუ ასეა, რით არის გამოწვეული უფრო მრავალზრივი და მრავალმნიშვნელოვანი სათქმელი გავჩნდათ თუ ამგვარად წერა უფრო გიადვილდებათ (უილიამ ფოლკნერი ამბობს, რომ მისთვის მოთხრობების წერა უფრო რთულია, ვიდრე რომანისა).

— „ანგელისას“ წერას შევუდგეი გაცნობი-

რებულად გულუბრყვილო და თამაში აზრით ეს ისეთი შემთხვევაა, როცა შენ თავს ხედავ აძლევ რისკისთვის, ოღონდ კი შედეგი ისეთი იყოს, როგორიც გინდოდა. განსაკუთრებით კი მაშინ, როცა თანდაყოლილად და ახირებულად ყველაფერი პოეზია გგონია. მე დავაპირე დაგროვილ და შემაწუხებელ მასალაზე, ერთსა და იმავე დროს, დამწერა რომანიც და გადამელო ფილმიც — და ეს ყველაფერი იმ ხანით უნდა გამეფორმებინა, რა სახეც მას ახლა აქვს, როცა უკვე დაიბეჭდა. რაში „ვეჯიბრებოდი“ რომანს? — ამბავში, მოქმედ გმირებში, ხასიათებში, ფორმის კონსტრუქციებში. ფილმს რაღას ვერჩობდი? — მინდოდა უკველი მომენტის დამეფექსირებინა ვიზუალურად. „ანგელისა“ არ არის ჩემი აბსოლუტური ფაქტობრივი გამოცდილება, არამედ უფრო ერთ რაკურსში აღქმული წარსულის რეალობა. ყველაფერი დანახულია ერთი რაკურსით. მე მინდოდა მეჩვენებინა წარსულის გამოცდილებით დატვირთული ადამიანის მდგომარეობა თხრობის მომენტში. აქ საქმე ვაკვებს „მდგომარეობის პოეზიასთან“. რას გულისხმობს „მდგომარეობის პოეზია“? აი, მაგალითად: კაცი ზის, ჩვეულებრივად. მეტი არაფერი არ ხდება. არავისთვის არაა ეს საკვირველი და საინტერესო — უბრალოდ ზის. მაგრამ არის შემთხვევა, როცა კაცი ზის და სხვა მდგომარეობაში მისი წარმოდგენა შეუძლებელია, რადგანაც ამ წუთს თითქოს მთელი მისი შინაგანი სამყარო ამ პოეზიაში მოქცეული და გამოხატული. და იმ კაცის ქეშმარიტი სახეც ხომ ეს არის: არის გამოვლენილი ექსტრი, მოძრაობაში. ამის თქმა შეიძლება ვაშლზე, ყვავილზე, ჩიტზე, ძაღლზე და ალბათ ამითვე გაცილებით თამამად, რადგანაც ბუნება მათში უფრო უშუალოდაა გამოხატული.

სიტყვა „ვიგონება“ ნიშნავს იმასაც, რომ „ვიხსენებ“ და „გამოგონებასაც“. ჩემს პოემაში ამ სიტყვის ორივე მნიშვნელობაა გამოყენებული. ჩემთვის ამ პოემას აქვს ძალიან კონკრეტული სიუჟეტი, აქ ერთმანეთს ენაცვლება მოგონება და აწინდელი მდგომარეობა, ანუ მოგონების რეფლექსია; წარსული და აწმყო. გმირი ხან იგონებს და ხან აღწერს თავის მდგომარეობას.

ყოველი ახალი ნაწარმოებით მწერალი მორიგ ტვირთს იცილებს. ის თუ არ დაწერა, ის თუ არ გამოანგროა, სინათლეში ვერ გამოვა... და როგორც კი გამოვა, აი სწორედ იქ ელოდება ახალი თავხატები. „მიკარნახე ანგელისას!“ დაწერით მე დიდი ტვირთი ჩამოვიცილდი. კარგ გამოინათქვამს სიხუსტეს არ უმო-

ნინო დეკანოიძე

„კომედი წარს... ბედნიერების შემსარბინოვალად“



წმებენ. ფოლკნერის ნათქვამის განმეორებაც სიამოვნებით შეიძლება მრავალჯერ.

თქვენს შემოქმედებაში მიღწეულია ყოველდღიური ყოფითი ამბების პოეზიად ამაღლება, და ეს ხდება არა ლამაზი სიტყვების თავმოყრით, პირიქით, თითქოს სათქმელი ვაშვივლებულია და მიანიც, რამდენიმე სტრიქონით ხასიათს ძერწავთ. ცალკეული პატარა ეპიზოდები კი ნოველასავით აღიქმება, თუმცა პირიქით — ნოველას ვერ ძალუძს აზრის ასე ლაკონურად გადმოცემა, ეს ხომ არ არის ის სიახლე, რომელიც თქვენს პოეზიას გამოარჩევს? ამის შესახებ ხომ ვერ იტყვოდით უფრო დაწერილებით?

— თუ ასეა, მაშინ მართლაც მიმიღწევია რაღაცისათვის. დავიჭერებდი კიდევაც, რაიმეში რომ გამომადგებოდეს.

არსებობს მოსაზრება, პოეტი მხოლოდ ბედნიერების შეგრძნებისას წერს. თქვენ როგორ ფიქრობთ ამის თაობაზე?

— მე დანამდვილებით მხოლოდ ის ვიცი, რომ პოეტი წერს... ბედნიერების შესაგრძნობლად.

ამჟვეყნად მწერალს რამდენიმე მოვალეობა აკისრია, თქვენ როგორი წარმოგიდგენიათ იდეალური შემოქმედი?

— იდეალური შემოქმედი არის ის არსება, რომელიც ცხოვრებას არ ემალება და ქალაქსაც არ ეჭვმიტება.

რომელმა პოეტმა მოახდინა ყველაზე უფრო ძლიერი შთაბეჭდილება თქვენზე?

— ყველამ, ვინც კი მომეწონა.

რა აზრის ხართ პოეტური პროზის სახებზე?

— თქვენ გინდათ რომ გამალიტერატორთ? მე ხომ იმიტომ არ ვკითხულობ, რომ აზრი მქონდეს, მე იმიტომ ვკითხულობ, რომ ჩემსაზე ვფიქრობ.

ცხადია, ვერლიბრმა უკვე დაიმკვიდრა თავისი მკითხველი, მაგრამ ამ ლექსების თავიდან ბოლომდე შეუცდომლად ზეპირად დამამახსოვრებელიც ალბათ ძალზე იშვიათია. გულს ხომ არ გტყენთ ეს ფაქტი?

— თქვენ გგონიათ, წერა-კითხვა როდესმე გადაშენდება? თქვენ გგონიათ, ლექსის განცდის ერთადერთი გზა მისი ზეპირად ცოდნაა? თქვენ გგონიათ, რასაც ვერ დაუსტვენ, ნელოდია არაა?

დაისტამბა ბულგარელი პოეტის ნიკოლა კინჩევის ლექსების წიგნის თქვენეული თარგმანი, რატომ ამოირჩიეთ ეს პოეტი?

— ნიკოლა კინჩევის თარგმანზე მე შემომთავაზა არჩილ სულაკაურმა. დიდად გავიხარე, რომ იგი ქეშმარიტი პოეტი აღმოჩნდა.

ხელოვნების რომელი დარგი მოგწონთ?

— იქნება კი ეს მაღლიერების გრძნობის გამოხატვა? — მუსიკა.

რას იტყვით ახალგაზრდულ ქართულ პოეზიაზე, როგორ გეხსებათ მისი ხვალისდელი დღე? მისი მომავალი?

— დღევანდელი ახალგაზრდული ქართული პოეზია უფრო დიდ საქმეს აკეთებს, ვიდრე ჩვენ გვგონია.





მურმან ჯგუზური

ნოვადი ბართიას ლექსები

ერთი ლექსი უნდა მოვიხმო ამ წერილის და-
საწყისში, რაც თვითონ სარტყენიო კრებული
ავტორს ეკუთვნის. ამ ლექსის სათაურია „ბა-
სიოს“:

გადივიკითხე კიდევ ერთხელ შენი ლექსები,
ჩანახატები, უფრო სწორად, პაწაწინები,
თითოეული მოგინდება ჩარჩოში ჩასვა, -
მიხეც რამდენი სამშობლოში გივლია მარტო.

ჩემი აზრით, ნოვადი ბართიამ ამ ლექსით
არა მარტო იაპონელი პოეტი დაგვიხატა, არამედ
მოგვცა საკუთარი პორტრეტიც. პოეტი მარტო
უნდა იყოს, გვეუბნება ნ. ბართია, და თავის
სიმარტოვიდან უნდა დაგვანახოს და გაგვაცნოს
საკუთარი თვალსაზრისი:

რა არის, მაგრამ მიხეც მეამა,
გუშინ ქუჩაში შემხვდა ნაცნობი
და ასე მითხრა:
„ერთი კვირის წინ
გაჩერებასთან დაგინახე“.

ეს მარტოობიდან გამომდინარე ტრაგიზმია.
პოეტი იმდენად მარტოა, ვიღაცამ რომ უთხრა,
„ერთი კვირის წინ გაჩერებასთან დაგინახე“,
კიდევ გაუხარდა, თითქოს ირეალობიდან რეა-
ლობაში გადამოვიდაო. მაგრამ მარტოობამ სწო-
რედ რომ ასე იცის. ამგვარი სიმარტოვე ან სულ
არაფრამდე დადის, ან კიდევ — საპირისპირო
შედგენის საფეხურია — გარეების ნათესავია.
მაგრამ ნ. ბართიას მარტოობა თითქმის გაქ-
რობის დონეზეა მიხული, ბუნებაში, სიჩუმეში
და სიმარტოვეში გათქვეფის დონემდე.

პოეტი ზედაწინს ტყეში ჩიტის გალობას გაი-
გონებს სიმარტოვეში, მერე ჩიტი ხალაღ გაფ-
რინდება და წუხს, რომ ჩიტი ისე გაშორდა, მა-
დლობის თქმაც ვერ მოასწრო, სახელი მაინც
ვიცოდეთ მისი, ნანობს.

პოეტის სიმარტოვე ხალხშიც სიმარტოვედ
რჩება, სცაა არ უნდა იყოს, ის მაინც მარტოა,
მაგრამ საკვირველი ისაა, რომ მას სხვებიც
(ვინც მასთან არის და ვინც არაა), თავისი ბუ-
ნებისა და განწყობის თანაზიარი ჰგონია:

ისე ლამაზად თენდება, ძმებო,
შაშვის ისეთი, სიჩუმეში, გალობა მესმის,
წარმოიდგინეთ, რა იქნება, რომ გათენდება,
დიწერება დღეს მამულში რამდენი ლექსი.
ამჯერად კი პოეტი სამშობლიო სახლის წინ
დგას სხვებთან ერთად:

გარედან თითქოს სურათია ჩვეულებრივი:
რალაც სახლის წინ ხალხი იცდის, არც
ისე ბევრი,
მისჩერებიან სხვადასხვა ფანჯრებს,
ქალები უფრო დაკინებით,
კაცები უფრო მორიდებით,
იმ ფანჯრებიდან თავს გამოჰყოფს
ღრო და ღრო ქალი,
მისუსტებული, ფერმკრთალი და
მღიმარე სახით,
ზოგჯერ ბარათსაც გადმოაგდებს,
მის დასაქურად
ყველა ერთად გაიშვერს ხელებს.

როგორ ერთიანდება სხვადასხვა ფანჯრებს მი-
ჩერებული ხალხი. ჩვენ ყველას გვინახავს ასეთი
სურათი, მაგრამ ლექსი მხოლოდ პოეტმა გამო-
თქვა.

კონკრეტულია ნ. ბართიას პოეზია. და კონ-
კრეტულობაც ისევ და ისევ შემოქმედის სიმარ-
ტოვიდან მოდის. სხვა ამბავია, რა საშუალებითა
და რა ხერხებით გამოავლენს პოეტი საკუთარ
თვალსაზრისს, ტრადიციული ლექსით თუ ვერ-
ლიბრით:

იანჭრის თვეში
შემორჩენილ ტოტებზე ხურმას
შენთვის მახე დაუგია.
როდესაც ფრინველს
შორს არ უჭრის თოვანში მწერა
სწორედ მაშინ მინადირა.
აბა მითხარი,
ამ ზამთარში
მწიფე ხურმას ვინ მოგართმევდა...
თუმც კი დაზვერე შემოგარენი,
ცოდვის ხესთან ისე მოფრინდი...

ო. რა ხარბად შეეცდები

გემრიელ ნაყოფს.

აქეთ-იქით იხედებოდი...

ამ ლექსის სათაურია „შაშვს“. სხვა ლექსის სათაური იყო „ბახოს“, დიდად არ ანახვავებს პოეტი ერთმანეთისგან კაცსა და ფრინველს...

ლექსში ჩვეულებრივი, ხამჭგარელოს ზამთრის პეიზაჟია აღწერილი.

სარწმუნო და დამაჩერებელია უოველი სიტყვა, უოველი სტრიქონი, „როდესაც ფრინველს შორს არ უჭრის თოვამი მწერა“, ამ სიტყვების ავტორმა სივრცე-სივრცით იცის სოფლის გარემო:

ამა, მითხარი

ამ ზამთარში

მწიფე ხერმას ვინ მოგართმევდა...

ავტორმა ბუნება შეიამბანაჯ თავის საქმეში. ხურმის ნაყოფი ხომ ბუნებამ შეინახა აქამდე. თუმცა არც შაშვა გულუბრყვილო და გამოუცდელი.

თუმც კი დაზეერე შემოგარენი,

ცოდვის ხესთან ისე მოფრინდა...

ის გზაც ხომ ჩანს, რაც შაშვა გალია, ვიდრე ამ ცოდვის ხესთან მოფრინდებოდა, — მან ტუიდან მოაშურა სოფლის ორღობეს, მესერზე შესკუბა ანდა ტრიფოლიატის ღობეზე, იქიდან ხურმისთან მდგარ მახლობელ ხეზე გადაინაცვლა, კარგად დაწვერა შემოგარენი.

ო. რა ხარბად შეეცდები

გემრიელ ნაყოფს,

აქეთ-იქით იხედებოდი...

ამ სტრიქონებში ხომ გაცილებით მეტი მოქმედება არის ჩატეული, ვიდრე პოეტმა აღწერა სინამდვილეში. არაფერია ნათქვამი, როგორ გამოიტანა თოფი მონადირემ, როგორ დაუმიზნა და ესროლა შაშვს. მაგრამ, აქ საინტერესოა სხვა რამ. როდის მოხდა ეს? როდის ინადირა პოეტმა? თუ გლეხმა? აი, ამ ზამთარს თუ დიდი წინათ, თავის სიუმაწვილეში, როცა კარგად არც იცოდა, რას აქეთებდა?

სხვა ლექსში პოეტი ამბობს:

რა კარგი იყო მანც

ის ერთადერთი დილა,

ისე ლამაზად თოვდა,

სურათი გადაეკეთა.

ან კიდევ:

მარტო იმტომ ღირს მზის ამოსვლა,

რომ უხარიათ ასე ბელურებს. —

• სულ ესაა მთელი ლექსი.

ნ. ბართაიას ლექსები გულისხვადიოთაა დანახული და აღქმული. მე არ ვგულისხმობ მახსატებას და ფარგალს, სიღრმესა და სიმბოლეს: თანდათან წყდება წელში მარტი, თუ დამიჯერებთ, ხმაც მესმის წყდომის.

სიდა მთვა აზროლო ახლა,

ვილავს კიდევ

უნახავს მგონი.

ნ. ბართაიას საუფარეო სიტყვებია: მგონი, თითქოს, თითქმის, ალბათ, მოკლედ რომ ვთქვათ, სამწუხაროდ, ვითომ, ნეტავ, ნეტავი, იყო თუ არა, შეიძლება... მგავსი გუნება-განწყობის შემქმნელი სიტყვები და გამოთქმები.

კვარაცხელიების კარავში გწევარ,

კრაქის შუქზე ჩუმად ლექსს ვწერ,

კრაქის შუქს ქარი აქანავებს,

თითქოს ეწერ და თითქოს ვერ ვწერ.

ნ. ბართაიას პოეზია თითქოს სასწორზე მკიდა. ერთი კია, თავად პოეტი ამგვარი არჩევანის წინაშე არ გვაყენებს და თუკი ხაღმე მკითხველმა უნდა გაციონოს, ის თვითონ ასრებს მკითხველს და თვითონვე ამბობს საკუთარი თავის შესახებ იმას, რაც იქნებ ჩვენი გვიფიქრია: თანაც მედიმება გულში, ამდენი ლექსი ვის რად უნდა...

სამწუხაროდ, თითქმის არ ვიცი,

რომელ უცვილს რა სახელი ჰქვია...

და ასე შემდეგ...

პოეტი ასათურებს ლექსს: „ფეხსურთი შენაქოში“:

იყო ყვირილი, წვილ-კვილი,

სოფელი ორად გაყოფილიყო,

უნდა გენახათ, პატარებს შორის

დიდები როგორ დაძუნძულებდნენ...

გვიხატავს სურათს და გვეუბნება, გენახათ, კარგი იქნებოდაო. პოეტმა გვანახა, რასაც თვალი შეახწო. ერთგან ის სწუხს, პოეტი რომ ვარ, კარგია, მაგრამ, რატომ მხატვარი არა ვარო:

უნდა გენახათ, პატარებს შორის

დიდები როგორ დაძუნძულებდნენ, —

ამბობს: დაძუნძულებდნენ, — და გვჩვენებს მოპურთალებს. როგორი მარმონიაა თუშურ სოფელში. აქ ფეხსურთი უძველესი რიტუალის დონეზეა დანახული, სადაც მთელი სოფელი მონაწილეობს, საერთოა მათი სინარული და ადტაცება. სოფელი ორად არის გაყოფილი, მაგრამ თუ ვინ მოიგებს, რომელი მხარე, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, აქ მთავარია სწორედ ეს ერთანობა, დიდებისა და პატარების შეამხნაგება. ისე, შიში კი გვაქვს ამ ლექსს რომ ვკითხულობთ, დათვითთ კაცმა შემთხვევით არ დატოროს თავისივე ბაღი. მაგრამ ეს არ მოხდება, იმიტომ რომ დიდები და ძუნძულელები უკარგეს შორის. მათი მთავარი გულისხური პატარებზეა გადატანილი, მობურთალების გულისხურიცა და პოეტის გულისხურიც.

ნ. ბართაიას სიტყვა მსუბუქია და თავისუფალი, როგორც ცაზე ღრუბლის დინება. პოეტი არ ეტებს საუკეთესო რითმებს. მისი ლექსი ხან რითმიანია, ხან ურითმო, ხან კიდევ რითმიან-

ურთიანობა. ხშირად მონაცვლეობს მარცვალთა
რაოდენობა სტრიაქონებში. ზოგი სტრიაქონი
მოკლეა, ზოგი გრძელი ერთხა და იმავე ლექ-
სში, მაგრამ ყურს არ გვჭრის, არ გვეჩოთი-
რება:

ბადა, ბორო, ძაგვია,
ფუჯა, უჩნ, სკვაპა, ჯოგვა...
ვერცხლის ტბიდან ერთად ვიარეთ
ჩვენ და შენმა კამეჩების ჯოგმა.
სხვა რა გამოკვეთავს ამით,
თუ არა ეს ეგება მთები,
ხან ჩვენ მივიღოოდ წინ და
ხანაც შენი კამეჩები.

აქ საქონელი და ადამიანი განუყრელია, ერ-
თი ბუნების შვილია, ერთმანეთის ნათესავია,
ერთ გზაზე დგანან და ერთად მიდიან. კამეჩებს
შუა დგანან მწყემსები, როცა მთიან სოფელში
ვაკე ადგილი გამოჩნდება, ხოლო როცა გზა
შევიწროვდება, ისინი ერთმანეთს მიჰყვებიან
ფეხდაფეხ, ხან მწყემსები მიდიან წინ, ხან —
კამეჩები. ყველაფერი ისეა, რაცორც უხსოვარ
ფაშს. საქონელსა და მწყემსებს თან მიჰყვება
ჯოგის ძაღლები: გზად რომ სოფელი გაიარეს.
მანდაურმა ძაღლებმა ნახეს ჯოგის ძაღლები და
შორით გააყოფეს მჭერა, წერს პოეტი, თითქოს
ის დრო-ფაში მოენატრათ, როცა მათი წინაბრ-
ბიც ასე საქონელთან ერთად იყვნენ სამეგრე-
ლოს მთიანეთში.

5. ბართაია არ ერიდება ეგრეთ წოდებული
პროზაული დეტალები გალექსავს. ის, რაც
ჩვენთვის არაპოეტური იყო, მისთვის სხვაგვარი
ნიუანსის მატარებელია. წავიკითხოთ მისი ერთი
ლექსი, რომლის სათაურია „ადგილობრივი მნი-
შენილობის აგარაკი ლეხარდ“:

აღბათ კმაყოფილი დარჩით
დასვენებით წლევანდელით,
გახსოვს როგორ მოგვეწონა
„ლელი კაროლინა ლემი?“
ჩვენ შევედით დღის სეანსზე,
სად — ბავშვები ბჟაურობდნენ.
ეკრანზე კი დადიოდა
ლორდი გორდონ ბაირონი.
მერე ფილმის შინაარსი
მოვეუყვით სახლში მოკლედ,
ხმა არ ჰქონდა რეპროდუქტორს,
ძლივს ვიგებდით დიალოგებს.
ადრე იყო და მოლარეს
კარგი ადგილები ვთხოვეთ.
მაგრამ თურმე ადგილები
დანომრილი არ ყოფილა.

ამ ლექსში ისეთი რამეა აღწერილი, რის მე-
რცე ვუნება უნდა გაუფუტლებს კაცს, ახეთი ვი-
თარება ამ კინოდარბაზში: ფილმი დაიწყო,
მაგვებენ ხმაურობენ, დღის სეანსია, მგონი
ფარდებიც არაა ხეირიანად ჩამოფარებული ფა-
ნჯარებზე და გარედან დღის სინათლეც შემო-
დის. ისმის ხტევნა, ჯადაძაბილი, ხშირად წყდება

ფიორი, რეპროდუქტორს კარგი ხმა არა აქვს,
ძლივს ისმის სურათის გმირების საუბარი. ად-
გილები დანომრილი არ არის. ყველა ეცდებოდა
თვითონ დეკავებინა კარგი ადგილი, ავტორსა
და მის თანმხლებს, მითუმეტეს, ცუდად ადგილე-
ბი შეხვდებოდათ, ცხადია, რადგან მათ არ იცო-
დნენ, ადგილები რომ დანომრილი არ იქნებო-
და, პირველად არიან ამ კინოდარბაზში, მაგრამ
რატომ ამბობს პოეტი მაშინ, „აღბათ კმაყო-
ფილი დარჩით დახვენებით წლევანდელით“, რა
არის აქ ისეთი, რაც ჩვენ ერთი წაითხვით ვერ
დავიხანებთ?

კინოსურათის ნახვის მერე მაყურებლები შინ
დაბრუნდნენ და აქ სობოვეს ფილმის შინაარსი
მოგვიუყვითო, — ამით მხოლოდ ფილმის ში-
ნაარსი აინტერესებთ და არა ის გარემო, რაც
პოეტმა აღწერა, ეს ზომ ისედაც ეცოდებოდით.
ერთი უატარა ნიუანსიც; მე მგონი, მათ კარგი
დრო ამოარჩიეს, დღის სეანსი, როცა შედარე-
ბით ნაკლები მაყურებელი ჰყავს კინოს, კარგი
ადგილები ითხოვეს, „მაგრამ თურმე ადგილები
დანომრილი არ ყოფილა“.

6. ბართაიას ლექსი, უმეტეს შემთხვევაში,
დღეი ინფორმაციის მომცველია. მაგალითად,
როცა პოეტი წერს:

აღვის ხეების სანახავად
სოფელში ჩავალ...

იმწამსვე გვაგონდება სხვაც ბევრი რამ: გვა-
გონდება ჩვენი ადგილის დედა, საკუთარი სა-
ლი, ეზო-კარი, შშობლები, ნათესავები, მეგობ-
რები და ფაქირი ვწონით, რამდენი რამის სანა-
ხავად შეიძლება სოფელში ჩასვლა და რამდენი
რამე რა ხანია არ გვიხანავს.

აღვის ხეების სანახავად
სოფელში ჩავალ... —

ისიც ზომ გარკვეულია ამ სტრიაქონების წა-
თხვის მერე, თუ აქ (ქალაქში) რა მდგომარეო-
ბაშია თვითონ ამ სტრიაქონების გამომთქმელო-
კაცი თუ ამბობს, „შორი გზიდან სატრფოს ვე-
ლიო“, ეს ზომ იმასაც ნიშნავს, რომ სადაც ის
არის ახლა, სატრფო არა ჰყავს.

5. ბართაიას სიტყვა ჩაღრმავებას მოითხოვს,
ისეთი მოჩვენებითი სინადავითა და უბრალოე-
ბით არის შეთხზული მისი ლექსები:

როგორც თქვენ ჰყვებით, დათვზე გისვრიათ,
დაქრილი დათვი ხანჯლით მოგიკლავთ,
ისიც გინახავთ, როგორ გარბოდნენ
შემინებული დათვის ბელები.

ნაპრობოლები მკერდიც გვაჩვენეთ,
სანდო გახადეთ თქვენი სიტყვები,
რამდენი რამე მოჰყვით იმ დღეს,
სულგანაბული გისმენდით როგორ,
მაგრამ ბელებზე, რაც ერთხელ ბრძანეთ,
მას მერე სიტყვა არ დაგცდენიათ.

ამ კრებულს ვინც ჩაუფიქრდება, იმასაც
შეამჩნევს აღბათ, თუ საიდანაა ამოფოთლილი
მისი ლექსების სტრიაქონები. ჩემი აზრით, 5.



ბართიას პოეზიის სათავე სვანური და მეგრული ზეპირი სიტყვიერების უშრეტე წყაროა. სვანური პოეზიიდან ეს არის დავით წერედიალის ბრწყინვალე თარგმანები, ხოლო მეგრული პოეზია მისთვის კარგადაა ცნობილი.

ბადილი — ყებურს,
თუნთი — გვალს,
ჩქიმი დაჩხირი
ჩე გოთანას.

ამ ოთხად ოთხ სტრიქონში (ერთადერთ სტრიქონში, თუცა სხვა წყობით წავიკითხავთ), გამოხატულია კოლბის კაცის მიმართება მთელ სამყაროსთან. ყველას თავისი ადგილი უნდა ჰქონდეს ამ ქვეყანაზე: მოხუცებული კაცი კერძისთან უნდა იჯდეს, დათვი მთაში უნდა ბინადრობდეს, ხოლო ცეცხლი განთიადზე უნდა დაინთოს. ეს პირველი წაკითხვა; მეორე წაკითხვა: მოხუც კაცს მოხვეწება უნდა და, რაც მთავარია, არ უნდა დაახაჭმოს, კერძისთან უნდა დასვა. დათვი მთაში უნდა ბუჭარობდეს. უფრო ვრცლად: აქ არა მარტო დათვი იგულისხმება, ცხადია, არამედ ნადირ-ფრინველთა მთელი სამყარო, ყველას თავისი ადგილი აქვს და ყველა, კაცი იქნება თუ მხეცი, თავის ადგილას უნდა იყოს. ყველა თუ თავის ადგილს დაიჭერს, მაშინ შუღლი და ომი არ იქნება, სოფელი არ აირევა, მშვიდობა განიცრება და ყოფნა-ცხოვრება შეძლებელი გახდება.

ამდენი ლექსი ვის რად უნდაო, ასე გვითხრა პოეტმა ადრე, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ნ. ბართია მაინც ცოტას წერს, — ხარეცენიო კრებული მისი მეორე წიგნია. პირველი წიგნი კი, რომლის თაფურცელიც ჩანსულ ჩარკვიანის გულიანი სიტყვა გახლდათ, კარგა ხანია გაქრა წიგნის მაღაზიების თაროებიდან: აი, ამ პირველი წიგნის ერთი ეგზემპლარის გამო რას წერს პოეტი:

აქ, ამ მშვენიერ მთიან სოფელში ჩემთვის ცხრა მთას და ცხრა წყაროს იქით, ვით გავიხარე, შეგიძენია ჩემი ლექსების პირველი წიგნი, თურმე გინდოდა რალაცის ყიდვა, მაღაზიაში შესულხარ რილით, გამყიდველს შენთვის უჩვენებია ჩემი ლექსების პირველი წიგნი. გახარებული მისულხარ სახლში, რალაცისა და ლექსების ყიდვით, და ძველ ალბომზე დავიდევს კობტად ჩემი ლექსების პირველი წიგნი.

და ბოლოს, მინდა მკითხველს გავაცნო, რა ჩავინახე რვეულში, როცა ნ. ბართიას პირველი წიგნი წავიკითხე:

ნომადი ბართიას პოეზია თითქმის არაფერს უახლოვდება. ძალიან შორს რომ გაპყვები ფიქრს და უცებ შეკრთები, მას იქით რაა? აქ ფიქრი ეხლება რაღაც ბნელს (კედელს) და კვლავ მიწაზე გაწევს დაბრუნება, უბრუნდები ხაწყისს, დახამას, სხვანაირად რომ ვთქვათ, არაფერს, საიდანაც დაიწყო ფიქრი. ასეთია დაახლოებით ნ. ბართიას პოეზია, იმ განსხვავებით, ოღონდაც, რომ ის არც მიდის ძალიან შორს, თითქოს და იმთავითვე ცხადი იყოს, რაც იქნება, რაც შეიძლება მოხდეს...

ასეთი დაბეწილი და ნიუანსობრივი შერძენბანი აქვთ მეგრულ გლეხებს, — მეზობელთან გადავა მეზობელი კაცი, ავივანე დახდებიან და იქიდან გასცქერიან სივრცეს ხალაშობით; მაგრამ ვიდრე მეზობელი ჩამოჭდებოდეს, მასპინძელი ეცდება და ყველაფერს ისე მოაგვარებს, რომ კარის მეზობელს, სტუმარს, უკეთესი, უფრო ლამაზი და მიმზიდველი სურათები მოხვდეს თვალში, ვიდრე თავად მას. ეს ხდება ყოველთვის ჩუმად, ხაზგაუსმელად, ბუნებრივად. ამგვარი მაგალითები ამოუწურავია ნ. ბართიას ლექსებში.



ბორის გუზალიძე

1905-1907 წლების რევოლუციის საქართველოში

1905-1907 წლების რევოლუცია ერთ-ერთი შესანიშნავი ფურცელია იმ გმირული ბრძოლისა, რომელსაც რუსეთის მუშათა კლასი, ყველა მშრომელი აწარმოებდა თვითმპყრობელობის, კაპიტალიზტებისა და იმეამუღებების წინააღმდეგ ეს იყო იმპერიალიზმის ეპოქის პირველი სახალხო რევოლუცია, რომელმაც უდიდესი გავლენა მოახდინა რუსეთისა და მსოფლიო განმათავისუფლებელი მოძრაობის განვითარებაზე. „1905 წლის“ „გენერალური რეპეტიცია“ რომ არა, 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვება შეუძლებელი იქნებოდა, წერდა ვ. ი. ლენინი.

რუსეთის პირველი რევოლუცია ისტორიაში შევიდა როგორც ახალი ტიპის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია. პირველად ისტორიაში მისი ჰეგემონი, ბელადი, ყველა მშრომელის ხელმძღვანელი გახდა მუშათა კლასი. სოციალურ-დემოკრატიული შინაარსით იგი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული იყო, ბრძოლის საშუალებებით კი პროლეტარული.

რუსეთის პირველი რევოლუცია ქვეყნის სოციალურ-დემოკრატიული და პოლიტიკური განვითარების მთელი მსვლელობით იყო შემადებელი. XX საუკუნის დამდეგს ქვეყანაში ისეთი პირობები შეიქმნა, რომლებიც აშკარად მოწმობდნენ რევოლუციური აფეთქების მოახლოებას. ამ დროისათვის რუსეთში, მსოფლიოს სხვა ქვეყნების მსგავსად, შევიდა იმპერიალიზმის ხანაში, რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო კაპიტალისტური წყობილების ყველა სოციალური და პოლიტიკური წინააღმდეგობების უკიდურესი გამწვავება.

არც ერთ კაპიტალისტურ ქვეყანაში მუშათა კლასი არ განიცდიდა ისეთ მძიმე ექსპლუატაციას, როგორსაც რუსეთში. ყველაზე დიდი სამუშაო დღე 12-14 საათი, დაბალი ხელფასი, აუტანელი სამუშაო და საცხოვრებელი პირობები, აი, რით ხასიათდებოდა მუშათა მდგომარეობა რუსეთში. ვ. ი. ლენინი ამის გამო წერდა: „ათასობით და ათათასობით

აღამიანი, რომლებიც მთელი თავისი სიცოცხლე შრომობენ სხვისი სიმდიდრის შესაქმნელად, თვითონ შიმშილით და მუდმივი გაჭირვებისაგან იხოცებიან, უღროდ ესალმებიან წუთისოფელს სხვადასხვა ავადმყოფობით, რასაც იწვევს შრომის საძაგელი პირობები. საცხოვრებელი ბინის ლატაკური მოწყობილობა, დაუსვენებლობა“.

შედარებით კიდევ უფრო ცუდ მდგომარეობაში იყვნენ რუსეთის განაპირა მხარეების აზარუს ეროვნებათა მუშები. მაგალითად საქართველოსა და ამიერკავკასიაში საერთოდ არ ვრცელდებოდა საფაბრიკო-საქარნო კანონები, მაშინ როდესაც ისინი რუსეთში დიდი ხნიდან მოქმედებდნენ. აღსანიშნავია ისიც, რომ 90-იან წლებამდე საქართველოს ისეთ დიდ საწარმოში, როგორც თბილისის რკინიგზის მთავარი სახელოსნოები იყო, ქართველებს არ უშვებდნენ სამუშაოდ. მხოლოდ 90-იანი წლებიდან დაიწვეს სახელოსნოებში სამუშაოზე ქართველების მიღება. მაგრამ იმ პირობით, თუ რუსულ ენაში გამოცდას ჩააბარებდნენ. ამას ემატებოდა მუშათა შრომის ანაზღაურების დაბალი ტარიფები. მაგალითად, ერთნაირი კვალიფიკაციის და კარგორიის მუშა ერთნაირი სამუშაოს შესრულებინათვის უფრო ნაკლებს დებულობდა საქართველოში, ვიდრე რუსეთში. 1900 წლისათვის თუ რუსეთში მუშა დებულობდა 400,6 მანეთს, საქართველოში 862,2 მანეთს.

განსაკუთრებით მძიმე და აუტანელი იყო გლეხთა მდგომარეობა. უმიწობა, უფულებობა ტანჯავდა გლეხებს მთელ რუსეთის იმპერიაში. 1905 წლისათვის ეკროპული რუსეთის 10,5 მილიონი გლეხური მეურნეობა ფლობდა 75 მილიონ დესეტინა მიწას, მაშინ, როდესაც 80 ათას უმსხვილეს მეამუღელს 70 მილიონი დესეტინა მიწა გააჩნდა. მემამულურ კაბალას, განსაკუთრებით მთლიანი წლებიდან, დამატა კულტურის კაბალაც.

გლეხთა უფრო ცუდი მდგომარეობა იყო



რუსეთის განაპირა მხარეებში. მაგ.: საგლე-
ნო რეფორმით გლეხს საქართველოში მიწის
უფრო მცირე მიწის ნაკვეთი მიეწომა, ვიდრე
რუსეთის ცენტრალურ გუბერნიებში. სა-
ტახტო ქალაქების გარეუბნებში ერთ სულ
გლეხზე მოდიოდა 1,8 დესტინა მიწა, სამ-
ხრეთ-დასავლეთის გუბერნიასში 3,1 დესტინა,
საქართველოში კი თითოეულ გლეხზე 30.
დიოდა 0,5 დესტინიდან 0,8 დესტინამდე.

მეფის რუსეთის შრავალრიცხოვანი არა-
რუსი ხალხები ძალიან მძიმე მდგომარეობაში
იყვნენ. ისინი სისტემატურად განიცდიდნენ
უკუგვარ ეროვნულ დამცირებასა და შეუ-
რაცხყოფას. მეფის მთავრობა შეგნებულად
აღვივებდა ნაციონალურ შუღლს, ამხედრებდა
ერთ ხალხს მეორის წინააღმდეგ.

ამდენად, რევოლუციისათვის მიზნები
რუსეთში საქმარზე მეტი იყო. და ეს რევო-
ლუციური ქარიშხალი დაიწყო 1905 წლის
9 იანვრის სისხლიანი ამბებით პეტერბურგში.
მაგრამ ამით მეფის თვითმპყრობელობამ ვერ
დააშინა მუშათა და გლეხთა მასები, ვერ
შეაჩერა რევოლუციური მოძრაობის ზრდა
ქვეყანაში. იანვარ-თებერვალში პეტერბურგის
მუშების მსგავსად ცარკოვის წინააღმდეგ
ბრძოლაში ჩაებნენ რუსეთის თითქმის ყველა
სამრეწველო ქალაქის მუშები.

1905 წლის გაზაფხულ-ზაფხულზე მუშათა
გაფიცვებმა კიდევ უფრო მძლავრი ხასიათი
მიიღო. ივანოვო-ვოხნენსკში მუშათა 1905
წ. შიხის გაფიცვას, რომელიც 72 დღეს გა-
გრძელდა, მოყვა პირველი მუშათა დეპუტატე-
ბის საბჭოს შექმნა, რომელმაც შემდგომში
უდიდესი როლი ითამაშა სოციალიზმისათვის
ბრძოლაში რუსეთში. 1905 წლის გაზაფხულ-
ზაფხულის რევოლუციურმა ბრძოლებმა საქ-
მე მიიყვანეს ჯერ ოქტომბრის საუკვეთაო
გაფიცვამდე, რომელსაც შედეგად მოყვა
თვითმპყრობელობის მიერ 17 ოქტომბრის მან-
იფესტის გამოცემა, ხოლო შემდეგ კი 1905
წლის დეკემბრის შეიარაღებულ აჯანყებამდე,
რომელიც რუსეთის პირველი რევოლუციის
კულმინაციურ წერტილს წარმოადგენდა. ამ
ბრძოლებში მუშათა კლასის მხარდამხარ აქ-
ტიურად იბრძოდა რუსეთის გლეხობა, ხო-
ლო 1905 წლის ზაფხულიდან კი შავი ზღვის
ფლოტის მეზღვაურები. ამდენად, ამ რევო-
ლუციის ხელმძღვანელად, ბელადად გამო-
ვიდა მუშათა კლასი, მის მოკავშირედ კი მთე-
ლი გლეხობა. ეს კი ძირითადი განახლებად-
და ამ რევოლუციის XVII-XIX საუკუნეების
დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიული რევოლუ-
ციებისაა.

3. ო. ლენინი, ბოლშევიკები აიარაღებდნენ
მშრომელ მასებს თეორიულად, ხელმძღვანე-
ლობდნენ მათ საქმიანობის პრაქტიკულადაც.
რევოლუციაში რუსეთის გმირ პროლეტარი-

ატთან და მშრომელ გლეხობასთან ერთად თავ-
დადებით იბრძოდნენ რუსეთის იმპერიაში შე-
მაჯალი სხვა ერების მშრომელი მასები. მათ
შორის საქართველოს მუშები და გლეხები.

1901 წლის დასაწყისისათვის თბილისში
მობდა მუშათა 15 სერიოზული გაფიცვა. ვა-
ფიცული მუშები მოითხოვდნენ სამუშაო პი-
რობების გაუმჯობესებას; დემოკრატიულ თა-
ვისუფლებებს, თვითმპყრობელობის დამშობას.
მუშათა ასეთი აქტიური გამოსვლებით შეი-
ფოთებული მთავარმართებელი — კოლოცინი
ფხვზე აუენებს თანდარმებრიას და პოლიციას. ქა-
ლაქის სხვადასხვა რაიონში სამოტივულად
გამაზადეს ჯარის ნაწილები. ასეთი ღონისძი-
ებების მიუხედავად, მთავრობამ ვერ შეძლო
სამირველშიისო დემონსტრაციის ჩაშლა, რომ-
ელსაც რსდმპ თბილისის კომიტეტი ჯერ კი-
დეც მარტის თვიდან ამზადებდა.

დემონსტრაცია, რომელშიც 3000-ზე მეტმა
კაცმა მიიღო მონაწილეობა და მთავარდა სის-
ხლისმღვრელი შეტაკებით, დემონსტრანტე-
ბის წინააღმდეგ გამოიყვანეს პოლიციელები,
ყანდარმები და რამდენიმე ასეული ქვეითი
ჯარი. დაპატიმრებული მუშები გაუსამართ-
ლებლად და გამოუძიებლად რუსეთის შო-
რეულ ადგილებში გადასახლეს.

ლენინურმა „ისკრამ“ განსაკუთრებული
ყურადღება მიაქცია თბილისის მუშათა პოლი-
ტიკურ დემონსტრაციას და მოითხოვა დაუ-
ყოვნებლივ მიეწოდებინათ ცნობები ამ მოძ-
რაობის შესახებ. ამ მოძრაობას „ისკრამ“
„მთელი კავკასიისათვის ისტორიულად ღირს-
შესანიშნავი მოვლენა“ უწოდა.

რევოლუციური მოძრაობის საერთო აღმავ-
ლობამ განსაკუთრებით იჩინა თავი ბათუმში
1902 წელს. 9 მარტის ამბებმა ბათუმში, რომ-
ელშიც მონაწილეობა მიიღო 8000 კაცმა,
ერთხელ კიდევ ხაზი გაუსვა იმას, რომ სა-
ქართველოს პროლეტარიატის სოციალ-დემო-
კრატიული შეგნების დონე სწრაფად იზრდე-
ბოდა და იგი სერიოზულად ემზადებოდა
თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საბრძოლ-
ველად. უფრო აქტიურ და მწვავე ხასიათს
ღებულობს საქართველოს მუშათა კლასის
რევოლუციური გამოსვლები 1903-1904 წლებ-
ში. მარტო 1903 წლის ივლისში საქართვე-
ლოში გაფიცულთა საერთო რიცხვმა 50 ათასს
გადააჭარბა.

მუშათა მძლავრმა რევოლუციურმა გამოს-
ვლებმა ზეგავლენა მოახდინეს საქართველოს
გლეხობაზე. 900-იანი წლებიდან გლეხთა მოძ-
რაობა სწრაფად მოედო საქართველოს ბევრ
მხარას. აქტიური ხასიათი მან 1902 წლიდან
მიიღო, განსაკუთრებით გორისა და ოსურგე-
თის მხარეებში. გლეხთა რევოლუციური გა-
მოსვლებით შეშინებული მეფის მთავრობა
გურიაში აგზავნის ქუთაისის გენერალ-გუ-



ბერნატორ სმაგინს, რომ გაიგოს გლეხთა მოთხოვნების საერთო შინაარსი. გლეხები მთელი პარტიალობით აუენებდნენ არსებულ წყობილებას და მთავრობის საწინააღმდეგო საკითხებს. ერთმანეთს ეფიცებოდნენ, რომ დაიკავდნენ საერთო საქმეს. ბოიკოტი გამოუცხადეს მთავრობას, შემაბულელებსა და სამღვდელთებს. მეფის მთავრობამ რეპრესიებს მიმართა. კავკასიის მთავარმართებლის ბრძანებით გურიაში სამხედრო წესები გამოცხადდა, ჭარი გაიჭავენა, აპატიმრებდნენ უკუღს, ვისზედაც კი თავადები და აზნაურები მოუთითებდნენ. დაპატიმრებ 250 კაცი. თვითმპყრობელობის მიერ მიღებულმა ზომებმა მდგომარეობა ვერ შეცვალა. შირომელი მასების რევოლუციურმა მოძრაობამ, როგორც ქალაქად ასევე სოფლად, კიდევ უფრო აქტიური ხასიათი მიიღო მომდევნო წლებში. ნამდვილი რევოლუციური ქარიშხალი კი საქართველოში 1905 წ. იანვრის შემდეგ ამოვარდა. 11 იანვარს გაიფიცნენ ახალენაყის რკინიგზის სადგურის მუშები, 15 იანვარს კი ბათუმის მანთაშევისა და სიდერიადის ქარხნების მუშები. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა შეიძინა საუკველთაო პოლიტიკურ გაფიცვას თბილისში, რომელიც 18 იანვარს დაიწყო და თვის ბოლომდე გაგრძელდა. რსდმპ კავკასიის კავშირის თბილისის კომიტეტმა თბილისის მუშების ამ გაფიცვასთან დაკავშირებით პროკლამაცია გამოაქვეყნა, სადაც მუშებს მოუწოდა კიდევ უფრო მაღლა აღეშარათ რევოლუციური ბრძოლის დროში.

ამ მოწოდებას ფართოდ გამოეხმაურნენ როგორც თბილისის, ასევე სხვა დანარჩენი ქალაქების მუშები. მუშათა დიდი პოლიტიკური დემონსტრაციაც დაიწყო მშ თებერვალს გოლცივის პროსპექტზე, რომლის შესახებ გაზეთი „ვეპროდი“ წერდა: „გამართა დემონსტრაცია, რომელმაც ძალიან კარგად ჩაიარა“-ო. მუშათა გაფიცვები და დემონსტრაციები გამართა ბათუმში, ჭიათურაში, ქუთაისში, სოხუმში, ფოთში, სიღნაღში, თელავსა და სხვა ქალაქებში.

მუშათა რევოლუციურმა ბრძოლამ ფართო მასშტაბი 1905 წლის გაზაფხულსა და ზაფხულში მიიღო. ეს ბრძოლა უკვე პოლიტიკური ხასიათს ატარებდა. ბრძოლის ანგარიშში ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის მთავარი სახელმწიფოს მუშები იყვნენ. მათ ქარხნის ადმინისტრაციას წაუყენეს შემდეგი მოთხოვნები: 8 საათიანი სამუშაო დღის შემოღება, დაპატიმრებული ამხანაგების განთავისუფლება და სამუშაოზე აღდგენა, ახლად მისაღები მუშებისათვის რუსულ ენაში გამოცდის გაუქმება, ხელფასის მომატება და სხვა. სახელმწიფოს ადმინისტრაციამ იკისრა ზოგიერთი მოთხოვნის დაკმაყოფილება, მაგრამ

მაღე გაიკვია, რომ ის ამ მოთხოვნებზე არც ერთის შესრულებას არ აპირებდა. რკინიგზის მუშებმა უფრო გრანდიოზული საუკველთაო გაფიცვა მოაწყვეს. 4 აპრილს ამიერკავკასიის რკინიგზის ხაზზე შექცა მატარებლების მოძრაობა.

რკინიგზელი მუშების გაფიცვამ ფართო მხარდაჭერა პპოვა მთელ საქართველოში.

მუშათა რევოლუციური გამოსვლების გულენით საქართველოში დაიწყო და წარმატებით ვითარდებოდა გლეხთა რევოლუციური მოძრაობაც, რომელიც ვ. ი. ლენინმა დაახასიათა, როგორც უკვლავ უფრო მონინავე გლეხური მოძრაობა. ქუთაისის გუბერიაში 1905 წლის იანვარ-თებერვალში გლეხთა მოძრაობა მოდებული იყო ოსურგეთის, სენაკის, ზუგდიდის, ქუთაისის და შორაპნის მაზრებში, თბილისის გუბერიაში კი — გორის, თელავისა და დუშეთის მაზრებში. ზემოჩამოთვლილი მაზრების უმრავლესობაში გლეხები არ ცნობდნენ მეფის ხელისუფლებას, აუქმებდნენ მის ადგილობრივ ორგანოებს, აძევებდნენ საძულველ მონებლებს, ქმნიდნენ სახალხო მმართველობას, თავის წინადა ირჩევდნენ ათვისებებს, ასისტავებს, რევოლუციურ კომიტეტებს. გლეხთა რევოლუციური კომიტეტების მეშვეობით საქართველოს გლეხებმა პარტიალული ბრძოლა გააჩაღეს თვითმპყრობელობისა და შემაბულეების წინააღმდეგ.

ქუთაისის საოლქო სასამართლოს პროკურორი 1905 წლის 2 თებერვლით დათარიღებულ საიდუმლო მოხსენებით ბარათში მიუთითებდა, უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში ოსურგეთის მაზრაში მდგომარეობა ისე სწრაფად უარესდება, რომ ამჟამად აქ თითქმის სრულად ანარქიაა, მაზრის მთელი ტერიტორია კომიტეტებისა და მისი აგენტების სრულ განკარგულებაშიაო.

1905 წლისათვის გურულმა გლეხებმა მაზრა მთლიანად გაწმინდეს მეფის უველა კატეგორიის მოხელისაგან; გურიის ცენტრალურ რევოლუციურ კომიტეტთან შექმნა „სამხედრო შტაბი“, რომლის მოვალეობას შეადგენდა კომიტეტის განკარგულებაში მყოფი რაზმებისადმი ხელმძღვანელობა, რევოლუციური წესრიგისა და დისციპლინის დაცვა, პასუხისგებაში მიცემა იმ პირებისა, რომლებიც არღვევდნენ წესრიგს, უნებართვოდ ატარებდნენ იარაღს, ხულიგურად იქცეოდნენ და სხვ.

საქართველოში გლეხთა რევოლუციური მოძრაობით, განსაკუთრებით გურულ გლეხთა რევოლუციური გამოსვლებით, დაინტერესებული იყვნენ რუსეთის საზოგადოებრიობის მოწინავე წარმომადგენლები. დიდი რუსი მწერალი დ. ნ. ტოლსტოი წერის უგ-



წავინის თავის მეგობრებს — ი. ნაკაშიძეს და მ. უიფიანს საქართველოში და თხოვს მათ მიწოდონ ცნობები გურიაში შექმნილი მდგომარეობის თაობაზე.

მ. უიფიანი მწერალს ეწვია იასნია პოლიანაში, ვადასცა ი. ნაკაშიძის წერილი და მოუთხორო საუბრადღებო ფაქტები გურიის ამბების შესახებ. ამით აღფრთოვანებული ლ. ტოლსტოი ასეთი შინაარსის წერილს უგზავნის ი. ნაკაშიძეს: „გადადგომთ იმ საოცარი ცნობისათვის, რომელიც უიფიანმა მომცა. ძალიან ვწუხვარ, რომ ცოტახანს ვესაუბრე უიფიანს. ის ცნობები, რომლებიც მან გადამოგვცა, ჩემი ფაქტით, ძალიან დიდმნიშვნელოვანია და უქვევლადაც უნდა გავაცნოთ ხალხს ის დიდი ამბავი, რომელიც გურიაში წდება... თუ ამას საჭიროდ დანიხავთ, გადავიტო, თუ შესაძლებელია, გადავიტო იმათ, რომ არაპარტო მე, არამედ მრავალი ხალხი შეხარის მათ და მზად არიან რითაც შესაძლებელი და საჭიროა ყოველგვარად დაეხმარონ მათ, რომ ჩვენ ყველანი დარწმუნებული ვართ, რაკი ასეთი დიდი საქმე დაიწყო და ბევრი რამ გააკეთეს ამ საქმისათვის, ისინი ხელს არ აიღებენ ამაზე და ისევ ამ გზას გააქუებიან და ხალხს მაგალითს უჩვენებენ“.

გურიის გლეხთა რევოლუციური მოძრაობის ჩახახოზად შეფის მთავრობამ დაძრა კიევის ოლქიდან გადმოყვანილი მშვე დივიზია, რომელიც სათავეში გენერალ-მაიორი ალიხანოვი-ვარსკი ედგა; ბოლშევიკური გაზეთი „ვერილი“ ამასთან დაკავშირებით წერდა: „გურიის გლეხთა მოძრაობა ეს ჩვეულებრივი გლეხთა აჯანყება კი არ არის, არამედ სავსებით შეგნებული პოლიტიკური მოძრაობა, რომელიც მთლიანად ერაყმის მთელი რუსეთის პროლეტარიატის შეგნებულ მოძრაობას, რაც, რასაკვირველია, შეუმჩნეველი არ დარჩა მთავრობას. მთავრობა გურიის გახანდაგურებლად გენერალ ალიხანოვის მეთაურობით გზავნის 10.000 კაცისაგან შემდგარ რაზმს, მაგრამ ვერავითარი სამხედრო ძალა ვერ შეაშინებს მამაც გურულებს“.

ამ მხარდაჭერამ ის შედეგი გამოიღო, რომ მეფისნაცვალის იძულებული გახდა უარი ეთქვა გურიაში დამსჯელი რაზმის გაგზავნაზე. თავის მხრივ, საქართველოს მშრომელი მასები ყოველთვის დიდი ენთუზიაზმით ემხარებოდნენ და მხარს უჭერდნენ რუსეთის პროლეტარიატის და მშრომელი გლეხობის მიერ თვითმპყრობელობისა და ბურჟუაზიული-ემპაშუდური წყობილების წინააღმდეგ წამოწყებულ ყველა ღონისძიებას. მათ კარგად ესმოდათ, რომ ამ შემთხვევაში მათი ინტერესები საერთო იყო, ძალთა გაერთიანების გარეშე შეუძლებელი იყო საერთო მტრის დაწარსება.

მინც რამ განაპირობა მუშათა კლასის მტკიცე რევოლუციური კავშირი საქართველოში (რუსეთთან შედარებით) პირველი რევოლუციის პერიოდში?

უპირველეს ყოვლისა, გლეხთა მძიმე ეკონომიურმა მდგომარეობამ, რუსეთის არცერთ მხარეში გლეხს არ ჰქონია ისე მცირე მიწის ნაკვეთი, როგორც საქართველოში. მეორე მიზეზი, რამაც ხელი შეუწყო მუშათა და გლეხთა კავშირს 1905-1907 წლების რევოლუციაში, იყო გლეხთა მალად სოციალ-დემოკრატიული შეგნება. რამ განაპირობა ეს ამ პრობლემას ბევრი მსვლელარი ეტება, ბევრი საინტერესო და უურადალად მოხარებას აყენებს. ზოგერთი მიიჩნევს, რომ 1900-იანი წლების გაფიცვების დროს მუშები დაითხოვეს საწარმოებიდან, სოფლებში გაახალეს, რამაც შეგავლენა იქონია გლეხებზე, მათ მსოფლმეცნიერებაზე და სოციალ-დემოკრატიული შეგნებით შეიარაღა ისინი; ნაწილი თვლის, რომ ეს გამოწვეული იყო საქართველის ბოლშევიკური ორგანიზაციების აქტიური მუშაობით. ისინი დიდ უურადღებას აქცევდნენ სოფლებს და ფართო მუშაობას ეწეოდნენ გლეხობაში, ყველა ზემოთ ჩამოთვლილ დებულებას უდავოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს გლეხობის რევოლუციური მოძრაობის სოციალ-დემოკრატიული მიზნოვლებით წარმართვის საქმეში, მაგრამ იყო სხვა ფაქტორებიც.

საქართველოში ესერთა და ბურჟუაზიული პარტიების გავლენა გლეხობაზე ძალიან სუსტი იყო, რადგან თვით ესერთა პარტიის ავტორიტეტი ნულამდე იყო დაყვანილი.

ესერთა პარტიის სიძლიერე რუსეთში ნაროდნიკული მოძრაობის სიძლიერეიდან მოდიოდა, რომელსაც რუსეთის სოციალურ-ევრონომიკური განვითარების თავისებურებანი, განსაკუთრებით კი გლეხური თემი აპირებებდა. საქართველოში კი ხალხოსნური მოძრაობა რუსეთთან შედარებით სუსტი იყო. ამიტომ, ხალხოსნური იდეები ისე ვერ შეიჭრნენ საქართველოს სოფლებში, როგორც რუსეთში.

თეორიულადაც ქართველი ხალხოსნები ისე არ იყვნენ წულმომავრებულნი, როგორც რუსი ხალხოსნები.

სოციალ-დემოკრატიული იდეების მტკიცედ ფუძის მოყიდებას საქართველოს მუშებსა და გლეხებს ხელი შეუწყო იმანაც, რომ საქართველოში, ისევე როგორც რუსეთშიც, ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის პოლიტიკური ორგანიზება თითქმის ერთდროულად ხდება. თუ დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ბურჟუაზია თავისი პარტიულ-პოლიტიკური ორგანიზაციით წინ უსწრებდა პროლეტარიატს, საქართველოში, ისევე როგორც რუსეთში მუშათა კლასმა თავისი პარტიულ-



პოლიტიკური ორგანიზაციით გადაუსწრო ბურჟუაზიას. რა თქმა უნდა, ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ ჩვენთან ზემოაღნიშნულს ემატებოდა ეროვნული ბურჟუაზიის სისუსტეც. ამიტომ ბურჟუაზია ამ მოძრაობის მედროშეობას ვერ იცისრებდა. მით უმეტეს მაშინ, როდესაც სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსული იყო პროლეტარიატი და მისი სისხლხორცეული ნაწილი სოციალ-დემოკრატია.

ამიტომ მარქსისტულმა იდეოლოგიამ მტკიცედ მოიკიდა ფეხი საქართველოს მშრომელებში, როგორც ქალაქად, ასევე სოფლად. საქართველოს მშრომელი მასები მთლიანად სოციალ-დემოკრატების გავლენის ქვეშ აღმოჩნდნენ. ეს ცხადად დაადასტურა რუსეთის პირველმა რევოლუციამ. მშრომელთა რევოლუციურ გამოსვლებს საქართველოში 1905-1907 წლების რევოლუციის პერიოდში აშკარად გამოხატული სოციალ-დემოკრატიული ხასიათი ჰქონდა. ბრძოლა მასებისათვის ძირითადში წარმოებდა არა სოციალ-დემოკრატიულ და ბურჟუაზიულ პარტიებს შორის, არამედ სოციალ-დემოკრატიის ორ მიმდინარეობას — ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის.

საქართველოში მუშათა და გლეხთა რევოლუციურ ბრძოლას თვითმპერობელობისა და მემამულეების წინააღმდეგ პირველი რევოლუციის პერიოდში აძლიერებდა, აქტიურს ხდიდა აგრეთვე ეროვნული საკითხიც. ქართველი მუშა და გლეხი იბრძოდა არა მარტო სოციალური ჩაგვრისაგან განთავისუფლები-სათვის, არამედ ეროვნული თავისუფლები-სათვისაც; ქართველი მშრომელი მასები სო-

ციალური საკითხების გადაჭრასთან ერთად თავგამოდებით იბრძოდნენ სკოლებში, მწი-ბლიურ ენაზე სწავლების შემოღებისათვის, წარმოება-დაწესებულებებსა და სასამართლო-ებში საქმეების ქართულ ენაზე წარმოების, ფაბრიკა-ქარხნებში უფელგვარი ეროვნული შეზღუდვების მოხსნის შესახებ.

საქართველოს მშრომელთა ბრძოლამ სოციალური და ეროვნული თავისუფლებისათვის უველაზე აქტიური ხასიათი 1905 წლის შე-მოდგომაზე მიიღო. საქართველოს ბევრ მაზ-რასა და ადგილებში მუშათა და გლეხთა თავგამოდებული ბრძოლის შედეგად მეფის ხელისუფლების ორგანოები არ ფუნქციონი-რებდნენ, ძალაუფლება ხალხის ხელში იყო გადასული. მდგომარეობა მეტად რთული და დაძაბული იყო. ცარიზმის ბედი ბევრზე ეკი-და. მაგრამ ბრძოლამ უველგან ერთნაირი ხა-სიათი როდი მიიღო. ზოგან იგი ძალიან მწვავე ხასიათს ატარებდა, ზოგან კი პასიუ-რი იყო. ცარიზმმა ისარგებლა ამით და რე-ვოლუციურ ძალთა შემოტევა მოიგერია და შემდეგ თვით გადავიდა შეტევაზე.

1905-1907 წლების რევოლუცია დამარცხდა. მართალია, რუსეთის მშრომელთა, მათ შორის საქართველოს მუშათა და გლეხთა რევოლუ-ციურ ბრძოლას სოციალური პროგრესის გზაზე რუსეთის დადგომა არ მოყოლია, მაგ-რამ უკველად არ ჩაუვლია. მან უზარმაზარ-ი გამოცდილება შესძინა რუსეთის მშრომელ ხალხს და საშუალება მისცა, დროის სულ მცირე მონაკვეთში წამოეწყო ახალი ბრძოლა და 1905 წელს დაწყებული საქმე სრულ გა-მარჯვებამდე მიეყვანა.





უპირნალ „ციხისკრის“ 1985 წლის ნომრების შინაარსი

მოწინავე წამილები

- საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვის სიტყვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის 11 მარტის პლენუმზე მიხილ სერგის ძე გორბაჩოვი სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიმართვა კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა ხალხს — № 4
- დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტი, № 12
- საქვეყნო საზრუნავი, № 8
- მარადიული თანამდევნი, № 9
- ცხოვრების მხარდამხარ, № 7
- საქვეყნო საზრუნავი — № 8

მოთხრობები, რომანები, ნოველები

- აბაშიძე მერაბ — ცეცხლში განბანაღნი. მოთხრობა, № 9
- აღიქსიძე შიკა — ოტლე. მოთხრობა, № 2
- არდაშელია ცილა — ათიდან ათი. მოთხრობა, № 12
- არაბული შოთა — მკვდარი სიკვდილი. მოთხრობა, № 7
- ასკურავა დავით — უცნაური კაცი. მოთხრობა, № 8
- ბეგეშიძე გურამ — ეამი. ისტორიული მოთხრობა, № 2
- გოგეშვილი ჯანრი — თეთრი კედელი. რომანი № 7, 8, 9
- დემეტრაშვილი ოთარ — შვიდი თემანი. მოთხრობა, № 8
- დოლიძე შამუკა — მოთხრობები, № 5
- ზარიძე ელისო — ოქრო შიო. მოთხრობა, № 7
- იმედაშვილი ლაშა — ჩემი სახელსონო, მოთხრობები № 4
- იოსელიანი ოტია — ქალი გამოვიდა ქმრის საღალატოდ. რომანი, № 1, 2, 3
- კალანდია ზაურ — ზეარაკი, რომანი. 1984 წ. № 12, 1985 წ. № 1, 2
- კაპანაძე გურამ — მოთხრობები, № 5
- კობერიძე კარლო — მოთხრობები, № 4
- კობერიძე ნოდარ — სანამ ცოცხალი ხარ, არ გაბედო სიკვდილი. მოთხრობა, № 3

- კუხიანიძე ზურაბ — თაისური ნოველების წიგნიდან... № 1
- ლანჩავა თეიმურაზ — ზამთრის თეთრი მერცხლები. მოთხრობა, № 10
- მიშველაძე რევაზ — ნოველები, № 6
- მესხი ლეილა — თავდავიწყება. მოთხრობა, № 7
- მხეიძე ანა — აღმოსავლური ტკბილეულობა. მოთხრობა, № 3
- სამადაშვილი ზაალ — ბაბო დაქრეს!! მოთხრობა, № 3
- სამადაშვილი შაქრო — სათნოებო. მოთხრობა, № 5
- ტალიაშვილი ირინე — გიგა. მოთხრობა, № 11
- ფანჯიკიძე გურამ — სპირალი. რომანი, № 11, 12, 1986 წ. № 1
- ქირია ჯემალ — მოკლე. მოთხრობა, № 7
- ჩალაური თენგიზ — გატყეულია განსაკუთრებით საშიში დამნაშავე. მოთხრობა № 6
- ჩოხელი გოდერძი — ჩრჩილის აღსარება. მოთხრობა, № 8
- ჩიგოგიძე თამაზ — ბურუსი მდელითზე. მოთხრობა, № 11
- ჩხიკვაძე ვანო — ჩიტები ზამთარში. რომანი, № 4, 5, 6
- წურწუშია ოთარ — მოთხრობები, № 9
- ჭეიშვილი რეზო — მეოთხე სიმფონია. მოთხრობა, № 9, 10
- ჭოლოგუა ვლადიმერ — სამთხის ქვრივი, № 8
- ჭორჭაძე აკაკი — ეამი მერყეობისა. ნაწყვეტი რომანიდან, № 7

ლექსები, კომედი

- აბულაშვილი ანზორ — ლექსები, № 2
- ალბაზიშვილი გივი — ბზარი. პოემა, № 1
- ალიმონაყი ლერი — ლექსები, № 5
- აღონია აპოლონ — ლექსები, № 11
- არაბული ბადათერ — ლექსები, № 12
- არაბული იმედა — ლექსები, № 5
- ახობაძე ამირან — ლექსები, № 8
- ახობაძე დომენტი — ლექსები, № 7
- ბართაია ნომადი — ლექსები, № 9
- ბაბუხალია ლევან — ლექსები, № 11
- ბაქრაძე ნოდარ — ლექსები, № 6
- ბაზაძე ირაკლი — ლექსები, № 11
- ბატიაშვილი დარეჯან — ლექსები, № 5
- ბერბულავა ხუტა — ლექსები, № 1
- ბერაია ვივი — ლექსები, № 1



ბერიძე სოსო — ლექსები, № 2
 ბელიანიძე დალილა — ლექსები, № 6
 ბეგიაშვილი ილია — ლექსები, № 11
 ბიწაძე მერაბ — ლექსები, № 3
 გაბაშვილი გიორგი — ლექსები, № 9
 გაბური ალექსანდრე — ლექსები, № 12
 გავაშელი მიხეილ — ლექსები, № 8
 გიგაური გიორგი — ლექსები, № 3
 გოგუაძე ნანა — ლექსები, № 1
 გოცაძე იზა — ლექსები, № 3
 გურგენიძე ავთანდილ — ლექსები, № 10
 დანიელია ბათუ — ლექსები, № 3
 დანიელია რევაზ — ლექსები, № 8
 დავითაძე ემენ — ლექსები, № 2
 დვალი გულიყო — ლექსები, № 2
 დოლიძე გულიყო — ლექსები, № 5
 დუმბაძე ლევან — ლექსები, № 6
 ზურაბაშვილი ნიკო — ლექსები, № 3
 თურმანაული სერგო — ლექსები, № 10
 თურმანაული ომარ — ლექსები, № 7
 ივარდავა დილარ — ლექსები, № 12
 იორაბაშვილი მიხიან — ლექსები, № 4
 კახიძე შედეგ — ლექსები, № 9
 კალანდია გენო — ლექსები, № 5
 კალანდია რენე — ლექსები, № 12
 კალაძე ახირან — ლექსები, № 12
 კანაშაძე გიორგი — შეთაროთ მიტოვება
 (ფრაგმენტები პოემიდან), № 6
 კილახონია ნაზი — ლექსი, № 12
 კაიშაური რუსუდან — ლექსები, № 10
 კვიციანი ედემ — ლექსები, № 1
 კვერცხილაძე ქემალ — ლექსები, № 10
 მახსულია ლანდა — ლექსები, № 4
 მამალაძე რაულ — ლექსები, № 9
 მიმინოშვილი რომან — ლექსები, № 1
 მებრეველი თამაზ — ლექსები, № 7
 მებურიშვილი ირმა — ლექსები, № 9
 მჭედლური დავით — ლექსები, № 9
 მოიხწრაფიშვილი პაატა — ლექსები, № 10
 ნარმანია ზურაბ — ლექსები, № 11
 ნეკერიშვილი ნაილი — ლექსები, № 6
 სანაღვილი ზურაბ — ლექსები, № 12
 სტურუა ლია — ლექსები, № 11
 სოფრომაძე ნარგიზა — ლექსები, № 9
 ფოცხიშვილი მორგნ — ლექსები, № 2, 10
 ფთიანი ედუარდ — ლექსები, № 8
 ფხოველი ქარტი — სანამ ცეცხლი დაიბადე-
 ბა... პოემა, № 3
 ქემერტეძიძე იორამ — ლექსები, № 8
 ქალღანი შერმაღინ — ლექსები, № 10
 ქინჭლაძე ზაზა — ლექსები, № 3
 ქუთათელაძე ზადრი — ლექსები, № 12
 დვინფაძე ნანა — ლექსები, № 6
 ყალაბეგაშვილი ნუნუ — ლექსები, № 3
 შალვაშვილი ბელა — ლექსები, № 2
 შალვაშვილი მერი — ლექსები, № 6
 შეთქაური გიორგი — ლექსები, № 6

ჩარკვიანი ჯანსუღ — ე. შუმგერულს უკუთვნილი
 № 4
 ჩხეტიანი მზია — ლექსები, № 12
 ჩხეტიანი თემურ — ლექსები, № 1
 ჩიტიშვილი მანანა — ლექსები, № 8
 ძნელაძე გივი — ლექსები, № 8
 ქავჭავაძე ლია — ლექსები, № 2
 ჭუმბურიძე დოდო — ლექსები, № 7
 ხარჩილავა ვახტანგ — გამოთხოვება. პოემა,
 № 7
 ხარანაული ბესიკ — ლექსები, № 10
 ხორანაული ვაჟა — ლექსები, № 4
 ხეთაგური მზია — ლექსები, № 1
 ხოდაშვილი თამარ — ლექსები, № 4
 ხუციშვილი ლილი — ლექსები, № 7
 ჯავახაძე ვახტანგ — ლექსები, № 5
 ჯალაღონია ნოდარ — ლექსები, № 5
 ჯანელიძე ჯანო — ლექსები, № 4
 ჯაჭვლიანი ბორენა — ლექსები, № 5
 ჯაჭვაძე იზა — ლექსები, № 3
 ჯგუზურია მურმან — ლექსები, № 11

ასფურცელა

ამირანაშვილი შოთა, გელუტაშვილი მია, დი-
 დებაშვილი ალექსანდრე, მეგრელიშვილი
 ავთანდილ, კაკაჩია მანანა, შიშხილაშვი-
 ლი თემურ — ლექსები, № 6
 ხათახი ტარიელ — ფერად-ფერადი ამბები, № 6

თვამადასილი კონაბაი

გეწაძე აკაკი — ლექსები, № 2
 გორგანელი ვახტანგ — ლექსები, № 4
 სულაბერიძე ლადო — ლექსები, № 3
 ჯანგულაშვილი თეიმურაზ — ლექსები, № 1

ღიაღი ბამარჯვაძის 40 წელი

არჩმაშვილი ხეთისო — ბოლშევიკური პრე-
 სის ისტორიის ფურცლები, № 5
 აფციური კოლა, ისიანი სვეტიან, უბილავა
 ვლადიმერ — ლექსები, № 5
 გოგოშვილი დავით, ლიქოელი ივანე — სამა-
 ბულო ომი ქართულხალხურ პოეზიაში,
 № 5
 დიხაბაძე სულიყო — ლექსი, № 5
 თათიშვილი გივი — ლექსი, № 5
 კობერიძე თენგიზ — ლექსი, № 5
 ნამორაძე ალექსი — ლექსი, № 5
 ნიშნიაშვილი გიზო — გმირი ქალაქების ქარ-
 თველი გმირები, № 5
 პაიჭაძე ვლადკრიონ — ქართველები განმთა-
 ვისუფლებელ ბრძოლებში, № 2
 სამხარაული სოლომონ — პელოს ხიზანი. მოთ-
 ხრობა, № 5
 ქავთარაძე გიორგი — ლექსი, № 5
 ტიქიშაძე ვახტანგ — ბერლინის შტურმი, № 5,
 № 6

ალხაზიშვილი გივი — „სამშობლო ხეცური-
სა“, № 10
 ბარამიძე ალექსანდრე — შტრიხები გრიგოლ
 აბაშიძის შემოქმედებითი პორტრეტისა-
 თვის, № 10
 ბაქრაძე აკაკი — უსინათლო შერთონე-
 ლი, № 9
 ბუაჩიძე გასტონ — ტრიან ტაბიძე და ლორე-
 ამონი, № 7
 ბუაჩიძე ანდრო — სინანული წუთისოფლის
 გამო, № 1
 გვერდწითელი რამაზ — ზოგიერთი კინორე-
 ცენზიის გამო, № 4
 გუბელიძე ბორის — 1905-1907 წლების რევო-
 ლუცია საქართველოში, № 12
 კაციტაძე კახა — სოლომონ დოდაშვილის მსოფლ-
 მხედველობის საკითხისათვის, № 10
 კვაჭანტირაძე მანანა — „ბრწყალით ვუპყრი-
 ვარ სევდას...“, № 4
 კობლაძე თინა — ლექსად მოსული ქართული
 მიწა, № 3
 კომხაძე ნოდარ — „ჩვენი გული თქვენდა წა-
 იღოთ“ ანუ შეხვედრები გ. სააკაძესთან
 სტამბოლში, № 7
 კუკავა თმარ — ანტონ კათალიკოსი, № 4
 კილანავა ბუფან — ეროვნული დამწერლობის
 სათავეებთან, № 1
 ლევადა გიული — ჩეხური კრიტიკა თანამედ-
 როვე ქართული პროზის შესახებ, № 9
 მინდიაშვილი აკაკი — წუთისოფლის ეტიუ-
 დები, № 1
 შქედლური დავით — ჩარჩოებს ნუ დავავიწ-
 რობთ, № 1
 შქევაძიშვილი ამირან — სასურსათო პროგრამა
 პარტიის აგრარული პოლიტიკის ახალი
 ეტაპი, № 3
 შქეველია ზაურ — ბალო იაშვილის ხუთი
 ლექსის სადავო კომენტარები, № 11
 შოლაშხია ზაურ — „მე წამალს ვეძებ“..., № 2
 მსუქნიშვილი ნინო — იმედის მომცემი, დასაწყ-
 ყისი, № 10
 ნაცვლიშვილი პაატა — „...და იდავითეთ
 თქვენც მისებრ!“ № 4
 ნოდია გიორგი — ფილოსოფია, ენა და ფი-
 ლოსოფიის ენა, № 2
 ზაქარაია პარმენ — ქართული ციხე-სიმაგრე-
 ბი, № 2
 ოორდანიას სულხან — სევდის გამართლება, № 1
 საბაშვილი შალვა — კოსმოსის სიმალღი-
 დან, № 11
 ზვანიძე მიხეილ — კონსტანტინოპოლის დაპყ-
 რობა, № 4
 სიხარულიძე ზაზა — „...სტრიქონი, როგორც
 სისხლის კივილი“..., № 11
 ფოფხაძე ნათელა — „იეროთეოსის წიგნის“
 შესახებ, № 6

ჭაჭაია ნინო — „ბასილი კესარიელის „სწავ-
 ლათა“ ეფეთზე ათონელისეულ რეკონსტრუქცი-
 ნი“, № 6
 შავლიაშვილი მედეა — პროექტის მთავარი
 ინჟინერი, № 9
 შენგელაია მზია — უცნაური პოემა, № 6
 ჩარკვიანი გიორგი — ვისთვის რას იტყვი, № 9
 ჩიტაური ნათელა — ილია ჭავჭავაძის ორი
 პროზაული თარგმანი, № 6
 ჩხეიძე როსტომ — სტილი პავლე ინგოროვ-
 ვასი, № 8
 ჩხენკელი თამაზ — ქართული ანბანი და „მე-
 ფთოა ცხოვრება“, № 8
 ჩხივიშვილი გივი — უკომპრომისო შემოქმე-
 დი, № 2
 ჭინტარაული ალექსი — კიდევ ერთი სტროფის
 შესახებ „ეფთხისტუაოსნის“ ტექსტში, № 11
 ჭავჭავაძე რევაზ — ლიტერატურული ტერო-
 რიზმის აღსაკვეთად, № 3
 ჭგუბურია მურმან — ნომადი ბართაიას ლექ-
 სები, № 12
 ჭინჭელაშვილი მიხეილ — ლენინი და პირ-
 ვალი რევოლუცია რუსეთში, № 8
 ჭაღუფიშვილი ნიკო — ალექსანდრე არჩილის
 ძის ბიოგრაფიისათვის, № 10
 ჭამბურია კახა — „ნეტარ იყვნენ დევნულნი სი-
 მართლისათვის“, № 9

ახალი მარგმანები

ალექოსი — ლექსები, ძველ ბერძნულიდან თარ-
 გმნა ნანა ტონიამ, № 6
 დემენტევი ანდრეი — ლექსები, თარგმნა ჭან-
 სულ ჩარკვიანმა, № 10
 ინგლისელი პოეტები — უილიამ ბლეიკი, როი
 ფულერი, დიონ ტომასი, კინგსლი ემისი,
 დ. ჯ. ენრაიტი. ლექსები. ინგლისურიდან
 თარგმნა გიორგი ნიშნაიანიძემ, № 6
 ივლია ვო — ექსკურსია სინამდვილეში. თარ-
 გმნა ჭულიბტა შქედლიშვილმა, № 8
 კავკაზაი ილია — სიმართლე. ლექსი. თარგმნა
 შოთა ნიშნაიანიძემ, № 10
 პლატონი — ლექსები. ბერძნულიდან თარგმნა
 ვიგლა სარიშვილმა, № 1
 პოლტავეი ვლადიმერ — თარგმნეს ნინო ქუ-
 თათელაძემ და ლალი ჭავჭავაძემ, № 9
 სიმონოვი კონსტანტინ — დღიურიდან. თარგ-
 მნა იროდიონ ჭავჭავაძემ, № 11
 ძველგვიგობური „მკვდართა წიგნიდან“ — თარ-
 გმნა ზვიად გამახაურდიამ, № 7

საკბ XVII სტრიქონის შესახებ დარად

მებრძვილი ჭემალ — მიმე მრეწველობა:
 პრობლემები და განსჯა. ნარკვევი, № 6
 გახაკიძე რამაზ — მეცნიერულ-ტექნიკური
 პროგრესი და ბუნებისმეტყველების პრობ-
 ლემები, № 8



ეპოლოგიური პროგნოზები — № 6

საერთაშორისო ცნობრება

ბარდაველიძე ნუგზარ — არ სუფევს სიმშვიდე თავისუფლების ქანდაკების ჩრდილქვეშ, № 4

ხელოვნება

ანანიაშვილი ქეთევან — დაბრუნებული ბავშვობა, № 7

ბათიაშვილი გურამ — მსხვერპლი, № 4

კორძაია მანანა — კიდევ ერთი ლაურეატი, № 1

ქარაია ინგა — გამოფენა ისტორიიდან, № 4

ქიქოძე ლია — ექსპერიმენტის უფლება, № 4

ხუტუა გურამ — ლეგენდები და სინამდვილე მოცარტის შესახებ, № 1

ახალგაზრდა მცნობი „ცისპარში“

ჭამბურია კახა — „ნეტარ იყვნენ დეენტონი სიმართლისათვის“, № 9

ბავშვთაშორის

წიკლაური მამუკა — ჩვენ სასწაულს მოვესწარით, № 9

აღმაშვილი გივი — ათასწლოვანი ხმა, № 9

პეტრიაშვილი გურამ — ვმღეროდი, № 9

ილია შავერვაძე — 130

აბაშიძე ვახტანგ — სოციალური და ეროვნული ჩავერისაგან განთავისუფლების ნათელი პროგრამა, № 12

ლოხვანიძე გივი — არჩილ ჯორჯაძე — კავქაიის სოციალ-პოლიტიკური შეხედულებების მკვლევარი, № 10

ტიციან ტაბიჯი — 90

სიცოცხლის გაგრძელება — № 11

ჭილაია ხერგი — ლექსები იყო მისი საგზა-ლი, № 11

ინტერვიუ

დეკანოძე ნინო — „პოეტი წერს... ბედნიერების შესაგრძნობლად“, № 12

ლიბერატორული მემკვიდრეობა

სიხარულიძე კარლო — ეურნალ „მოამბის“ პუბლიცისტიკა, № 7

პოლემიკა

დვინჯილია ჯანსუღ — აუცილებელი განმარტებანი, № 7

სოსელია ოლია — შენიშვნები თამაზ წიფწივადის კრიტიკული წერილის გამო, № 7

წიფწივადე თამაზ — „ჯეარს ეცვი, თუ გინდა, საშველი არ არის...“, № 7

იუმორი

სამსონია აღდექანდრე — ფეხბურთი თავით უნდა ითამაშო, № 1, № 3

წინასიტყვაობა — № 8



16
16
17
18
19

სოციალური „სინკრის“ ახალგაზრდა ავტორები



ზურაბ სამადაშვილი დაიბადა 1956 წელს, თბილისში, 51-ე საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლობდა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე. ამჟამად მუშაობს საგარეჯოს ღვინის ქარხანაში უფროს ინჟინერ-ტექნოლოგად. პირველი ლექსები გამოაქვეყნა 1982 წელს „ნობათში“.

ბადრი ქუთათელაძე დაიბადა 1950 წელს, გეგეჭკორში. დაამთავრა თბილისის პუშკინის სახ. პედა-

გოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტი.

ამჟამად მუშაობს საქალაქო საბჭოს აღმასკონში.

პირველად დაიბეჭდა „ახალგაზრდა კომუნისტში“, 1976 წელს.

ალექსანდრე ბაბური დაიბადა 1950 წელს, დუშეთის რაიონის სოფელ არხოტში.

დაამთავრა სპი-ს სამშენებლო ფაკულტეტი, 1977 წელს.

პირველი ლექსები გამოაქვეყნა „ნობათში“ 1982 წელს.

ზ ვ ე ნ ი შ ი ხ ა შ ა რ თ ი: თბილისი, 250007, დადიანის ქ. № 2.

ტ ე ლ ე ფ ო ნ ე ბ ი: მთავარი რედაქტორი — 99-85-81, შთ. რედაქტორის მოადგილე — 72-26-32, პასუხისმგებელი მდივანი 72-43-75, მდივანი — 72-44-78. განყოფილებათა გამგეები — 72-26-35, პროზის — 72-26-80, „ცისკრის“ დამატება — 72-17-01, ხაზორექტორი — 72-47-62.

გადიცვა ასაწყობად 9. 10. 85 წ., ხელმოწერილია დსაბეჭდად 12. 12. 85 წ. ქალაქის ზომა 70×106, ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 11. სააღრ.საგ. თაბახი 15.85 შეკვ. 2281 უგ 15340 ტირაჟი 57.000

საქართველოს კვ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

გამოიცა ახალგაზრდა მწერალთა წიგნები:

1. ბადინიძე დ. — წვეთები და ნაშვებები. ლექსები. „მეკანი“
2. ბადოშვილი ლ., ქალაქანი ზ. — ლექსები. „მეკანი“
3. ბარათელი ლ., დოლიძე მ. — კვირის საათი. მოთხრობები. „მეკანი“.
4. გომარეთელი ა. — მირთა თმვა სჯობს. „მეკანი“.
5. დარასელი ზ. — უჩინარი. მოთხრობები. „მეკანი“.
6. დოიაშვილი თ., ბრეგვაძე ლ. — დეკარტული გეგმების კიბეაში. „მეკანი“.
7. ვასაძე თ. — სანები და კროზღეები. „მეკანი“.
8. ზარიძე ი. — სისხლიანი ბაღმინა. მოთხრობები. „ირისთონი“
9. თოთაძე ლ., საღლიანი ი. — ლექსები. „მეკანი“.
10. ჭუთათელაძე ნ. — სამი მონოლოგი. ლექსები. „მეკანი“
11. ხელაია ნ. — ვინ ახსნა ჭაჭვი. ლექსები. „საბჭოთა საქართველო“.

683/1



3560 60 353.

0503560 70226

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И
ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ
ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ